საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№9 (52)
10 – 16 მარტი, 2010

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## რუსეთის პროკურატურამ საქართველოს ახალი ბრალდებები წაუყენა

2

რამაზ კლიმიაშვილი:

## ომი ყველაფერს ჩამოწერს!

6

ტარიელ გაგნიძე:

## მთავარია, ვისთან იმსჯელებს პოლიტიკურ თემაზე რუსეთის პრეზიდენტი

8

## ანტიქართული ათეული

10

ეს ხალხი არის ყოველგვარი უბედურების სათავე!

## ვაშინგტონმა თბილისზე ხელი ჩაიქნია

18

## არსებობენ მხოლოდ მტრები

20

# ვინ იხსნა ქარდავას ვაჟი სიკვდილისგან და რატომ არ აქვს მას რუსეთის ლანძღვის უფლება!






# ტელევარსკვლავბაჩუკა






4

# КТО ТАКАЯ ТЕТЯ НИНА ИЗ ТБИЛИСИ?

2



15

## ბენდუქიძის ინიციატივით გაუქმებული კანონი მთიანეთს დაცლის

შალვა ხაჭაპურიძე:

## პარტია, რომელიც ომისა და ძალადობის პროპაგანდას ეწევა, უნდა აიკრძალოს!

11

რამდენიმე დღეში „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შევა

## «ასეთი უკანონობა ვერც კი წარმომედგინა»

14



პოლიტპატიმარ-აკადემიკოს ვლადიმერ ვახანიას განცხადება:

ევროპარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ეჟი ბუზეკს;

ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს, ბატონ ტორბიორნ იაგლანდს;

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდ პალატას

«VINCIT OMNIA VERITAS»

«ჭეშმარიტება ყველაფერზე იმარჯვებს»

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# КТО ТАКАЯ ТЕТЯ НИНА ИЗ ТБИЛИСИ?



კადრი ფილმიდან „მიმინო“

**ფილმ „მიმინოში“ ოდესღაც დასმულმა ამ კითხვამ გასულ კვირას რუსეთსა და საქართველოში განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა. ნინო ბურჯანაძე მოსკოვს ესტუმრა და იგი პატივით მიიღეს. თუ ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტი რუსეთში ჯერ კიდევ შეიძლებოდა, შეფასებულიყო როგორც ერთგვარი პოლიტიკური კაზუსი და გარემოებათა შემთხვევითი თანხვედრის ნაყოფი, ბურჯანაძის ნაბიჯმა ცხადყო, რომ საქმე უფრო სერიოზულადაა და შესაძლოა, ჩვენს თვალწინ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ახალი რეალობის ფორმირება იწყება.**

## ПОД КРЫЛЬЯМИ ДВУГЛАВОГО ОРЛА

**4000 კილომეტრი სიგრძეში, სიგანეში — 2,5-ჯერ მეტი; არა, რაც უნდა თქვან, ზომას მნიშვნელობა აქვს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი გამყარებულია არსენალით, რომლის თუნდაც ნაწილობრივი გამოყენება საკმარისია იმისთვის, რომ ამ პლანეტაზე უახლოეს ათასწლეულში ბალახიც კი არ ამოვიდეს.**

რუსეთის გავლენა მსოფლიოზე ამ ფაქტორით როდი შემოიფარგლება, იგი კონტინენტის სხვა სახელმწიფოებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორს, ენერგო-მატარებლებისა და ნედლეულის მომწოდებელს წარმოადგენს. აქედან საკმაოდ მარტივი რამ გამომდინარეობს: რაც უნდა მოხდეს, დღეს საქართველოს გამო რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ (სანქციებს და ა.შ.) და, მითუმეტეს, სამხედრო კონფრონტაციაში არავინ შევა. ეს გლობალური უსაფრთხოების ხელყოფას ნიშნავს.

საქართველო რთული არჩევანის წინაშე აღმოჩნდა. არსებული პრობლემების გადაწყვეტისთვის მას შეუძლია: **1) დაიწყოს რუსეთთან ურთიერთობების მოგვარება დამოუკიდებლად, ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე; 2) უარი თქვას დარეგულირებაზე და შეეცადოს, მიაბას საკუთარი პრობლემების გადაწყვეტა აშშ-რუსეთის დიალოგს; ორი ზესახელმწიფოს ურთიერთობების დღევანდელი დათბობიდან გამომდინარე, ეს ნიშნავს კონიუქტურის შეცვლის მოლოდინს რეჟიმში „არც — ომი, არც — მშვიდობა“ განუსაზღვრელი დროით (არსებობს თუ არა ამ პაუზისათვის აუცილებელი რესურსები, სხვა საკითხია); 3) გამოაცხადოს ტოტალური მობილიზაცია და რუსეთთან ომი დაიწყოს. ძალთა აშკარად არათანაბარი ბალანსიდან გამომდინარე, ეს ვარიანტი დღეს სერიოზულად არც განიხილება.**

ამჟამინდელი ხელისუფლების პოლიტიკა მეორე მიდგომას ეფუძნება. თუმცა დღითიდღე ცხადი ხდება, რომ საქართველოს საკითხი აშშ-რუსეთის (განსაკუთრებით კი ევროკავშირის ქვეყნებისა და რუსეთის) ურთიერთობებში არა მხოლოდ კარგავს აქტუალობასა და სიმწვავეს, არამედ დღის წესრიგიდან ამოვარდნის ტენდენციას ავლენს. დასავლეთის მესიჯი „დაარეგულირეთ ურთიერთობები რუსეთთან” სულ უფრო მკაფიოდ გაისმის.

შესაბამისად, პოლიტიკური ელიტა და საზოგადოება შემდეგი აუცილებლობის წინაშე დგება: ჩამოთვლილთაგან პირველი მიდგომის ფარგლებში რუსეთის პოზიციის ზონდირება მოახდინოს; ზუსტად დაადგინოს, რა სურს ჩვენგან კრემლს და რა შემხვედრი წინადადებების წამოყენება შეგვიძლია. **მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება შემუშავდეს მოქმედების სცენარი იმ შემთხვევისთვის, თუ დღევანდელი პოლიტიკის წარუმატებლობა ცხადი შეიქნება (პრინციპში, ამას ცოტაღა აკლია).**

ალბათ, აჯობებს, მოსკოვში გასულ კვირას გამართული შეხვედრები სწორედ ამ კუთხით განვიხილოთ: საკმაოდ დიდი ალბათობით, რუსეთის ხელისუფლების პირველმა პირებმა ნათლად და არაორაზროვნად გააჟღერეს ის პრინციპები, რომელთაც, მათი აზრით, საქართველო-რუსეთის მომავალი ურთიერთობა უნდა დაეფუძნოს. ნინო ბურჯანაძის ვიზიტში მთავარი სწორედ ეს მომენტია. მართლაც, უცნაური იქნებოდა, რომ შეხვედრის მონაწილეებს მიხეილ სააკაშვილის ამა თუ იმ ადგილით ჩამოკიდების დეტალური სცენარები განეხილათ, საამისოდ პოლიტიკური კომუნიკაციის სხვა არხები და სხვა, აღნიშნულ საქმეში ძლიერ გაწაფული, ადამიანები არსებობენ.

მიუხედავად იმისა, როგორ ვაფასებთ ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ მოღვაწეობას, სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ ძნელია მოძებნო ფიგურა, რომელსაც ქართულ ელიტაში უფრო ფართო კონტაქტები გააჩნია. მან, ასე თუ ისე, იცის სახელმწიფოთა პირველი პირების დონეზე თამაშის წესები **(თავად თამაშობს თუ ვერა, სხვა საკითხია),** სიტყვებისა და გარანტიების ფასი. შესაბამისად, ქართულ საზოგადოებამდე საკუთარი ხედვა რომ მიეტანა, ვლადიმერ პუტინი უკეთეს თანამოსაუბრეს, საეჭვო წარმოშობისა და პოლიტიკური ორიენტაციის დღევანდელ ქართულ ოპოზიციაში, ალბათ, ვერც იპოვიდა.

ლოგიკურია ისიც, რომ ბურჯანაძემ, მოსკოვში ვიზიტის შემდეგ, ბრიუსელსა და ვაშინგტონში გამგზავრება დაგეგმა. მნიშვნელოვანია, იმის ზონდირებაც, დასავლეთში რა რეაქცია მოჰყვება სავარაუდო ცვლილებებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში, ამას ელემენტარული წინდახედულობა მოითხოვს. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ იგი მიღებულ ინფორმაციას როგორც საზოგადოებას (ნაწილობრივ), ისე სხვადასხვა გავლენიან ჯგუფს გაუზიარებს.

**მოსკოვში მისი ვიზიტის მთავარი განსხვავება ქართველი პოლიტიკოსების უკვე შემდგარი და დაგეგმილი ვიზიტებისგან „ნდობით აღჭურვილი დესპანის“ ფუნქციის შეთავსებაში (ყოველ შემთხვევაში, ამის მცდელობაში) მდგომარეობს.**

უბრალოდ, არსებობს სიტუაციები, როდესაც მედია და საიდუმლო დიპლომატიის არხები პოზიციების შესაჯერებლად საკმარისი არ არის.

ამ კონტექსტში მნიშვნელობა არ აქვს იმას, რამდენჯერ უწოდებენ ბურჯანაძეს „მოღალატეს“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები და რა ტონალობას ჩააქსოვს იგი პასუხად წარმოთქმულ „ლაჩრებში“. რა ვქნათ, ეს მათი ურთიერთობის სტილია. მთავარია ის მესიჯები, რომელსაც ბურჯანაძე ჩამოიტანს და არჩევანი, რომელსაც საქართველო გააკეთებს. ყველაზე პარადოქსული ამ უმძიმეს სიტუაციაში ის არის, რომ საქართველო არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას ჯერ კიდევ ინარჩუნებს. ზოგიერთ პოლიტიკოსს შესაძლოა ერჩივნოს, რომ მის ნაცვლად ეს არჩევანი გარე ძალამ გააკეთოს, ახალი პირობები საქართველოს თავს მოახვიოს და, შესაბამისად, მას პიროვნული პასუხისმგებლობა აარიდოს. ეს, ალბათ, სხვა არაფერია, თუ არა ინტელექტუალური და ზნეობრივი ჩიხი, სუსტი ადამიანების უკანასკნელი, ფრიად ჩაბნელებული თავშესაფარი. რაც შეეხება ბურჯანაძეს... კომპიუტერული თამაშების მოყვარულები რომ იტყვიან: Mission accomplished. Level complete.

## ფინური სახლი ვულკანის ფერდობზე

**ემოციებსა და განცდებს ვერსად გავექცევით, თუმცა საერთაშორისო პოლიტიკაში ემოციებით ხელმძღვანელობა, იდეაში იგივეა, რაც სიმთვრალეში დანაღმული ველის გადალახვა.**

მიუხედავად იმისა, რომ რაღაც მომენტში არჩევანის გაკეთება შეიძლება წარმოუდგენლად რთული ჩანდეს, მისგან გაქცევა და დამალვა უარეს შედეგს მოასწავებს. კრემლის წინადადებების ზუსტი შინაარსი უცნობია, თუმცა, პირველადი ნიშნების მიხედვით, მსჯელობა, ალბათ, იმის გარშემო მოგვიწევს, რასაც ტერმინი „ფინლანდიზაცია“ მოიცავს.

ხელისუფლების მომხრეებს ძალიან უყვართ 1989-ში გამოსული ფინური მხატვრული ფილმი „ზამთრის ომი“. მართლაც, საგულისხმო ფილმია, თუმცა ისტორიის სახელმძღვანელო, ალბათ, უფრო საინტერესოა, რადგან იქ დაწვრილებით აღწერილია, რით დასრულდა ფინელებისთვის 1939-40 და 1941-44 წლების ომები.

**საბჭოთა კავშირთან შეიარაღებული ბრძოლის დასასრულს ცხადი გახდა, რომ ფინეთმა დაკარგა ტერიტორიები, ათეულათასობით ახალგაზრდის სიცოცხლე და ომის გაგრძელების ყოველგვარი შესაძლებლობა. 400 000 ადამიანი (მოსახლეობის 12%) იძულებით გადაადგილებულ პირად იქცა.**

**ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია ფიქრი ტერიტორიულ გამთლიანებაზე ჰიპოტეტური კონფედერაციის ან ასიმეტრიული ფედერაციის ფარგლებში, ფინელებს ამის ფუფუნება ნამდვილად არ ჰქონიათ. მრავალწლიანმა თავგანწირულმა ბრძოლამ ქვეყანა ყოვლისმომცველი მარცხისგან ვერ იხსნა.** ▶

# რუსეთის პროკურატურამ საქართველოს

**რუსეთის ფედერაციის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტი იმ მუხლების სიას შეავსებს, რომელთა მიხედვითაც საქართველოს 2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეთა გენოციდსა და მასიურ ხოცვაში ედება ბრალი. როგორც უწყების ოფიციალური წარმომადგენელი ვლადიმერ მარკინი აცხადებს, საგამოძიებო კომიტეტი ქართველი სამხედროების მიერ ჩადენილ მთელ რიგ დანაშაულებათა მტკიცებულებებს ფლობს.**

მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმე აღძრულია რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 356-ე მუხლის 1 ნაწილის (ომის წარმოების აკრძალული საშუალებებისა და მეთოდების გამოყენება), 359-ე მუხლის მე-2 ნაწილის (დაქირავება) და 360-ე მუხლის 1 ნაწილის (საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ პირებსა და დაწესებულებებზე თავდასხმა) მიხედვით. დადგინდა, რომ საომარი მოქმედებების მსვლელობისას საქართველომ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის მიმართ არა ერთხელ დაარღვია საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმები, ასევე საყოველთაოდ აღიარებული ადამიანისა და მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები.

გარდა ამისა, მოიპოვეს მტკიცებულებები იმისა, რომ ქართველი სამხედროები განზრახ ხოცავდნენ და იტაცებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას, გაუმართლებელი სისასტიკით ექცეოდნენ სამხედრო ტყვეებსა და უკანონოდ დაკავებულ სამოქალაქო პირებს.

ქართული მხარე რესპუბლიკის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ იყენებდა განურჩეველი მოქმედების მძიმე საიერიშო შეიარაღებას, საერთაშორისო კონვენციებით აკრძალულ კასეტურ საბრძოლო მასალასა და 500-კილოგრამიან საავიაციო ბომბებს.

საგამოძიებო კომიტეტში მიღებულია მონაცემები, რომლებიც ადასტურებს რუს მშვიდობისმყოფელებსა და საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფ დაწესებულებებზე თავდასხმის ფაქტს. რუსეთის სამშვიდობო ბატალიონის ათი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა, 40-ის ჯანმრთელობას სხვადასხვა სიმძიმის ზიანი მიადგა, რუსეთის სამშვიდობო ძალების ინფრასტრუქტურა მთლიანად განადგურდა.

გარდა ამისა დაფიქსირებულია, რომ ქართული ჯარის მხარეს რუსეთის ფედერაციისა და მისი მოქალაქეების ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ დაქირავებული პირები უკრაინული ორგანიზაციიდან „უკრაინის ნაციონალური ასამბლეა — უკრაინის სამოქალაქო თავდაცვა“. დაქირავებულების გადაბირების, დაფინანსებისა და სხვა სახის მატერიალური უზრუნველყოფის ორგანიზება და განხორციელება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა უზრუნველყვეს.

თავის მხრივ, საქართველო აპირებს რუსეთის წინააღმდეგ სარჩელით საერთაშორისო სასამართლოებს მიმართოს. ოფიციალური თბილისი თვლის, რომ 1990-იანი წლების დასაწყისიდან აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საკუთარი ქმედებებით მიყენებული ზარალისათვის რუსეთმა საქართველოს კომპენსაციის სახით 40 მილიარდი დოლარი უნდა გადაუხადოს. ამასთანავე, ქართველი პოლიტიკოსები აღიარებენ, რომ ეს ცალსახად პოლიტიკური ზომაა იმისათვის, რომ მსოფლიო საზოგადოებამ რუსეთის დანაშაული აღიაროს.

შეგახსენებთ, შარშან სექტემბერში ევროკავშირის დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფმა თავის დასკვნაში განაცხადა, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის სამხედრო მოქმედებების დაწყებაზე პასუხის- ▶



◀ ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ არა უშუალოდ სამხედრო წინააღმდეგობის შეწყვეტის მომენტს, არამედ მისგან დროში ოდნავ დაშორებულ, მოსკოვთან ახალი ტიპის ურთიერთობების ფორმირების პერიოდს. პირველად ფინეთი ჩაება მწვავე კონფრონტაციაში კრემლთან ინგლის-საფრანგეთის დახმარების იმედით (ძირითადად), მეორე ჯერზე იგი გერმანიის მოკავშირე იყო, პრინციპში, ისიც შეეძლო, რომ რამდენიმე წლის შემდეგ „ცივ ომში“ შეერთებული შტატების გვერდით დამდგარიყო და ბედი კვლავ ეცადა, მაგრამ ფინელებმა სხვა არჩევანი გააკეთეს.

**მათ გააცნობიერეს, რომ უზარმაზარი მეზობელი არ გაჩერდება მანამ, სანამ ჩათვლის, რომ ფინეთის ტერიტორიიდან მას საფრთხე ემუქრება, ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილი სამი ვარიანტიდან პირველი აირჩიეს. შესაბამისად: ფინეთმა აღიარა, რომ მოსკოვის განსაკუთრებული სტრატეგიული ინტერესების ზონაში შედის და შემდგომ ნაბიჯებს ამ ფაქტორის გათვალისწინებით გეგმავდა. ქვეყანა უარს ამბობდა მონაწილეობაზე სსრკ-ის წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ბლოკებში, მეტიც დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობებში წარმოქნილი პრობლემებისგან მაქსიმალურ დისტანცირებას ახდენდა. მის ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებდნენ საბჭოეთის მოწინააღმდეგეთა პროპაგანდისტული და სადაზვერვო-დივერსიული ცენტრები, ფინელმა პოლიტიკოსებმა კონფრონტაციულ რიტორიკაზე უარი თქვეს.**

ამის სანაცვლოდ ფინეთმა მიიღო მოსკოვის პრივილეგირებული ეკონომიკური პარტნიორის სტატუსი, რომელიც მისი კეთილდღეობისა და სწრაფი განვითარების ფუნდამენტი გახდა; ქვეყანამ სუვერენიტეტი (ცხადია, მას აბსოლუტურს ვერ ვუწოდებთ, თუმცა ასეთი რამ ბუნებაში საერთოდ ძნელი მოსაძებნია) შეინარჩუნა და ეროვნული ღირებულებების, საზოგადოების პლურალისტული მოდელის ერთგული დარჩა. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც, ფინეთი ამ ურთიერთობების მთავარი პრინციპის ერთგული დარჩა — აღმოსავლელ მეზობელს არასდროს უნდა ეგრძნო, რომ ფინეთის ტერიტორიიდან მას შეიძლება რაიმე ტიპის საფრთხე დამუქრებოდა.

## იყო კიდევ ერთი ნიუანსი: ახალ რეალობაში, პოლიტიკური ელიტის ერთგვარი გადახალისება უნდა მომხდარიყო, ის ადამიანები, რომლებიც ფინეთს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომში ხელმძღვანელობდნენ, ქვეყნის სათავეში, ცხადია, ვერ დარჩებოდნენ. მარშალმა მანერჰეიმმა, რიგმა მინისტრებმა და დეპუტატებმა ხელისუფლება ყოველგვარი ისტერიკის გარეშე დატოვეს. კრემლი ამით დაკმაყოფილდა და მათზე ნადირობა არ გამოუცხადებია.

პირდაპირი პარალელების გავლება არასწორი იქნებოდა, თუმცა გარემოებათა გარკვეული მსგავსება ნამდვილად შეინიშნება. რამდენად მისაღებია მსგავსი არჩევანი საქართველოსთვის? გვაქვს თუ არა სხვა, უკეთესი სცენარი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა უახლოეს მომავალში აუცილებელი გახდება.

## რუსული რულეტკა თბილისურ კაზინოში

**აღმოსავლელ მეზობელთან მეგობრული ურთიერთობების განვითარებაზე მიმართულ ჰელსინკის პოლიტიკას, „პაასიკივი-კეკონენის ხაზი“ (ფინეთის პრეზიდენტები იყვნენ ერთმანეთის მიყოლებით) ეწოდებოდა. თვალი გადავავლოთ ჩვენს პოლიტიკურ სპექტრს, რათა დავადგინოთ, რამდენი პოტენციური „პაასიკივი“ გვყავს აქტივში და ბარემ „კეკონენებიც“ გადავთვალოთ.**

პირველი (და მცდარი) შთაბეჭდილებით, ამ როლს თითქმის ნებისმიერი პოლიტიკოსი ერგება — ხელისუფლებისა (ცხადია, იგულისხმება რამდენიმე საკვანძო ფიგურა; დანარჩენები, თუ მათ 2-3 დღით უყურადღებოდ დატოვებენ, , ბალალაიკაზე დაკვრის ფესტივალსაც მოაწყობენ) და ალასანიას „ალიანსის“ (პირობითად) წარმომადგენელთა გარდა, რომელთა პოლიტიკა, სავარაუდოდ, ისევ და ისევ „დიდი ამერიკული ავიამზიდის“ შემოსვლის მოლოდინში დროის გაწელვას გულისხმობს, ოღონდაც უფრო ზრდილობიანს, ფურთხებისა და საფერფლეების სროლის გარეშე. ეს თამაში რისკის მნიშვნელოვან ელემენტს შეიცავს, რადგან ყველას მარშალ მანერჰეიმის დარად როდი შეუძლია, ზუსტად განსაზღვროს, როდის დადგება კრიტიკული მომენტი, რომლის შემდეგ რუსეთი არც არაფერს გვაცლის და აღარც გაჩერდება. საერთოდ, მოქმედება „ფინური სცენარით“ შეიძლება იყოს ან პატიოსანი, ან — არანაირი, რადგან პარტნიორის მოტყუების მცდელობა ვერ დაიმალება და შესაბამის (შესაძლოა, ჯავშანსატანკო) ნაყოფსაც გამოიღებს.

თუმცა, ამ სცენარის ფარგლებში არანაკლებ საფრთხეს შეიცავს პოლიტიკური ძალა, რომელიც მოსკოვის მზარდ გავლენაში მხოლოდ საკუთარი მიზნების მიღწევის ინსტრუმენტს ხედავს. ამბიციებით შეზავებული მსგავსი მისწრაფებები რუსეთთან ურთიერთობის ახალ მოდელს დამატებით საფრთხეს შეუქმნის.

## ზოგადად კი, ალბათ, მოსაძებნი გახდება პოლიტიკოსი — კომპრომისის ფიგურა, ავადმყოფური პირადი ამბიციების გარეშე, რომელიც ვითარებას მთლიანობაში დაინახავს, დაიცავს ბალანსს ელიტისა და საზოგადოების შიგნით და რუსეთ-საქართველოს შორის მიღწეული კონსენსუსის ერთგვარი გარანტი გახდება.

კარგი იქნება, თუ ამავე დროს დასავლეთის თვალში ნაგიჟარი წითელი კომანდანტეს იმიჯი არ ექნება.

**დიმიტრი მონიავა**

# ახალი ბრალდებები წაუყენა

◀ მგებლობა ოფიციალურ თბილისს ეკისრება, კონფლიქტის ესკალაციის პასუხისმგებლობა კი — მოსკოვს.

ცხინვალისა და სამხრეთ ოსეთის სხვა დასახლებულ პუნქტებში ქართული მხარის ქმედებების შედეგად სრულად დაინგრა და გადაიწვა 655 საცხოვრებელი სახლი, ნაწილობრივ დაზიანდა 2139 საცხოვრებელი შენობა-ნაგებობა, რომლებშიც, ძირითადად, რესპუბლიკის ოსი მოსახლეობა ცხოვრობდა. სამხრეთ ოსეთის 33 ათასზე მეტი მცხოვრები იძულებული გახდა, მიეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. ომში 67 რუსი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა.

რუსეთის ფედერაციის პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის მონაცემების მიხედვით, სამხრეთ ოსეთზე თავდასხმაში მონაწილეობდა ქართული შეიარაღებული ძალების 17 ათასი სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის, ორი ათასამდე რეზერვისტი. მათ შეიარაღებაში იყო დაახლოებით 100 ტანკი, 70 ბრონირებული მანქანა, 110 საარტილერიო ქვემეხი და ნაღმმტყორცნი, ზალპური ცეცხლის 30 სისტემა, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის 210 საშუალება, 9 სამხედრო თვითმფრინავი სუ-25. სამხედრო მოქმედებებისას ქართული მხარე იყენებდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებულ შეიარაღების თანამედროვე სახეობებს.

**www.newsru.com**



საავტორო სვეტი



# ვიბაჩაი, ვნუჩკუ, ბანანივ ნემე!

**რატომ აირჩიეს Foreign Policy-ის ჟურნალისტებმა ინტერვიუს ჩამოსართმევად მაინც და მაინც ეკა ტყეშელაშვილი, დაბეჯითებით ვერ გეტყვით. ალბათ, შესთავაზეს იმიტომ, რომ სააკაშვილის პროტეჟეა და, ალბათ, იმიტომაც, რომ მას აბარია საქართველოს უსაფრთხოების საქმე, უშიშროების საბჭოს მდივანია.**

უკრაინელი ბებია მატარებლით მიემგზავრება, კუპეში ზის და გაჭირვეულებული ზანგი შვილიშვილის, რომელიც ნარინჯისფერი თავისუფლების ნაყოფია, დაწყნარებას ამაოდ ცდილობს. ხან ვაშლი მიაწოდა, ხან — სხვა ხილი. ვერაფერს გახდა. როცა სრულად ამოწურა საკუთარი ეკონომიკური შესაძლებლობა, გაშალა ხელები და ცხელი აფრიკიდან გადმონერგილ შავთვალას ეუბნება:

— ვიბაჩაი, ვნუჩკუ, ბანანივ ნემე! (ბოდიში, შვილიშვილო, ბანანები არ მაქვსო).

რაც არ არი, არ არიო.

ეგებ, სულაც ამ მიზეზით — შესაფერისის უყოლობის გამო, წარუდგინეს სიუზან გლასერს და ჯოშუა ქითინგს ეკა ტყეშელაშვილი.

გაწი-გამოწიე, ინტერვიუს მთავარი საკითხი ჩვენი ხელისუფლების პოზიციის გარკვევა იყო, როგორც ამათ ტერმინოლოგიაშია დამკვიდრებული, რუსეთთან მიმართებაში. ჰოდა, უპასუხა კიდეც ამ მიმართებასთან შესაბამისობაში:

**„რუსეთი განაგრძობს საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის ოკუპაციას არა მხოლოდ ტერიტორიული, არამედ — სამხედრო თვალსაზრისითაც“.**

ჰოპა! დავიჭიროთ, არ გაგვებნეს ეს მარგალიტი, რომელიც უშიშროების საბჭოს მდივნის მრავალმხრივი განსწავლულობის პირველ მერცხლად გადმოფრინდა ამ გაზაფხულის პირზე!

პატივცემულო მდივანო, ბუნებაში არ არსებობს ცალკე ტერიტორიული და ცალკე სამხედრო ოკუპაცია. ოკუპაცია რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის ძალადობრივ დროებით დაკავებას ნიშნავს, როცა დამპყრობს საამისო სუვერენული უფლება არ გააჩნია.

მარცვალ-მარცვალ აკენკეს ჟურნალისტებმა მათ წინაშე უშურველად დაფანტული მძივის კონკრეტიკა და, მათ შორის, ეკა ტყეშელაშვილის სამხედრო-დიპლომატიურ სტრატეგიაში განსწავლულობის ასეთი ნიმუშებიც:

**„ეს** (გულისხმობს ოკუპაციას. — ა.ს.) **სამხედრო დისლოკაციისთვის ძალიან მოსახერხებელი ადგილებია. მათ** (რუსეთს გულისხმობდა. — ა.ს.) **მარტივად შეუძლიათ კომუნიკაციის ხაზების გათიშვა, თუკი ოდნავ გადმოკვეთენ აფხაზეთს“.**

რომელი ხაზების გათიშვაზეა ლაპარაკი, როცა მთელი ქვეყნის ბედი სასწორზეა შეგდებული: რას ნიშნავს „აფხაზეთის გადმოკვეთა“, თანაც ოდნავ, მაშინ, როცა მთელ ამ მხარეს აკონტროლებენ, და კიდევ — „ზემო აფხაზეთს“ პლიუს გორამდე ჩამოღვენთილი ავანპოსტები, და, ღმერთმა არ ქნას, ყოველ წუთს შეუძლიათ არა მარტო „კომუნიკაციის ხაზების გათიშვა“, არამედ სრულმასშტაბიანი ოკუპაციაც „არა მხოლოდ ტერიტორიული“, არამედ „სამხედრო თვალსაზრისითაც“.

მაგრამ არ აკეთებენ, მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონმა ტყეშელაშვილმა იცის — **„მისი** (კვლავ რუსეთზე ლაპარაკობს. — ა.ს.) **მიზნები გაცილებით დიდი გახლდათ და იმაზე დიდიც კი, ვიდრე თავად საქართველოა (!) და ეს მიზნები ჯერ სრულად მიღწეული არ არის“.**

დიდზე უფრო დიდის აჯაფსანდალი!

პატარა რომ გვეგონა, დიდი ყოფილა საქართველო. მთლად იმხელა არა, როგორიც რუსეთის მიზნებია, მაგრამ არც ისეთი პატარა, 20 პროცენტის დაკარგვის შემდეგ რომ დარჩა.

ერთ დროს საქართველოს ხელისუფლებაში მედოლე გვყავდა, მაგრამ ასეთი სისულელეები იმასაც არ დაუბრახუნებია.

არც ასეთი:

„საფრანგეთის მიერ „მისტრალის“ რუსეთისთვის მიყიდვა „პოლიტიკური სიგნალია რუსეთისთვის (?!). **პრობლემა არ არის ის, რომ მათ საქართველოს ტერიტორია აქვთ ოკუპირებული და კვლავ აგრესიული რიტორიკა აქვთ. ეს იმის სიგნალია, რომ ჩვენი ტერიტორიის ოკუპაცია შემდგარი ფაქტია“.**

პრობლემა არ არისო, რომ საქართველოს ტერიტორია ოკუპირებულია და, „მისტრალი“ რომ არ გამოჩენილიყო, ვერ გავიგებდით, რომ „ოკუპაცია შემდგარი ფაქტია“.

ასე აზროვნებენ ვერშემდგარი პოლიტიკოსები, რომელთაც საქართველო ბანანის რესპუბლიკად აქციეს. იმ ბანანისა, რომელიც უკრაინელ ბებიას ზანგი შვილიშვილისთვის არ ჰქონდა.

**არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net




საავტორო სვეტი

# ძალიან ზოგადი უნარები

**ახალი სახელმძღვანელოების წერამ ამ ქვეყანაში მასობრივი ხასიათი მიიღო და ეპიდემიად იქცა. ამ გარემოებიდან გამომდინარე, არაფერი დაშავდება იმით, ერთი-ორი ტესტი ჩვენც რომ შევადგინოთ.**

1) 12 საათსა და 30 წუთზე ნუგზარ წიკლაური A პუნქტიდან B პუნქტში გაემართა. მისი სიჩქარე 4 კმ/სთ შეადგენდა. 15 წუთის შემდეგ იგი დაიღალა და გზა 2 კმ/სთ სიჩქარით განაგრძო. 12 საათსა და 55 წუთზე B პუნქტიდან A პუნქტში გამოემართა იაპონური წარმოების მძლავრი ბულდოზერი ,,კომაცუ". გამოთვალეთ მანძილი A და B პუნქტებს შორის და ბულდოზერ ,,კომაცუს" სიჩქარე, იმის გათვალისწინებით, რომ 13 საათსა და 20 წუთისთვის ვალი კაცობრიობის წინაშე მას პირნათლად მოხდილი ჰქონდა.

2) თუ X თანხიდან 10%-ს ჯარიმის, 15%-ს ქრთამის, 20%-ს ,,ატკატის", ხოლო 25%-ს გადასახადების სახით გასცემ, ხოლო 30%-ს, უბრალოდ, შეგაწერენ; რამდენი შეგეძლება ,,ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო ფონდს შესწირო იმის გათვალისწინებით, რომ X=Y+5200, ხოლო Y ჯარიმისა და ,,ატკატის" ჯამია?

3) ალბათ, დროა, წინადადებების შევსებაზე გადავიდეთ და გამოტოვებული სიტყვები ჩავამატოთ:

**უკრაინის ———— ტრამალებში 12 განრისხებული ————— მაღაროელი ვასილიჩს მისდევდა. გზად შემოაღამდათ. ვასილიჩი ———— დნეპრში გადახტა და —————. მაღაროელები დაედევნენ. ვასილიჩი ————— ამოძვრა და ტყეში —————. მაღაროელები ფეხდაფეხ ——————. ამასობაში გათენდა. „————— ამოგხდით", — გაუბედავად იყვირა ვასილიჩმა. „————— შენ, და —————, შე ————!!!", — ენთუზიაზმით შესძახეს ————— მაღაროელებმა.**

4) ეს კი ლოგიკაზე იყოს, პრინციპში ისტორიაზეც წავა. მოცემულია:

ქალაქის ხელისუფლების მიერ ფეხით მოსიარულეთათვის მოწყობილი გადასასვლელი ხიდები, მეორე მსოფლიო ომის დროს აგებულ, ვარშავის გეტოს სექტორების დამაკავშირებელ ხიდებს ერთი ერთზე ჰგავს. რა გამომდინარეობს აქედან (სწორი ვარიანტი შემოხაზეთ)?

**ა) ჩვენ გეტოში ვცხოვრობთ;**
**ბ) ჩვენს გაულაიტერს გემოვნება ღალატობს;**
**გ) დამთხვევები ხანდახან ხდება;**
**დ) მალე წითელი არმია მოვა.**

5) ქართველი ოპოზიციონერების მოსყიდვა ბითუმად 15 პროცენტით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ცალობით. ცალკალოშიანი ოპოზიციონერების მოსყიდვაზე 25%-ის დაზოგვა შეიძლება, ხოლო ორკალოშიანები დამატებით 10 პროცენტს ითხოვენ. ხელისუფლებამ 23 ოპოზიციონერი ბითუმად მოისყიდა, ცალობით კი- 7. სულ მოისყიდეს 18 ცალკალოშიანი, მათ შორის ორი ცალობით. რა მოცულობის თანხის დაზოგვა მოახერხა ხელისუფლებამ? გამოთვალეთ კალოშების საერთო რაოდენობა.

6) წაკითხული ტექსტის გააზრებაც მნიშვნელოვანი რამაა; ასე რომ, დავიწყოთ: ,,ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც მოყვასთა კალოშების გადათვლა და ბულდოზერ ,,კომაცუს" (საჭირო და მნიშვნელოვან) მუშაობაზე დაკვირვება შეიძლება არცთუ პრიორიტეტულ საქმედ ჩაითვალოს. შემდეგ იგი შეიძლება დაფიქრდეს იმაზე, რომ ყოველივე ამის უკან დგას ქვეყანა, რომელთან მიმართებაში ხშირად ისიც ვერ გაგვირკვევია, მასში ვცხოვრობთ, თუ იგი, უბრალოდ, გვესიზმრება. ეს ძალზე მოსახერხებელია, რადგან იმისთვის, რომ თვალებში ჩავხედოთ მას, ნებისყოფა არ გვყოფნის. ალბათ, ამ დროს გვირჩევნია, ჩრდილების თეატრში დავბრუნდეთ, სადაც ერთ წარმოსახვით რეალობას, მეორე, არანაკლებ წარმოსახვითი ცვლის და ქაღალდიდან ამოჭრილი ,,ვასილიჩების" პირუეტებით გავერთოთ. დეგრადირებული, სულგამოცლილი ცივილიზაციისთვის ეს, როგორც ჩანს, საუკეთესო გამოსავალია. კიდევ ვინმე ხომ არ გვეპოვნა, ვინც უკეთ მოგვატყუებს, გვაცინებს და მომაკვდავი ქვეყნის შუაგულში ერთი ათი წელიც ცრუ განცდებითა და ილუზორული შეგრძნებებით გვასულდგმულებს? ასეთ ადამიანს ხომ არ ვეძებთ გაფაციცებით, რათა კვლავ ვიცხოვროთ არა რეალურ საქართველოში, არამედ ყალბ წარმოდგენაში მის შესახებ, სიზმარში, მარტივად რომ ვთქვათ". აქ ტექსტი სრულდება და, ალბათ, აჯობებს, სახალისო ტესტების შედგენაც აქვე დავასრულოთ.

**დიმიტრი მონიავა**

# ვინ იხსნა ბაჩუკი ქარდავას შვილი სიკვდილისგან და რატომ არ აქვს ედპ-ის ლიდერს რუსეთის ლანძღვის უფლება!

**„არა არს დაფარული, რომელიც არა გამჟღავნდეს", — ბრძანებს უფალი და ამ ჭეშმარიტებაში დღეს „საქართველო და მსოფლიოს" მკითხველი კიდევ ერთხელ დარწმუნდება!**
**ყოფილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის — ედპ-ს წევრები, უფრო ზუსტად კი, გიორგი ჭანტურიას ერთგული თანამებრძოლები ედპ-ს სედეპ-ეს ეძახიან და ამ პარტიული დაჯგუფების აბრევიატურას შემდეგნაირად შიფრავენ: სააკაშვილის ერთგულ დამკვრელთა პარტია! სედეპ-ეს ლიდერ ბაჩუკი ქარდავას კი მოუწოდებენ: ენას კბილი დააჭიროს, როცა მე-5 კოლონასა და შულავერის კომიტეტებზე ლაპარაკობს, თორემ ისეთ დოკუმენტებს ავუფრიალებთ ცხვირწინ, შავი ზღვა თეთრად მოეჩვენებაო!**
**მაინც ისეთი რა „გრეხები" შეიძლება ჰქონდეს ქარდავას, ყოფილი თანაპარტიელები ასე რომ ემუქრებიან?**
**„საქართველო და მსოფლიოს" სტუმარია 1988 წლიდან 1994 წლამდე ედპ-ის წევრი, ჟურნალისტი, საინფორმაციო სააგენტო „თბილისის" ხელმძღვანელი თინათინ შანშიაშვილი, რომელმაც შოკისმომგვრელი ფაქტები გვიამბო და მეტი სიზუსტისათვის 2002 წლის მაისის საარჩევნო კომისიების ედეპესეულ დამკვირვებელთა სიაც წარმოადგინა, სადაც ნახევარზე მეტი ე. წ. დამკვირვებელი მაშინდელი უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თანამშრომელი გახლდათ.**

— ამბავი, რომელსაც ახლა გიამბობთ, არა მარტო ძველმა ედპ-ის წევრებმა, არამედ ბევრმა სხვამაც იცის, მაგრამ ხმას ვერავინ იღებს, მოგახსენებთ რატომაც... დღეს ბაჩუკი ქარდავას, სააკაშვილის ნაცმოძრაობის დიდი გარჯით, გურამ ჩახვაძე ჰყავს პარლამენტში დეპუტატად. ჩემი რაიონის დეპუტატია და ძალიან კარგად ვიცი, რა ოფლიც დაღვარეს მის გასადეპუტატებლად. სხვათაშორის, გია ჭანტურიას სიკვდილის შემდეგ ზოგიერთები არც დღევანდელ და არც შევარდნაძის ხელისუფლებაში დაჩაგრულად არ გრძნობდნენ თავს და ამის მაგალითად ცენტრალური საარჩევნო კომისიის ერთ-ერთი ძირითადი გამყალბებელი, მრავალი თავმჯდომარეგამოცვლილი ყოფილი „ედპეშნიკი" გიზო (გიორგი) მჭედლიძეც კმარა; ანდა, აწ გარდაცვლილი ვანო ხუხუნეიშვილი როგორ მოხვდა ყველა მოწვევის პარლამენტში, არ გიფიქრიათ?

არ მინდა, გია ჭანტურიას სიცოცხლეშივე კაგებედან შემოგდებულ ხალხზე ლაპარაკით თავი შეგაწყინოთ, მაგრამ დღეს რომ ზოგი საბაჟოზე მუშაობს და ზოგიც სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან ჭკუას გვასწავლის, თითს გვიქნევს და გვემუქრება, ხოლო პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი მამუკა გიორგაძე სახლში ზის და ამ ყველაფერს ირონიულად ადევნებს თვალს, სალაპარაკოდ ნამდვილად ღირს!

ვინ არის ბაჩუკი ქარდავა, ან ვინ იყო ოდესმე, ამდენის უფლებას რომ აძლევს თავს და დღეში 8-10-ჯერ ბრიფინგებს აწყობს, მე-5 კოლონის თუ მოღალატეების „სამხილებლად"? ბაჩუკი ედპ-ის ახალგაზრდული ორგანიზაციის ჯერ წევრი, მოგვიანებით კი ხელმძღვანელი გახდა გია ჭანტურიას მეშვეობით. გიას სიკვდილის შემდეგ, როგორც ცნობილია, პარტიაში დიდი გარჩევები და შეხლა-შემოხლა დაიწყო და დასრულდა იმით, რომ ბაჩუკი ქარდავას დარჩა ბურთი და მოედანი! ერთ დროს უძლიერესი პარტია გაპარტახდა როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად და დღეს, ბაჩუკი ასეთ განცხადებებს რომ აკეთებს, არც კი მიკვირს, რადგან, სანამ სახრავი ძვლის ძიებაში იყო, სხვაგვარად ფიქრობდა! იგი ვიდრე პარტია „სამართლიანობის" კარზე დააკაკუნებდა, ჯერ სალომე ზურაბიშვილის პარტიას მიადგა, შემდეგ სხვებიც, „მრეწველების" ჩათვლით, მოიარა და ღუზაც იმ პარტიაში ჩაუშვა, რომელსაც ყველა კრიტერიუმით მიესადაგებოდა, ანუ ნაცმოძრაობაში!

**— ქალბატონო თინათინ, ქარდავა არც პირველია და არც უკანასკნელი, ვინც ნაცმოძრაობის დახმარებით აღზევდა, საკუთარი თანაპარტიელიც გაადეპუტატა და ბრტყელ-ბრტყელი ფრაზებიც ისწავლა. თქვენ ის გვითხარით, რატომ არ აქვს მას უფლება, გააკრიტიკოს ჩრდილოეთში მოარული პოლიტიკოსები?**

— გეტყვით: როცა ის მოსკოვ-მოსკოვ დარბოდა და იგორ გიორგაძეს დახმარებას სთხოვდა, მაშინ რა, სხვაგვარად ფიქრობდა?

**— რას ბრძანებთ, ბაჩუკის იგორთან ჰქონდა შეხვედრები?**

— დიახ, 2006 წელს, როცა მისი შვილის სიცოცხლე სასწორზე იდო და აქ, თბილისში, 10 ლარის გადამხდელი ვერ მოძებნა ვერავინ!

**— რატომ იდო ქარდავას შვილის სიცოცხლე სასწორზე, რა სჭირდა?**

— თავში სიმსივნე ჰქონდა ბავშვს და აქ მისი ოპერაცია არავინ დააფინანსა! ჰოდა, ადგა ბაჩუკიც და შვილის გადასარჩენად მოსკოვში ჩავიდა, შეხვდა იგორს და მანაც მთელი ხარჯი საკუთარ თავზე აიღო! ბავშვს თავის ქალის ტრეპანაცია მაღალი კლასის ექიმებმა ჩაუტარეს და დღეს იგი სრულიად ჯანმრთელია. ღმერთმა დიდხანს უცოცხლოს თავის დედ-მამას!

იცით, ამ ისტორიას რატომ ვიხსენებ? ცხონებულმა ჯემალ გოგიტიძემაც მითხრა: რაზეა ლაპარაკი, როცა შვილი უკვდება ადამიანს და დაჩოქილი ეხვეწება ვინმეს, დამეხმარეთო; დაეხმარებოდა იგორი, აბა, რას იზამდაო. ეს ერთი წელია, ბაჩუკი ქარდავა იგორ გიორგაძეს რომ ლანძღავს, აბა, მითხარით, ეს კავკასიელი კაცის საქციელს ჰგავს?

პარტია „სამართლიანობაში" ყოველ ახალ წელს, შობასა და აღდგომას მოსალოცი ბარათებით რომ ულოცავდა ედპს გერბიანი ქაღალდით, აღარ ახსოვს? მე აუცილებლად მოგაწვდით ერთ ასეთ მისალოც ბარათს, რომელიც ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში მივიტანე და არ დაბეჭდეს, თუმცა გარდა მისალოცებისა, მაქვს ქარდავას ხელმოწერილი დოკუმენტები და ვფიქრობ, დღესავით ნათელი გახდება, რა საქმიანობას ეწეოდა იგი ჯერ კიდევ 2002 წელს!

**— ირინა სარიშვილმა ერთ-ერთი გაზეთის მეშვეობით, ქარდავას მოუწოდა: ენას კბილი დააჭირე, თორემ, თუ პირი გავაღე, ბევრ რამეზე მოგიწევს პასუხების გაცემაო! როგორ**

▶

## მოკლედ




### „Fannie Mae" 15 მილიარდს ითხოვს

იპოთეკის ამერიკულმა სააგენტო „Fannie Mae"-მ, რომელიც აშშ-ის ბაზრის 28%-ს აკონტროლებს, აშშ-ის ადმინისტრაციას კიდევ 15,3 მილიარდი დოლარი სთხოვა. ამ თხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, აღნიშნული კომპანიისათვის გაწეული სახელმწიფო დახმარება საერთო ჯამში 76,2 მილიარდს გაუტოლდება.

აშშ-ში უძრავ ქონებაზე ფასი სამი წლის მანძილზე 28%-ით დაეცა, შედეგად „Fannie Mae" უკვე მიყოლებით ათი კვარტლის განმავლობაში ზარალობს; საერთო დანაკარგებმა 135 მილიარდ დოლარს გადააჭარბა.



### სოროსმა ევროს კურსი დააგდო

ცნობილმა ინვესტორმა ჯორჯ სოროსმა იმდენი ილაპარაკა, საერთოევროპული ვალუტა კრიზისს ვერ გაუძლებსო, რომ მისმა კურსმა კლება მართლაც დაიწყო.

თავად სოროსმა სავალუტო ბაზრიდან ოქროს ბაზარზე გადასვლა გადაწყვიტა, თუმცა აღიარებს, რომ ეს უკანასკნელიც „საპნის ბუშტივითაა" გაბერილი იმის მოლოდინში, რომ ევროპის დამღუპველი საბერძნეთი ფინანსური კრიზისის დასაძლევად სახელმწიფო დანახარჯებს კიდევ უფრო შეამცირებს, ევროს კურსი უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე რეკორდულად დაეცა.



### ქრისტიანები შარიათს ებრძვიან

ნიგერიაში მუსლიმანებსა და ქრისტიანებს შორის შეტაკებას 200-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ მწყემსებსა და გლეხებს შორის ატეხილი შეიარაღებული ბრძოლის გასანეიტრალებლად შემთხვევის ადგილზე პოლიციის დასახმარებლად ჯარი გაგზავნა.

შეგახსენებთ, შარიათის კანონების შემოღების შემდეგ ქვეყნის ქრისტიანულ რეგიონებში ეს ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. მიმდინარე წლის იანვარში მსგავს შეტაკებებს 460, 2001 წელს კი ათასამდე ადამიანი შეეწირა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net




# ტელევარსკვლავბაჩუკა

**ფიქრობთ, თქვენ მიერ მოყოლილ მოსკოვურ ისტორიებზე მიანიშნებდა ედპ-ის ყოფილი ლიდერი?**

— ირინა სარიშვილმა იმ ინტერვიუში, მართალია, ცხარე განცხადებები გააკეთა, მაგრამ, რომ იცოდეთ, ირინა ვაჟკაცურად მოიქცა და ქარდავას ნამუსიც შეუნახა... საზიზღრობაა, როცა ქარდავასნაირი „ედეპეშნიკები" დილა-საღამო-შუადღისას გია ჭანტურიას საფლავზე მიდიან და ფარისევლობენ, აქაოდა, ქვეყნის პატრიოტები ვართო! გია, ალბათ, საფლავში ტრიალებს ამათი შემხედვარე... უი, აღარც კი მინდა ლაპარაკი... იგორს რომ ეხვეწებოდა ბაჩუკი, პარტია დამიფინანსეო, მაშინ კარგი იყო გიორგაძე? ანდა რომელმა სასამართლომ დაადასტურა, რომ იგორ გიორგაძე მოღალატე, ტერორისტი და რეციდივისტია, რომ გადმოუგდია ენა ქარდავას და არ იშურებს იარლიყებს? აი, დოკუმენტი, რომელიც 2002 წლის მაისით არის დათარიღებული, რომელსაც ქარდავა აწერს ხელს და ამ სიაში ჩამოთვლილ ადამიანებთანაც მას ერთობ საქმიანი დამოკიდებულება ჰქონდა! ერთი მითხარით, 2002 წელს აბსოლუტურად გაპარტახებულმა, ფინანსების გარეშე დარჩენილმა პარტიამ რა სახსრებით მოახერხა 90 ადამიანის კახეთის რაიონებში საარჩევნოდ დამკვირვებლებად გაგზავნა! იმ დროს შუქიც კი გამორთული ჰქონდათ პარტიის ოფისში, ვალებში იხრჩობოდნენ და 90 კაცის დაფინანსება შეძლეს? ნახეთ ვისი სახელი და გვარია აქ? გია ღვალაძის, იმ ღვალაძისა, რომელმაც ე. წ. მუხროვანის ბუნტის დროს მთელი ოფიცერთა შემადგენლობა ჩაუშვა მავანთა კარნახით, დააჭერინა და ზოგიც მოაკვლევინა ნაცებს! აი, როგორი ხალხი ჰყავდა ბაჩუკი ქარდავას საარჩევნო დამკვირვებლებად ედპ-ის სიაში, დააკვირდით, ყველა მათგანის გვარების გასწვრივ **დრ. უმუშევარი** წერია... ეს სია, თავის დროზე შევისწავლეთ და რა აღმოჩნდა, იცით? აქედან ნახევარზე მეტი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი იყო! შესაძლოა, დღესაც მუშაობენ, აყალბებენ არჩევნებს და გურამ ჩახვაძისნაირი და ბაჩუკი ქარდავასნაირი ხალხის ხელისუფლებაში მოსაყვანად ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ!

**— შოკში ვარ... არ დაგიმალავთ და მიამიტური გამომეტყველების ქარდავასგან ამას ნამდვილად არ მოველოდი...**

— ჩემი თუ არ გჯერათ, დაურეკეთ ქარდავას და ჰკითხეთ: იგორ გიორგაძეს შვილის გადასარჩენად არ ჩააკითხა? არ გადაუხადა იგორმა კაპიკ-კაპიკ ყველაფერი? პარტია „სამართლიანობაში" მისალოც ბარათებს არ აგზავნიდა? ეს სია, რომელიც გადმოგეცით, მისი ხელმოწერილი არ არის? ჰკითხეთ, ჰკითხეთ და, თუ გაბედავს რაიმეს უარყოფას, მერე ნახოს, რა დოკუმენტებსაც ავუფრიალებთ ყველას დასანახად; მერე იძახოს: მეხუთე კოლონა, მოღალატეები და ტერორისტებიო!

ესაუბრა
ირინე გოგოსაშვილი

**P.S. თინათინ შანშიაშვილის ინტერვიუს შემდეგ იმედს ვიტოვებთ, ედპ-ის ლიდერ ბაჩუკი ქარდავასთანაც გვექნება საუბარი. ვიმედოვნებთ, რომ ბატონი ბაჩუკი ზემოთ ჩამოთვლილ ბრალდებებს არ გაექცევა და მათ გასაბათილებლად საკუთარ არგუმენტებს წარმოგვიდგენს.**

# ყველა გზა მოსკოვში მიდის

**ეტყობა, საერთაშორისო სუბსარქისის დღეები დგას და ჩრდილოეთის ცივი ქარი — მისტრალი არ აპირებს ჩადგომას: საფრანგეთის შვეულმზიდ „მისტრალის" ჩრდილოეთისკენ გადაადგილების პერსპექტივით დატრიალებულმა ქარბორბალამ ესპანეთის სტრატეგიული დანიშნულების ხომალდი BPE შემოაგდო საბაზრო კონკურენციის მეცხრე ტალღაზე. დღის წესრიგში დადგა ალტერნატივა: სამხედრო ხომალდის შეძენაზე დასავლეთის რომელი ქვეყანა გაურიგდება პირველი რუსეთს?**



ესპანეთი და საფრანგეთი უპირისპირდება ერთმანეთს.

საფრანგეთის პოზიცია ცნობილია. ნიკოლა სარკოზიმ პარიზში მედვედევთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ცივი ომის დამთავრების შემდეგ და საერთაშორისო ურთიერთობების საგრძნობი დათბობის ვითარებაში, წინა პლანზე დგება სახელმწიფოთა შორის ურთიერთნდობის ფაქტორი.

რუსეთს უნდა ვენდოთო! — თქვა მან და ამით გაამართლა „მისტრალების" რუსეთისთვის მიყიდვისა და ერთობლივად აგების გადაწყვეტილება.

ესპანეთს თავისი პოზიცია ასეთ მაღალ დონეზე არ გამოუხატავს. ეტყობა, თავისი სამხედრო ხომალდის მახასიათებლები საკმარისად მიიჩნია BPE-ს რეკლამირებისა და მისი უპირატესობის დასამტკიცებლად.

პარამეტრები მართლაც შთამბეჭდავია: მისი მოცულობა „მისტრალზე" გაცილებით მეტია, ტვირთამწეობა 27.000 ტონაა, ფრანგული ხომალდის — 22.000 ტონა. BPE-ს შეუძლია გემბანზე 30 ვერტმფრენი განალაგოს, მიიღოს მედესანტეების ერთი ბატალიონი — 900 კაცი სრული საბრძოლო აღჭურვილობით.

**ერთი ასეთი გემი „ხუან კარლოს I" უკვე დაუპირისპირდა „მისტრალს" 2007 წელს ავსტრალიის სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ გამართულ ტენდერში და გაიმარჯვა. მაშინ ავსტრალიამ გადაწყვეტილება მიიღო, შეესყიდა „ხუან კარლოს I"-ის ანალოგიური ხომალდი, საერთო ღირებულებით 1,5 მილიარდი ევრო.**

ექსპერტები ბჭობენ შექმნილი სიტუაციის გამო და, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი ამ მოვლენაში გემთმშენებლობის ზოგიერთ დარგში რუსეთის ჩამორჩენას ხედავს, მაინც საერთო დასკვნამდე მიდის: რუსეთისადმი დასავლეთის ინტერესი გაცილებით მეტია, ვიდრე — კონფრონტაციის სურვილი.

**„ორი რომი დაეცა, მესამე დგას, მეოთხე არ იქნება", ფსკოვის მონასტრის ბერის ფილოფეის ეს ისტორიოსოფური თეზისი კარგადაა ცნობილი. დრომ ვერ გაცვითა ისევე, როგორც მსოფლიო „საგზაო რუკა", რომლის მიხედვით, „ყველა გზა რომში მიდის".**

მსოფლიო პოლიტიკის მიზიდულობის ცენტრის მიმანიშნებელია ეს მეტაფორა: პირველი რომი — კეისრების სამფლობელო, მეორე — ბიზანტია, პირველის მემკვიდრე, მესამე — მოსკოვი, სადაც მბრძანებლობენ ორივე გამქრალი იმპერიის მემკვიდრეები.

ეს კიდევ ერთხელ გაგვახსენა უკრაინის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა ვიქტორ იანუკოვიჩმა რუსეთის პრეზიდენტთან — დიმიტრი მედვედევთან მოსკოვში ოფიციალური ვიზიტის დროს.

**ეს შეხვედრა ორივე პრეზიდენტმა ფრიად ნაყოფიერად მიიჩნია, გულახდილ საუბარს გაუსვეს განსაკუთრებით ხაზი, რომელიც, როგორც იანუკოვიჩმა თქვა, „მიგვიყვანს იმის გაგებამდე, თუ რა უნდა გავაკეთოთ უახლოეს დროში".**

მოსკოვში ვიზიტი იანუკოვიჩისთვის არ იყო პირველი გასვლა უკრაინიდან პრეზიდენტის რანგში. პირველი ვიზიტი ბრიუსელში გაიმართა. ასეთ თანმიმდევრობას შეკითხვები რომ არ გაეჩინა, იანუკოვიჩმა პრესკონფერენციაზე განმარტა: „ბრიუსელში 1 მარტს მიმიწვიეს, რუსეთში კი ვიზიტად — 5 მარტისთვისო. სხვაგვარად არ გამოვიდა... პრეზიდენტად მუშაობის პირველი დღეები რთულია იმ თვალსაზრისით, თუ სად უნდა გაემგზავრო თავდაპირველად, და ვიძენ გამოცდილებას. მაგრამ როგორც უწინ ამბობდნენ, **ყველა გზას მოსკოვში მივყავართ**"... ჩავიდა კიდეც და ეს ვიზიტი შეაფასა როგორც ახალი დადებითი ეტაპი რუსეთ-უკრაინის ურთიერთობაში.

**საფრანგეთი და ესპანეთი რუსეთისკენ იწევს.**

**ჩრდილოეთის ვექტორის გააქტიურება სხვას რას უნდა ნიშნავდეს, თუ არა „მესამე რომისკენ" მისწრაფების ძველი დებულების პროეცირებას ჩვენს სინამდვილეზე?**

არმაზ სანებლიძე

## მოკლედ



### ჩინეთი და პაკისტანი დამეგობრდნენ

ჩინეთში წლეულს ორი ქვეყნის ერთობლივი ანტიტერორისტული სწავლებები კოდური სახელწოდებით „მეგობრობა-2010" ჩატარდება. ორივე მხარის სამხედრო სპეციალისტების კონსულტაციები პეკინში უკვე დაიწყო.

ჩინეთი პაკისტანს იარაღით ამარაგებს, სამომავლოდ მხარეები აპირებენ, ერთობლივად შექმნან შორ მანძილზე რადიოლოკაციური აღმოჩენისა და გაფრთხილების სისტემები, საბრძოლო მიზნების ელექტრონული აღჭურვილობები და პაკისტანურ-ჩინური გამანადგურებელი JF-17.




### ობამა ბირთვულ დოქტრინას მიადგა

მას შემდეგ, რაც ჯანდაცვის რეფორმაში არ გაუმართლა, აშშ-ის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, თავდაცვის სფეროში მოსინჯოს ბედი. მან განაცხადა, რომ ქვეყნის ნაციონალური უსაფრთხოების სტრატეგიაში ბირთვული იარაღის როლს შეამცირებს. ახალ ბირთვულ დოქტრინაზე საუბრისას ობამამ პირობა დადო, რომ აშშ ბირთვული გამოცდების საყოველთაო აკრძალვის შეთანხმების რატიფიცირებას მოახდენს და გახლეჩვადი ელემენტების წარმოების შეწყვეტის საკითხზე მოლაპარაკებებს გამართავს.



### პალესტინა დათანხმდა

პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ისრაელთან 2008 წელს შეწყვეტილი მშვიდობიანი მოლაპარაკებები განაახლოს, ოღონდ მხოლოდ შუამავალი აშშ-ის მეშვეობით. ავტონომიის ლიდერი მაჰმუდ აბასი აცხადებდა, რომ პირდაპირ მოლაპარაკებებს მანამდე არ დათანხმდება, სანამ ისრაელი აღმოსავლეთ იერუსალიმში დასახლების მშენებლობას არ შეწყვეტდა. ისრაელს უკვე ეწვივნენ აშშ-ის სპეცწარმომადგენელი ახლო აღმოსავლეთში ჯორჯ მიტჩელი და ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ომი ყველაფერს ჩამოწერს!

**ომი რომ ზოგიერთათვის მომგებიანი და სარფიანი საქმიანობაა, ცნობილი ფაქტია. მაგრამ, თუ იმისთვის გვინდოდა „დამოუკიდებლობა“, რომ ზოგი ჩვენი არალეგიტიმური ხელისუფალი ეროვნული ინტერესების საზიანოდ უზომოდ გამდიდრებულიყო – ეს უკვე კატასტროფაა არშემდგარი ქვეყნისთვის.**



დავიწყოთ 2004 წლის ზამთარში სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის პირველი დღეებიდან. სააკაშვილს უკვე 2003 წლის ზაფხულიდან ომი ჰქონდა გამოცხადებული აჭარის მმართველ ასლან აბაშიძისთვის. როდესაც აბაშიძის მრჩეველმა პროვოკაციული მსვლელობა მოაწყო თბილისის საკრებულოზე, რომელსაც სააკაშვილი მეთაურობდა. ხელისუფლებაში მოსვლის ორი კვირის შემდეგ მიშა რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან გაემგზავრა და იმის გარანტიები მიიღო, რომ რუსეთის სამხედრო ბაზა არ ჩაებმებოდა აჭარის სამხედრო მოქმედებებში. თავის მხრივ რა გარანტიები მისცა სააკაშვილმა პუტინს, არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, რომ მოატყუა და პუტინმაც მას მატყუარა უწოდა.

**სააკაშვილი არ მოერიდა სამოქალაქო ომის დაწყებას და ბათუმის შტურმისათვის მოემზადა. მაგრამ ქვეყნის ორი დანარჩენი მმართველი, ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ჟვანია, მოქმედების ასეთი განვითარებისათვის მზად არ აღმოჩდნენ და სიტუაციის განმუხტვას შეეცადნენ. არადა, სააკაშვილი სისხლის ღვრისათვის მზად იყო.**

საბედნიეროდ, პუტინმა შეასრულა სიტყვა და აჭარაში რუსეთის სამხედრო ნაწილები ნეიტრალურები დარჩნენ; ამასთან, მოსკოვიდან ჩამოფრინდა ერთ-ერთი ყველაზე მაღალჩინოსანი, იგორ ივანოვი და აჭარის „ლომი“ დაარწმუნა, მას გაჰყოლოდა. ასლან აბაშიძემაც კეთილგონიერება გამოიჩინა და საომრად განწყობილი თავისი ხალხი სახლებში გაუშვა, ხოლო აჭარა სისხლის ღვრას გადაარჩინა. სულ მალე კი ყარსის ხელშეკრულებით გარანტირებული აჭარის ავტონომია დე ფაქტო უქმდება, ხოლო აჭარას სააკაშვილი თავის საკუთრებად მოიაზრებს, თითქოს ის შუა საუკუნეების მაგალითზე მის მიერ დაპყრობილი თუ „განთავისუფლებული“ ტერიტორია იყო.

**თუ „განთავისუფლებამდე“ აჭარაში უცხოელებს პრაქტიკულად ვერ ნახავდით და ეს სუფთა ქართული ტერიტორია იყო, დღეს ბათუმი დე ფაქტო თურქებისაა, როგორც ეს საუკუნეების მანძილზე იყო, ხოლო ქობულეთი – სომხების. შენდება პირდაპირი გზა სომხეთიდან, რათა მათი დიდი ხნის ოცნება ასრულდეს და შავ ზღვაზე პირდაპირი გასასვლელი მიეცეთ. აქვე მკითხველს შევახსენებ, რომ 1920 წელს სომხების სწორედ ამ მოთხოვნის გამო გაეროს წინამორბედმა „ერთა ლიგამ“ არც ერთი ჩვენგანის დამოუკიდებლობა არ სცნო, რასაც შედეგად მოჰყვა ბოლშევიკების მიერ ორივე ქვეყნის — საქართველოსა და სომხეთის — ანექსია!**

აჭარის ხელში ჩაგდებიდან სულ ორიოდე თვე იყო გასული, სააკაშვილმა ახალი კონფრონტაცია რომ წამოიწყო, ამჯერად შიდა ქართლში. აქ, ერგნეთის ბაზრობის წყალობით, სადაც ქართველები და ოსები ერთად ვაჭრობდნენ, სიტუაცია სეპარატისტებთან, პრაქტიკულად, მოგვარებული იყო, ხოლო ცხინვალში ქართული ვალუტა – ლარი ტრიალებდა. გადასაწყვეტი იყო მხოლოდ რეგიონის სახელწოდება და მისი ავტონომიის დონე. მაგრამ სააკაშვილს ეს არ აწყობდა – მას უნდოდა „ძლევამოსილი“ ომი, რომლის შანსი მას აჭარაში არ მისცეს. და სააკაშვილმაც, პირველ ყოვლისა, ერგნეთის ბაზრობა დახურა, რითაც მასზე ორიენტირებული ცხინვალის მოსახლეობა, პრაქტიკულად, მშიერი დატოვა, შემდეგ კი იქ ჯარები შეიყვანა. თუ რა სამარცხვინოდ დამთავრდა სააკაშვილის ეს მორიგი ავანტიურა, ყველას ახსოვს. საინტერესოა ერთი დეტალი — ამ კონფლიქტის დროს სააკაშვილი ირანში წავიდა, რითაც პუტინს მესიჯი გაუგზავნა – მე არაფერ შუაში ვარო, მაგრამ ეს თეთრი ძაფით იყო ნაკერი.

**ამის შემდეგ სააკაშვილი ომისათვის მზადების ახალ ტაქტიკას იწყებს – ქვეყანას თავზე მოახვია უმაგალითო მილიტარიზაცია. ამერიკიდან შემოდის დიდი რაოდენობით ფული, რომელიც თუ როგორ დაიხარჯა, თითქმის არავინ იცის. სამაგიეროდ, სააკაშვილის ძმაკაცი და ნათელ-მირონი, უკრაინის პრეზიდენტი იუშჩენკო აგზავნის ჟანგიან ტანკებსა და უვარგის ტყვია-წამალს; რა ფასად – ეს ინფორმაცია უკვე ისტორიის კუთვნილებაა.**

შემდეგი „საბრძოლო ქმედება“ უკვე სვანებით დასახლებულ კოდორის ხეობაში მოხდა. ამ ტერიტორიაზე აფხაზები შესვლას ვერ ბედავდნენ, ვინაიდან მას სვან „მონადირეთა“ 300-კაციანი რაზმი იცავდა. მაგრამ სააკაშვილმა იქ რეგულარული ჯარები გაგზავნა, სვანი მონადირეები განაიარაღა და ტერიტორიას „ზემო აფხაზეთი“ უწოდა, რითაც აფხაზ სეპარატისტებს მადა გაუღვიძა. და მართლაც, აგვისტოს ომის დროს აფხაზებმა უბრძოლველად აიღეს იგი და „დამოუკიდებელ აფხაზეთს“ მიუერთეს!

ამის შემდეგ უკვე რუსეთის წინააღმდეგ იწყება უმაგალითო ისტერია, რომლის კულმინაციაც იყო რუსეთის საელჩოს ოფიციალური თანამშრომლების დაპატიმრება. ისინი, როგორც ჩანს, დაზვერვის კვოტით იყვნენ იქ. მაგრამ ასეთი კვოტა მსოფლიოს ყველა ქვეყნის საელჩოში არსებობს, მათ შორის, დარწმუნებული ვარ, ჩვენთანაც. პრაქტიკა ასეთია – თუ ისინი არალეგალურ საქმიანობაზე დაიჭირე, ვადა ერთ კვირამდე უნდა მისცე, რომ ქვეყანა დატოვონ. მხოლოდ ირანში იყო, ისლამური რევოლუციის შემდეგ, ამერიკის საელჩო მთლიანად რომ აიყვანეს მძევლად და დიდხანს ჰყავდათ დატყვევებული.

როდესაც სააკაშვილმა რუსეთის საელჩოს თანამშრომლები დააპატიმრა, იმავე დღეს საელჩო მოულოდნელად დაცარიელდა, თანამშრომლები ოჯახის წევრებთან ერთად თბილისიდან გაიქცნენ ისე, რომ პირადი ქონებაც კი დატოვეს. ამიტომ გავრცელდა ხმა, რომ პუტინმა ულტიმატუმი წაუყენა სააკაშვილს და თბილისის დაბომბვას შეჰპირდა, თუ დაკავებულებს არ გაათავისუფლებდაო.

**ასეთ სიტუაციაში ომის თავიდან ასაცილებლად თბილისში სასწრაფოდ ჩამოფრინდა ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე. მან პატიმრები მაშინვე გაათავისუფლებინა და ერთ საათში თავისი თვითმფრინავით წაიყვანა. თუმცა სააკაშვილმა ეს შანსიც არ გაუშვა ხელიდან და კიდევ ერთი შოუ დადგა, მაგრამ ბრალი არავისათვის არ წაუყენებიათ. ასე გადავრჩით კიდევ ერთ ომს!**

თურმე ყველაფერი წინ იყო: ბუშის ადმინისტრაციამ სეპარატისტული კოსოვოს „დამოუკიდებლობა“ აღიარა. არადა, ეს ტერიტორია რუსეთის უახლესი მოკავშირის — სერბეთის განუყოფელი ნაწილია. შეურაცხყოფილმა პუტინმა მაშინვე განაცხადა, რომ უახლოეს ხანში რამე ანალოგიურს გააკეთებდა და ხელი აფხაზეთისა და ოსეთისაკენ გაიწოდა. სააკაშვილი უნდა მიმხვდარიყო, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა ამას და რა საშიშროების წინაშე ვიყავით. **მაგრამ რად გინდა — მას ვიღაც ამერიკელმა მაღალჩინოსანმა „გარანტია“ მისცა, რომ ომის დაწყების შემთხვევაში დაეხმარებოდა (თუ ვინ იყო ეს, ბათუმში ა.წ. იანვარში საკმაოდ ნათლად გამოჩნდა, როდესაც ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში წაგებულ კანდიდატს სააკაშვილმა გაურკვეველი დამსახურებებისათვის უმაღლესი ქართული ჯილდო გადასცა).**

**სააკაშვილმა შეასრულა დავალება და 2008 წლის 8 აგვისტოს შუაღამისას ცხინვალს რაკეტები დაუშინა, რაც დაფიქსირებულია ტალიავინის კომისიის დასკვნაშიც!**

მაგრამ ჩვენს დიად მთავარსარდალს უკვე 10-ში დილით ნერვებმა უმტყუნა და მან ცეცხლის შეწყვეტას მოაწერა ხელი, ხოლო ორი დღის შემდეგ თბილისში გაღიზიანებულმა საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ მას საკმაოდ უხეშად უთხრა: ხომ ხედავ, აქ არც ამერიკელები მოდიან და არც ნატოს ჯარები, და ხელი მოაწერინა 6-პუნქტიან შეთანხმებაზე (ეს ყველაფერი მოყვანილია რონალდ ასმუსის ახლადგამოქვეყნებულ გახმაურებულ წიგნში.) მან (სარკოზიმ) გაახმოვანა ასევე ძალიან სენსაციური ფაქტი: **როდესაც ის მოსკოვში მიდიოდა მედვედევთან ხელშეკრულების გასაფორმებლად, ამერიკის პრეზიდენტმა დაურეკა და უთხრა – ხელს რატომ უშლი, დაე, რუსები თბილისში შევიდნენო! მხოლოდ შემდეგ გაირკვა ამ თხოვნის მიზეზი – ბუშის პარტიის წევრი კენჭს იყრიდა პრეზიდენტის პოსტზე რუსეთთან კონფრონტაციის პლატფორმით (განსხვავებით ობამასაგან) და რუსები, რომლებიც იგოეთთან იდგნენ, თბილისში რომ შემოსულიყვნენ, მაშინ ბუშის და დიკ ჩეინის რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი გაიმარჯვებდა!**

იმ დროს ევროკავშირის პრეზიდენტ სარკოზის საქართველოს ბედი, ცხადია, სულ არ აინტერესებდა – მას არ აწყობდა ის, რომ ამერიკის ახალი აგრესიული პრეზიდენტი გამოიწვევდა ევროპისა და რუსეთის დაპირისპირებას და, შესაძლოა, ომს. მაგრამ, აი, სწორედ სააკაშვილმა ვერ შეასრულა დიკ ჩეინის საშინაო დავალება და ორ დღე-ნახევარში მოაწერა ხელი კაპიტულაციას. თუმცა გორში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კუშნერთა გადაღებული კადრების შემდეგ, ეს არავის არ გაჰკვირვებია. ხოლო შეპირებული ამერიკული სამხედრო ხომალდები ბათუმს მხოლოდ ომის დამთავრებიდან 10 დღის შემდეგ მიადგნენ (ფოთში შესვლა ვერ გაბედეს – იქ რუსები იდგნენ, ხოლო ბათუმის აკვატორიას თურქეთის ესკადრა იცავდა). ეს ამერიკული სამხედრო ხომალდები რატომღაც სასმელი წყლითა და პამპერსებით იყო დატვირთული, რითაც, ალბათ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების „განთავისუფლებას“ შეეცდებოდნენ!

მაგრამ დადგა 26 აგვისტო და, სააკაშვილის ▶

## მოკლედ



### ნატო ნანობს

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის საკითხთა მინისტრმა ვერნერ ჰოიერმა განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის გამო რუსეთთან წაჩხუბება „დიდი შეცდომა“ იყო. ცოტა ხნის წინათ ანალოგიური შინაარსის განცხადება გააკეთა პენტაგონის წარმომადგენელმა ალექსანდრ ვერშბოუმ. შეგახსენებთ, აგვისტოს ომის გამო შეჩერდა რუსეთი-ნატოს საბჭოს მუშაობა. 2009 წლის მეორე ნახევრიდან ნატომ რუსეთთან დიალოგის განახლება მოინდომა და ამას ნახევარი წელი მოანდომა.



### დოლარის ისლამური ალტერნატივა

ინდონეზიის მოსახლეობა დოლარის კურსის მერყეობით ისე დაიღალა, რომ ანგარიშსწორებისათვის ოქროს დინარებსა (153 დოლარი) და ვერცხლის დირჰამებს (3 დოლარი) იყენებენ. ისლამური დინარის ოქროს სტანდარტთან დაბრუნების იდეა მეზობელი მალაიზიის ექსპრემიერ მაჰატჰირ მოჰამადს ჯერ კიდევ 2001-ში ჰქონდა. ახლა კრიზისის შედეგებთან სრულად ნაზიარებ ინდონეზიაში „ისლამური ვალუტის“ პოპულარობას ბოლო რვა წლის მანძილზე მისი კურსის გაოთხმაგებით ხსნიან.



### ბაფეტს დოლარი აღარ უნდა

„Berkshire Hathaway“-ის ხელმძღვანელი, ცნობილი ინვესტორი და უმდიდრესი ამერიკელი უორენ ბაფეტი აცხადებს, რომ სიხარულით გადაცვლიდა მთელ თავის დოლარებს შვეიცარიულ ფრანკებში. მან ამერიკულ და ევროპულ ვალუტებს დროთა განმავლობაში მსყიდველუნარიანობის დაკარგვა უწინასწარმეტყველა. მისი თქმით, კრიზისის დასაძლევად ხელისუფლება მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილ ფენებს უნდა დახმარებოდა, რათა მათი სამომხმარებლო მოთხოვნილებები გაეზარდა.



### ტრანსგენური კარტოფილი

ევროკომისიამ ევროპაში გერმანული ქიმიური კომპანია „BASF“-ის მიერ გამოყვანილი გენეტიკურად მოდიფიცირებული კარტოფილის მოყვანის პროექტი დაამტკიცა. ევროპელები ამ კარტოფილით ცხოველების გამოკვებას აპირებენ. გარდა კარტოფილისა, ევროპაში დაშვებული იქნება სამი სახეობის ტრანსგენური სიმინდის გაყიდვა, თუმცა მას ევროპის ტერიტორიაზე არ მოიყვანენ. ევროპაში გენმოდიფიცირებული პროდუქტის მოყვანის ნებართვა უკანასკნელად 12 წლის წინათ სიმინდთან დაკავშირებით მიიღეს.



### ამნისტია უფულობის გამო

ლოს-ანჯელესის საოლქო ციხიდან 200 პატიმარი ვადამდე იმის გამო გაათავისუფლეს, რომ მათ შესანახად სახსრები არ ჰყოფნიდათ. აქამდე მამაკაც დამნაშავეებს სასჯელის 80% მაინც უნდა მოეხადათ, ახლა კი მათ, ვისაც მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული არ აქვს ჩადენილი, მხოლოდ მისჯილის ნახევარს მოახდევინებენ. 80-იან წლებში ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით ლოს-ანჯელესის ციხეების მდგომარეობის გამო იქ სასჯელის მოხდა პატიმრების მიმართ განსაკუთრებულ სისასტიკედ ჩაითვალა.

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ბებია-შვილიშვილის ყატარული ვოიაჟი

**საქართველოს პრეზიდენტი ხშირად რომ „დაქრის“ თავისი ბოინგით საქართველოს ფარგლებს გარეთ, არავისთვის სიახლე არ არის, მაგრამ ყველაზე საინტერესოა ის, რომ გამზრდელ ბებიას ამაგი დაუფასა და ამ ბოლო დროს ოფიციალურ ვიზიტებში თან დაჰყავს ხოლმე. ამჯერად ბებია-შვილიშვილის ყატარული ვოიაჟის ამბავი გასკდა. როგორ აფასებენ მას პოლიტიკოსები? როგორც გაირკვა, ოპოზიციონერებისა და საქართველოს სხვა დანარჩენი მოქალაქეებისგან განსხვავებით, მმართველი გუნდის წევრებისთვის სააკაშვილის ბებიის ყატარში ვიზიტის ამბავი უცნობი იყო.**

◀ მორიგი აგრესიული ბაქი-ბუქის შემდეგ, რუსეთმა აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ „დამოუკიდებლობა“ აღიარა. სამაგიეროდ, სააკაშვილმა გაზარდა იარაღის შემოტანა, ხოლო ბარამიძემ საჯაროდ განაცხადა, რომ ახლა საქართველოს უფრო მეტი იარაღი აქვს, ვიდრე ეს აგვისტოს „პატარა ჭუჭყიან ომამდე“ იყო (გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ზუსტი დახასიათება).

**შევაჯამოთ – უბრძოლველად დავკარგეთ კოდორის ხეობა („ზემო აფხაზეთი“) და ახალგორის რაიონი. თვით ცხინვალში ჩვენი ჯარისკაცები გმირულად იბრძოდნენ, მაგრამ მოულოდნელად ოფიცრებისაგან მიიღეს ბრძანება სახლებში წასულიყვნენ; მერე კი როგორც „დეზერტირები“ ისე გაასამართლეს. თუმცა წაგებული ომის შემდეგ სააკაშვილს თავისივე ოფიცრების შეეშინდა და გათამაშებული სპექტაკლის შემდეგ ბევრი პროფესიონალი სამხედრო დააპატიმრა.**

სააკაშვილის კიდევ ერთი, ბოლო მეგობარი, პოლონეთის პრეზიდენტი კაჩინსკიც გვახსოვს, რომელიც ომამდე ხშირად იყო ხოლმე თბილისში, ხოლო 12 აგვისტოს სააკაშვილის გვერდით იდგა ტრიბუნაზე „გამარჯვების“ სამარცხვინო პარადზე. შემოდგომაზე იგი კვლავ ჩამოვიდა საქართველოში და სააკაშვილმა რატომღაც ოკუპირებული ახალგორისაკენ წაიყვანა. და აქ მოულოდნელად სასტიკი სროლა ატყდა, მაგრამ სააკაშვილის დაცვა რატომღაც ინერტული იყო, ხოლო მიშა, რომელიც გორში შორეულ თვითმფრინავს მიწაზე გართხმული თავისი დაცვის წევრთა სხეულების ქვეშ ემალებოდა, ამჯერად რატომღაც იღიმებოდა! აქ კი სწორედ პოლონელმა ჟურნალისტებმა გაახმოვანეს, რომ ეს ყველაფერი დადგმული სპექტაკლი იყო და მას შემდეგ ჩვენ კაჩინსკი აქ თვალითაც აღარ გვინახავს!

რა აწყობს სააკაშვილს? ცხადია, ის აფხაზეთისა და ოსეთის დამბრუნებელი ვერ და არ არის; თუნდაც იმიტომ, რომ ნატოს გენერალურმა მდივანმა სამიოდე წლის წინათ დააფიქსირა როგორც თბილისში, ისე ბრიუსელში: „ნატოში მხოლოდ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე მიგიღებთო!“ შეიძლება სააკაშვილს ამისი ნამდვილად სჯეროდა 2008 წლის აგვისტომდე და ამიტომაც წამოიწყო ეს პროვოკაცია, მაგრამ თვით სააკაშვილისვე სიტყვებით, რომელიც მან ივლისში წამყვან ამერიკულ ჟურნალს უთხრა, ამ ომის შემდეგ როგორც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ისე ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა პრაქტიკულად ნულის ტოლი გახდა.

ახლა ჩვენმა ძლევამოსილმა სარდალმა თვალი ავღანეთის ომს დაადგა, სადაც ამერიკელებს ძალიან სჭირდებათ ე. წ. „საზარბაზნე ხორცი“. მან მაშინვე იგრძნო, რომ აქ კარგი ფულის გაკეთების შანსია. მაგრამ ამერიკელები როგორც ავღანეთიდან, ისე ერაყიდან მალე გასვლაზე ალაპარაკდნენ. ასე რომ, ეს წყაროც მალე დაიხურება, თუ ისლამისტი ფუნდამენტალისტები საქართველოზე შურიძიებას არ გადასწყვეტენ.

**აი აქ კი სააკაშვილს ნამდვილად აწყობს ახალი პატარა ომი, რის შემდეგაც რუსები მართლაც შემოვლენ თბილისში, ის კი გაიქცევა. ასე გახდება „დევნილი პრეზიდენტი“. თავისი ფული და ქონება საქართველოდან მან ჯერ კიდევ შარშან გაიტანა (ბათუმში ბევრს ახსოვს ეს ორი გემი), მაგრამ აქ ერთი სერიოზული პრობლემაა – მას, არაბული ქვეყნების გარდა, უკვე არსად აღარ იღებენ როგორც პრეზიდენტს. ბოლო რამდენიმე კვირაში მას ჰქონდა გაურკვეველი ვიზიტები კანადაში, გზად ლონდონში გაჩერებულა, ხოლო ორიოდე დღის წინათ რამდენიმე საათით სტამბოლში ჩასულა. არც ერთ ამ ქვეყანაში მას არც ერთი ოფიციალური პირი არ შეხვედრია, ისევე, როგორც ეს იყო შარშან მთელი წლის განმავლობაში.**

აქ გავიხსენოთ ირანის ბოლო შაჰის ხვედრი 1979 წელს: მუჰამედ რეზა ფეჰლევი იყო ამერიკის ფავორიტი, მას ლამის ხელის გულზე ატარებდნენ. მაგრამ შემდეგ ადამიანის უფლებათა უხეში დარღვევების, დემოკრატიის არ არსებობის და პოლიტიკური პოლიციის ტერორის გამო ამერიკელები მას განუდგნენ! უფრო მეტიც, ისლამური რევოლუციის დროს მისი ირანიდან გაძევების შემდეგ ის ამერიკაშიც აღარ შეუშვეს, ისევე, როგორც მთელ ევროპაში. ხოლო ბოლოს ცენტრალური ამერიკის რომელიღაც პატარა რესპუბლიკაში ეს უმდიდრესი კაცი პირწმინდად გაატყავეს და სიღარიბეში გარდაიცვალა.

**ეს ჭკუის სასწავლებელი ისტორიაა და კარგი იქნება, ზოგიერთები სხვის შეცდომებზე სწავლობდნენ...**

**რამაზ კლიმიაშვილი**



**გიორგი გუგავა, ლეიბორისტული პარტია:**

— არა მარტო ყატარში. სააკაშვილმა, პრაქტიკულად, შემოატარა თავისი ბებია მსოფლიოს ირგვლივ. ალბათ, ეს ბებია ამაყობს, რა შვილიშვილი გამიზრდიაო. მაგრამ რა დააშავეს ამ ქვეყნის სხვა ბებიებმა და სხვა შვილიშვილებმა, რომელთა ხარჯზეც ეს ძვირფასი ბებია მოგზაურობს მსოფლიოს ირგვლივ? რა დააშავეს „88-ლარიანმა“ ბებიებმა, რომლებიც ამ თანხით წამალსაც ვერ ყიდულობენ, რომ ჯანმრთელობა და სიცოცხლე შეინარჩუნონ? თუ ამას სამართლებრივ შეფასებას მივცემთ, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია, როდესაც პირად და სამსახურებრივ მდგომარეობას იყენებ იმისთვის, რომ შენი ახლობლების გასანებივრებლად საბიუჯეტო თანხები დახარჯო. ეს დაახლოებით 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.



**კობა დავითაშვილი, ხალხის პარტია:**

— მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილის დედას უგულავამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 116 ათასი ლარი ჩაურიცხა, მისი ბებიის ამბავი აღარ მიკვირს. ეს არის სააკაშვილის კორუმპირებული რეჟიმის ჩვეულებრივი საქციელი და სახელმწიფო ბიუჯეტის გაფლანგვა საკუთარი მიზნებისთვის. ეს სისხლის სამართლის დანაშაულია და სააკაშვილი ძალიან მალე წარდგება მართლმსაჯულების წინაშე.



**ნიკო ლეკიშვილი:**

— არ ვიცი ამის შესახებ არაფერი. საზღვარგარეთ ვარ და 4 დღეში ჩამოვალ.



**ხათუნა ოჩიაური, პარლამენტის წევრი:**

— ვინ წაიყვანა? არ მინახავს, არ ვიცი, ამაზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. ნამდვილად არ ვიცი, ჰყავდა თუ არა ბებია ყატარში წაყვანილი.



**სოზარ სუბარი, „ალიანსი საქართველოსთვის“:**

— ყატარში, არ ვიცი, ჰყავდა თუ არა, მაგრამ, ვიცი, რაც მინახავს — მთელ ოჯახთან ერთად დადის ხოლმე. ძალიან მაინტერესებს, რა სახელმწიფო თანხები იხარჯება და რაში იფლანგება ეს ფული კონკრეტულად. ეს ყველაზე მარტივი და კორუფციის ძალიან მკაფიო ფორმაა. როდესაც თვითმფრინავით დაფრინავს, ცხადია, რომ სახელმწიფოს ფინანსებით დაფრინავს და არა — ბიძამისის ჯიბის იმედზე! დანაშაულია, თუ სახელმწიფო ხარჯებით ხდება ეს ყველაფერი.



**დავით დარჩიაშვილი, პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე:**

— ბოდიში, სად ჰყავდა?

**— ყატარში.**

— უკაცრავად რა, რამე უფრო სერიოზული საქმით ვერ დაკავდებით?

მკითხეთ კონფლიქტებსა და ევროინტეგრაციის საკითხებზე, თუ გაინტერესებთ რამე.



**დავით საგანელიძე, „მემარჯვენეები“:**

— შვილიშვილებისა და ბებიების ურთიერთობაში ვერ ჩავერევი. ეტყობა, ჯერ კიდევ არ ჰყოფნის გონიერება პრეზიდენტს, ბებიის გარეშე გადაწყვეტილებები მიიღოს.

ქალბატონი მზია საკმაოდ გონიერი ქალბატონია და ამიტომ დაჰყავს, ეტყობა, ოფიციალურ ვიზიტებში.

**მაგდა კლდიაშვილი**

## მოკლედ



### რეფერენდუმი ცხოველებისთვის

შვეიცარიაში გაიმართა საყოველთაო რეფერენდუმი. მის მონაწილეებს უნდა გადაეწყვიტათ, დაწესდებოდა თუ არა ქვეყანაში ცხოველების ადვოკატის თანამდებობა.

ქვეყნის ცხოველთა დამცველები კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას იმედოვნებდნენ, თუმცა რეფერენდუმზე ამ იდეამ მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. 2008 წელს ქვეყანამ უკვე მიიღო ცხოველთა დაცვის შესახებ მსოფლიო მასშტაბით უმკაცრესი კანონი. შვეიცარიამ 1848 წლიდან უკვე 500-ზე მეტი რეფერენდუმი ჩაატარა.




### ისლანდია ვალებს არ აბრუნებს

2006-2008 წლებში ისლანდიის უმსხვილესმა ბანკმა „Landbanki“ ბრიტანელებსა და ჰოლანდიელებს დაგროვებითი ანაბრების გახსნა ევროპაში ყველაზე ხელსაყრელი პირობებით შესთავაზა და უამრავი კლიენტი მიიზიდა. მაგრამ 2008 წლის ოქტომბერში ბანკი გაკოტრდა, მისმა კლიენტებმა 5 მილიარდამდე ევრო დაკარგეს. ისლანდიამ კი ორიოდე დღის წინათ რეფერენდუმის წესით გადაწყვიტა, რომ დაზარალებულ ბრიტანელებსა და ჰოლანდიელებს სახელმწიფომ კომპენსაცია არ უნდა გადაუხადოს.



### კლინტონი დაბლოკავს

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონის განცხადებით, ამერიკის ადმინისტრაცია ეცდება, კონგრესში თურქების მხრიდან სომეხთა გენოციდის აღიარება დაბლოკოს. ბარაკ ობამამ წინასაარჩევნო კამპანიისას პირობა დადო, რომ მასიურ მკვლელობებს გენოციდის კვალიფიკაციას მისცემდა, მაგრამ ახლა მდგომარეობა „მნიშვნელოვნად შეიცვალა“. 1915-1917 წლებში მიმდინარე მოვლენები, რომელთაც, ზოგიერთი წყაროს ცნობით, მილიონი სომეხი ემსხვერპლა, თურქეთსა და სომხეთს შორის მთავარ გადაუჭრელ პრობლემად რჩება.



### მერს 15 წელი მიუსაჯეს

ალაბამას შტატის უდიდესი ქალაქის — ბირმინგემის მერს, ლარი ლენგფორდს მექრთამეობისათვის 15-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. კიდევ კარგად გადარჩა, ბრალდება მისთვის 24-წლიან პატიმრობას ითხოვდა. 63 წლის ლენგფორდმა განაცხადა, რომ მსაჯულებმა გადაწყვეტილება რასობრივ ნიადაგზე მიიღეს. საქმის მასალების მიხედვით, მერმა ქრთამის სახით სულ დაახლოებით 240 ათასი დოლარი აიღო. ახლა მას ამ თანხის სახელმწიფოსთვის დაბრუნება და 120 ათასამდე დაგროვილი გადასახადების ვალის გადახდაც მოუწევს.



### აშშ „ნათელმხილველ“ მორტონს ეძებს

აშშ-ის ბირჟებისა და ფასიანი ქაღალდების კომისია ეძებს „ნათელმხილველ“ შონ დევიდ მორტონს, რომელმაც ინვესტორებისაგან 6 მილიონი დოლარი მოაგროვა, ნახევარ წელიწადში მათ 117%-იან მოგებას დაპირდა და გაუჩინარდა. მთლად უნამუსოდ არ მოქცეულა, ამ ფულის ნახევარი საქმეში მართლაც დააბანდა, თუმცა — წარუმატებლად. სამწუხაროდ, მორტონს, რომელიც თავს თანამედროვე ნოსტრადამუსს უწოდებს, ფინანსური რეგულატორების მიერ მის წინააღმდეგ საქმის აღძვრის თაობაზე ხილვა არ ჰქონია.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო



საავტორო სვეტი

# ჯონდი გადამალეთ!

**იმდენი ილაპარაკეს, პრეზიდენტი კაიფობსო, ანუ კულტურულ-სამედიცინო ენაზე რომ ვთქვათ, ნარკოდამოკიდებულიაო, შეწუხდა კაცი და პარლამენტარ დიმიტრი ლორთქიფანიძის ინიციატივა გაიზიარა: საჯარო მოსამსახურეებს ნარკოლოგიურ შემოწმებას ჩაუტარებენ ყველაზე თანამედროვე მეთოდით — თმის ღერის მეშვეობით.**

ქვეყანა, რომელსაც ოფიციალურად 80 ათასი, ზოგიერთი მონაცემით კი 250 ათასი ნარკომანი ჰყავს, შეიძლება ითქვას, რომ დემოგრაფიული კატასტროფის ზღვარზეა და, თუ თევზის თავის შესახებ ანდაზასაც გავიხსენებთ, ძნელი მისახვედრი არ არის, თევზი საიდან... კაიფობს კი არა და, ყარს.

მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ ამ მდგომარეობამ პრეზიდენტიც კი შეაწუხა — კაიფობს ყველა და ყველგან — ერთ გუნდად და ცალ-ცალკე: ჩვენ ერთი გუნდი ვართ!

ამ გუნდში ხელისუფლება და ოპოზიცია წარმოუდგენელ ერთსულოვნებას იჩენს.

**საოცარია პირდაპირ, რა თმის ღერით შემოწმება უნდა ნებისმიერ საჯარო მოსამსახურეს? აკი, ვანოს ყურები ყველას უსმენს და ვანოს თვალებს არაფერი გამოეპარებაო? რა, პრეზიდენტმა არ იცის, ვინ კაიფობს მის სახელისუფლო ვერტიკალში? თუ პრეზიდენტიც... „კაიფობს“ კი არა და, „გვეკაიფება“?**

იცის, მაგრამ მაინც აცხადებს, რომ **„ყველა საჯარო მოსამსახურე, დაწყებული მაღალი თანამდებობის პირებიდან, ნარკოტიკებზე შევამოწმოთ თანამედროვე ტექნოლოგიით, რომელიც უმტკივნეულოა და არადამამცირებელი, ასევე უშეცდომოც“.**

პირველიც თვითონ ჩაიტარებს ნარკოტესტირებას — თმის ერთ ღერს გაიმეტებს, რომელიც უტყუარად დაადასტურებს, რომ „წვეთი სისხლი არ არის“ მასში **ჰეროინული**.

ასოციაციურად გამახსენდა, რომ ასევე წვეთ სისხლს ვერ იპოვით მასში **ჰეროიკულს**.

ეძებეთ, თუ გნებავთ, მასში ჰეროიზმის წვეთი, ხოლო გიგი წერეთლის თავზე თმის ერთი ღერი „უმტკივნეულო და არადამამცირებელი ტექნოლოგიით“ შესამოწმებლად.

ვერაფერს იპოვით, რადგან პრეზიდენტმა ნახა, რომ „მაინცდამაინც თმები არ ჰქონდა“, მაგრამ იქვე იმედი გამოთქვა, რომ „ისიც, ალბათ, მოიძიებს ერთ ღერ თმას და ჩააბარებს“.

**პრეზიდენტის „ალბათ“ იმას ნიშნავს, რომ გიგი წერეთელი თავზე თუ ვერა, სხეულის ნებისმიერ სხვა ადგილზე „მოიძიებს ერთ ღერ თმას“.**

ხუმარა კაცია (მასხარაში არ აგერიოთ!) პრეზიდენტი სააკაშვილი და „წაეკაიფა“ გიგი წერეთელს; იცის, რომ „ცუდად არ გაუგებს“. ერთხელ გადაცემა „პატრულიც“ ეხუმრა (თუ ემასხრა) გიგის და საყოველთაო ტელედაჭერებისა და „მასკი-შოუების“ ფონზე თბილისის საკრებულოს შენობის წინ გააფითრა.

ვისაც გიგის მაშინდელი სახე ახსოვს, დამეთანხმება, რომ წერეთელი ამ შემთხვევაში „დაგვიბარებს“ კი არა და, სულ დაიპუტავს „ერთ ღერ თმას“!

**მაგრამ რა ქნას ჯონდი ბაღათურიამ, როცა პარლამენტში არის უმრავლესობა, არის უმცირესობა და არის ერთი ჯონდი, ამ ჯონდის კი საქმე რთულად აქვს? პრობლემა აქაც თავშია, უფრო სწორედ თავზე, ჯონდის თავზე! მართალია, პრეზიდენტს არ გაახსენდა, მაგრამ თუკი ეს წესი სააკაშვილმა „წესად დარგო“, მაშინ „ყოველ დილას“ მასაც ჰკითხავენ, რატომ არ მოიძია ერთი ღერი თმა, თორემ, „ვის რა არგო“, ამას რა კითხვა უნდა. ან რა აზრი აქვს.**

ჯონდი კი ძალისხმევას არ დაიშურებს იმის დასამტკიცებლად, რომ სუფთაა და ცარიელი (თმისგან დაცარიელებული!) თავის მიუხედავად, ხელისუფლებას საღი გონებით უწევს ოპონირებას. მერე რა, რომ ნუგზარ ერგემლიძის მსგავსად მთელი ხელისუფლების „გასაპრავებელი“ ქოჩორი არა აქვს, ერთ ღერს ესეც მოძებნის.

**ბონდო მძინარაშვილი**

**P.S. ისე, რა საოცარია: ხელისუფლებაში ყოფნისას ყველას თვალზე ლიბრი აქვს გადაკრული და იქიდან როცა ააძუძგინებენ, მაშინვე მზერა დაეწმინდებათ და აღმოაჩენენ, რომ პრეზიდენტი „კაიფშია“, „გვამური ლაქები“ აქვს და რომ ამას სქლად წაცხებული ფერუმარილითაც ველარ ნიღბავს.**

## ტარიელ გაგნიძე: მთავარია, ვისთან იმსჯელებს პოლიტიკურ თემაზე რუსეთის პრეზიდენტი

**ქართული პოლიტიკური სპექტრის ბოლოდროინდელი გააქტიურება მომავალშიც არა ერთხელ გახდება საზოგადოების განსჯის საგანი. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალშისაცემია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის მცდელობა ცალკეული პოლიტიკოსების მხრიდან.**
**რუსეთის ხელისუფალთ არა ერთხელ განუცხადებიათ, რომ არ ცნობენ საქართველოს ხელისუფლების რამდენიმე წარმომადგენელს და მათთან არანაირი ურთიერთობა არ ექნებათ. ამ ფონზე საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოექცა ჯერ ზურაბ ნოღაიდელის, ხოლო შემდეგ ნინო ბურჯანაძის მოსკოვური ვიზიტები და შეხვედრები. არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ თავმჯდომარემ, ბატონმა ტარიელ გაგნიძემ ამ საკითხებზე განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება, თუმცა საუბარი უფრო „შინაური“ თემით დავიწყეთ.**



**— ბატონო ტარიელ, მალე სამი თვე გახდება, რაც ხელმეორედ დაარბიეს ჩვენი გაზეთის რედაქცია და თქვენი ოფისი. წინასწარ ვხვდები, რასაც მიპასუხებთ, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ: რაიმე სიახლე ხომ არა აქვს გამოძიებას?**

— ამ რამდენიმე დღის წინათ პირადად მოვიკითხე საქმის მდგომარეობა და შევხვდი ორივე გამომძიებელს — 2009 წლის 26 თებერვლის ქურდობაზეც და 2009 წლის 19 დეკემბრის დარბევის ფაქტზეც. ორივე შემთხვევაში მივიღე ტრაფარეტული და არაფრისმთქმელი პასუხი: საქმეები ჯერჯერობით გაუხსნელია, მაგრამ გამოძიება მიმდინარეობს. მე არ ვარ აყოლილი ილუზიებს და ვიცი, რომ ამ ხელისუფლების პირობებში ამ საქმეებს გახსნა არ უწერია. ერთის მხრივ, ეს გასაგებიცაა — საკუთარ თავს თვითონვე ხომ არ ამხელენ?

**— მახსოვს, დარბევის შემდეგ გავრცელებულ განცხადებაში თქვენ საყვედურს გამოთქვამდით საქართველოში აკრედიტირებული საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისადმი და ბრძანებდით, მათ რომ მეტი ყურადღება გამოეჩინათ თქვენ მიერ მომზადებული წიგნის პრეზენტაციისადმი, ხელისუფლება დარბევას ველარ გაგვიბედავდაო. ახლა მაინც თუ გამოიჩინა ვინმემ ყურადღება?**

— საერთაშორისო ორგანიზაციებს მეტი ყურადღებისა და პრინციპულობის გამოჩენა მართებთ თვითონ ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობისადმი საქართველოში; ჩვენი წიგნის პრეზენტაციაც სწორედ ამ მიზანს ისახავდა. ეს არ ყოფილა კრებულის მომზადება მარტოოდენ წიგნის გამოცემისთვის.

9 მარტს ევროპის საბჭოს ოფისში მიმიწვიეს, სადაც ვესაუბრე ქალბატონ საბრინა ბიუჰლერს, მრჩეველს ადამიანის უფლებათა საკითხებში. მათ სწორედ 19 დეკემბრის ინციდენტის გარემოებები აინტერესებდათ; გამომკითხეს, თუ როგორ მიდიოდა გამოძიება, გახსნილი იყო თუ არა საქმე; დაინტერესდნენ, ზოგადად, ჩვენი საქმიანობითაც; ვისაუბრეთ, აგრეთვე, სხვადასხვა თანმდევ საკითხებზეც, რომლებიც საუბრის პროცესში წამოიჭრა. ქალბატონმა ბიუჰლერმა ყოველგვარი თანადგომა აღმითქვა თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მინდა შემთხვევით ვისარგებლო და თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გადავუხადო მას გამოჩენილი ყურადღებისთვის.

**— ბატონო ტარიელ, თქვენი საზოგადოების საქმიანობა არ არის პოლიტიკური ხასიათის, მაგრამ ახლა საქართველოში ისეთი ვითარებაა, პოლიტიკას გვერდს ვერ ავუვლით. როგორ უყურებთ შექმნილ მდგომარეობას და როგორია თქვენი აზრი ოპოზიციის ქმედებებზე, აქვთ მათ ხელისუფლებისთვის ადგილობრივი არჩევნების მოგების შანსი?**

— სიმართლე გითხრათ, ოპოზიციაზე დიდი წარმოდგენის არ ვარ. მათ საქციელს რომ ვაკვირდები, მყარი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ისინი ხელისუფლების თამაშს თამაშობენ და მასთან ფარულ ალიანსშიც არიან. თვითონ განსაჯეთ: ჯერ საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების შემუშავებაში ჩაერთნენ და ამით გატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებს გაუკეთეს ლეგიტიმაცია — ხელისუფლებას მისცეს საშუალება, „ოპოზიციის“ მონაწილეობით დაეკანონებინა თბილისის მერის არჩევა ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 30%-ით.

ეს ხმათა ის რაოდენობაა, რისი მიღების შანსიც აქვს მოქმედ მერს ჩინოვნიკთა ელექტორატისა და ე.წ. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით. გამოდის, რომ არჩევნებში მონაწილეთა უმრავლესობა — 70% ამ კანდიდატს ხმას არ აძლევს და მერად არჩეულად მაინც ის ითვლება. ამ სურათის მეტად თუ ნაკლებად განეიტრალებისკენაა ახლა მიმართული ოპოზიციის საქმიანობა და სწორედ ამიტომ ყველა სუბიექტი ცალ-ცალკე ასახელებს თავის კანდიდატურას, რათა ეს ხსენებული 70% მერობის არასახელისუფლო პრეტენდენტებზე გადანაწილდეს და ამჯერად უკვე თვით არჩევნების პროცესის ლეგიტიმაცია მოხდეს.

ამ ადგილობრივი არჩევნების თავისებურება ისიცაა, რომ სააკაშვილი ცდილობს, არჩევნები მაქსიმალურად ობიექტურად ჩაატაროს, რადგან იცის, რომ მთელი უცხოეთი და საერთაშორისო ორგანიზაციები კრიტიკულნი იქნებიან ნებისმიერი თვალშისაცემი დარღვევისადმი. არჩევნების გამჭვირვალედ ჩატარებით სააკაშვილი საკუთარი გატეხილი სახელის აღდგენას ცდილობს, რათა საერთაშორისო ასპარეზზე ის მაინც ჰქონდეს სათქმელი, — არჩევნები დემოკრატიულად ჩავატარეო.

**— რატომ ცდილობს სააკაშვილი, მაინცდამაინც, უცხოეთის თვალში დაიბრუნოს ავტორიტეტი? არ ურჩევნია ქვეყნის შიგნით აღიდგინოს სახელი?**

— 2008 წლის აგვისტოს ომით სააკაშვილმა დაკარგა ის უპირობო საერთაშორისო მხარდაჭერა, რომელსაც მას უწევდა ბუშის ადმინისტრაცია. ობამას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ამერიკამ მნიშვნელოვნად შეცვალა საგარეო-პოლიტიკური ორიენტირები, ხელი აიღო მარიონეტული რეჟიმების მხარდაჭერაზე და დაადგა რუსეთთან თანამშრომლობის გზას. სააკაშვილის საერთაშორისო მხარდაჭერა მთლიანად განპირობებული იყო აშშ-ის ძალისხმევით და მათი ხათრით. რამდენიმე ქვეყნისა და, უპირველესად, რუსეთის გარდა, არავინ ლაპარაკობდა სააკაშვილის ავტოკრატიულ რეჟიმზე, მის ანტისახელმწიფოებრივ-ანტიქართულ პოლიტიკაზე; იმაზე, რომ ამერიკელების ხელში ▶



**საქართველოში აკრედიტირებული საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ „ისტორიული მემკვიდრეობის“ მიერ მომზადებული წიგნის „უუფლებობის ზონის“ პრეზენტაციისადმი, ხელისუფლება ამ არასამთავრობო ორგანიზაციისა და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ ოფისების დარბევას ველარ გაბედავდა.**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ საქართველოს ხელისუფლება გადაიქცა საერთაშორისო პროვოკატორად. ეს მან აგვისტოს ომის გაჩაღებით გამოავლინა. დღეს სააკაშვილს ამერიკა მხარს აღარ უჭერს, ამიტომ აღარც ევროპის ქვეყნები ხუჭავენ თვალს საქართველოს ხელისუფლების საქციელზე და სწორედ ამიტომაა საქართველოს პრეზიდენტი მონდომებული, რომ ისევ საზღვარგარეთის თვალში აღიდგინოს სახელი. მისი ხელისუფლების არსებობა და პირადად მისი კეთილდღეობა სწორედ საზღვარგარეთის წამყვანი ქვეყნების კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული, თორემ ქვეყნის შიგნით მას რა სახელი აქვს, ეს იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ამ სახელმა ქვეყნის გარეთ შეიძლება გააღწიოს. ქვეყნის შიგნით მას ავტოკრატია აქვს დამყარებული და ამიტომ მისი ხელისუფლების არსებობა არ არის დამოკიდებული იმაზე, რას ფიქრობს პრეზიდენტზე საქართველოს მოსახლეობა.

**— თქვენი პასუხიდან ბუნებრივად იბადება კითხვა: რა გამოდის, თუკი ამერიკელებმა ჩვენზე ხელი აიღეს და უპირატესობას რუსეთთან დაახლოებას ანიჭებენ, ახლა ჩვენი ხელისუფლების შეცვლა-არშეცვლა უკვე რუსეთზე გახდა დამოკიდებული?**

— საკითხის ასე დასმა მთლად მართებული არ არის. ამერიკის წინანდელი ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლებას მუდმივად იყენებდა პროვოკაციებისთვის რუსეთის წინააღმდეგ. ახლა კი ჩვენ, უფრო სწორად, საქართველოს ხელისუფლება პირისპირ დარჩა გაბრაზებულ რუსეთთან. რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება სააკაშვილის მიმართ კი საყოველთაოდ ცნობილია. ამერიკელების მიერ ჩვენთან დანერგილი სახელისუფლო სისტემა ისეთია, რომ, როგორც ზემოთ ვთქვი, მისი არსებობა მთლიანად არის დამოკიდებული გარედან მხარდაჭერაზე. იციან რა ეს, ცალკე ხელისუფლება ფარულად და ოპოზიციის ნაწილი კი აშკარად ახლა რუსეთში ცდილობს მფარველის პოვნას. ამიტომაა, რომ ჯერ ნოღაიდელმა გამონახა მოსკოვში ჩასასვლელი გზები და შემდეგ — ბურჯანაძემ.

**— მათი მოსკოვური ვოიაჟებიც ხომ იმაზე მიგვანიშნებს, რომ, ამერიკელებს ახლა რუსები ჩაენაცვლებიან?**

— ამ საკითხს ასე ერთმნიშვნელოვნად ნუ მივუდგებით. ამერიკელები იქცეოდნენ ასე: აარჩევდნენ პიროვნებას, მოიყვანდნენ ხელისუფლებაში და შემდეგ მისი ხელით ატარებდნენ მხოლოდ საკუთარ პოლიტიკას, ე.ი. მხოლოდ კონკრეტულ პირებთან თანამშრომლობდნენ და არა ქვეყანასთან და ხალხთან. რუსეთი რადიკალურად დიამეტრალური პოლიტიკის დემონსტრირებას ახდენს — მას არა ერთხელ განუცხადებია, რომ ითანამშრომლებს საქართველოსთან და ქართველ ხალხთან. სწორედ ამიტომ ღებულობენ რუსები საქართველოს საზოგადოებრიობის ყველა წარმომადგენელს და ამ საზოგადოების დიდი თუ მცირე ნაწილის გამომხატველ ამა თუ იმ პოლიტიკურ ფიგურას. მაგრამ რუსებს მათი წარსული საქმიანობაც ახსოვთ, მოსკოვში მათი ვიზიტების ჭეშმარიტი მიზნებიც იციან და ამიტომ არ მსჯელობენ მათთან პოლიტიკურ საკითხებზე, ღებულობენ მხოლოდ როგორც საზოგადოების წარმომადგენლებს, ესაუბრებიან მხოლოდ ორი ქვეყნის ურთიერთობის ზოგად თემებზე. თუ დააკვირდით, ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრისას საერთოდ არანაირ კონკრეტულ თემაზე არ ყოფილა საუბარი. მან მხოლოდ მადლობა გადაუხადა პრემიერ-მინისტრ პუტინს ქუთაისში განადგურებული მემორიალის ასლის მოსკოვში აღმართვის გადაწყვეტილებისთვის (მართლაც სამადლობელო საქმეა), ხოლო ნინო ბურჯანაძესთან ვლადიმერ პუტინი მხოლოდ ორი ქვეყნის ნორმალური ურთიერთობების აუცილებლობაზე ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა.

აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი რამ: არც რუსეთის პრემიერი და არც სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე კონსტიტუციით არ არიან საგარეო-პოლიტიკური კურსის შემმუშავებელი და გამტარებელი ფიგურები. რუსეთის კონსტიტუციით ასეთი პრეროგატივა პრეზიდენტის კომპეტენციაა. რუსეთის პრეზიდენტს კი არც ბატონი ნოღაიდელი მიუღია და არც — ქალბატონი ბურჯანაძე; ალბათ, არც მიიღებს.

**— როგორც ჩანს, მთავარი ინტრიგა წინ გველოდება...**

— ალბათ, კი. 2009 წლის 14 სექტემბერს ქ. იაროსლავლში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე გამოსვლისას რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ამა თუ იმ ქვეყნის შიდა პოლიტიკა უკვე აღარ არის მარტო იმ ქვეყნის შიდა საქმე. ქვეყნის ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობა და შიდა ამოცანების გადაწყვეტის უუნარობა მხოლოდ მათ ქვეყანას კი არა, მრავალ სხვა ქვეყანასაც უქმნის თავსატეხს და სახელმწიფო ინსტიტუტების არაეფექტიანობა საერთაშორისო კონფლიქტებს წარმოშობს. სწორედ ამიტომ აღნიშნა დიმიტრი მედვედევმა: — სახელმწიფოები უფლებამოსილნი არიან, კრიტიკულად შეაფასონ სხვა ქვეყნების არა მხოლოდ საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკაც.

ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეფასება, კრიტიკული იქნება ეს თუ პოზიტიური, იმ კონკრეტული პოლიტიკოსების შეფასებაა, რომლებიც ამ პოლიტიკას უძღვებიან და წარმართავენ.

1995 წლიდან და, განსაკუთრებით, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში ეს პერსონები ან ხელისუფლებაში იყვნენ და არიან, ანაც ოპოზიციაში გადაინაცვლეს და ახლა მოსკოვში მიიჩქარიან. ქართული პოლიტიკის წარმატებებიც (თუ გვქონდა) და ჩავარდნებიც მთლიანად მათი „მოღვაწეობის“ დამსახურებაა და მათი შეფასებაც, ამაში მათ არავინ არ შეეცილება.

სერიოზულ, შინაარსიან პოლიტიკას სერიოზული, პასუხისმგებლობის მქონე ხალხი სჭირდება.

პოლიტიკოსის ავტორიტეტი იმით განისაზღვრება, თუ რა პრინციპებით საქმიანობს ის და ვინ არიან მისი პარტნიორები. სერიოზული პოლიტიკოსი, რომელსაც საქმიანი, სერიოზული მისწრაფებები ამოძრავებს, პარტნიორადაც ასეთ პერსონას ირჩევს.

ვნახოთ, ვისთან ჩათვლის შესაძლებლად რუსეთის პრეზიდენტი პოლიტიკურ თემებზე მსჯელობას.

**ესაუბრა
ბონდო
მძინარაშვილი**

# «მწვანე ხვლიკები» ბარიგების «საჯანაბო ქისიდან»

**ქვეყანაში, სადაც სიღარიბის მაჩვენებელი ჯერ კიდევ საგრძნობლად მაღალია, თითქოს იმედის მომცემი უნდა იყოს თბილისის შემოგარენში მომრავლებული ფეშენებელური საცხოვრებელი სახლები. მკითხველის ყურადღება ამჯერად არა ახალი ევროპული და ამერიკული სოფლებისკენ, არამედ რუსთავის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორიისკენ მინდა მივმართო, სადაც არა სამშენებლო კომპანიები, არამედ რიგითი მოქალაქეები ქმნიან ახალ ინფრასტრუქტურას.**



სიახლე არაა ის, რომ ამ ადგილას, ძირითადად, აზერბაიჯანული წარმოშობის საქართველოს მოქალაქეები არიან კომპაქტურად დასახლებულნი. ეს ინფრასტრუქტურის არქიტექტურაშიც აშკარად არის გამოხატული. როგორც ყველა სხვა, აზერბაიჯანულებიც საქართველოში თავს კომფორტულად გრძნობენ, არც რელიგიურ და არც სოციალურ შეზღუდვას არ განიცდიან. მათი ძირითადი საქმიანობა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე, ძირითადად, მეცხოველეობა და მწვანილის ბაზრის „მონოპოლიაა“. ერთიც და მეორეც საკმაოდ მომგებიანია და დიდ ფიზიკურ გარჯას მოითხოვს. აფერუმ აზერბაიჯანელების შრომისმოყვარეობას, რადგან შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ ისინი საკმაოდ მაღალი შემოსავლით არიან უზრუნველყოფილნი. რუსთავში მიმავალთ თვალში მოგხვდებათ ახლად აშენებული ორ-სამ სართულიანი სახლები, რომელთა მშენებლობა უხეში გაანგარიშებით საშუალოდ ასი ათასი დოლარი მაინც ჯდება. ამას გარდა, მათ მფლობელთა უმრავლესობა საკმაოდ ძვირადღირებული მანქანითაც გადაადგილდება და, ხშირ შემთხვევაში, თითოეული ოჯახის ავტოფარეხში არა ერთი, არამედ ორი ასეთი ავტომობილია. ესეც არ იყოს, თუ ავტომანქანის ბაზრობაზე გაგივლიათ, შეამჩნევდით, რომ ძვირადღირებული მანქანებით სწორედ აზერბაიჯანელები არიან დაინტერესებული. ბევრი მათგანი უბრალო დილერები არიან, რომლებიც აზერბაიჯანულ ბაზარზე გასატანად ყიდულობენ მანქანებს, მაგრამ ისეთებსაც ხშირად შეხვდებით, რომლებიც „C“ კლასის მერსედესებსა და „პრადოს“ ჯიპებს პირდაპირ საკუთარ ავტოფარეხში მიაქროლებენ. ამაში უჩვეულო თითქოს არაფერია, მაგრამ რამდენი კონა მწვანილი უნდა გაყიდოს „ბაჯიმ“, ამ მანქანის შეძენა რომ შეძლოს? ამის გაანგარიშება დიდ სირთულეს არ წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ კონა მწვანილის ფასი ათ თეთრს არ აღემატება. 40 ათას დოლარად ღირებული ჯიპისთვის 688 000 კონა მწვანილია საჭირო. ერთ წელიწადში რომ დააგროვონ ეს თანხა, დღეში დაახლოებით 2 ათასი კონა მწვანილი უნდა გაყიდონ. ბაზარში მემწვანილე „ბაჯების“ სიმრავლის გათვალისწინებით, მთელი თბილისი დიეტაზე რომ „დაჯდეს“ და მხოლოდ მწვანილით იკვებოს, ყოველდღიურად 2000 კონა მწვანილის გაყიდვა მაინც შეუძლებელია. მაშინ, როცა ქართველი გლეხი წლიდან წლამდე წელზე ფეხს იდგამს, კაპიკს კაპიკზე ადებს და მაინც ბორბლებმოღრეცილი „ტრიცატძინით“ ან „ვოლგით“ დადის, „ბაჯების“ ქმრები ყოველ წელს ახალ-ახალ მანქანებს ყიდულობენ. მწვანილი რომ ასე ადვილად ამდიდრებდეს ადამიანს, ალბათ, კახელები ვენახს გაკაფავდნენ და ნიახურისა და ოხრახუშის პლანტაციებს გააშენებდნენ.

ის, რომ მარტო მწვანილით ვერ გამდიდრდები, ფაქტია. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არაერთი ფაქტი გახმაურდა და ადგილობრივი მოსახლეობის, ანუ აზერბაიჯანელების არააზერბაიჯანელ მეზობლებსაც მივუგდებთ ყურს, რეალობას მოკლებული არ არის ის ეჭვი, რომ მეცხოველეობისა და მემწვანილეობის გარდა, „ბაჯები“ ზოგჯერ სხვა, გაცილებით მომგებიანი, მაგრამ ასევე გაცილებით სარისკო საქმით, ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღებითაც არიან დაკავებულნი. კიდევ ერთი განტოლებაც ამოვხსნათ, დიეტაზე არა, მაგრამ ნახევარი თბილისი „წამალზე ზის“ და ყოველდღე, 2000 კონა მწვანილის გასაღებისგან განსხვავებით, 2000 აბი სუბოტექსის გასაღება, თუნდაც ერთი წლის განმავლობაში, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. კონა მწვანილისგან განსხვავებით, ერთი აბი სუბოტექსის ფასი ნარკობაზარზე 120 დოლარია. 2000 აბი სუბოტექსიდან შემოსული თანხა კი შესაბამისად 240 000 დოლარი. თითქმის მილიონის მეოთხედი. ეს კი „პრადოს“ ჯიპისთვისაც საკმარისია, „C“ კლასის მერსედესისთვისაც, საცხოვრებელის მარმარილოს თაღებით დამშვენებისთვისაც და საჯანაბო ქისისთვისაც. ეს უკანასკნელი აუცილებელია, თუ რისთვის, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

ტელეეთერით გაპიარებული სოდის თუ კუდის თანამშრომლების მიერ ფონიჭალაში მცხოვრები „ბარიგების“ არაერთგზის დაწიოკებას თუ გავიხსენებთ, აშკარაა, რომ აქ მაცხოვრებელ აზერბაიჯანელების ნაწილი ნარკოტიკებთან „კონტაქტში“ არაერთხელ არის „შემჩნეული“. საიდან, როგორ და ვისთან ხვდება ნარკოტიკები, ეს შესაბამისმა ორგანოებმა კარგად უწყიან, ოღონდ თვალს ხუჭავენ მანამ, სანამ მათ ჯიბეში ბარიგების „საჯანაბო ქისიდან“ „მწვანე ხვლიკები“ მიშრიალებენ.

# «სასაცილო მწვანილით» შეძენილი ძვირადღირებული «ჯიპები»



აქ ადგილობრივი მუსლიმანები დღეში სამჯერ ლოცულობენ

**როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, თბილისის ამ ნაწილში ახალი ინფრასტრუქტურა იქმნება, რომლის მთავარ არქიტექტურულ სიახლეს მწვანე მეჩეთი წარმოადგენს, რომლის მშენებლობაც თითქმის დასრულებულია. გავრცელებული ინფორმაციით, მის მშენებლობას ნავთობკომპანია „სოკარი“ უზრუნველყოფს. თუმცა, როგორც ადგილობრივი მცხოვრებნი ამბობენ, მეჩეთის მშენებლობა მხოლოდ მოსახლეობის შემოწირული თანხებით მიმდინარეობს. მათივე თქმით, ამ დასახლებაში 7 ათასი აზერბაიჯანელი ცხოვრობს. ქართველების რელიგიური უმცირესობების მიმართ შემწყნარებლობა საყოველთაოდ ცნობილია და ამის გამო ადგილობრივებს მშენებლობის პროცესში არანაირი პრობლემა არ შექმნიათ. ასევე საყოველთაოდ ცნობილია მუსლიმანური აღმსარებლობის მიმდევართა დამოკიდებულება რელიგიის მიმართ, ამიტომ დიდია ალბათობა, რომ ოსტაპისეულმა კითხვამ „რა ღირს ოპიუმი ხალხისათვის“ ახლო მომავალში როგორც გადატანითი, ასევე პირდაპირი მნიშვნელობითაც შეგვახსენოს თავი.**

**ნანა ლაღაძიშვილი**



ამ ღობის მიღმა თვალსა და ხელს შუა კიდევ ერთი სასახლე აშენდება

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ანტიქართული ათეული

**ბოლო დროს (განსაკუთრებით უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ) საქართველოში პოლიტიკური პროცესები ისე ვითარდება, მარტივად რომ ვთქვათ, ვისი ვიოლინო ვის როიალშია, კაცი ვერ გაიგებს... მეტიც, პოლიტიკურ ძალთა შორის ნაირგვარი იარლიყების ჭრა-კერვისა და მწვავე ურთიერთბრალდებების კვალდაკვალ საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის დღითიდღე, ალბათ, სულ უფრო ძნელია გარკვევა, ვინაა ჭეშმარიტად ქართული საქმის მკეთებელი და ვინ — „უცხო ქვეყნის მელაკუდა აგენტი"...**
**არ მინდა, ყბადაღებულ თემას შევეხო, მაგრამ ეს სწორედ ის ვითარებაა, როცა ჰაერივით გვჭირდება კანონი ლუსტრაციის შესახებ, თუმცა ვიდრე ჩვენი ბედოვლათი კანონმდებლები ამ სანუკვარ ოცნებას აგვიხდენენ, ისლა დაგვრჩენია,**
**ჩვენ თვითონ მოვახდინოთ ჩვენი ავისა და კარგის ლუსტრირება...**
**გთავაზობთ ახალ რუბრიკას „ანტიქართული ათეული", აქ ჩვენი რესპონდენტები შეეცდებიან, წარმოგიდგინონ ანტიქართულ, ანტიეროვნულ საქმიანობაში მხილებული ათი პოლიტიკოსი. ამჯერად ამ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმეში მეგზურობას ცნობილი მეცნიერი და პუბლიცისტი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე გაგვიწევს.**



## ელიზბარ ჯაველიძე:
# ეს ხალხი არის ყოველგვარი უბედურების სათავე

**— ბატონო ელიზბარ, დაგვისახელეთ ათი პოლიტიკოსი, რომლებიც მიგაჩნიათ, რომ ანტიეროვნულ პოლიტიკას ატარებენ.**

— ბევრის დასახელება შეიძლება, მაგრამ, უპირველესად, რა თქმა უნდა, დავასახელებ **მიხეილ სააკაშვილს,** რადგან, დღიდან ხელისუფლებაში მოსვლისა, იგი ნიადაგ ცდილობს ქართული ეროვნული სულიერების, ქართული ტრადიციების, ქართული ყოფის, რწმენის გაჩანაგებასა და მოსპობას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისი „დიდი დამსახურებაა" ის, რომ ტერიტორიების ორი მესამედი დაკარგულია, სტრატეგიული ობიექტები გასხვისებულია და მთელი ეკონომიკური ბერკეტები გაყიდულია უცხოელ ინვესტორებზე, რის გამოც ჩვენი ეკონომიკა უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა...

მოკლედ, ამ კაცის მოღვაწეობა, მისი ყოველი ნაბიჯი, როგორც გითხარით, მთლიანად მიმართულია იქითკენ, რომ ქართველი ერის ცნობიერებიდან ერთხელ და სამუდამოდ წაიშალოს ყოველივე ეროვნული, ტრადიციული და, ამდენად, როცა ლაპარაკია ანტიქართულ საქმიანობაში მხილებულ ადამიანებზე, პოლიტიკოსებზე, რა თქმა უნდა, უპირველესად, სწორედ მიხეილ სააკაშვილი უნდა დასახელდეს;

შემდეგი ანტიქართველია **ნიკა გილაური.** არ ვიცი, მას ვინ პატრონობს და კონკრეტულად რა ძალა დგას მის უკან, მაგრამ, ამბობენ, რომ ის არ არის ქართველი (ალბათ, წარმომავლობას გულისხმობენ), თუმცა ამასაც რომ თავი დავანებოთ, მასზე გარკვეული წარმოდგენის შესაქმნელად ისიც საკმარისია, რომ იგი აქტიურ პოლიტიკაში „კმარადანაა" მოსული. ამასთან, თავის დროზე ენერგეტიკის მინისტრობისას მან მოსპო და გაანადგურა ენერგეტიკა, შემდეგ ფინანსთა მინისტრობის დროს იყო ლაპარაკი იმაზე, რომ საკმაოდ დიდი თანხები მიითვისა... ახლა პრემიერ-მინისტრია და ძალღონეს არ იშურებს, რომ სააკაშვილის ყოველი ნაბიჯი, მისი ყოველი ქმედება, როგორც რუსები იტყვიან, „გააპრავოს"...

ერთი სიტყვით, იგი სააკაშვილის მარჯვენა ხელია და, რა თქმა უნდა, მასაც დიდი წვლილი მიუძღვის იმ ანტიეროვნულ პოლიტიკაში, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი და მთელი მისი გარემოცვა ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან ატარებს;

ასევე დიდი წვლილი მიუძღვის **დავით ბაქრაძეს,** როგორც ქვეყნის მესამე პირს, როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელსაც ყოველგვარი წინააღმდეგობების გარეშე, უსიტყვოდ, მორჩილად ძალაში შეჰყავს რეალურად სააკაშვილის მიერ მიღებული, მისივე პირად ინტერესებს მორგებული კანონები. ეს არის კაცი, რომლის მიერ პარლამენტში არასოდეს თქმულა სიტყვა სამშობლო, არასოდეს უხსენებია ტრადიციები, ეროვნება და სხვ.;

შემდეგი ანტიქართველი **გიგა ბოკერია** „თავისუფლების ინსტიტუტის" პირმშოა, მისი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, რომელიც იმთავითვე გამოირჩეოდა სიძულვილით ქართული კულტურისადმი, ქართული განათლებისადმი და ყოველივე ქართულისადმი. დღეს რომ განათლება საშინელ დღეშია, ამაში მას „დიდი დამსახურება" მიუძღვის, რადგან მან ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ თურმე ჩვენი განათლების სისტემა მოძველებულია და უნდა შეიცვალოს; ერთ-ერთმა პირველმა შეუტია ჩვენს ეროვნულ ფასეულობებს, ღირებულებებს. იგი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე ძალ-ღონეს არ იშურებდა, რომ, სადაც, რომელ სფეროშიც ფეხს შედგამდა, ყველგან ანალოგიური პოლიტიკა გაეტარებინა და დაპირისპირებოდა ქართულ სულიერებას, რომელიც ამ ხელისუფლებისთვის და პირადად მისთვისაც იმთავითვე წინააღმდეგობის კერად იქცა;

**ვანო მერაბიშვილი,** ჩვენი „ძმა და მეგობარი", თავიდანვე სააკაშვილის მარჯვენა ხელი იყო... ახლა, მე მგონი, თვითონ გახდა „პირველი ხელი".

იგი თავის გამოსვლებში ხშირად აღნიშნავს ხოლმე ამაყად, რომ მისი მინისტრობის დროს ქვეყანაში დანაშაულებათა რაოდენობა შემცირდა. ეს, რა თქმა უნდა, „სასაცილოა", ვინაიდან, სწორედ მისი მინისტრობის დროს მოკლეს გურამ შარაძე (მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ქართული საქმისთვის იბრძოდა), სანდრო გირგვლიანი, ბუტა რობაქიძე, ზურაბ ვაზაგაშვილი და კიდევ უამრავი ადამიანი, რომელთა მკვლელობები დღემდე გამოუძიებელია.

ეს კაცი საზოგადოების თვალში სიკვდილთან, უბედურებასთან ასოცირდება, ვინაიდან იგი, როგორც სააკაშვილის სადამსჯელო რაზმების ხელმძღვანელი, ყველანაირად ცდილობს, რომ ხალხი მუდმივად დატერორებული ჰყავდეს, დაშინებული და, შესაბამისად, დამორჩილებული, რათა ვერავინ გაბედოს ხმის ამოღება იმ ანტიეროვნული, ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი, მიუხედავად მრავალი წინააღმდეგობისა, წარმატებით ახორციელებს;

შემდეგი ანტიქართველი **აკაკი მინაშვილი** გახლავთ — ადამიანი, რომელსაც თავი აქვს ძალიან დიდი, მაგრამ ჭკუა აქვს ვიწრო. ეს ყველაზე ნათლად მისი განცხადებებიდან ჩანს და ასევე — მის მოქმედებებშიც, რაც, ხშირ შემთხვევაში, ღიმილის მომგვრელიც კია.

ასე თუ ისე, ის მაინც სერიოზული გამწე ძალაა ხელისუფლების რიგებში, თუნდაც იმის გამო, რომ ყოველთვის აქტიურია და ასევე აქტიურად იბრძვის იმ დამანგრეველი რეფორმების წარმატებით გაგრძელებისთვის, რომელიც, კვლავ ვიმეორებ, მიმართულია ქართული სულიერებისა და თვითმყოფადობის წინააღმდეგ;

**გოკა გაბაშვილსა** და **მამამისს** საზოგადოება კარგად იცნობს, ვინაიდან ისინი პირველები მონაწილეობდნენ ეროვნული მთავრობის დამხობაში, ხოლო პირადად გოკა გაბაშვილი ცნობილია, როგორც ქართული კულტურის დამანგრეველი და გამანადგურებელი, რომელმაც კულტურის მინისტრობის პერიოდში ნოლზე დაიყვანა ყველაფერი, რაზეც კი ხელი მიუწვდა.

ის, რომ არ გამოდის „ლიტერატურული საქართველო", მწერალთა კავშირს ჩამოართვეს შენობა; ის, რომ განადგურებულია ქართული მეცნიერება, უნივერსიტეტი, სწორედ გოკა გაბაშვილის „დამსახურებაა" და კიდევ უამრავი ასეთი ფაქტი, მოვლენა უკავშირდება მის სახელს;

**გივი თარგამაძე** იმთავითვე გამოირჩეოდა უზნეობით, ანტიქართველობით, ანტიეროვნულობით და ის ამას არც მალავდა. მისი განცხადებები (განსაკუთრებით 2007 წლის საპროტესტო გამოსვლებისდროინდელი) რომ ნახოთ, დარწმუნდებით, რომ ამ კაცს გული სავსე აქვს ბოღმითა და სიძულვილით; მისთვის უცხოა სიყვარული როგორც ქვეყნის, ისე ხალხის.

მის შესახებ ხმები დადის, ბევრი, ალბათ, ჭორია, ბევრიც — სიმართლე; რამდენიმე ხნის წინათ, მოსკოვსა და თბილისს შორის ტელეხიდი რომ შედგა, იგორ გიორგაძემ თქვა, რომ ეს კაცი შემჩნეულია პედოფილიაში. არ ვიცი, ეს რამდენადაა სიმართლე, მაგრამ, თავის მხრივ, იგორ გიორგაძეს სერიოზული კავშირები აქვს, ინფორმაციებზე ხელი მიუწვდება; ყოველ შემთხვევაში, ის ტყუილს არ იტყოდა.

ესეც რომ არ იყოს, გივი თარგამაძის სახელს უკავშირდება უამრავი, დღემდე ბნელით მოცული საქმე, დანაშაული; მათ შორის, თუნდაც ის, რაც ჩვენმა „დამკვირვებლებმა" ახლახან უკრაინაში გააკეთეს. ეს ყველაფერი მოწმობს, რომ თარგამაძე არა მხოლოდ ქართველი ხალხის სიძულვილითაა აღსავსე და არა მხოლოდ ქართველთა ნებას ებრძვის, არამედ სხვა ქვეყნებშიც ანალოგიური მიზნები ამოძრავებს, რის გამოც ის უნდა გამოცხადდეს საერთაშორისო ძებნილად;

**დავით უსუფაშვილი** არის კაცი, რომელმაც 9 აპრილის ტრაგედიიდან რამდენიმე დღის შემდეგ (როცა ქართველი ხალხი მასობრივად გამოდიოდა კომუნისტური პარტიიდან) დაწერა განცხადება და შევიდა პარტიაში. მაშინ მას ეგონა, კომუნისტები დაბრუნდებოდნენ და პარტიაში შესვლით, თავისი ჭკუით, კარიერას უმიზნებდა, მაგრამ შემდეგ, როცა მიხვდა, რომ საბჭოთა კავშირი იშლებოდა და კომუნისტებს მომავალი არ ჰქონდათ, ერთ თვეში ისევ დაწერა განცხადება და გამოვიდა პარტიიდან.

დღეს იგი „დასავლური ღირებულებების ერთგულია" და ცდილობს, მოგვაჩვენოს, რომ იბრძვის ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებისთვის...

თუ გვინდა, რომ დასავლურ ღირებულებებს ვეზიაროთ, ჯერ წაკითხული უნდა გვქონდეს დანტე, გოეთეს „ფაუსტი", დასავლურ ხელოვნებას, ასე თუ ისე, უნდა ვიცნობდეთ. უსუფაშვილს და მის თანაგუნდელებს კი ამაზე წარმოდგენაც არ აქვთ და მათი ლიბერალიზმი, ანუ კოსმოპოლიტიზმი ორი სიტყვით ასე გამოიხატება — მე არად მიმაჩნია სამშობლო, მე მსოფლიოს მოქალაქე ვარ;

ამის თქმა შეიძლება **ძმებ ბერძენიშვილებზეც.** ორივე თავიდანვე შემჩნეული იყო ანტიქართულ ანტიეროვნულ საქმიანობაში. ცნობილია ისიც, თუ რა დამსახურება მიუძღვით მათ „რესპუბლიკური პარტიის" შექმნაში და შემდეგ რა დამსახურება მიუძღვის პირადად **ლევან ბერძენიშვილს** ამავე პარტიის წევრთა დასმენასა და დაჭერაში.

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მან თავის წარმოჩენა დაიწყო ილია ჭავჭავაძის კიცხვით, მწერალთა კავშირის ლანძღვითა და იმით, რომ ყველას, ვისაც საქართველოზე გული შესტკიოდა, ფაშისტი უძახა. ერთი სიტყვით, სადაც კი რამე ქართული სულიერი გაჭაჭანდებოდა, ეს კაცი ყველგან და ყოველთვის ამბობდა, რომ ეს არის ფაშიზმი, ნაციონალიზმი და ა.შ.

დღეს იგი და ყველა მისნაირი ადამიანი საშიშია მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ეზიზღებათ საქართველო და ყველაფერი, რაც ქართული საქმის კეთებას ხელს შეუწყობს.

მოკლედ, გაგრძელება კიდევ და კიდევ შეიძლება. ანტიქართული საქმის მკეთებელ პოლიტიკოსთა ნუსხა, სამწუხაროდ, ვრცელია, მაგრამ ეს ხალხი, ვინც მე ჩამოვთვალე, არის სათავე ყოველგვარი უბედურების, ყოველგვარი ანტიეროვნული წამოწყებებისა და ვფიქრობ, ჩვენ მათგან ჩვენივე სიმტკიცე თუ დაგვიხსნის, ჩვენივე მხნეობა და აქტიურობა. ამიტომ დღეს ყველა უნდა ვიყოთ ერთმუშტად შეკრული; მხოლოდ ასე თუ შევძლებთ, გავუძლოთ იმ განსაცდელს, რასაც მიხეილ სააკაშვილი და მისი ნაციონალური მოძრაობა ჰქვია.

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**













საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# პარტია, რომელიც ომისა და ძალადობის პროპაგანდას ეწევა, უნდა აიკრძალოს!

**რამდენიმე დღის წინათ ახლადშექმნილი პარტიის — „გამარჯვებისათვის“ ლიდერმა შალვა ხაჭაპურიძემ განცხადება გააკეთა, რომ დრო აღარ ითმენს, სწრაფად უნდა გავწმინდოთ ქვეყანა „ნაციონალური მოძრაობისაგან“. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე დღეში „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანასაც გეგმავს. მისი განცხადებით, სარჩელი საკმაოდ მწვავე იქნება და საკონსტიტუციო სასამართლოში მისი არ განხილვის შემთხვევაში, მას სტრასბურგის სასამართლოში გაგზავნიან. შალვა ხაჭაპურიძე ადვოკატია და, როგორც თვითონ ამბობს, დღეში 15-მდე მსგავსი საჩივრის მომზადება უწევს.**



## შალვა ხაჭაპურიძე:
## თუ მოვინდომე, სააკაშვილს სახლის წინ დავუდგამ მისივე სისხლიანი რეჟიმის ამსახველ ძეგლს

**— ბატონო შალვა, რატომ გადაწყვიტეთ სარჩელის შეტანა „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვის მოთხოვნით?**

— თავის დროზე სასამართლოს მეშვეობით მსოფლიოში ნაციონალისტურ-სოციალისტური პარტია აიკრძალა, რომელსაც ადოლფ ჰიტლერი ხელმძღვანელობდა, რომელმაც გერმანელ ხალხს მთელი რიგი უბედურებები დაატეხა თავს. ერთი კვირაა, რაც პოლიტიკაში ვართ და საკმაოდ მნიშვნელოვანი თემები წამოვწიეთ წინ. ახლახან გაზეთში წავიკითხე ბატონ ლევან ალექსიძის სტატია, რომელშიც წერდა, რომ ტალიავინის დასკვნას გავეცანი და იქ მიშასა და მისი ხელისუფლების საწინააღმდეგო არაფერი წერიაო. ბოდიში მინდა ბატონ ლევან ალექსიძეს მოვუხადო, ალბათ, ამნეზია დაემართა, რადგან ჩვენ სულ სხვაგვარად გვასწავლიდა. არადა, გარკვევით წერია იმ დასკვნაში, რომ საქართველო ომის პროპაგანდას ეწეოდა. საომარი რიტორიკა ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ამ მოვლენების გამწვავებაში. არავინ ამბობს, მაგათ რომ ასე არ ელაპარაკათ, რუსები არ შემოვიდოდნენო, მაგრამ ამ ყველაფერმა ეს პროცესი დააჩქარა და ამის დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ პატრიარქის წყალობით დაბრუნებული პერევის გარკვეული ნაწილი მერე სააკაშვილის ტრაბახის შედეგად კვლავ დავკარგეთ. იურისტმა ეს მოვლენები სამართლებრივად უნდა შეაფასოს.

გარდა ამისა, საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია, აკრძალოს პარტია, რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, 38-ე მუხლის თანახმად კი, პარტიის აკრძალვის შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა სახელმწიფო ხაზინას. გაგახსენებთ სააკაშვილის მიერ პარლამენტში გაკეთებულ განცხადებას „ნულოვანი ტოლერანტობა“. მთელი მსოფლიო გადასულია სისხლის სამართლის ჰუმანიზაციის პრინციპზე. ნულოვანი ტოლერანტობა გამოცხადებული ჰქონდა ჰიტლერს და რა შედეგები მოჰყვა ამას მაშინდელ გერმანიაში, ყველამ იცის და ყველა იმასაც ხედავს, რა შედეგები მივიღეთ საქართველოშიც. **სწორედ ამიტომ გვინდა სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთა მემორიალის აღმართვა თბილისში.**





**— სააკაშვილი რამდენად დაუშვებს ამ მემორიალის დადგმას?**

— რა თქმა უნდა, არც ერთ დიქტატორს არ უნდა, რომ თავის სიცოცხლეშივე დაუდგა მისი სისხლიანი რეჟიმის ნაკვალევის ამსახველი ძეგლი და ამ განზრახვას, ალბათ, წინააღმდეგობასაც გაუწევენ. ევროკონვენციაში გარკვევით წერია, რომ ადამიანს აზრის გამოხატვის თავისუფლება აქვს. ეს ხალხი ამ რეჟიმის მსხვერპლი იყო და ამიტომ მინდა, ძეგლი დავუდგა. თუ მოვინდომე პრეზიდენტის სახლის წინაც დავდგამ. ტირის თოფებს გვესვრიან? სანადირო თოფების ტარების უფლება ყველას გვაქვს, სანადირო თოფებით მივალთ და ჩვენც ვესვრით. ძალიან ცუდად გამოუჩნდა პოლიტიკაში სააკაშვილს შალვა ხაჭაპურიძე. მე არ დამიხოცავს ეს ხალხი, მაგან დახოცა. გარდა ამისა, ის ბიჭები რომ ომში ჩაიცხრილნენ, არ იყო ეს საომარი რიტორიკა? ბათუ ქუთელიამ არ განაცხადა პირდაპირ ეთერში, რუსების ჟანგიანი ტანკების არ გვეშინია და, თუ მოვინდომეთ, ჩვენი ტანკებით კრემლამდე ჩავალთო? ეს არაა ომის პროპაგანდა? ომის შემდეგ რომ გამოვიდა პატივცემული პრეზიდენტი მოწოდებით, მთელი საქართველო უნდა შეიარაღდეს, ქალებიც და ბავშვებიცო, ეს ომის პროპაგანდა არა იყო? ამიტომ იგივე ბედი უნდა გეწიოს, რაც ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტებს. ამ ორ პარტიას შორის ძალიან დიდი მსგავსებაა (სახელებით ხომ ჰგვანან და ჰგვანან).

როგორც კი მოვიდა ჰიტლერი ხელისუფლებაში, მაშინვე დახურა პრესა. ქართველმა ნაცისტებმა კი მთლიანად გააკონტროლეს მედიასივრცე. ჰიტლერმა შექმნა გესტაპო, სააკაშვილმა — სოდი და კუდი. ეს ხალხი არაფერში არაა შეზღუდული, რასაც უნდა, იმას აკეთებენ. ჰიტლერის მთავარი პრინციპი იყო თანამდებობაზე მხოლოდ პოლიტიკური ნიშნით დანიშვნა. აქაც — თუ ნაციონალი ხარ, ყველგან გზა ხსნილი გაქვს. უბრალო სოფლის სკოლაში ხუთი მოსწავლე რომ ჰყავთ, მასწავლებლად ვერ დაინიშნები, თუ ნაციონალი არ ხარ. ერთი მუჭა ნაციონალები, რომლებსაც ვერ გაურკვევიათ, რა პოლიტიკური ორიენტაციის არიან, საით მიდიან და საით მიჰყავთ ქვეყანა, უნდა წავიდნენ.

**— თქვენც აღნიშნეთ, რომ ხელისუფლება ყველაფერს აკონტროლებს. ასეთ სიტუაციაში სასამართლო მიიღებს თქვენს სასარგებლოდ გადაწყვეტილებას?**

— საკონსტიტუციო სასამართლო ამ სარჩელს მიიღებს, მაგრამ დასაშვებად არ ცნობს. და თუ დასაშვებად ცნო, სააკაშვილს ვურჩევ, საუკეთესო ადვოკატები დაიქირაოს, მათ შორის, მისი საყვარელი ამერიკელი ადვოკატებიც. მე თვითონ გამოვალ პროცესზე და გავაცამტვერებ იმ ადვოკატებს, მიწასთან გავასწორებ. ერთ საპირისპირო არგუმენტსაც ვერ მოიყვანენ. თუ პროცესს არ ჩაატარებს, სტრასბურგის სასამართლოში გავასაჩივრებ.

საქართველოში ამ პარტიის აკრძალვას მივაღწევ. თვითონ პარტიის სახელიც კი მოპარულია. გურამ შარაძის იდეა იყო. საწყალი ყვიროდა ამ სახელის წართმევის გამო და ტვინგახვრეტილი დააგდეს ძირს. აი, ამ პარტიის ნამოღვაწარი.

**— კონკრეტულად რა ფაქტები იქნება სარჩელში მოყვანილი?**

— უამრავი არგუმენტია. ავიღოთ თუნდაც ქონების ჩამორთმევა, ძალადობით არ მოხდა ეს ყველაფერი? ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ირაკლი შანიძეს ვიცავდი, რომელსაც 30 წელი მიუსაჯეს დაუმსახურებლად. ამ მთავრობის ყველაზე დიქტატორული გამოხდომები, ალბათ, ყველაზე მეტად ადვოკატებმა ვიგრძენით, რადგან უშუალოდ მოგვიწია კონტაქტი უკანონო და პოლიტიკურ პატიმრებთან. ამ მთავრობამ რომ მითხრას, გათენდაო, შესამოწმებლად ფანჯარაში გავიხედავ, იმდენად არ მჯერა მათი. ჩვენ ვივლით იმ გზით, რომელი გზითაც სააკაშვილს ნაგვის ყუთში მოვისვრით.

**— სარჩელი მზად როდის იქნება?**

— მხოლოდ რამდენიმე ფაქტის დაზუსტებას ველოდებით.

ჩვენი პარტია სულ ახლახან ჩამოყალიბდა და უკვე მნიშვნელოვანი თემები წამოვწიეთ, „პოლიტიკური ანანისტებისაგან“ განსხვავებით, რომლებიც დღე და ღამ ეთერში არიან და არაფრის აზრზე არ არიან. მე მაქვს გეგმა, როგორ შეიძლება კონსტიტუციური გზით ამ ხელისუფლების სახლში გაშვება; სახლში არა, ცოტა სხვაგან. სააკაშვილი დღეს სერიოზული პრობლემის წინაშე დგას — მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დაისვა. შეიძლება ნარკოტიკი ჩაუდო ვინმეს, მაგრამ ქრთამის ჩადება გაგიგიათ? სააკაშვილის პრეზიდენტობისას ქრთამის ჩადების უამრავი ფაქტი არსებობს. გაივსო ციხეები. ერთ საწოლზე რვა კაცს ძინავს.

მან იმდენი ადამიანი გაამწარა, ამერიკაშიც რომ იცხოვროს, შეიძლება, ქუჩაში წამოეწიოს ვინმე და ქვით გაუჩეჩქოს თავი.

ჰიტლერი ამბობდა: ყველაფერს გაპატიებს ხალხი, ერთი რამის გარდა, ხალხს უნდა მისცე სასამართლო. უნდა არსებობდეს კუნძული, სადაც მიხვალ და, მინისტრი და გლეხი ერთმანეთს თუ ედავება, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს მათი სიმართლე. სააკაშვილმა ჰიტლერს ამაშიც გადააჭარბა. ამის პატიებას თუ ვინმე აპირებს, ღმერთმა ხელი მოუმართოს, მე კი ამის სურვილი ნამდვილად არ მაქვს.

ესაუბრნენ
**ლილი მიროტაძე
და თეო ტაბატაძე**

## მოკლედ



### ბრაუნმა ერაყის ომი გაამართლა

ბრიტანეთის მთავრობის მეთაურმა გორდონ ბრაუნმა ჩვენება მისცა ბრიტანეთის ჯარის ერაყში შეჭრის ვითარებათა შემსწავლელ კომისიას და განაცხადა, რომ საომარი კამპანიის დაწყება სწორი გადაწყვეტილება იყო, თუმცა „ომის მოგებას შვიდი დღე დასჭირდა, რეგიონში მშვიდობის დამყარებას კი — შვიდი წელი“. მანამდე ბრიტანეთის ექსპრემიერმა ტონი ბლერმა იმავე კომისიას დაახლოებით იგივე უთხრა და განაცხადა, რომ სადამ ჰუსეინის განადგურების შემდეგ მსოფლიო გაცილებით უსაფრთხო გახდა.



### ნატოს უფლებამოსილება იზრდება

ავღანეთში კოალიციის ძალების მეთაურს — გენერალ სტენლი მაკკრისტალს ნატოს ჯარების ხელმძღვანელობის საქმეში უფლებამოსილება გაუზარდეს. მაკკრისტალის პირდაპირ დაქვემდებარებაში გადავიდა ავღანეთში კოალიციის ძალთა მთელი დაჯგუფება ციხის დაცვისა და ზოგიერთი სპეცდანიშნულების ქვედანაყოფის გარდა.

მაკკრისტალის არც ერთ წინამორბედს ამხელა უფლებამოსილება არ ჰქონია. მისი უფლებამოსილების გაზრდა ავღანეთში ამერიკული ჯარის შემადგენლობის გაზრდას დაემთხვა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# წინასაარჩევნოდ გამრავლებული ქართველი ერი

**არჩევნებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება და ხელისუფლებამ რატომღაც „სამართლიანი არჩევნების" ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი — საარჩევნო სიების შემოწმება ბოლოსთვის შემოინახა და ეს საკითხი მთლიანად ოპოზიციას მიანდო. პარტიებმა შემოწმებული სიები 31 მარტამდე უნდა წარმოადგინონ. ერთი შეხედვით, ეს ხელისუფლების დემოკრატიული ნაბიჯია, მაგრამ მხოლოდ მის კეთილ ნებად არ ჩაითვლება. ამის მიზეზი ის წნეხია, რომელიც ხელისუფლებაზე საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების მხრიდან არსებობს, ასევე, — პოლიტიკური ოპოზიციიდან და ჩვენი საზოგადოებიდან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს მორიგი პიარკამპანიის ნაწილიცაა.**



**ძველი და ახალი სიების შედარებით გაირკვა, რომ... ახლა საქართველოში 3 500 000 ამომრჩეველია. ამ მონაცემებს თუ ვენდობით, საქართველოს მოსახლეობა 6 მილიონს აღწევს, რადგან ელექტორატი, სტატისტიკურად, მცხოვრებთა 75 პროცენტია.**

მონიტორინგში ჩართვის სურვილი თორმეტმა ოპოზიციურმა პარტიამ გამოთქვა, მათ შორის, აქამდე ყველაფრის მაიგნორირებელმა პარტიებმაც ახლა ფულს მოკრა ყური და რიგიც დადგა... პრეტენზიებიც გაჩნდა. უკმაყოფილება ოპოზიციურ პარტიებში მათთვის გამოყოფილმა არასაკმარისმა თანხამაც გამოიწვია, რომელიც მთლიანობაში 1 200 000 ლარს შეადგენს. თითოეულ პარტიას აქედან მხოლოდ 100 000 ხვდება წილად.

თანხა, რაც მონიტორინგისთვის გამოიყო, სამართლიანად ეცოტავებათ ოპოზიციურ პარტიებს: მხოლოდ თბილისში 720 საარჩევნო უბანია, რომელზეც დაახლოებით 1500 ამომრჩეველია რეგისტრირებული. პარტიამ რომ „კარდაკარის" პრინციპით 1500 ამომრჩეველი შეამოწმოს, დაახლოებით 500 ათასი ლარი მაინც დასჭირდება. ქამრები ძალიანაც რომ შემოიჭირონ, 300 ათასი მაინც დასჭირდებათ. ეს ყველაფერი კი იმას გვაფიქრებინებს, რომ ხელისუფლებას არ უნდა, სიები მთლიანად შემოწმდეს, რადგან კარგად იცის, რომ ამ საქმისათვის 6 მილიონამდე ლარია საჭირო.

დონორების მიერ „სამართლიანი არჩევნების" დასაფინანსებლად გამოყოფილი თანხის დიდი ნაწილი რატომღაც საერთაშორისო სპეციალისტების ჩამოყვანასა და კონსულტაციებზე დაიხარჯა. ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი — „ყბადაღებული სიების" საფუძვლიანად შემოწმება — დღესაც ეჭვქვეშ დგას.

ამ წინასაარჩევნოდ აღმოჩნდა, რომ თურმე საქართველოში დემოგრაფიული პრობლემა საერთოდ არ არსებობს; მაშინ, როცა საქართველოს შემადგენლობაში ახალგორი და ლიახვის ხეობა იურიდიულად შედიოდა, ამომრჩეველთა რაოდენობა 2 400 000-ს აღწევდა. ეს იყო 2003 წელს. ძველი და ახალი სიების შედარებით კი გაირკვა, რომ... ახლა 3 მილიონ 500 ათასია (!), ამ მონაცემებს თუ ვენდობით, საქართველოს მოსახლეობა 6 მილიონს აღწევს, რადგან ელექტორატი, სტატისტიკურად, მცხოვრებთა 75 პროცენტია.

ერთკაციანი პარტიების შთამბეჭდავი წარმატებების წყალობით არის თუ სხვა მიზეზით, ფაქტია, რომ ბოლო დროს ქვეყანაში ამომრჩევლების ზრდასთან ერთად ახალ-ახალი პარტიებიც იჩეკება. ბევრს პოლიტიკური აქტიურობა ჯერ არ დაუწყია, თუმცა მალე, ალბათ, სცენაზე გამოვა და სააკაშვილის წასვლის საქმეში საკუთარი აგურის დადებას შეეცდება.

ერთი სიტყვით, ახლა კარგი დროა პარტიების შესაქმნელად. ერთი-ორი პარტია როგორ არ უნდა „ეგდოს" კაცს სახლში, რა იცი, რაში გამოგადგეს. პატარ-პატარა პარტიები, ალბათ, იმისთვის იქმნება, რომ არჩევნებში რაღაც სარგებელი ნახონ. ზოგს ხმები უნდა, ზოგს კი გათვლა სხვა დივიდენდების მიღებაზე აქვს. სხვა რომ არაფერი, ყველამ კარგად დაინახა, რომ პატარა პარტიების თავმჯდომარეები დღეს პარლამენტში სხედან. ამან კი სხვებსაც მისცა სტიმული პარტიების შესაქმნელად. როგორც წესი, ახალი პარტიების გამოჩენა დამოკიდებულია იმაზე, რამდენი სკანდალური პიროვნება მოევლინება ქართულ პოლიტიკურ სპექტრს. საკმაოდ სკანდალურად გამოიყურება შევარდნაძისდროინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის, კობა ნარჩემაშვილის პოლიტიკურ არენაზე „გაცოცხლება". როგორც ცნობილია, მან რამდენიმე დღის წინათ ახალი პარტია „სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის" დააარსა. ყოფილ მინისტრს არც დღევანდელი მერობის კანდიდატი ნიკა ივანიშვილი ჩამორჩა, რომელიც ახალი პარტია „სახალხო დემოკრატების" თანადამაარსებლად და თავმჯდომარედაც მოგვევლინა. ბადრი პატარკაციშვილის თანამოაზრეებმა კი საკუთარი ლიდერის ჩანაფიქრის განხორციელება ახლა გადაწყვიტეს და სწორედ ამ მიზეზით გაამართლეს ახალი პარტიის „გამარჯვებისათვის" შექმნა. „პარტიის შექმნა ბადრი პატარკაციშვილს გარდაცვალებამდე სურდა, მაგრამ ვერ მოასწრო ამ იდეის სისრულეში მოყვანა, დღეს კი მისმა თანამოაზრეებმა ეს იდეა განვახორციელეთ", განაცხადა პარტიის ლიდერმა, შალვა ხაჭაპურიძემ.

ცნობილია, რომ საქართველოში 150-ზე მეტი პარტიაა დარეგისტრირებული და მათგან აქტიური, დაახლოებით, თხუთმეტია. საინტერესოა, რას ემსახურება ამდენი ახალი პარტიის შექმნა...

პარტიები, რომლებიც წინასაარჩევნო მონიტორინგშია ჩართული, უკვე დაიწყო მუშაობა და პირველი შედეგებიც გამოაქვეყნეს. მათი აზრით, გამოყოფილი თანხისა და დროის ფარგლებშიც შეიძლება მნიშვნელოვანი დარღვევების აღმოჩენა, მაგრამ, ამასთან, პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ სიებზე იღებენ, რომელთა შემოწმებასაც მოასწრებენ.

ლეიბორისტებს წარმოუდგენლად მიაჩნდათ ამ მასშტაბის სამუშაოს ასე მოკლე დროში შესრულება და, რაც მთავარია, არ სურთ პასუხისმგებლობის აღება უშედეგო საქმიანობაზე. პარტიამ ხელისუფლების ამგვარ შეთავაზებას „წინასწარ დაგეგმილი გაყალბებული არჩევნების კარგად შეფუთული მენეჯმენტი" უწოდა და საერთოდ უარი განაცხადა მასში მონაწილეობაზე.

ერთი შეხედვით, ლეიბორისტების ეჭვი უნდა გაექარწყლებინა ცესკოს თავმჯდომარის — ზურაბ ხარატიშვილის განცხადებას, რომ ოპოზიციის მიერ მოძიებული ყველა დარღვევა გამოსწორდებოდა, არჩევნები გამჭვირვალე და საჯარო გახდებოდა. თუმცა ერთმა კონკრეტულმა ფაქტმა საერთოდ მონიტორინგის მიზანი ეჭვქვეშ დააყენა. როდესაც „მრეწველებმა" დარღვევის კონკრეტული ფაქტები წარადგინეს, ცესკომ, საკითხის გარკვევის ნაცვლად, თავის მართლება დაიწყო. საუბარი იყო ვარკეთილის მე-3 მიკრო რაიონის მე-4 კვარტლის 18 არარსებულ კორპუსზე. ცესკოს განმარტებით, ეს კორპუსები არსებობს, ოღონდ სხვა მისამართებით. „მრეწველებმა" ასევე აღმოაჩინეს სახლები, რომლის სამოთახიან ბინაში 30-40 კაცია ჩაწერილი. როცა ამ ადამიანების ვინაობის გარკვევა სცადეს, აღმოჩნდა, რომ მათ შესახებ არანაირი ინფორმაცია არ არსებობს. „მრეწველებმა" ცესკოს ამ გვარების სიებიდან ამოღებაც მოსთხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს. ცესკო ამ ხალხის სიებიდან ამოღებას მათთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების წართმევად მიიჩნევს. ალბათ, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება იმის შემოწმება, ეს არარსებული მისამართის მქონე ამომრჩევლები სად და როდის მივლენ ხმის მისაცემად.

ზურაბ ტყემალაძის განმარტებით, სიების შერჩევითი შემოწმების სურათი თბილისის ისნის, სამგორის, საბურთალოს, დიდუბისა და ვაკის რაიონებში ასეთია:

„ჩვენი მონაცემებით, არის მთელი რიგი კორპუსები, რომლებიც არ არსებობს ბუნებაში. ეს კორპუსები რეგისტრირებულია სიებში და მასში მცხოვრებლებიც რეგისტრირებულნი არიან. არის ბინები, 2-3 ოთახიანი ბინები, სადაც რეგისტრირებულია 30-მდე ადამიანი თითო ბინაში. ეს მასობრივი შემთხვევებია. არის ქუჩა, რომელიც დღესდღეობით არ არსებობს. ბარნოვის ქუჩის ნაწილი მრგვალი ბაღის იქით უკვე აბაშიძის ქუჩაა, მაგრამ დღეს სიებში ორივეა რეგისტრირებული, ანუ მრგვალი ბაღის იქით რეგისტრირებულია როგორც ბარნოვის ქუჩა, ცალკე, და რეგისტრირებულია როგორც აბაშიძის ქუჩაც, ცალკე."

არარსებული მისამართები, არარსებული კორპუსები, ეგრეთ წოდებული მიწერილები, გარდაცვლილები, პატიმრობაში მყოფნი, საზღვარგარეთ მყოფნი და ასე შემდეგ — ესაა დარღვევათა ძირითადი კატეგორიები. „რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი, თინა ხიდაშელი კი ყურადღებას ერთ კონკრეტულ გარემოებაზე ამახვილებს. მისი ინფორმაციით, მიმდინარე წლის 9-დან 12 თებერვლამდე, მონიტორინგის შედეგად, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სიიდან 7 000 ადამიანი ამოიღო. ვინ უზრუნველყო ამ 7 000 მოქალაქის მონაწილეობა 2008 წლის არჩევნებში გაყალბებული სარეგისტრაციო მონაცემების საფუძველზე? ამ და სხვა დარღვევების შესწავლის მოთხოვნით რესპუბლიკური პარტია საქართველოს მთავარ პროკურორს მიმართავს.

„ალიანსი საქართველოსათვის" თანათავმჯდომარის — სოზარ სუბარის აზრით, ხელისუფლება უკვე შეუდგა ინოვაციური სქემების შემუშავებას თვითმმართველობის არჩევნების გასაყალბებლად. მისი ინფორმაციით, ხელისუფლება თბილისის მერისა და საკრებულოს არჩევნების გაყალბებას შემდეგი გზით გეგმავს: რაიონებში მოქმედი „ნაციონალური მოძრაობის" ხელფასიან კოორდინატორებს თბილისის კოორდინატორების მეშვეობით დედაქალაქის სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები მოქალაქეების რეგისტრირება დაევალებათ. ამ გზით თბილისის თითოეულ საარჩევნო უბანზე, დაახლოებით, 70-დან 100-მდე ამომრჩევლი უნდა დარეგისტრირდეს, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატის სასარგებლოდ მისცემენ ხმას. თუ გავითვალისწინებთ, რომ თბილისში 750-მდე საარჩევნო უბანია, ეს, დაახლოებით, 75 ათას არათბილისელ ამომრჩეველს ნიშნავს.

„შესაძლებელია, პრობლემა თვითონ იმ მოქალაქეებსაც შეექმნათ, რომლებიც ამ საქმეში ჩაერთვებიან. გვაქვს ინფორმაცია, რომ არა მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებს, არამედ კუდ-ის თანამშრომლებსაც აქვთ მიღებული დავალება, დედაქალაქში თითოეულმა ოც-ოცი ადამიანი დაარეგისტრიროს", — აღნიშნა სუბარმა. საინტერესოა, რამდენი თანამშრომელი ჰყავს კუდ-ს და რამდენი 20 ხმა უნდა ვივარაუდოთ მათ ანგარიშზე?!

ზურაბ ნოღაიდელი კი, რომელიც ფიქრობს, რომ ხელისუფლებას ყველაზე კარგად იცნობს, თვლის, რომ ხელისუფლება ვერაგულად მოიქცევა და ყველანაირად ეცდება, საარჩევნო სისტემა და პროცესი თავის ინტერესებს მოარგოს; თავად კი აპირებს, ყველაფერი გააკეთოს თითოეული ხმის დასაცავად და, ხელისუფლების მხრიდან თავხედური გაყალბების შემთხვევაში, აჯანყებასა და რევოლუციასაც არ გამორიცხავს.

ოპოზიციური პარტიების ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლება სიების გაყალბებას ყველაზე მეტად დიდ ქალაქებში ეცდება, რადგან სოფლებში სიის ხელოვნურად გაბერვა ძნელია, ყველა ერთმანეთს იცნობს, სიებში უცხო ადამიანის ჩასმა კი ყველასთვის თვალშისაცემია. აქედან გამომდინარე, ოპოზიციური პარტიები აპირებენ, ძირითადი ყურადღება სწორედ დიდ ქალაქებს დაუთმონ.

**ლილი მიროტაძე**
**თეო ტაბატაძე**

**P.S.** წინასწარ ძნელი სათქმელია, გაყალბდება თუ არა არჩევნები. ეს ერთგვარი პოლიტიკური ტესტია ხელისუფლებისთვის, რომლის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, სავარაუდოდ, ოპოზიციისთვის უფრო კარგი ამინდი შეიქმნება. სჯობს, დაველოდოთ არჩევნების შედეგებს. საინტერესოა, არჩევნები იგივე სიუჟეტით წარიმართება თუ ხელისუფლება რაიმე ახალ ტრიუკს შემოგვთავაზებს.

# მიშკარიოტელი მონსტრამართლეები

**პიროვნებები, რომელთა შესახებაც ქვემოთ გიამბობთ, საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, ალბათ, უცნობია, თუმცა მათ „საგმირო საქმეებზე“, დარწმუნებული ვარ, მეტ-ნაკლებად ყველას სმენია. დიახ, ლაპარაკია ჩვენს „სახელოვან“ მოსამართლეებზე, რომელთა იგავმიუწვდომელ „გმირობებზეც“ უკვე ლამის ლეგენდები დადის და რომელთაც, სწორედ ამ „გმირობების“ წყალობით, კარგა ხანია, საზოგადოებისგანაც ნაირგვარი იარლიყები „აირტყეს“... ვინ არიან ეს ადამიანები, ვისი მითითებით გამოაქვთ განაჩენი და კონკრეტულად რა „საგმირო საქმეები“ აქვთ გაკეთებული — ამის შესახებ დეტალურად არასამთავრობო ორგანიზაცია „მოძრაობა 7 ნოემბრის“ ერთ-ერთი ლიდერი ჯაბა ჯიშკარიანი გვესაუბრება:**



გიორგი ჩემია | ჯემალ კოპალიანი | ეკა გაბრიჭიძე
მაია თეთრაული | ზვიად ესებუა | დავით ჯუღელი
ნათია ჯორბენაძე | გიორგი ტყავაძე | ეკა ტყეშელაშვილი

— არა მგონია, საზოგადოებას სჭირდებოდეს იმის შეხსენება, რომ დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში სასამართლო და სამართალი არ არსებობს, მაგრამ ვფიქრობ, ხალხმა იმ ადამიანების სახელებიც უნდა იცოდეს, რომელთაც მოსამართლეები ჰქვიათ და განაჩენი ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ნება-სურვილის მიხედვით გამოაქვთ.

**გიორგი ჩემია** მოსამართლეა, რომელმაც მხოლოდ საზოგადოების აქტიური ჩარევისა და საპროტესტო გამოსვლების შემდეგ დააკმაყოფილა სანდრო გირგვლიანის ოჯახის ადვოკატების შუამდგომლობა, — დაეკითხათ ოლეგ მელნიკოვი, თაკო სალაყაია, ვასილ სანოძე და გურამ დონაძე; რომელმაც, რაც ყველაზე შემაშფოთებელი იყო, არ გაითვალისწინა ფაქტის უშუალო თვითმხილველის, მოწმე ლევან ბუხაიძის ჩვენება, რომელმაც სასამართლო პროცესზე ამოიცნო ოლეგ მელნიკოვი და განაცხადა, რომ სწორედ მან მიაყენა სასიკვდილო ჭრილობები სანდრო გირგვლიანს.

მეტიც, გიორგი ჩემია დარბაზიდან აძევებდა საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებს, რათა მათ გარეთ არ გაეტანათ ამბავი, თუ რა ხდებოდა სასამართლო პროცესზე; ყველანაირად ცდილობდა, რაც შეიძლება ჩუმად, ზედმეტი ხმაურის გარეშე გამოეტანათ ის განაჩენი, რომელიც ხელისუფლებას, უშუალოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს აწყობდა.

ეს სასამართლო თავიდან ბოლომდე იყო მიკერძოებული — მოსამართლით დაწყებული, მისი თანაშემწითა და პროკურორით დამთავრებული, ყველა მათგანის ყურადღება ტელეფონისკენ იყო მიპყრობილი, ამიტომ ხშირად აცხადებდნენ შესვენებებს, ტელეფონით ღებულობდნენ ბრძანებებს, როგორ მოქცეულიყვნენ.

**ჯემალ კოპალიანი** – ეს არის ყველასთვის ცნობილი და, უკაცრავად, ყველაზე ნაძირალა მოსამართლე, რომელმაც, ასევე, არ გაითვალისწინა შუამდგომლობა და არ დაკითხა თვრამეტი წლის ამირან (ბუტა) რობაქიძის მკვლელობის უშუალო მოწმეები, გურამ დონაძე, თბილისის საპატრულო პოლიციის მაშინდელი უფროსი თენგიზ მიქაძე და სხვა, თანამდებობის პირები, რომლებმაც ეს საქმე გააყალბეს.

ცნობილია, რომ მკვლელობიდან დაახლოებით თხუთმეტ წუთში თენგიზ მიქაძის ბრძანებით ვაკის პოლიციიდან მოიტანეს იარაღი, რომელიც ბუტასთან ერთად მყოფ ოთხ ახალგაზრდას ჩაუდეს. შემდეგ კი შეადგინეს დანაშაულის ოქმი, რომლის თანახმადაც ბუტა და მისი მეგობრები სამართალდამცავებს ვითომ წინააღმდეგობას უწევდნენ, რის გამოც ეს უკანასკნელნი იძულებული გახდნენ, იარაღის გამოყენებით მოეხდინათ „დანაშაულებრივი ჯგუფის“ ერთ-ერთი წევრის — ბუტა რობაქიძის ლიკვიდაცია.

ეს ყველაფერი არც მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა გაითვალისწინა; მეტიც, იგი, ჩემიას მსგავსად, დარბაზიდან აძევებდა ადამიანებს, ზოგს, ვითომ წესრიგის დარღვევისთვის, ხან ასი, ხანაც ორასი ლარით აჯარიმებდა. მან, ასევე, დარბაზიდან გააძევა ბუტა რობაქიძის დედა ია მეტრეველი იმ მიზეზით, რომ, როცა „ექვმიტანილი“ ბაშალეიშვილი ყვებოდა, თუ როგორ ესროლა მან ბუტა რობაქიძეს, ქალბატონმა იამ ვერ მოითმინა და ტირილით უპასუხა: „თქვე ნაძირლებო, ერთადერთი შვილი როგორ მომიკალითო!“

**ეკა გაბრიჭიძე** გახლავთ მოსამართლე, რომელმაც გიორგი გამცემლიძის მკვლელი პატრულის თანამშრომელი, იმის მიუხედავად, რომ მან ვერანაირი მტკიცებულება ვერ წარმოადგინა, რომ გიორგი გამცემლიძემ მას წინააღმდეგობა გაუწია, საპროცესო შეთანხმებით, ორმოცი ათასი ლარის გადახდის შემდეგ გაათავისუფლა.

## საქართველოს სახელით?

ამის შემდეგ გამცემლიძის ოჯახმა განაჩენი გაასაჩივრა, თუმცა მეორე ინსტანციაშიც მოსამართლე **მაია თეთრაულმა** არ გაითვალისწინა ის, რომ ბრალდებულს გამამართლებელი მტკიცებულებები არ ჰქონდა და განაჩენი ძალაში დატოვა.

ვერც მოსამართლე **მაია ივანიძე** აღმოჩნდა სხეულის განზრახ დაზიანებისთვის დაპატიმრებული თოთხმეტი წლის გიორგი ზერეკიძის საქმის ობიექტურად შემფასებელი სააპელაციო სასამართლოში. არც მან გაითვალისწინა შუამდგომლობები და განაჩენი – ათი წლით თავისუფლების აღკვეთა — ძალაში დატოვა.

მეტსაც გეტყვით, ეს იყო პირადად სააკაშვილის ახირება, ეს ბავშვი რომ უმკაცრესად, სხვებისთვის სამაგალითოდ დაესაჯათ, ხოლო თვითონ თავი წარმოეჩინა კანონის ზედმიწევნით დამცველ მმართველად და არა — დამნაშავეთა მიმართ შემწყნარებლად.

**ზვიად ესებუა** 2009 წლის 28 მაისს ფურცელაძის ქუჩაზე მომიტინგეთა დარბევის დროს დაკავებული შალვა გოგინაშვილისა და ლევან ლოლიაშვილის მოსამართლე გახლდათ, რომელმაც ერთადერთი „მოწმის“, ირაკლი ანდრონიკაშვილის ჩვენების საფუძველზე, რომელიც ამტკიცებს, რომ შალვა გოგინაშვილმა დანით დაჭრა კუდის ერთ-ერთი თანამშრომელი, რაც არანაირად არ დასტურდება, ორივე დაკავებულს გამოუტანა უსამართლო განაჩენი: შალვა გოგინაშვილს — თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა — ლევან ლოლიაშვილს.

ექიმი **ირაკლი ანდრონიკაშვილი** არის „ნაცმოძრაობის“ ერთ-ერთი ზონდერი. იგი ცხოვრობს მაჩაბლის ქ.№12-ში და 9 აპრილს მონაწილეობდა მომიტინგეთა დარბევაში; ახლახან, არჩევნების დროს, უკრაინაშიც იმყოფებოდა, სადაც ხულიგნობისთვის დააკავეს, კონკრეტულად ყუთის დამტვრევის ბრალდებით და ერთი კვირაა, რაც გაათავისუფლეს.

**დავით ჯუღელი,** ლევან გოგიჩაიშვილის მოსამართლე, არის ადამიანი, რომელიც მთელი პროცესის განმავლობაში თამაშობდა „კეთილი ბიჭის“ როლს და შემდეგ კი არ დააკმაყოფილა არც ერთი შუამდგომლობა, არ დაკითხა ის პირები, რომლებიც დაამტკიცებდნენ ლევან გოგიჩაიშვილის უდანაშაულობას.

სააპელაციო სასამართლოში კი ლევან გოგიჩაიშვილის მოსამართლე იყო **მარინა სოლუაშვილი**, რომელსაც არაფერი შეუცვლია და თვალდახუჭული ენდო პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს განაჩენს.

**გიორგი ტყავაძე, დიმიტრი გვრიტიშვილი, სერგო მეთოფიშვილი** — ესენი არიან ჩემი, დაჩი ცაგურიასა და ირაკლი კორძაიას მოსამართლეები. ჩვენ დაგვაკავეს 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს, ბუტა რობაქიძის მკვლელობის ხუთი წლისა და „ვარდების რევოლუციის“ ექვსი წლის თავზე; ბრალად გვედებოდა პოლიციელებისთვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება. სინამდვილეში ჩვენ, უბრალოდ, ვიდექით პარლამენტის წინ და ველოდებოდით ტელეკომპანია „კავკასიის“ გადამღებ ჯგუფს, რათა შემდეგ წავსულიყავით და გაგვეპროტესტებინა პრეზიდენტად წოდებული სააკაშვილის მისვლა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რაც ვიდეოკადრებშიც კარგად ჩანდა, მაგრამ მოსამართლეებმა: გვრიტიშვილმა, ტყავაძემ და მეთოფიშვილმა არ გაითვალისწინეს ჩვენი ადვოკატების შუამდგომლობა, რომ ენახათ ეს კადრები; მეტიც, სამივე მოსამართლეს განაჩენში უწერია, რომ ჩვენ დაკავების მომენტში პარლამენტის შენობიდან ვიმყოფებოდით ოცდახუთ-ოცდაათ მეტრში და ამით დავარღვიეთ კანონი, მაშინ, როცა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული დაწესებულებების შენობებთან აქციის გამართვა ოც მეტრში იკრძალება. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს, რომ ამ ადამიანებმა, მოსამართლეებმა, თვითონ არ იციან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და ამავე დროს არიან ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის წევრები.

**ეკა ტყეშელაშვილი** ყველასთვის ცნობილი მოსამართლეა. მისი დაჟინებული მოთხოვნით გიგა ბოკერიამ პარლამენტში გაიტანა და დაამტკიცა კანონი სასამართლო პროცესებზე მასმედიის აკრძალვის შესახებ.

მოსამართლე **ნათია ჯორბენაძემ** 15 ივნისს პოლიციის სამმართველოსთან მომხდარი დარბევის დროს დაკავებული ოცი მანიფესტანტიდან ზოგს ერთთვიანი პატიმრობა მიუსაჯა, ზოგს კი ხუთასლარიანი ჯარიმა დააკისრა. ზოგი პროცესი საერთოდ დახურა, ისე, რომ არანაირი არგუმენტი (თუ რა მიზეზით დახურა, რატომ არ უშვებდა პროცესზე დაკავებულთა ოჯახის წევრებს, მეგობრებს) მისგან არ მოგვისმენია და ასე უსამართლოდ, კანონის გვერდის ავლით გაამწესა ეს ბავშვები ერთი თვით ციხეში. თუმცა არც ეს იკმარა და, როცა დაკავებულები ითხოვდნენ, რომ მიეცათ ადვოკატებთან, ოჯახის წევრებთან დარეკვის საშუალება, ის მათ დასცინოდა და ცდილობდა, რაც შეიძლება დამამცირებლად, ცინიკურად მოქცეოდა თითოეულ მათგანს...

სწორედ ამ ვაიმოსამართლეების ხელშია დღეს ჩვენი სასამართლო, რაც თავისთავად სამწუხარო რეალობაა, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია, გითხრათ, რომ, ადრე თუ გვიან, დადგება დრო და ჩვენ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ყველა ეს მოსამართლეები, მათი ხელშემწყობი პირები მიეცენ პასუხისგებაში და, როგორც დამნაშავეები, დაისაჯონ კანონის სრული სიმკაცრით! ეს აუცილებლად მოხდება, ვინაიდან, თუ ჩვენ გვინდა დემოკრატიის განვითარება, თუ გვინდა, რომ ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსოს, ყველა სხვა მოსამართლემ უნდა იცოდეს, რომ მათ მიერ გაყალბებული არც ერთი განაჩენი, არც ერთი უკანონო ქმედება გამოუძიებელი და დაუსჯელი არ დარჩება.

ესაუბრა
**ჯაბა ჭვანია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ვლადიმერ ვახანია: ასეთი უკანონობა ვერც კი წარმომედგინა

**ევროპარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ ეჟი ბუზეკს**
ლუქსემბურგი

**ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს, ბატონ ტორბიორნ იაგლანდს**
საფრანგეთი, სტრასბურგი

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდ პალატას**
საფრანგეთი, სტრასბურგი

**(საქმეზე №40227/09)**

## განცხადება

**(საქართველოში „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის" მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის "B" და "C" ქვეპუნქტების მოთხოვნათა დარღვევის შესახებ).**

ვარ მეცნიერი, სამართლის დოქტორი, აკადემიკოსი, 55 წლის, უკანონოდ დაპატიმრებული ჩემი პოლიტიკური შეხედულებების გამო. პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ვარ პოლიტპატიმრად აღიარებული. ჩემს ფალსიფიცირებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მოთხოვნაზე შვეიცარიელი ადვოკატის საქმეზე დაშვების შესახებ, საქართველოს მთავრობამ ამოიღო კანონმდებლობიდან ნორმა (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-5 პუნქტი), რომელიც ითვალისწინებდა უცხო ქვეყნის ადვოკატის დამცველად დაშვებას. ეს დასტურდება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილით №01/27/03მ — 1475, დათარიღებული 22.07.2009 წ. და 2009 წ. 19 ივნისს აღნიშნული ნორმის ამოღებით.

ასეთი გადაწყვეტილებით საქართველოს მთავრობამ და პარლამენტმა უხეშად დაარღვია საქართველოს კონსტიტუცია, ჩემი და, საერთოდ, ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, კერძოდ, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის" მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „B" და „C" ქვეპუნქტები, რომელთა თანახმად, ყველა ბრალდებულს (ადამიანს) აქვს უფლება:

— მიეცეს ადეკვატური დრო და საშუალება, რათა მოემზადოს დაცვისათვის;

— დაიცვას თავი პირადად ან საკუთარი არჩევით იურიდიული დახმარების მეშვეობით.

ამ ნორმებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებას სამართლებრივი დახმარების მიღებაზე ითხოვს თვით მართლმსაჯულების ინტერესები: აუცილებლად და დამოუკიდებლად საკუთარი თავის დაცვის უფლება ალტერნატივა კი არა, დამოუკიდებელი უფლებაა. ყოველ ადამიანს აქვს განუყოფელი უფლება, დაიცვას თავი ადეკვატური საშუალებით და საკუთარი არჩევით იურიდიული დახმარების მეშვეობით, მათ შორის, უცხო ქვეყნის ადვოკატის მონაწილეობით. ამ საყოველთაოდ გარანტირებული დაცვის საშუალება მე არ მომეცა. არ გააჩნია იგი როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე, საქართველოში კანონიერად მყოფ სხვა ქვეყნების მოქალაქეებსაც. ჩემი მიმართვა ამ და სხვა დარღვევებთან დაკავშირებით სასამართლომ და საქართველოს მთავარმა პროკურორმა რეაგირების გარეშე დატოვა.

საქართველოს რეპრესიული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ევროპულ საყოველთაოდ აღიარებულ ადამიანის დაცვის უფლებებს, რადგან, როგორც ჩემს, ასევე, მრავალი სხვა ფალსიფიცირებული სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით მთავრობას უჩნდება სამართლებრივი პრობლემები. მთავრობა ამით ცდილობს არსებული რეალობის დამალვას საერთაშორისო საზოგადოებისათვის. აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დარღვევა იძლევა დასაბუთებულ საფუძველს, დავასკვნათ ადამიანების პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტების არსებობა საქართველოში, რითაც უსწორდებიან პოლიტპატიმრებს და ხელისუფლებისათვის არასასურველ სხვა პირებს.

დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო თავის ტერიტორიულ ფარგლებში იძულებულს ხდის ადამიანებს, თავის დასაცავად დამცველად აიყვანოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ადვოკატები, რითაც ცალსახად ზღუდავს და არღვევს ევროპული კონვენციით გარანტირებულ დაცვის უფლებებს და, ამავე დროს, არაკეთილსინდისიერად სარგებლობს იმით, რომ ევროპული სასამართლო იხილავს საქმეებს წლების განმავლობაში, და აშკარად უკანონოდ დაპატიმრებულები უკანონოდ იხდიან სასჯელს. ამჯერად საქართველოში მე და პასუხისგებაში მიცემულ სხვა პირებს არ გაგვაჩნია სამართლებრივი საშუალება, ყველა კანონიერი მეთოდითა და საკუთარი არჩევით იურიდიული დახმარების მეშვეობით დავიცვათ ჩვენი უფლებები. საქართველოში ადამიანის დაცვის უფლება არ არის გარანტირებული.

ამრიგად, ევროსაბჭოს წევრი ქვეყნის ადვოკატის დამცველად დაშვების აკრძალვით საქართველომ, როგორც ევროსაბჭოს ხელშემკვრელმა მხარემ, აშკარად დაარღვია აღებული ვალდებულებები — „უზრუნველყოს მისი შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობა კონვენციის ნებისმიერი დებულების ეფექტიანი განხორციელებისათვის".

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპული კონვენციის 6, 30, 31, 32, 33, 34, 52, 53 მუხლების თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ მიწოდებული საკითხი ევროსაბჭოს (ევროპარლამენტის) კანონმდებლობის შესაბამისად და მიიღოთ სათანადო ზომები ჩემს საქმეზე და, პრეცედენტულად, — საქართველოზე.


საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA

№ 01/27/03-1475 22 07 200 9წ.

მოქალაქე ნანული ვახანიას
მცხ. ზუგდიდი, მარჯვენა სანაპირო №60

თქვენი ა/წლის 16 ივლისის განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ვლადიმერ ვახანიას სისხლის სამართლის საქმეზე შვეიცარიელი ადვოკატის დამცველად დაშვებას, გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეზე უცხო ქვეყნის ადვოკატის დამცველად დაშვებას. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას აღმოგიჩინოთ დახმარება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

შალვა კვინიხიძე
საერთაშორისო საჯარო სამართლის
დეპარტამენტის უფროსი

საქართველო, ქ. თბილისი, 0146, რუსთაველის გამზირი №30. ტელ.: 40-51-34, ფაქსი: 40-51-60, ელფოსტა: Intlawdep@justice.gov.ge
30 Rustaveli ave., 0146, Tbilisi, Georgia, Tel.: 40-51-34, Fax: 40-51-60, E-MAIL: Intlawdep@justice.gov.ge

**ამ საქმეს საერთაშორისო რეზონანსი მას შემდეგ მოჰყვა, რაც მეცნიერმა — დოქტორმა, პროფესორმა, აკადემიკოსმა, საზოგადო მოღვაწემ, მეცენატმა და მწერალმა ვლადიმერ ვახანიამ, რომელსაც ბრალი რუსეთის სპეცსამსახურების აგენტობაში, ჯაშუშობასა და კიდევ სხვა წვრილმანებში დასდეს, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს — ბარაკ ჰუსეინ ობამას მიმართა. წვრილმანები თქვი და, სისხლის სამართლის საქმე კი „შეუკერეს".**



დღემდე გაუგებარია, რატომ აიტკივა თავი ჩვენმა ხელისუფლებამ კიდევ ერთი უკანონო ქმედებით და კიდევ ერთი პოლიტპატიმრის მიმატებით იმ სიისთვის, რომელიც ყელში აქვს გაჩხერილი და რომლის გამოც (პოლიტპატიმრების გამო) მას სისტემატურად და მწარედ აკრიტიკებს ოპოზიცია, არასამთავრობო თუ ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციები.

რომელი ევნო აზეფი (გრემ გრინი), ვანდა ვასილევსკაია, რამონ მერკადერი, რიჰარდ ზორგე, ნიკოლაი კუზნეცოვი, კიმ ფილბი ან ნათან ეიტინგონი იყო ეს უწყინარი კაცი, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, თავისი სამშობლოს სასიკეთოდ იღვწოდა და, თუ არ ჩავთვლით მის წიგნს „Личная стратегическая разведка Сталина", სპეცსამსახურებთან სხვა რამ შეხება არ ჰქონია?

ან, იქნებ, იმ დროს, 2009 წლის მარტში, როცა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, ჯერ კიდევ არ ჰყავდათ გამოკვეთილი პოპულარული, „ცნობადი" სახეები — რუსეთის „აგენტები": ნინო ბურჯანაძე, ზურაბ ნოღაიდელი და სხვები, არადა, სჭირდებოდათ... მიადგნენ ვლადიმერ ვახანიას — რუსეთში მცხოვრებ მეცნიერს.

უხეშად და არაპროფესიულად.

აშშ პრეზიდენტისადმი გაგზავნილ წერილში ვლადიმერ ვახანია თანმიმდევრულად აღწერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სპეცსამსახურის თანამშრომლების მიერ მის მიმართ ჩადენილი უკანონო ქმედების მთავარ დეტალებს: 2008 წლის 12 ოქტომბერს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დააკავეს, მოხსნეს რეისიდან და ოფიციალური ბრალდების წაუყენებლად და არსებული საპროცესო გაფორმების გარეშე საქართველოსა და რუსეთის მოქალაქის პასპორტები ჩამოართვეს.

ვლადიმერ ვახანიას ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდა და ეს საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერით იყო დადასტურებული... მაგრამ ჩვენთან პრეზიდენტის ასეთი და უფრო მასშტაბური გადაწყვეტილებების ინტერპრეტაცია, განსაკუთრებით შესრულების პროცესში, ფრიად თავისებურად და სუბიექტურად ხდება ხოლმე.

ის, რაც თბილისის აეროპორტში ჩაიდინეს ვლადიმერ ვახანიას წინააღმდეგ, საქართველოს კონსტიტუციის უხეში და, ევროპის კონვენციის თანახმად, ადამიანის უფლებათა სერიოზული დარღვევა იყო — ერთი ქვეყნიდან მეორეში, კერძოდ კი, თბილისიდან მოსკოვში თავისუფალი გადაადგილების უკანონო შეზღუდვა. მეცნიერი თავის ცოლ-შვილთან ბრუნდებოდა მოსკოვში, სადაც ოჯახთან ერთად ცხოვრობს.

არ გაუშვეს.

ეს იყო პირველი ნიშანი, რომ მიზანში ჰყავდათ ამოღებული და პროვოკაციები მის წინააღმდეგ ამით არ დამთავრდებოდა.

მაგრამ, მოგეხსენებათ, მართალ კაცს სიფრთხილის გრძნობა შენელებული აქვს. იგი განაგრძობს თავის საქმიანობას სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ სიმართლე და სამართლიანობა ის ფარია, რომელიც მას ყოველგვარი უკანონობისგან იხსნის და დაიცავს.

ეს ერთი.

მეორე, დამნაშავის მოქმედების ლოგიკაა: თუ ზურგს უკან ყველაფერი რიგზე არ აქვს და სამართალდამცველებმა კუდზე ფეხი დააჭირეს, იგი ცდილობს, „ფსკერზე დაწვეს", მოერიდოს საზოგადოებაში ტრიალს, მოკლედ, შეწყვიტოს ყოველგვარი აქტიური მოქმედება.

ვახანიას ამის არ ეშინოდა.

აქედან გამომდინარე, იგი განაგრძობს საკუთარი პროგრამის განსახორციელებლად პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას, მაგრამ...

პრეზიდენტ ობამასადმი გაგზავნილ წერილში ვლადიმერ ვახანია აღნიშნავს:

„პოლიტიკური პარტიის შექმნის ინიციატივითა და 2009 წლის 11 მარტს მოქალაქეთა ყრილობაზე მისი პროგრამის პრეზენტაციის თაობაზე ჩემი გამოსვლების შემდეგ, იმავე დღეს ჩემს მიმართ აღიძრა შეთითხნილი სისხლის სამართლის საქმე, ვითომდა ჟურნალისტური საქმიანობისადმი ხელის შეშლისათვის ჩემივე 2009 წლის 13 თებერვლის ინტერვიუსთან დაკავშირებით. ხოლო 2009 წლის 15 მარტს ყოველგვარი აუცილებლობის გარეშე, ორდერისა და სასამართლო გადაწყვეტილების უქონლად, პოლიცია და სპეცდანიშნულების მრავალრიცხოვანი შეიარაღებული რაზმი სროლით შემოიჭრა ჩემს მამისეულ სახლში ქ. ზუგდიდში, მომაყენეს მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფა, ბორკილდადებული დამაწვინეს იატაკზე, ჩაატარეს უკანონო ჩხრეკა და „აღმოაჩინეს" მათ მიერვე შემოგდებული ცეცხლსასროლი იარაღი — კალაშნიკოვის ავტომატი (1947 წელს დამზადებული) და 2 ხელყუმბარა, რომლებიც თითქოს ჩემს საძინებელში, საწოლში მქონდა დამალული".

უკვე მეორედ ვიმოწმებ ბარაკ ობამასადმი გაგზავნილ წერილს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვლადიმერ ვახანიამ უგულებლყო საქართველოს ხელისუფლება, არაფრად მიიჩნია და პირდაპირ უცხოეთს მიმართა მხარდასაჭერად.

არა.

თვეების მანძილზე, მისი დარღვეული უფლებების აღდგენის მიზნით, მან არაერთგზის მიმართა საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს, გენერალურ პროკურორს, სახალხო დამცველ სოზარ სუბარს, საქართველოს პარლამენტს, საგარეო საქმეთა სამინისტროს. მაგრამ „შეაყარე კედელს ცერცვი"!

ძნელი იყო საკუთარი ქვეყნის ხელისუფლების სამართლიანობასა და დემოკრატიულობაში იმედგაცრუება, მაგრამ სწორედ სახელისუფლო სტრუქტურების ქმედებამ გაუტეხა გული და აიძულა, სამართალი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ეძებნა.

სწორედ ამიტომ გახდა იძულებული ვლადიმერ ვახანია, დაეწერა ის განცხადება, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.

მას, როგორც პროფესიონალ იურისტს, რომელსაც პროკურორად და ადვოკატად მუშაობის მდიდარი პრაქტიკა აქვს, ვერც კი წარმოედგინა, თუ მის მიმართ მისსავე სამშობლოში მსგავს უკანონობას ჩაიდენდნენ. ვერც იმას წარმოიდგენდა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან საგანგებოდ ამოიღებდნენ სისხლის სამართლის საქმეზე უცხო ქვეყნის მოქალაქის დამცველად მოწვევის უფლებას მას შემდეგ, რაც იგი ასეთი თხოვნით, კერძოდ, მის საქმეზე შვეიცარიელი ადვოკატის დაშვების თხოვნით, მიმართავდა შესაბამის ინსტანციას.

სასწრაფოდ მიღებულ ცვლილებაზე დაყრდნობით, მას ამ თხოვნაზე იუსტიციის სამინისტრომ უარით უპასუხა (ვაქვეყნებთ სამინისტროს პასუხის ასლსაც).

წაიკითხავ ამ ყველაფერს და გინდა-არგინდა გაგახსენდება ძველი ბერძენი ფილოსოფოსი, ალექსანდრე მაკედონელის აღმზრდელი არისტოტელე, რომელიც ამბობდა: „ადამიანი, რომელმაც მიაღწია სრულყოფილებას, ყველა ცხოველზე მაღლა დგას. სამაგიეროდ, იგი ყველაზე დაბლა დგას, თუ კანონებისა და სამართლიანობის გარეშე ცხოვრობს.

მართლაც, არაფერია უფრო საზარელი, ვიდრე შეიარაღებული უსამართლობა".

როცა უსამართლობა შეიარაღებულია, იქ სამართალი, როგორც ჩანს, ყოველთვის დუმს.

**არმაზ სანებლიძე**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მოხევეები შველას ითხოვენ

**ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი, სამწლიანი პაუზის შემდეგ კვლავ გაიხსნა და ქვეყანასთან, რომელთანაც საქართველოს „გონიერმა“ ხელისუფლებამ დიპლომატიური კავშირი შეწყვიტა, ასევე „გონივრულად“ აღადგინა სახმელეთო საზღვარი, საიდანაც „არც ეკონომიკურ, არც პოლიტიკურ, არც მორალურ და კიდევ არც არანაირ“ სიკეთესა და „ვიგოდას“ არ ელის. საზღვრის გახსნის ერთადერთ მოტივად მეზობელი სომხეთის ინტერესები სახელდება, რაც საქართველოს არგუმენტად ნამდვილად არ გამოადგება, ამ მიზეზის არ სჯერა ყაზბეგის რაიონის მოსახლეობასაც. მოხევეები ხელისუფლებას თავიანთი ინტერესების სრულ იგნორირებასა და მთის ხელოვნურად დაცლის მცდელობაში ადანაშაულებენ. ამიტომ, როდესაც თრუსოს ხეობის „ოსურ წარმოშობასთან“ დაკავშირებით ინტენსიური განცხადებები კეთდება როგორც თვითგამოცხადებული პრეზიდენტის, კოკოითის მიერ, ასევე ჩრდილოეთ ოსეთის მმართველების მხრიდანაც, მით უფრო გასაკვირია საქართველოს ხელისუფლების ასეთი „უანგარო“ ნაბიჯი — საზღვრის გახსნა სომხების ინტერესების გათვალისწინებით. ამ ფონზე ყაზბეგის მოსახლეობას ხელისუფლების უანგარობის არ სჯერა და მას ან სრულ უგუნურებაში, ანდა სრულ ანტიქართულ პოლიტიკაში ადანაშაულებს.**

## ბენდუქიძის ინიციატივით გაუქმებული კანონი მთიანეთს დაცლის




### მოხევეთა შემოსავლის წყარო

**ყაზბეგის მოსახლეობისთვის ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ჩაკეტვა თავის დროზე მძიმე დარტყმა იყო. მოხევეები წლების მანძილზე აწყობილი საარსებო სქემისა და შემოსავლის წყაროს გარეშე დარჩნენ, თუმცა მოხევეთა უბედურება საზღვრის ჩაკეტვამდე ბევრად უფრო ადრე დაიწყო და ამ უბედურებას კახა ბენდუქიძე ერქვა.**

მოხევეებს შემოსავლის სამი ძირითადი წყარო ჰქონდათ. ეს იყო ლარსის გამშვები პუნქტის გავლით ორჯონიკიძეში სხვადასხვა სახის იმპორტისა და ექსპორტის განხორციელება. ყაზბეგის მოსახლეობა, სამხრეთ ოსეთთან მიმოსვლისას, განსაკუთრებული შეღავათით სარგებლობდა, **ის მოხევეების პასპორტს, რომლებიც ყაზბეგში იყვნენ ჩაწერილნი, საგანგებო ჩანართი ჰქონდა, რომელიც ყოველგვარი ვიზისა და დამატებითი ნებართვის გარეშე იძლეოდა საზღვრის გადაკვეთის უფლებას.**

ამის გამო ერთხანს ყაზბეგის რაიონის მოსახლეობის რაოდენობა (ჩაწერის მიხედვით) არანორმალურად გაიზარდა. შეიძლება ითქვას, რომ ყოველი მეორე ყაზბეგელი ორჯონიკიძიდან საქონლის შემოტანით ან გატანით არსებობდა, ეს არხი საქართველოს ხელისუფლების ხისტმა პოლიტიკამ გადაჭრა, რომელიც ლარსის გამშვები პუნქტის ჩაკეტვით დაგვირგვინდა და მოხევეები ფაქტის წინაშე აღმოჩნდნენ — ხელისუფლებამ მათ არსებობის სხვა ალტერნატივა არ შესთავაზა და ისინი, უბრალოდ, დაივიწყა.

დავიწყების თუ მიზანმიმართული მავნებლობის კლასიკურ ნიმუშად უფრო შემოსავლის მეორე არხის გადაკეტვა გამოდგება. ყაზბეგის რაიონში თითქმის ყველა მეორე ოჯახს კაპიტალური სათბურები ჰქონდა, ადგილობრივებს იქ ბალჩეული კულტურები მოჰყავდათ, ერთ ნაწილს თბილისში, მეორეს კი ისევ ორჯონიკიძეში ჰყიდდნენ, სათბურების შენახვის საიდუმლო კი „მთის კანონი“ იყო, რომელიც შევარდნაძის პერიოდში მიიღეს და იგი მაღალმთიანი რეგიონებისთვის განსაკუთრებული შეღავათების დაწესებას ითვალისწინებდა, მათ შორის, ბუნებრივი აირის ულიმიტო-უსასყიდლო მიწოდებასაც. **რეგიონში, სადაც ზამთარი 7-8 თვე გრძელდება და ბუნების მკაცრ პირობებთან გამკლავებას ტყისა და შეშის ნაკლებობაც ართულებს, ბუნებრივი აირის უწყვეტი და უსასყიდლო მიწოდება სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო.**

თუმცა ამ ფაქტორმა ადგილობრივ მოსახლეობას სათბურების მასობრივი გაშენების შესაძლებლობაც მისცა. უფასო გაზის პირობებში იქ მოყვანილი კიტრი და პომიდორი ზამთარშიც კონკურენტულად დაბალ ფასში იყიდებოდა და ადგილობრივებისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. **ეს ყველაფერი კი მოსახლოებას შესაძლებლობას აძლევდა, მთიდან არ ჩამოსულიყვნენ. ბარში სასწავლებლად ჩასული ახალგაზრდების მთაში დაბრუნების პროცენტიც, სხვა რეგიონებთან შედარებით, მაღალი იყო.**

### „დაიცალოს მთა, ჯარს ჩავაყენებთ და ეს უფრო იაფი დაგვიჯდება“

**დაახლოებით 6 წლის წინათ, მაშინდელი სახელმწიფო მინისტრის — კახა ბენდუქიძის ინიციატივით, „მთის კანონი“ გაუქმდა. სხვა შეღავათებთან ერთად მოიხსნა შეღავათები ბუნებრივი აირის მიწოდებაზეც.**

ბენდუქიძის განცხადებით, უფასო ბუნებრივ აირს ყაზბეგელები გასათბობად კი არა, სათბურისთვის იყენებდნენ, ბენდუქიძის შეფასებით, 1 კილოგრამი კიტრის მოყვანა, სახელმწიფოს 5 ლარი უჯდებოდა და ეს „გაუმართლებელი“ იყო. **ბენდუქიძის ცნობილმა ფრაზამ „იყიდება ყველაფერი სინდისის გარდა“ მთასაც ჩამოაცილა „საქართველოს სინდისის“ სტატუსი და ისიც თხასავით გაიყიდა.**

მთიან რეგიონებს გამოუსწორებელი ზარალი მიადგა, მაშინ კახა ბენდუქიძეს აქტუალური კითხვა დაუსვევს — „მთის კანონის“ გაუქმება ხომ არ გამოიწვევდა მთის დაცლას, თუ გავითვალისწინებთ, რომ მაღალმთიანი რეგიონების დიდი უმრავლესობა სასაზღვრო რეგიონებიც არის და საზღვრის დაცვას ყველაზე ეფექტურად ზუსტად ადგილობრივი მოსახლეობა ახდენს, მაშინ მთის დაცლა საქართველოს საგარეო საფრთხეებსაც გაზრდიდა.

ამ კითხვაზე კი კახა ბენდუქიძემ გამაოგნებელი პასუხი გასცა: **არა უშავს, დაიცალოს მთა, თუ გარე საფრთხეები გაიზრდება, ჯობია, იქ საჯარისო ნაწილები ჩავაყენოთ, ეს უფრო იაფი დაუჯდება საქართველოს, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობის შენახვაო.** როგორი „იაფიც“ დაჯდა საზღვრისპირა რეგიონებიდან ადგილობრივი მოსახლეობის აყრა, სამწუხაროდ, ცხადად დავინახეთ და კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ მომავალშიც მოგვიწევს ამის ყურება.

### „კომპენსაციის მიზანი ყაზბეგის დაცლა იყო“

**მთის კანონის შედეგად ბუნებრივი აირის შეწყვეტა მოხევეებისთვის ბარში ჩასვლის საკმარის მოტივად არ მიიჩნიეს და მთის დაცლის პროცესი ახალი განკარგულებით გაამყარეს. ეს ამჯერად „ნებაყოფლობითი იძულება“ იყო.**

მთავრობამ მოხევეებს შესთავაზა, თავიანთი ხელით დაეშალათ სათბურები, კომპენსაციისთვის კი თითოეულ კვადრატულ მეტრში 300-400 დოლარი შესთავაზეს. ამ გარიგების შედეგად, სათბურის მოცულობის მიხედვით, ერთმა ოჯახმა საშუალოდ 5000-დან 10000 დოლარამდე მიიღო.

**საარსებო წყაროს გარეშე დარჩენილმა მოხევეებმა ეს თანხა სახლ-კარიდან ასაყრელად გამოიყენეს, ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის მტკიცებით, „მთის კანონის“ გაუქმებისა და სათბურების მოშლის შემდეგ, მოსახლეობის 30%-ზე მეტმა დატოვა მთა, ეს კი, ისედაც მეჩხერად დასახლებული რეგიონისთვის საგანგაშო ციფრია.**

ადგილობრივთა განცხადებით, მთაში ცხოვრება და არსებობა იმდენად გართულებულია, რომ კიდევ ბევრი აპირებს ბარად გადმოსახლებას.

### მესამე გზაც არარსებობისკენ მიდის

**ადგილობრივთა არსებობის მესამე და თითქმის უკანსაკნელ წყაროდ მესაქონლეობა რჩება. სამუშაო ადგილები და ფულადი ნიშნები ყაზბეგში ისეთივე დიდი დეფიციტია, როგორც სხვა მთიან რეგიონებში.**

შემოსავლის მესამე წყაროს — მესაქონლეობას რაც შეეხება, არც ამ მხრივ დარჩენილან ისინი ხელისუფლების დამღუპველი ყურადღების გარეშე. **საძოვრები სინდისი არ არის, მაშასადამე, მათი გაყიდვაც შეიძლებოდა; ჰოდა, გაიყიდა კიდეც და მოხევეები წლების მანძილზე სხვადასხვა ინსტანციებში, სასამართლოებსა თუ სახელმწიფო დაწესებულებებში ამაოდ ცდილობენ, გაიგონ — როგორ და რატომ მოხდა იმ საძოვრების მრავალწლიანი იჯარით გაცემა, სადაც ისინი ცხვარს აძოვებდნენ.** მათ კითხვებზე პასუხი, შესაძლოა, არსებობს კიდეც, მაგრამ მოხევეებისთვის რაიმეს ასახსნელად თავი არავის შეუწუხებია. მოხევეები დარწმუნებულნი არიან, რომ სათბურების მოშლის, სოლიდური ფულადი კომპენსაციების გაცემისა და საძოვრების არაპირდაპირი გზით წართმევის მიზანი ყაზბეგის რაიონის დაცლა იყო. მათი შეფასებით, კოდორის ხეობიდან ლარსის ხეობამდე გზა ხელისუფლების უგუნურობაზე გადის, რაც, შესაძლოა, ზუსტად ისეთივე ფატალური შედეგით დასრულდეს, როგორი შედეგითაც — 2008 წლის აგვისტოს სააკაშვილისეული ავანტიურა. ამ ფონზე კი ხელისუფლება მეზობელი სომხეთის ინტერესებსა და ლარსის საბაჟოს გახსნის უანგარობაზე მჭერმეტყველებს, რაც მოხევეების სამართლიან გამწარებასა და აგრესიას იწვევს. ამასთან, მრავალჯერადი მოთხოვნის მიუხედავად, მოხევეებისთვის არავის გაუცია პასუხი კითხვებზე, რა საფრთხეები ემუქრება ყაზბეგის რაიონს და რა მექანიზმები არსებობს მის დასაცავად.



ნინო ბერიძე

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# წიწაკის გაზი... თავდაცვისათვის

**ეს მომწამლავი გაზი პირველად I მსოფლიო ომის დროს გამოიყენეს, თუმცა ამერიკის დაპყრობის ისტორიაში ცნობილია ფაქტი, როცა 1532 წელს მდინარე ორინოკოსთან ინდიელებმა თავისებური ცრემლსადენი გაზი მოწინააღმდეგის წინააღმდეგ გამოიყენეს. მისი ძირითადი კომპონენტი წიწაკა გახლდათ.**






ახლახან ერთ-ერთმა სამხრეთაფრიკულმა ბანკმა გადაწყვიტა, თავისი ბანკომატები, მძარცველთაგან დაცვის მიზნით, წიწაკის გაზით აღჭურვოს. ჩვეულებრივ, მძარცველები ფულის ამოსაღებად, ბანკომატებს აფეთქებენ. მარტო შარშან სამხრეთ აფრიკსი რესპუბლიკაში 423 ბანკომატი ააფეთქეს.

ამჟამად Absa Bank-მა ქალაქ სარეში თავიი 11 ბანკომატი წიწაკის გაზიანი სასხურებლებით აღჭურვა და იქვე დაამონტაჟა სათვალთვალო კამერებიც. თუ მომხმარებლის ქცევაში რაიმე საეჭვოს შეამჩნევენ, მას სახეში მყისვე წიწაკის გაზი შეესხურება და სანამ გონს მოვა, პოლიციაც მიუსწრებს.

ჭიწაკის გაზი ნერვულ-პარალიტიკური არ გახლავთ, ის ლაკრიმატორია და არა ფოსფორორგანიკა: ზარინი, ზომანი, ტაბუნი და სხვ, რომლებიც სწრაფ სიკვდილს იწვევს.

ზოგიერთი ცნობით, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტებისას ასევე გამოყენებული იქნა ლაკრიმატორები, კერძოდ კი „წიწაკის გაზი."

ლაკრიმატორები (ლათ. Lacrima ცრემლი) ანუ ცრემლსადენი საშუალებები თვალების ლორწოვანის გარსის გამაღიზიანებელი მომწამლავ ნივთიერებათა ჯგუფს განეკუთვნებიან და ფატალურ შედეგს, ჩვეულებრივ, არ იწვევენ, თუმცა მოქმედების ხანგრძლივობასა და ნივთიერების კონცენტრაციასაც გააჩნია.

ოლეოროზინ კაფსიკუმი (OC) წითელი წიწაკის ყველაზე ცხარე ჯიშების ექსტრაქტია, ბუნებრივი წარმომავლობის გამაღიზიანებელი ნივთიერება, რომელიც სულ უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს როგორც თავდაცვის საშუალება. ოლეორეზინ კაფსიკუმის მოქმედ საფუძველს კაფსაცინის ალკალოიდი და მისი ანალოგები წარმოადგენს.

მისი სინონიმებია: Capsaicin, 8 მეთილ-N-ვანილილ-6-ნონეამიდი, N-8-მეთილ-6-ნონეამიდი და სხვ.

სლენგზე ეწოდება: „პოლიციელი ქილაში" — Cop-in-a-can, Sergeant Pepper;

სავაჭრო დასახელებებია Pepper Mace, First Defense, CAP Stun, BodyGuard, PepperGas, HotTM და სხვ.

ზემოქმედებს კანქვეშ არსებულ ნერვულ დაბოლოებებსა და ლორწოვან გარსზე, იწვევს ტკივილის ეფექტს, როგორც კაფსაცინის ზემოქმედებისას, მაგრამ უფრო სუსტია. 10-წამიანი ზემოქმედებისას აღიზიანებს თვალებს, იწვევს ცრემლდენას, ძლიერ ხველას, ხოლო კანზე მოხვედრისას — წვასა და ქავილს, ხანგრძლივი ზემოქმედებისას კი აწყლულებს კიდეც. გამოიყენება აეროზოლის სახით. რუსეთში „პროლეტარიატის იარაღსაც" უწოდებენ და ხშირად გამოიყენებენ ქუჩაში, როგორც მაწანწალა ძაღლების, ასევე თავდამსხმელების მოსაგერიებლადაც.

საქართველოში პოლიციის შესახებ კანონის მე-12 მუხლში კი წერია, რომ „სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის მიზნით, დანაშაულთან და საზოგადოებრივად საშიშ ქმედებებთან ბრძოლის მიზნით პოლიციას უფლება აქვს გამოიყენოს სპეციალური საშუალებები: ხელბორკილი... არალეტალური იარაღი... რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი..."

აკი გამოიყენეს კიდეც ცრემლსადენი გაზიცა და რეზინის ტყვიებიც.

სხვა საქმეა, რომ თავდაცვის საშუალებად, ქალებს, რომლებიც ქუჩებსა და სადარბაზოებში უფრო ხშირად შეიქნებიან ხოლმე მოძალადეებისა და თავდამსხმელების მსხვერპლი, სწორედაც რომ ძალიან გამოადგებოდათ „პოლიციელი ქილაში." აბა წარმოიდგინეთ, რამდენიმე თავდამსხმელი და უმწეო ქალი, რომელიც მოულოდნელად ჯიბეებიდან იღებს „წიწაკის გაზის" ბალონებს და ბოროტმოქმედებს სახეში შეასხურებს. ჟერ ერთი, რომ მოულოდნელობის ეფექტი იმოქმედებს და მეორეც: სანამ ისინი ხველა-ხველითა და ცრემლების წმენდით ორიენტაციის აღდგენასა და გონზე მოსვლას მოასწრებენ, ან ქალი მოასწრებს გაქცევას ანდა პატრული მოუსწრებს მოძალადეებს.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ აეროზოლის გამომყენებელი ისევე შეიძლება დაზარალდეს, როგორც თავდამსხმელი, ამიტომ უსაფრთხოების ზომები შეძლებისდაგვარად უნდა დაიცვას (სპრეი ჰაერში წინგაწვდილი ხელებით უნდა შეასხუროს). ჩვეულებრივ, გაზის მოქმედება 10-15 წუთში სუსტდება და თვალის გახელის საშUალებას იძლევა, მაგრამ ცრემლების ნაკადი მხედველობას ბინდავს. კიდევ 10-15 წუთში ყველა სიმპტომი ექიმის ჩარევის გარეშეც გაივლის.

# წავა, რა...

## აშშ 20 წლის განმავლობაში წუნიან B-2 ბომბდამშენებს იყენებდა

**აშშ-ის სამხედროსაჰაერო ძალების ინჟინრებმა და კომპანია Northrop Grumman-მა დაასრულეს გამოთვლები, რომლებიც სტრატეგიული ბომბდამშენების — B-2 Spirit –ის რეგულარულად წარმოქმნილი გაუმართაობის აღმოფხვრის საშუალებას იძლევა. ამ ცნობის გამოქვეყნების შემდეგ ნათელი შეიქნა, რომ აშშ-ის შეიარაღებაში წუნიანი თვითმფრინავები თუ ფართოდ გავრცელებული არაა, ნორმალურ პრაქტიკად მაინც მიიჩნევა.**


F-22

B-2-ის გაუმართაობა იმაში მდგომარეობს, რომ თვითმფრინავის კუდის ნაწილში, ძრავებს შორის განთავსებული ლითონის პანელი, რომელიც კარკასს გავარვარებული რეაქტიული ნაკადისგან იაცვს, პერიოდულად იბზარებოდა. რეგულარული ტექდათვალიერების გარეშე ასეთ გაუმართაობას ავიაკატასტროფის გამოწვევა შეეძლო. ფირფიტის პირველი ბზარები 1989 წელს, B-2-ის პირველი გაფრენიდან ერთი წლის თავზე აღმოაჩინეს. ინჟინრები დიდხანს ვერ ახერხებდნენ დაბზარვის მიზეზების დადგენას. Northrop Grummar-ის მონაცემებით, პანელი მასზე მაღალი ტემპერატურის ზემოქმედებითა და ძალისმიერი დანადგარის ხმაურისგან გამოწვეული მცირე ვიბრაციით იბზარებოდა, შედეგად კი „ლითონის გადაღლის" ეფექტი ვლინდებოდა.

ინჟინრები გაუმართაობის აღმოფხვრას ახალი მასალების გამოყენებითა და თვითფმრინავის კუდის ნაწილის კონსტრუქციაში უმნიშვნელო ცვლილებებით აპირებენ.

თვითმფრინავის გაუმართაობის ფაქტი გაოცებას იწვევს და აი რატომ — წუნი პირველად 1990 წელს აღმოაჩინეს, ხოლო B-2 Spirit-ი შეიარაღებაში 1993 წელს მიიღეს. ამ დროის განმვლობაში გაუმართაობა რამდენჯერმე გამოვლინდა და ამის მიუხედავად, ბომბდამშენი საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად 1997 წელს გაუშვეს. სერტიფიკაციას, სერიულ წარმოებასა და შეიარაღებაში მიღებას წინ უძღოდა საზაფხულო გამოცდები, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და პენტაგონის მიერ შემოწმების ჩათვლით.

საგულისხმოა, რომ B-2-ის არსებობის მთელი ხნის განმვალობაში აგებული იქნა 21 თვითმფრინავი. პენტაგონის ოფიციალური მონაცემებით, ბომბდამშენის 17-წლიანი ექსპლუატაციის მანძილზე ერთადერთი B-2 დაიღუპა 2008 წელს, კუნძულ გუამზე ანდერსენის სამხედრო ბაზიდან აფრენისას. ავიაკატასტროფის მიზეზად სახმელეთო პერსონალის დაუდევრობა იქცა, რომელმაც საბორტე აღჭურვის მომზადების ყველა პროცედურა არ ჩაატარა.


B-2


F-22

არაოფიციალური მონაცემებით კი, აშშ-მა 1999 წელს, იუგოსლავიაშI ნატოს მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციისას კიდევ ორი B-2 დაკარგა: „ვაშინგტონის სული" და „მისურის სული." ამ საბრძოლო დანაკარგების დოკუმენტური დასტური არ არსებობს. სამაგიეროდ, ზუსტადაა ცნობილი, რომ „მისურის სულზე" 2004 წელს პირველად B-2-ის ისტორიაში ფრენა მთლიანად ქალთა ეკიპაჟმა განახორციელა.

გაუმართაობასთან დაკავშირებული პრობლემები აშშ-ის შეიარაღებაში ახალი როდია. ასე მაგალითად, 2009 წლის ნოემბერში Locked Martin-ის ყოფილმა ინჟინერმა დერელ ოლსენმა კომპანიას სასამართლოში უჩივლა იმის გამო, რომ იგი შეგნებულად იყენებდა წუნიან საფარს F-22 გამანადგურებლისათვის. ოლსენის მონაცემებით, გამანადგურებლებზე საფარის ზედმეტ ფენებს ადებდნენ, რათა გამანადგურებელს რადიოსალოკაციო გამოცდა გაევლო. საფარის წუნი მარტო იმაში კი არ მდგომარეობდა, რომ ის ცუდად შთანთქავდა რადიოტალღებს, არამედ იმაში, რომ ის იოლად ჩამოირეცხებოდა ფუზელაჟიდან საწვავის, ზეთისა და წყლის ზემოქმედებით. ოლსენის თქმით, F-22-ზე საფარის 272 კგ ჭარბ ფენას ადებდნენ. ოლსენმა Locked Martin-ში 1999 წლამდე იმუშავა. F-22 1980-იანი წლების ბოლოს აიგო, ხოლო მისი სერიული წარმოება 2001 წელს დაიწყო.

ამ საქმის სასამართლო განხილვა ჯერ არ დაწყებულა. კომპანიამ კი უკვე განაცხადა, რომ ოლსენის მონაცემები სინამდვილეს არ შეეფერება. ღეალურ ბრძოლაში F-22 ჯერჯერბით არ გამოუყენებიათ და ამ გამანადგურებელთა საბრძოლო დანაკარგებიც არ აღნუსხულა.

F-22-სა და B-2-თან დაკავშირებული ისტორია შესაძლოა მარტოდენ აისბერგის მწვერვალი აღმოჩნდეს. უმეტესწილად, ინფორმაცია სისტემური გაუმართაობისა და წუნის შესახებ, მკაცრად გასაიდუმლოებულია. თუმცაღა, თუ აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაში მყოფ სხვა თვითმფრინავთა ისტორიას გადავხედავთ, სავარაუდოდ, წუნი მათაც უნდა ჰქონდეთ. მაგალითად, მოიერიშე Locked Martin F-117 Night Hawk-ს. ის 1970-იან წლებში შემუშავდა და პირველი ფრენა 1981 წელს განახორციელა, ხოლო 2008 წელს შეიარალებიდან მოხსნეს. სულ აშშ-ში 64 თვითმფრინავი აწარმოეს, დაიღუპა შვიდი F-117: ერთი 1999 წელს იუგოსლავიაში ჩამოაგდეს, დანარჩენები კი ფრენის, დაშვების ანდა აფრენის დროს დაიღუპა. F-117-ის სისტემურ გაუმართაობაზე ოფიციალურად არ იტყობინებიან, მიუხედავად ამისა, არასაბრძოლო დანაკარგები გვავარაუდებინებს, რომ მოიერიშე თვითმფრინავის სუსტი წერტილი სწორედ ფრენის მართვის კომპიუტერული სისტემა უნდა იყოს.


B-2

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# «წითელი კაპელას» მუსიკა სტალინისათვის

## ვინ გააფრთხილა ბელადი

**1947 წლის 1 თებერვალს სმერშში (კონტრდაზვერვის მთავარ სამმართველოში) და 1951 წლის 29 ივნისს ლუბიანკაზე გესტაპოს შეფის — მიულერის მოადგილის, SS-ის („დაცვის ესკადრილია“) ობერფიურერის ფ. პანცინგერის დაკითხვა მიმდინარეობდა. ობერფიურერმა აღიარა, რომ გერმანიაში ანტიფაშისტთა საქმიანობისთვის თვალყურის დევნება რადიოსპეციალისტთა მიერ დაშიფრული შეტყობინებების „დაჭერის“ შემდეგ დაიწყეს. ეთერში მორზეს ანბანის კაკანი ისმოდა და თანაც, არა ერთის, არამედ მრავალი რადიოგადამცემისა. გერმანიასა და ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში მთელი „ორკესტრი“, ანუ გერმანულად „კაპელა“ მუშაობდა (კონტრდაზვერვის ჟარგონზე რადისტებს „მუსიკოსებსა“ და „პიანისტებს“ ეძახდნენ). გერმანიის რადიოშპიონაჟის სამსახურმა განსაზღვრა, რომ „მუსიკოსები“ თავიანთი გადაცემების ორიენტირებას მოსკოვზე ახდენდნენ, ამიტომ კაპელას „წითელი“ შეარქვეს...**



ფაშისტებს სურდათ, რომ „წითელი კაპელას“მონაწილეთა სახელები ყველას სამუდამოდ დავიწყებოდა, მაგრამ ჰარო შულცე-ბოიზენისა („სტარშინა“) და არვიდ ჰარნაკის („კორსიკელი“) სახელები ისტორიას სამუდამოდ შემორჩა. „წითელი კაპელას“ შემადგენლობაში მრავალრიცხოვანი ანტიფაშისტური წინააღმდეგობის ჯგუფები იყვნენ გაერთიანებული, რომელთაგან ზოგიერთი უშუალოდ მესამე რაიხის გულში მოქმედებდა. ყველა ჯგუფი ერთიანი ცენტრიდან იმართებოდა და მათ საბჭოთა სამხედრო მზვერავი ლეოპოლდ ტრეპერი ანუ „კაპელმაისტერი“ ხელმძღვანელობდა.

1933 წელს გერმანიის კანცლერად ჰიტლერის დანიშვნის შემდეგ, სსრკ-ის საგარეო დაზვერვის წინაშე აქტუალური ამოცანა წამოიჭრა: უნდა დადგენილიყო ჰიტლერული ხელმძღვანელობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის სტრატეგია და ტაქტიკა. ამისათვის კი საბჭოთა ჯაშუშებს ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში უნდა შეეღწიათ...

ეს საქმე ბერლინში სსრკ-ის სალჩოს საკონსულო განყოფილების მმართველს, ენ-კა-ვედეს „ლეგალური“ რეზიდენტურის ხელმძღვანელს, ბორის გორდონს დაევალა, საელჩოს პირველი მდივნის ალექსანდრე ჰირშფელდის დახმარებით, რომელმაც გორდონს ეკონომიკის სამინისტროს თანამშრომელი არვიდ ჰარნაკი („კორსიკელი“) და მისი მეუღლე მილდრედი გააცნო. რუსი მეგობრის რჩევით, ჰარნაკი ნაციონალურ-სოციალისტურ პარტიაში გაწევრდა. 1935 წელს ჰარნაკი იმპერიის ეკონომიკის სამინისტროს უფროსი სამთავრობო მრჩეველი გახდა და სამინისტროს ფონდიდან ქვეყნის მეურნეობისა და სამხედრო წარმოების ნებისმიერ სექტორზე უძვირფასეს ინფორმაციას მოსკოვს აწვდიდა. მეგობრის, პროფესორ ჰაბელეს მეშვეობით „კორსიკელმა“ ავიაციის მარშლის — გერინგის სადაზვერვო შტაბის უფროსი, „სტარშინა“ ჰარო შულცე-ბოიზენი გაიცნო. ამ ორი ანტიფაშისტის მჭიდრო კავშირი იატაკქვეშეთში ანტიჰიტლერული წინააღმდეგობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ბირთვის შექმნის საფუძვლად იქცა.

1937 წელს გორდონი მოსკოვში გამოიძახეს და დააპატიმრეს. ცნობილმა „სამეულმა“ მას დახვრეტა მიუსაჯა. რეზიდენტურას სათავეში ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი მზვერავი ა. აღაიანცი ჩაუდგა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ის საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა... 1939 წლის სექტემბრამდე რეზიდენტურას რეზიდენტი არ ჰყავდა. ცენტრს კადრები არ ჰყოფნიდა, ხოლო გამოცდილი მზვერავები რეპრესიებს შეეწირნენ. სექტემბერში ბერლინში, როგორც იქნა, ახალი რეზიდენტი დანიშნეს, თუმცა არჩევანი უხეირო გამოდგა – ეს ხუთი კლასის განათლების მქონე, მაგრამ ამბიციური ა. ქობულოვი იყო, შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის — ლავრენტი ბერიას პროტეჟე. ახალ ადგილზე დანიშვნისთანავე ქობულოვი ენერგიულად შეუდგა „საქმიანობას“ და იმდენი იყბედა, რომ გესტაპოს „4-დ“-ის განყოფილების უფროსის, შტანდარტენფიურერ ლიკუსის ყურადღება მიიპყრო, რომელმაც მისი დამუშავების ბრძანება გასცა. გესტაპოს მონაცემებით, ქობულოვი საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტად მოიხსენიებოდა. საბჭოთა კავშირის საგარეო დაზვერვამ დაასკვნა, რომ რეზიდენტურის მუშაობის გაუმჯობესებას ბერლინში გამოცდილი და მცოდნე ოპერმუშაკის წარგზავნით თუ გამოასწორებდა. ასეთ კანდიდატურად ა. კოროტკოვი მიიჩნიეს.



„კორსიკელი“ — არვიდ ჰარნაკი



ჰარო და ლიბერტას შულცე-ბოიზენები

1940 წლის აპრილში კოროტკოვი ბერლინში ჩავიდა და მოკლე ხანში განაახლა შეხვედრები „კორსიკელსა“ და „სტარშინასთან.“ ქობულოვმაც მოისურვა „კორსიკელთან“ შეხვედრა და თარჯიმნად კოროტკოვის გამოყენება, მაგრამ მოსკოვში დაგეგმილი შეხვედრის შესახებ გაგზავნილ შეტყობინებას არცთუ ზრდილობიანი პასუხი მოჰყვა: „კორსიკელთან“ შეხვედრაზე არ წახვალთ!“

იმავე დროს კოროტკოვისა და „კორსიკელის“ შეხვედრებიც შეწყდა გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო. ბერლინში არალეგალურად წარგზავნილი ოპერატიული მუშაკი ჩერვონნაია, რომელიც თავისუფლად ფლობდა რამდენიმე ენას, გესტაპოს მიერ დაგებულ ხაფანგში გაება იმ საბჭოთა აგენტის ბინაში, ვისაც უნდა შეხვედროდა. ცენტრი გააფაციცა იმან, რომ ჩერვონნაია რამდენიმე აგენტს იცნობდა, ვისაც კოროტკოვი ხვდებოდა ხოლმე და კოროტკოვი დროებით უკან, მოსკოვში, გაიწვია.

მოსკოვში „ბერლინის წერტილის“ კურატორმა პ. სუდოპლატოვმა კოროტკოვის სამოქმედო გეგმა ლ. ბერიასთან შეთანხმებული გეგმის მიხედვით შეცვალა. გეგმის არსი „კორსიკელის“ ნაცნობების შემოწმებასა და უცხოეთში საბჭოთა ორგანიზაციების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მდგომარეობდა. გეგმის ერთი ნაწილი კი ინფორმაციის წყაროსგან სსრკ-სთან მიმართებაში გერმანიის სამხედრო მზადების შესახებ ცნობების კონკრეტიზაციას ითვალისწინებდა. ბერლინში დაბრუნებული კოროტკოვი „კორსიკელს“ შეხვდა, რომელმაც აცნობა, რომ გერმანიის სახმელეთო ჯარების უმაღლესმა მთავარსარდლობამ ვერმახტისთვის სსრკ-ის მრეწველობის რუკის შედგენის განკარგულება გასცა, რაც, მისი აზრით, ნათელს ჰფენდა ფაშისტთა ზრახვებს და იმ მიზნებზე მიუთითებდა, რომელთა ხელში ჩაგდება და განადგურებაც გერმანელებს სურდათ. კოროტკოვმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობა ცენტრს.

„კორსიკელისა“ და მისი მეგობრების: ჰარო შულცე-ბოიზენის, ადამ კუკჰოფის, ცოლ-ქმარ კურტ და ელიზაბეტ შუმახერისგან ყოველდღიურად მოდიოდა ცნობები იმის შესახებ, რომ რუსეთის მიმართ ჰიტლერის აგრესიის „მქნევარა ბორბალი“ სულ უფრო სწრაფად ბრუნავდა. კერძოდ, ჰარო შულცე-ბოიზენმა ხელთ იგდო სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის მონაცემები ლენინგრადის, კიევის, ვიბორგისა და საბჭოეთის ტერიტორიაზე სხვა ობიექტების მოსალოდნელი დაბომბვისა და საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმის მზადების დასრულების შესახებ. კოროტკოვი დარწმუნებული იყო მისი წყაროების მიერ მოპოვებული უძვირფასესი ინფორმაციის სიზუსტესა და გულწრფელობაში, ამიტომ 1941 წლის 10 მარტს ცენტრს აცნობა: „კორსიკელმა“ სასწრაფოდ მიმიწვია შეხვედრაზე და შემატყობინა, რომ სამხედრო-სამეურნეო ინსტიტუტის ხელმძღვანელის მოადგილის — ლიანგე-ლიტკეს ინფორმაციით, ვერმახტის გენერალურ შტაბში წითელი არმიის წინააღმდეგობის დაძლევას პირველი რვა დღის განმავლობაში იმედოვნებენ. უკრაინის ოკუპაცია სსრკ-ს ძირითად სამრეწველო ბაზას დააკარგვინებს. დაიპყრობენ კავკასიასა და ურალს (იქამდე მიღწევა სამხედრო მოქმედებების დაწყებიდან 25-ე დღეს არის დაგეგმილი) თავდასხმა საბჭოთა კავშირზე გერმანიის სამხედრო უპირატესობებით არის ნაკანახევი.“

ერთი კვირის შემდეგ კოროტკოვმა ჰარნაკისგან შეიტყო, რომ „სსრკ-ზე თავდასხმა უკვე რეალობაა.“ რეზიდენტურამ ამის შესახებ თავდაცვის სახკომს მერკულოვს აცნობა. თავის მხრივ, საგარეო დაზვერვის ხელმძღვანელობა რეგულარულად აწვდიდა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელმძღვანელობას „კორსიკელისა“ და „სტარშინასგან“ მიღებულ მონაცემებს, რომლებშიც დროდადრო, სიმართლის მარცვლებთან ერთად, საწინააღმდეგო ხასიათის ცნობებიც სჭვიოდა. ამაზე გამუდმებით ფიქრობდნენ ცენტრში და დაასკვნეს, რომ მიზანშეწონილი იქნებოდა ჰარნაკის ყველა წყაროს უკეთ შესწავლა და მათთან პირდაპირი კონტაქტის დამყარება. შესაბამისი გადაწყვეტილება ბერლინს ეცნობა. კოროტკოვი ჩააფიქრა ცენტრის გადაწყვეტილებამ, რადგან არ სურდა, რომ ჰარნაკს შთაბეჭდილება შექმნოდა, თითქოს მას უკანა პლანზე ანაცვლებდნენ. „კორსიკელს“ კი სრულებითაც არ გაჰკვირვებია მისი თხოვნა, „სტარშინა“ გამაცანიო.

შეხვედრისათვის მზადებისას კოროტკოვმა კიდევ ერთხელ გადახედა მის ხელთ არსებულ მონაცემებს: ჰარო შულცე-ბოიზენი 30 წლის იყო, წარმოშობით არისტოკრატთა ოჯახიდან და შვილიშვილად ერგებოდა ცნობილ გროს-ადმირალსა და გერმანიის ფლოტის დამაარსებელ ფონ ტირპიცს. 1936 წელს მან თავად ეილენბურგის — ლიბერტას ჰაას-ჰაიეს შვილიშვილზე იქორწინა. მარშალი გერინგი, სახელმწიფოს მეორე პირი ლიბერტასს ბავშვობიდან იცნობდა. გერინგის განკარგულებით ჰარო ავიაციის შტაბში ჩარიცხეს, მიუხედავად გესტაპოს წინააღმდეგობისა. ავიაციის სამინისტროში ჰარო იმ რეფერატის ხელმძღვანელად დაინიშნა, რომელიც გერმანიის სამხედრო-საჰაერო ატაშეების ანგარიშის დამუშავებითა და ანალიზით იყო დაკავებული. შულცე-ბოიზენის ოჯახი გერინგის მეზობლად ცხოვრობდა. ისინი დილაობით ერთად ასეირნებდნენ ძაღლებს, გულითადად მასლაათობდნენ და გერინგს ერთხელაც არ უეჭვია, რომ კაცი, რომელსაც წლების განმავლობაში ბეჯითად ეძებდა, მისი მეზობელი იყო...

**დასასრული შემდეგ ნომერში**



ჰარო შულცე-ბოიზენი საავიაციო ქვედანაყოფთან



ჰერმან გერინგი



ჰიტლერი, პოლ ფონ ჰინდენბურგი, გერინგი

გვერდები მოამზადა
**ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დასავლეთის მიერ მხარდაჭერილი

## აშშ-მა საქართველოზეც ხელი ჩაიქნია

**ორ წელიწადზე მეტი ხნის წინათ ზეინო ბარანი — ჰადსონის ინსტიტუტის ევრაზიის ცენტრის დირექტორი — ამბობდა, რომ დასავლეთმა უკრაინაზე ხელი ჩაიქნია, საქართველოზე კი — ჯერ არაო.**



2010-ის იანვარში „ჯერ არა“ საქართველოსთვისაც თანდათაც უკრაინის განზომილებაში („ხელი ჩაიქნია“) გადავიდა, ანუ ტენდენციად იქცა და უარყოფითად აისახა თვით რეგიონში აშშ-ის პრესტიჟზე. ამერიკული პრესა, რადიო და ზოგიერთი პარტიული გამოცემა ამის გამო მწარედ აკრიტიკებდა არა მხოლოდ უკრაინის უკვე ყოფილ პრეზიდენტ ვიქტორ იუშჩენკოს, არამედ — მასთან ერთად მიხეილ სააკაშვილსაც: **დასავლეთის მიერ „აღტკინებულმა, ბრმა და უგნურმა მხარდაჭერამ ამაზრზენი მიდრეკილებებისა და ინსტიქტების წაქეზება გამოიწვია“ (ნაინელ გრინი, World Sosialist Web site).**

პირველი მათგანი სამარცხვინოდ დამარცხდა. ლოგიკურად — მეორის ჯერი დადგა.

ევროპის მასმედიას მხედველობიდან არ გამორჩენია სკანდალური მომენტები საქართველო-უკრაინის ურთიერთობაში, ანუ ის თემები, რომლებსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ გივი, ვანო და ვინმე კონსტანტინე. ამ უხერხულობას საქართველოს სამთავრობო არხებმა ჯერ წაუყრუეს, შემდეგ ხელისუფლების აგიტატორების უსუსური არგუმენტებით ხელისუფლების გამართლება ამაოდ სცადეს.

რადიო თავისუფლება დაინტერესდა,— „ცდილობდნენ თუ არა საქართველოს ხელმძღვანელები უკრაინის არჩევნებზე გავლენის მოხდენას“ (Radio Liberty). ეს კითხვა, ისევე, როგორც მეორე — გივი თარგამაძისა და ქართველი „დამკვირვებლების“ დესანტმა გაუფუჭა თუ არა საქმე პრეზიდენტობის კანდიდატს იულია ტიმოშენკოს, მედიაში უფრო უარყოფით მტკიცებულებად იყო წარმოჩენილი — პასუხი კითხვების ფორმულირების ქვეტექსტში იკითხებოდა: რა თქმა უნდა, გაუფუჭა. ქართულმა სკანდალმა ვიქტორ იანუკოვიჩს პრეზიდენტობისკენ გზა გაუხსნა.

## «25-ე კადრი» ტრიალებს საქართველოში



„ცილისწამება და ზიზღი თბილისში: **ამომავალ პოლიტიკურ ვარსკვლავს საქართველოში ტალახში სვრიან“,** — ასეთი პუბლიკაციით გამოესარჩლა **ბრაიან ვაითმორი** „რეალ ტვ“-ის ერთ-ერთ მსხვერპლს, ოპოზიციონერ **ირაკლი ალასანიას Radio Liberty**-ს მეშვეობით. რადიო „თავისუფლების“ ჟურნალისტი **„რეალ ტვ“-ის „მავნებლობასა და გამორჩეულად ნაძირლურ ტონზე“ ლაპარაკობს.** ამ ნაძირლობამ თვით ვაითმორი ალასანიას მოსყიდულ ჟურნალისტად გამოაცხადა და პუბლიკაციის კვალად ისიც ტალახში ამოთხვარა.

„რეალ ტვ“ კერძო სატელევიზიო სადგურია, მაგრამ, საქართველოს კერძო მედიასაშუალებების უმრავლესობის მსგავსად, სახელმწიფოსთანაა დაკავშირებული. ამ ტელევიზიის მფლობელების ვინაობა გაუმჭირვალეა, მაგრამ უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ არხს საქართველოს ძლევამოსილი შინაგან საქმეთა მინისტრი, სააკაშვილის ერთ-ერთი უახლოესი მოკავშირე **ვანო მერაბიშვილი** აკონტროლებს, — მიაჩნია მოსყიდულად შერაცხულ ბრაიანს.

მიმომხილველები თვლიან, რომ, ამ „ყველაზე ნაძირლური ტელევიზიის“, ისევე, როგორც „იმედის“, „რუსთავი 2“-ისა და სხვა პროსახელისუფლო ტელეარხების მოღვაწეობის ქვეტექსტი მიხეილ სააკაშვილის მესამე ვადით დარჩენის პროპაგანდაა. „25-ე კადრი“ ტრიალებს საქართველოში.

## ვინ გააჯეჯილა სააკაშვილი?

**2010-ის იანვრის გამორჩეული პუბლიკაცია ქართული ტელევიზიით რონალდ ასმუსის წიგნის — „ხანმოკლე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა: საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი“ — ტელერეცენზია იყო.**




ავტორის, აშშ პრეზიდენტ ბილ კლინტონის ადმინისტრაციის ყოფილი ჩინოვნიკისა და ევროპის საკითხებში ექსპერტის, პროქართულ კეთილგანწყობაზე მიუთითებს The Economist-ი. იმის გამო, რომ ეს გამოცემა ობიექტურად ცდილობს წიგნის შეფასებას, ხოლო ქართულ საზოგადოებრიობას იგი მხოლოდ დადებით რაკურსში წარუდგინეს, ჩვენი მკითხველებისთვის უპრიანი იქნება ვრცელი ამონარიდის შეთავაზება.

The Economist-ი წერს: **„ავტორი ყველაზე სამწუხარო შეცდომების გამოც კი თავს არიდებს ქართული მხარის პირდაპირ გაკიცხვას. მაგალითად, 2007 წლის ნოემბერში, ოპოზიციონერი დემონსტრანტებისა და მედიის სასტიკმა დარბევამ საქართველოს იმიჯი უცხოეთში მნიშვნელოვნად შელახა... ანალოგიურად დამანგრეველია სააკაშვილის აუტანელი თვისებები: ქაოტურობა, თვითინდულგენცია, მრავალსიტყვაობა, ფავორიტიზმი და შურისმაძიებლობა. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია.**

ბატონი ასმუსი არც იმას იმჩნევს, თუ რამდენად შეუწყვეს ხელი საქართველოს ლიდერების ამ თვითდაჯერებულობას ამერიკელმა გულშემატკივრებმა, განსაკუთრებით, რესპუბლიკელთა ფრთის ზოგიერთმა წარმომადგენელმა“.



აქვე — კიდევ ერთი ციტატა, კერძოდ, წიგნის ავტორის წერილიდან, რომელიც Le Mond-ში გამოქვეყნდა და იწყება ასე: **„როცა 2008 წლის 7 აგვისტოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის არმიას შეტევაზე გადასვლის ბრძანება მისცა. ის ერთდროულად სამი ამოცანის გადაწყვეტას ცდილობდა: ქართული სოფლების დაცვას, რუსეთის არმიის ფართომასშტაბიანი (როგორც ვარაუდობდა) შეტევის შეჩერებას და ქართველების ევაკუაციისთვის დროის მოგებას, რომლებსაც სამხრეთ ოსეთში საფრთხე ემუქრებოდათ. ამით მან სათავე დაუდო სისხლისმღვრელ კონფლიქტს, რომლის მოგებაც საქართველომ ვერ შეძლო და მოვლენებს, რომელთა განვითარებაშიც ის ველარ ერეოდა“.**

ასეთი „კეთილგანწყობა“ მიმომხილველებს საბჭოთა პერიოდში გავრცელებული „ანონიმკების“ მავნე ტრადიციას აგონებს, როცა ადრესატს ავი და ბოროტი შინაარსის წერილს უგზავნიდნენ „კეთილმსურველის“ ხელმოწერით.

## ორს პლიუს ორი ან ერთს პლიუს სამი, ორივე შემთხვევაში, ოთხი «მისტრალია»

**სახელმწიფო მინისტრ თემურ იაკობაშვილის „გამხატვრულებულ“ დასკვნებზე უცხოეთის პრესაში კარგად ხალისობენ. შენიშნავენ, რომ მისი „ენამზეობის“ ნიმუშებს გავლენა არაფერზე მოუხდენია, მაგრამ, თუ მოახდინა, — მხოლოდ უარყოფითი. მაგალითად მოჰყავთ იაკობაშვილის „სიტყვაკაზმულობა“ რუსეთის მიმართ ომამდე, ომის დროს და ომის შემდეგაც.**

ან სულ ახლანდელი ნათქვამი: რუსები ჯერ „მისტრალში“ არ ჩამსხდარან და უკვე ასტრალში არიანო, — ირონიულად ინება სიტყვის დასველება ბატონმა სახელმწიფო მინისტრმა.

რა შედეგი მოჰყვა ასეთ კოსმოგონიურ შაყირს? სხვა ევროპულ გამოცემებთან ერთად დაინტერესდა ფრანგული Le Mond? — „საით უბერავს ქარი მისტრალი?“. გასულ იანვარში გაზეთი ჯერ კიდევ მარჩიელობდა — აღმოჩნდებოდა თუ არა „ფრანგული ფლოტის მარგალიტი“ რუსების ხელში. დღეს, ანუ ორი თვის შემდეგ, რეალობამ მოლოდინს გადააჭარბა და მედვედევი და სარკოზი 4 შვეულმზიდზე შეთანხმდნენ. ამათგან რამდენს ააგებენ ერთობლივად, რამდენს — საფრანგეთი მხოლოდ საკუთარი ძალებით, დეტალებია.

ორი თვის წინათ მიხეილ სააკაშვილი შეშფოთებული იყო: „ამგვარი გარიგება (ერთ „მისტრალზეა“ ლაპარაკი) განამტკიცებს აგრესორის პოზიციას, რომელიც ცდილობს 500.000 ქართველი მოქალაქის ეთნიკური წმენდისა და სუვერენული სახელმწიფო ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციის ლეგალიზებას“.



**ამ შეშფოთებას გასულ კვირაში კონკრეტული პასუხი გაეცა. საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა — რუსეთს უნდა ვენდოთო.**

იფიქრეთ, ბატონო „სიტყვის ოსტატებო“, ამაზე, ხოლო სიტყვაკაზმულობა „ადამიანის სულის ინჟინრებს“ — მწერლებს დაუტოვეთ. დასავლეთელი ექსპერტები და, მათ შორის, აპოკალიფსური პროგნოზებით გამორჩეული **პაველ ფელენგაუერი**, საქართველო რუსეთის ახალ ომს ხუთჯერ მაინც გვიწინასწარმეტყველებდნენ. არ გამართლდა.

მაგრამ, მიაქციეთ ყურადღება უცხოელ ექსპერტთა ასეთ დასკვნას: **რუსეთ-საქართველოს სამხედრო კონფლიქტების დაწყების სავარაუდო თარიღები ხშირად საეჭვოდ ემთხვეოდა საქართველოში ოპოზიციის გააქტიურებას.**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ამაზრზენი ინსტინქტები

## რა — აფხაზეთი, რა — სომალილენდი, ერთი ფასი აქვს!

**გრიმ ვუდმა უღიარებელი ან ნაწილობრივ აღიარებული ქვეყნების აღსანიშნავად გამოიყენა სინონიმი „ლიმბო სამყარო“, რაც საპყრობილეს, მივიწყებასა და ჯოჯოხეთის კარიბჭესაც კი ნიშნავს. მოკლედ, — ჩაკეტილს (Foreign Policy).**



**„ლიმბო ქვეყნების სია**, — წერს იგი, — **რომლებმაც დამოუკიდებლობა იმით მოიპოვეს, რომ თავიდან დამოუკიდებელი ქვეყნებივით დაიწყეს მოქმედება და შემდეგ მიიღეს აღიარება, მოკლეა. ამ მხრივ ნაწილობრივ წარმატებული მაგალითების სიმცირე (დღეისთვის კოსოვო მხოლოდ 63-მა ქვეყანამ, ტაივანი კი 23-მა აღიარა) იმაზე მიუთითებს, რომ ჩაკეტილობა მათი მუდმივი მდგომარეობაა“.**

ვუდი დასცინის ლიმბო სამყაროს. მათ შორის აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთია. თვალშისაცემია თავმოყვარეობის შემლახველი პარალელები, რომლებსაც იგი ავლებს: სომალის გამოყოფილი სომალილენდის ეროვნული ვალუტის ღირებულება იმდენად დაბალია, რომ „ცოცხალი ფულის“ რეზერვის შესავსებად მსხვილფეხა საქონელს იყენებენ — ძროხას. ხოლო აფხაზეთში ფეხნაღრძობ სტუმარს გაპარტახებულ საავადმყოფოში თვით ჯანდაცვის მინისტრი მკურნალობს — ამით ამოიწურება ამ უღიარებელი რესპუბლიკის ჯანდაცვის „სისტემა“.

„ემბრიონული სახელმწიფოების“ უმრავლესობა მკვდრადშობილია.



# ჩვენც ამას ვამბობდით

**იანვარში „საქართველო და მსოფლიოსა“ და სხვა გამოცემების ავტორები ამბობდნენ, რომ აშშ-ს საქართველო აღარ აინტერესებს და მისეულ შეთავაზებას უყურადღებოდ ტოვებს. უფრო მწარედ ვამბობდით.**

**Radio Liberti**-ც ამაზე ამახვილებდა ყურადღებას: **„შეერთებული შტატები ავღანეთში დახმარებასთან დაკავშირებულ ყველა ინიციატივას ჩვეულებრივ მიესალმება ხოლმე, მაგრამ საქართველო ამ მხრივ გამონაკლისია...**

**მან ორჯერ შესთავაზა დასავლეთს საკუთარი ტერიტორია სატრანსპორტო დერეფნად ავღანეთში სამხედრო ტვირთის გადასაზიდად... არც პენტაგონი, არც თეთრი სახლი ამ ინიციატივას არსებითად არ გამოეხმაურა“.**

„რადიო თავისუფლების“ დასკვნით, ასეთ წინადადებას **განუხორციელებელ გეგმად** თვლიან „როგორც პოლიტიკური, ისე ლოჯისტიკური თვალსაზრისით“.

„დათვის გალიზიანებაზეც“ ვწერდით. ამავე თემას ვხვდებით **დაგ ბენდოუს სტატიაში „დათვის გაღიზიანება“.** იგი კატეგორიულად მიზანშეუწონლად თვლის საქართველოსთვის იარაღის მიწოდებას „დღევანდელი მმართველი რეჟიმის პირობებში“.

ამ დასკვნასთან რეზონირებს **პოლ სანდერსის** განცხადება **National interest**-ში: „ამერიკულ-ქართული მჭიდრო სამხედრო თანამშრომლობის პრობლემა ისაა, რომ **სააკაშვილს აშშ სჭირდება მისი პირადი ინტერესების და, შესაძლოა, საქართველოს ინტერესების მომსახურებისთვისაც ამერიკის ინტერესების ფასად“.**

# «აბა, დამაკვირდი», ანუ «დემოკრატია — ზნედაცემული ღვთაება»

**ამ დასკვნამდე მიდის პატრიკ ბიუკენენი Financial Times-ში გიდეონ რაჰმანის სტატიის შესახებ „ამერიკა თავისუფალ სამყაროს კარგავს“ საუბრისას. მხოლოდ ციტატები.**



„რა არის დემოკრატია — ჩვენი ხსნა თუ დასავლეთის თვითმკვლელობის იდეოლოგია? გახსოვდეთ, დემოკრატია დიდხანს არასოდეს გრძელდება. — ამბობს **ადამსი**, — იგი სწრაფად ფიტავს, ღლის და ანადგურებს საკუთარ თავს. არ უარსებია არც ერთ დემოკრატიას, რომელსაც თვითმკვლელობა არ ჩაუდენია.“ იმავეს იმეორებს **ჯეფერსონი:** „დემოკრატია სხვა არაფერია, თუ არა ხალხის მასების ხელისუფლება, როცა ადამიანების 51 პროცენტს შეუძლია, უფლებები წაართვას დანარჩენ 49 პროცენტს“. ჯეფერსონს ეთანხმებოდა **მედისონი** — „დემოკრატია მართვის ამაზრზენი ფორმაა“ (**The American Conservativ**). ესეც საცოდნელია.

# როცა «მშვენიერი» და «ამაღლებული» დაცინვაა

**რაც კარგები ვართ, რა თქმა უნდა, ქართველები ვართ! მაგრამ გადაფურცლავ უცხოურ პრესას და, ეტყობა, ვერ ხვდებიან ამ ჭეშმარიტებას. ან არ სურთ, გაიგონ!**

ჩვენ ავიტანთ, მაგრამ, სააკაშვილის აღიარება რომ არ სურთ უპოპულარეს და უწარმატებულეს პრეზიდენტად, გულში ლახვრად გვესობა.

აღიარება კი არა, ლამის მსოფლიო ირონიის მთელი მარაგი ამ კაცს დააბერტყონ.

ფრანგული **„ლიბერასიონი“**: „განდიდების მანიით შეპყრობილი სააკაშვილი საქართველოს აღმოსავლეთ დუბაიდ გადაქცევაზე ოცნებობს“.

საქართველოში ამბობენ, „გვაბოლებსო“, **ნიკოლა ლანდრუს** კი, ამ წერილის ავტორს, მგონი, ისე მიაჩნია, რომ ქართველები თვითონ „ვიბოლებთ“ თავს. სხვა ვერაფრით აიხსნება, რატომ ვისმენთ და ვიტანთ „სახელმწიფოს მეთაურის სულ უფრო აღმატებულ შედარებებს: საქართველოს „ევროპაში საუკეთესო სათხილამურო ტრასა და ავტობანი“ აქვს, საქართველომ „მსოფლიოში კორუფციის ყველაზე დაბალ დონეს მიაღწია“...

ვისმენთ და თავს ვიტყუებთ, თუმცა არ გვჯერა, რადგან ლანდრუმ თუ იცის, ჩვენ ხომ იმაზე უკეთ ვიცით, რომ საქართველოს დღევანდელ უმწვავეს პრობლემებს ვერ გადაჭრის კიდევ ერთი სათხილამურო ტრასა სვანეთში, თანაც „იმ დროს, როცა ქვეყნის ორი სათხილამურო ტრასა ნაკლებად დატვირთულია“, ამ „ქვეყნის ერთადერთი საავტომობილო გზა, რომლის ავტობანად გადაქცევის ინიციატივითაც იგი ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლის დროს გამოვიდა, მხოლოდ სანახევროდაა დამთავრებული“, ხოლო გურიაში მის პატივსაცემად გამართული „სატელევიზიო სადილის მასპინძლები სინამდვილეში ადგილობრივი თეატრის მსახიობები იყვნენ!“

იცის და წერს ამის შესახებ ფრანგი ჟურნალისტი; წერს და გვეუბნება, რომ **სააკაშვილი დასავლეთის ნდობას კარგავს**. საქართველოში კი „ადამიანების ერთი ნაწილი ამ მასკარადის გამო აყვირდა, მაგრამ მასავით მოდერნიზაციის იდეას ამოფარებული მეორე ნაწილი ამ სიყალბეს არ იმჩნევს“, ანუ, როგორც ზემოთ ვთქვით, თავს „იბოლებს“.

დაბოლოს, მიშას ქებათაქების გვირგვინი: **„მისი განდიდების მანია მის ყველაზე ხმაურიან პოლიტიკურ პროექტებში ჩანს** — თბილისში თეთრი სახლისა და ბუნდესტაგის მსგავსი სასახლის აშენება, პატარა ქალაქ სიღნაღის ბანკებისა და ბუტიკების ვიტრინების ქალაქად გადაქცევა... მისი პროექტებით თუ ვიმსჯელებთ, საქართველო ათ წელიწადში ფოლკლორული მოტივებით შემკულ დუბაის უნდა დაემსგავსოს... დედაქალაქში მდინარე მტკვარზე მომავლის ხიდი შენდება, რომელიც მინისა უნდა იყოს. მასალა, რომელზეც გიჟდება“.

მიამიტობაა იმაზე ფიქრი და თავის დარწმუნება, რომ მსოფლიო პრესა სრულად და მთლიანად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის „იდეოლოგიურ უზრუნველყოფაზეა“ გადართული.

**ჯორჯ ჰუიტის** წერილი **Guardian**-ში **„საქართველოს მშვენიერი, ამაღლებული, მაგრამ უსარგებლო სტრატეგია“** ამის ერთ-ერთი სახიერი დადასტურებაა.

საქართველოს ხელისუფლების მწვავე კრიტიკა აგებულია ახლახან გამოქვეყნებული დოკუმენტის საფუძველზე — „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებულ ტერიტორიებზე“. პირდაპირ გეტყვით, — გვაბითურებენ. **„დოკუმენტში,** — წერს ჰუიტი, — **შესანიშნავი სიტყვებისა და ამაღლებული გრძნობების მიუხედავად, გათვალისწინებული არ არის მთავარი პრობლემა: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას საქართველოს უნიტარულ სახელმწიფოში რეინტეგრაციის არანაირი სურვილი არ გააჩნია“.**

როცა ამ უმთავრეს წინაღობას არ ითვალისწინებს, ხელისუფლება პრობლემის გადამწყვეტი რომ არ არის, უეჭველია. **„გარდიანი“** ახალი დოქტრინის სუსტ წერტილებზე ამახვილებს ყურადღებას და დეტალურად არჩევს მათ. ერთ-ერთი მაგალითია თავდაუსხმელობის შეთანხმებაზე უარის თქმა. „ამ დოკუმენტის მეოთხე პუნქტში ვკითხულობთ, რომ საქართველო „უარს ამბობს საკითხის სამხედრო ძალით გადაწყვეტაზე“. ასეთ შემთხვევაში უცნაურია, თუ რატომ არ აწერს ხელს ასე ჯიუტად სააკაშვილის მთავრობა „თავდაუსხმელობის“ ხელშეკრულებას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან“, — შენიშნავს გაზეთი.

ჯორჯ ჰიუტი რა ჩიტიც არის და რატომ კენკავს აფხაზურ-ოსურ საკენკს, ცნობილია. მით უფრო მიზეზი არ უნდა მისცე საქირქილოდ და გასაკრიტიკებლად.

მაგრამ რას იზამ, ასეთი დრო დაგვიდგა ჩვენი ხელისუფლების შემყურეთ.

ამ საფანელს თუ გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ ეპითეტები — „მშვენიერი“ და „ამაღლებული“ ცინიზმში გადასული ირონიაა.

გვერდები მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# აშშ-ის გეოპოლიტიკური სტრატაგემა: არსებობენ მხოლოდ მტრები

**საეჭვოა, საშუალოსტატისტიკური ევროპელი ობივატელი (მაგალითად: მარსელიდან, ბარსელონიდან ან მიუნჰენიდან), ხვდებოდეს, რომ მისი ქვეყანა მსოფლიოს ყველაზე მძლავრი სამხედრო მანქანის მიერ მიზანშია ამოღებული. მისთვის აშშ დემოკრატიისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოლოა.**




XXI საუკუნემ და საინფორმაციო ეპოქამ დაამკვიდრეს ახალი და უკიდურესად საშიში ერთადერთი სახელმწიფოს გლობალური დომინირების კონცეფცია, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის არის ცნობილი, თუ რა არის ჭეშმარიტი დემოკრატია და ცხოვრების ერთადერთი სწორი წესი. ვაშინგტონი არის ერთადერთი, რომელმაც ზუსტად იცის, როგორ „გააბედნიეროს“ მთელი კაცობრიობა და სწორედ ამ „მისიის“ წარმატებით შესრულებისთვის შეიქმნა „Emerging theory of war“ თეორია, რომლის თანახმადაც მსოფლიო გლობალური კატასტროფის ზღვარზეა.

ქსელური ომების წარმოების ახალი კონცეფცია („Emerging theory of war“) ვიცე-ადმირალ არტურ კ. სიბროვსკის ხელმძღვანელობით შეიქმნა სამხედრო ძალების რეფორმირების თავდაცვის მდივნის ოფისის მიერ. ამ თეორიის შემქმნელები დარწმუნებულნი არიან, რომ ის უახლოეს მომავალში ან ჩაანაცვლებს ომის ტრადიციულ თეორიას, ან მნიშვნელოვნად და შეუქცევადად შეცვლის მას. აღნიშნული თეორია დეტალურადაა აღწერილი ედვარდ სმიტის წიგნში „ქცევის მოდულირებაზე დაფუძნებული ოპერაცია“, რომელშიც პირდაპირაა ნათქვამი, რომ ამერიკას მოკავშირეები არ ჰყავს, არსებობენ მხოლოდ მტრები. ის, თუ როგორ ექცევა ამერიკა მტრებს, უკვე ყველამ კარგად იცის.

ადმირალ სიბროვსკის თეორია „ქსელური ომია“, რომელშიც სამხედრო შეიარაღებული ძალების ჩართვა სულაც არაა სავალდებულო, მთავარი იარაღი ინფორმაცია და მასობრივ ცნობიერებაზე აგრესიული ზემოქმედებაა. „ქსელური ომების“ უმთავრესი ამოცანა „საბაზო ეფექტის ოპერაციების“ (Effects-based operations EBO) ჩატარებაა. EBO განისაზღვრება, როგორც „ქმედებათა ერთობლიობა ომის, კრიზისისა და მშვიდობის მდგომარეობაში მეგობრების, ნეიტრალური ძალებისა და მტრების ქცევის მოდელის ფორმირების მიზნით“. EBO არის სრული და აბსოლუტური კონტროლი აქტუალური ან ოდესმე შესაძლო საბრძოლო მოქმედებების ნებისმიერ მონაწილეზე და მათით ტოტალური მანიპულირება ნებისმიერ სიტუაციაში — როდესაც ომია, როდესაც ომი მოსალოდნელია ან როდესაც მშვიდობა სუფევს. ამიტომ „ქსელურ ომებს“ არც დასაწყისი აქვს და არც — დასასრული, ეს არის მუდმივი მდგომარეობა, რომელიც მწარმოებლისთვის კაცობრიობის ყველა მოქმედი ძალის ყოველმხრივი მართვის საშუალებას უზრუნველყოფს. „ქსელის“ დანერგვა სხვა არაფერია, თუ არა ქვეყნების, ხალხების, ხელისუფლებებისთვის ნებისმიერი სახის დამოუკიდებლობის, სუვერენობისა და სუბიექტურობის მოსპობა და მათი მკაცრად კონტროლირებად, მართვად, წინასწარ პროგრამირებულ მექანიზმად ქცევა. EBO არის მთელი პლანეტის სრული კონტროლირების გეგმა, მსოფლიოზე ბატონობის ახალი სახეობა, როდესაც მართვას ექვემდებარება არა ცალკეული სუბიექტები, არამედ მათი არსი, მოტივაცია, გეგმები, განზრახვები და ასე შემდეგ.

ეს არის ომი, რომელიც მთელი კაცობრიობის წინააღმდეგ დაიწყო და, როგორც ყველა ომის, მისი საბოლოო მიზანიც დამონება და დამორჩილებაა. ვაშინგტონის ტრადიციული შელოცვის ტექსტები ყველასათვის კარგადაა ცნობილი — „თავისუფლება“, „ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათა დაცვა“ და „ბრძოლა დემოკრატიისათვის“.

იმის გასაგებად, თუ რა მეთოდებით მიმდინარეობს „საბრძოლო მოქმედებები“ ამ ომში, საკმარისია, გავიხსენოთ, მაგალითად, ორგანიზაცია „Freedom House“, ან 1950 წელს ცსს-ს ეგიდით შექმნილი „კულტურის თავისუფლების კონგრესი“. ამ უკანასკნელის მიზანი იყო აშშ-ის ინტერესების გატარება ევროპელ ინტელექტუალებზე პირდაპირი პროპაგანდისტული ზემოქმედებით. სწორედ მისი ეგიდით შეიქმნა ცნობილი რადიო „თავისუფლება“. მასმედიაში მრავალჯერადი გაშიფვრისა და სპეცსამსახურებთან კავშირებში დადანაშაულების შემდეგ კონგრესმა სახელწოდება შეიცვალა და „კულტურის თავისუფლების საერთაშორისო ასოციაცია“ დაირქვა. მიზნები და ბრძოლის მეთოდები უცვლელი დარჩა.

მსგავსი ორგანიზაციების სახელწოდება აუცილებლად მოიცავს სიტყვას „თავისუფლება“. ეს კი თავისთავად ნიშნავს, რომ მათ წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ქმედება დაუყოვნებლივ კვალიფიცირდება „არათავისუფლებად“ და ობსტრუქციას უნდა დაექვემდებაროს. ასე რომ, მცნება „თავისუფლებაზე“ საავტორო უფლება ცსს-სა და აშშ-ის ადმინისტრაციას ეკუთვნის, როგორც უნდათ, ისე განკარგავენ.

„ქსელური ომების“ პირობებში არასამთავრობო ორგანიზაციები, გაერთიანებები და ფონდები „ჩუმი საბრძოლო მოქმედებების“ წარმოების უმნიშვნელოვანესი იარაღია. იქ, სადაც ვაშინგტონი პირდაპირ ვერ ახერხებს პოლიტიკურ პროცესებზე, არჩევნების შედეგებსა თუ რეფერენდუმებზე ზემოქმედებას, საქმეში სწორედ არასამთავრობოები ერთვებიან. ფორმალურად ეს ორგანიზაციები აბსოლუტურად ნეიტრალური საქმეებით არიან დაკავებულნი: აგროვებენ ინფორმაციას, ეხმარებიან ლოკალური კულტურების განვითარების პროცესს, აფინანსებენ კვლევებს და ასე შემდეგ. სინამდვილეში ეს სტრუქტურები აშშ-ის მიერ ყველას მიმართ (მტრების, მოკავშირეებისა და ნეიტრალურების) წარმოებული „ქსელური ომების“ ფეთქებადი ელემენტია.

ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ცალსახად კეთილგანწყობილი მოტივებით გარშემო იკრებენ აქტიური ადამიანების, უპირველეს ყოვლისა, ინტელიგენციის, ახალგაზრდობის, მეცნიერების ფართო აუდიტორიას და სწორედ მათ შორის ხდება „საბაზო ეფექტი“ — ხასიათის, პრიორიტეტების, იდეოლოგიური განწყობისა და დამოკიდებულებების ცვლილება.

მთავარი სტრუქტურა, რომელშიც უზომო რაოდენობის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი საბოლოოდ ერთიანდება, არის აშშ-ში განთავსებული „Freedom house“ (თავისუფლების სახლი). მას სათავეში ცსს-ს ყოფილი დირექტორი ჯეიმს ვულსი ედგა. როდესაც რუსეთში არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ კანონში ცვლილებები შეჰქონდათ, ვაშინგტონიდან აღშფოთების შეძახილები გადმოიფრქვა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ულტიმატუმის ტონით მოითხოვდა აღნიშნული პროცესის დაუყოვნებლივ შეწყვეტას; ამასთანავე, აცხადებდა, რომ ამაზე იქნებოდა დამოკიდებული აშშ-ის პოზიცია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა სახელმწიფოებრივი დონის შანტაჟი და ქვეყნის შიდა საქმეებში უხეში ჩარევა.

ვინაიდან „ომების ახალი თეორიის“ საბოლოო მიზანი მთელი კაცობრიობისათვის მანიპულირებადი „სტანდარტული ქცევის სქემის“ შექმნაა, ბრძოლის ველი ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს. კონცეფციის შემქმნელთა აზრით, ერებისა და სახელმწიფოების განუმეორებელი ინდივიდუალობის წარმომშობი ცივილიზაციური სხვაობები მაქსიმალურად უნდა წაიშალოს და უნდა შეიქმნას მართვადი მასა, რომელიც აბსოლუტურად ერთგვაროვნად აზროვნებს აშშ-ის მიერ წინასწარ მომზადებული სქემის შესაბამისად. ამიტომ თავდაპირველად უნდა შეიქმნას სტანდარტული ქცევის სტილი და საერთო მორალურ-ეთიკური მსოფლმხედველობა, ამ საქმეში კი საუკეთესო დამხმარე რელიგიაა.

ვინაიდან ამერიკული ცივილიზაცია საფუძველშივე პროტესტანტულია, „ქსელური ომების იდეოლოგიად“ თანამედროვე რადიკალური პროტესტანტიზმი უნდა ქცეულიყო. პირველი დარტყმა კათოლიციზმმა მიიღო — კათოლიკე მღვდლების სექსუალურ ძალადობისა თუ გარყვნილებაში დადანაშაულების ასობით სარჩელი ახლაც განხილვის პროცესშია. დისკრედიტაციამ ისეთ მასშტაბებს უნდა მიაღწიოს, რომ კათოლიკობა „ჩამორჩენილ მიგრანტთა რელიგიად“ იქცეს და მას საზოგადოების ფართო ფენებში გავრცელების ან ქვეყნის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის საშუალება არ უნდა ჰქონდეს. „ქსელური ომების“ გენერლებს „სტანდარტულ-პროტესტანტული“ აზროვნებისგან განსხვავებული მსოფლმხედველობა არ სჭირდებათ. ამ აზროვნების მარტივი ფორმულა კი ასეთია: „იმუშავე და ღმერთი გადაგიხდის კარგი მუშაობისთვის“. ოღონდ პროტესტანტულმა ელიტამ ღმერთი ბიზნესის გაღმერთებით ჩაანაცვლა, ეს კი სწორედ ისაა, რაც გლობალური დომინირების კონცეფციას სჭირდება. თუ აშშ ლამის მთლიანად „ევანგელიზებულია“, მთელ რიგ ქვეყნებში ნეოპროტესტანტული ქცევის სქემის დანერგვის პროცესში უამრავი სირთულე ჩნდება. მაგალითად, ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ინდოეთში „ქსელური ომების“ ინდურ-რელიგიური ფრონტი მძვინვარებს.

უნდა აღინიშნოს, რომ, სპეციალისტების აზრით, ტერმინი „პროტესტანტი“ მის ისტორიულ კონტექსტში შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ლუთერანებისა და რეფორმატების მიმართ. სხვა ყველა კონფესია (ბაპტისტები, ორმოცდაათიანელები, ადვენტისტები და ასე შემდეგ) უნდა მოიხსენიებოდეს პირდაპირ კონფესიის სახელით ან „ნეოპროტესტანტად“. სწორედ ეს „ნეოპროტესტანტები“ იბრძვიან „ახალი ტიპის ომების“ წინა ხაზებზე და ყველაზე აგრესიული მეთოდებით ნერგავენ თავიანთ იდეოლოგიას ქვეყნებში, სადაც სწორედ „ტრადიციულმა“ რელიგიებმა ჩამოაყალიბა კულტურა, საზოგადოება და ცხოვრების წესი. გასული საუკუნის 90-იან წლებში აშშ-ში ჩატარებულ რელიგიურ კონფერენციაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც აუცილებელია აქტიური ქმედებები რუსეთის, ირანის, ჩინეთისა და ინდოეთის „ევანგელიზაციისათვის“. ▶

## მოკლედ



### საბერძნეთს ევროკავშირში ტოვებენ

გერმანიის კანცლერის — ანგელა მერკელისა და საბერძნეთის პრემიერის — გეორგეოს პაპანდრეუს შეხვედრის შემდეგ მთელი მსოფლიო მიხვდა, რომ საბერძნეთი, თუნდაც ვალებში ჩაფლული და დეფოლტის პირას მდგარი, ევროკავშირში რჩება.

არადა, ევროზონის უმსხვილესმა ეკონომიკამ უკვე უამრავჯერ უარყო ვარაუდი, თითქოს გერმანიის ხელისუფლება საბერძნეთის „გადარჩენას“ აპირებდეს. მერკელმა ბერძნებს მოუწოდა, „მოითმინეთ“, რომ ახალმა ანტიკრიზისულმა ზომებმა სათანადო ეფექტი მოიტანოსო.



### ახალი დისკი გერმანიისთვის

გერმანიის ხელისუფლებას შვეიცარიის ბანკებში ანგარიშების მქონე გერმანელების მიერ გადასახადებისთვის თავის არიდების ფაქტების შემცველი კიდევ ერთი, რიგით მესამე დისკი შესთავაზეს. პირველ დისკში, რომელზეც 1400 დამნაშავის შესახებ იყო ინფორმაცია, გერმანიამ 2,5 მილიონი ევრო გადაიხადა. მეორე დისკსა და 1700 დამნაშავეზე ინფორმაციაში კი — 600 ათასი ევრო. ვიდრე გერმანიას მესამე დისკის შესყიდვის გადაწყვეტილება მიუღია, სახელმწიფო სტრუქტურებში აღიარებითი ჩვენებებით უკვე გამოცხადდნენ დამნაშავეები.



### გერმანელებს ანგელა არ მოსწონთ

ახლახან, ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გერმანიის მოსახლეობის თითქმის სამი მეოთხედი ანგელა მერკელის კონსერვატორულ-ლიბერალური კოალიციური მმართველობით უკმაყოფილოა. გარდა ამისა, კოალიციური კაბინეტის შიგნით მიმდინარე მთელი რიგი დაპირისპირებების გამო მოსახლეობის 62% თვლის, რომ პარტნიორობა ვერ შედგა. თავად ქალბატონი კანცლერის ხელმძღვანელობის სტილით უკმაყოფილოთა რაოდენობამ გამოკითხულთა 85% შეადგინა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



◀ პროგრამას პირობითად ეწოდა „40-40“, სადაც 40-40 მსოფლიო რუკაზე კვადრატის კოორდინატებია. პროგრამის სპონსორი და ინიციატორი თეთრი სახლია.

ინდოეთში ოფიციალური რელიგია ინდუიზმია. მოსახლეობა რელიგიური კუთვნილების მიხედვით შემდეგნაირადაა დანაწევრებული: ინდუიზმი — 80,5%, ისლამი — 13,4%, ქრისტიანობა — 2,3%, სიკჰიზმი — 1,9%, ბუდიზმი, ჯაინიზმი და ზოროასტრიზმი — დანარჩენი. აბსოლუტურად გასაგებია, რომ ამგვარი მდგომარეობა კატეგორიულად მიუღებელია „ქსელური ომების“ იდეოლოგთათვის — ამერიკისთვის გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანესი ინდოეთის მოსახლეობა „სტანდარტების“ შესაბამისად უნდა აზროვნებდეს და იქცეოდეს, ამისათვის კი რელიგიურ სფეროში საკმარისი სივრცის გამოთავისუფლება და აშშ-ისეული ქცევის სქემის შესაბამისი „ნეოპროტესტანტული ეთიკის“ დანერგვაა საჭირო.

პირველად ბრძოლის ველზე მძიმე არტილერია — აშშ-ის უმსხვილესი პროტესტანტული ორგანიზაცია „Southern Baptist Convention“ გავიდა და დააარსა „ბაპტისტების ასოციაცია აღმოსავლეთის ევანგელიზაციისათვის“. ინდოეთში მათ დააფუძნეს „ინდოეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ბაპტისტური ეკლესიების საბჭო“, რომლის ამოცანაა ინდოეთის, ნეპალისა და ჩინეთის „გაქრისტიანება“, გახსნილად აცხადებს: „მთელი მსოფლიოს ერთ თაობაში ევანგელიზაცია — აი, რა გახდა ეკლესიის მთავარი მიზანი; განსაკუთრებული ყურადღება ინდოეთს, იაპონიას, სამხრეთ ამერიკასა და ჩინეთს“.

ბრძოლა ერთდროულად სამ ფრონტზეა: ინდუიზმის ამოძირკვა, ლათინოამერიკელ კათოლიკებთან ბრძოლა და ამჟამად, ძირითადად, ათეისტი წითელი ჩინეთის „ევანგელიზაცია“. ინდოეთში ორმოცდაათიანელობას 3,2 მილიონი ადამიანი ეზიარა. კონფესიათშორისი ომი ინდოეთში უკვე თითქმის რეალობაა. ადვენტისტური საიტი წერს, რომ „ინდუისტი ექსტრემისტები ქრისტიანებზე თავდასხმებს განაგრძობენ. სულ მცირე 50 ქრისტიანი დაიღუპა. მათგან ზოგი დაუნდობლად აჩეხეს, ზოგიც ცოცხლად დაწვეს... დაზარალებულთა საერთო რაოდენობა 18 ათასს აღწევს, მათგან უმრავლესობა მძიმე მდგომარეობაშია, ქრისტიანი ქალები ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. დარბეული სახლების რაოდენობა 4400-ს აღწევს, ქრისტიანებმა 300-მდე სოფელი დატოვეს. მრავალი თავშესაფარი, ასობით ეკლესია დარბეული და გადამწვარია“.

და ეს არ არის ოკეანისგაღმელი „მისიონერების“ ქმედებებით განპირობებული სამოქალაქო ომის დასაწყისი? უფრო მეტიც, „ვარნავას ფონდის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი მოითხოვს: „ინდუისტების მცდელობა, ინდოეთი ინდუისტურ ქვეყნად აქციონ და ნებისმიერი საშუალებით ამოძირკვონ ქრისტიანობა, უნდა აღიკვეთოს!“

სხვაგვარად რომ ვთქვათ, აშშ-ის ხელისუფლების გაცხადებული მიზანი და „მსოფლიოს ერთ თაობაში ევანგელიზაცია“ ბუნებრივი და ნორმალური პროცესია, „ინდოეთის ინდუისტურ ქვეყნად ქცევა“ კი — ექსტრემიზმი და აღმსარებლობის თავისუფლების შელახვა.

ქრისტიანობა აქ ყველგან პირობითად ფიგურირებს, თორემ სინამდვილეში ამერიკის „ქსელური ომების“ „ევანგელიზაციის“ ნაწილს ქრისტიანულ ღირებულებებთან საერთო არაფერი აქვს. მიზანი აბსოლუტურად საწინააღმდეგოა — ხელოვნურად შექმნან განხეთქილება ინდოეთის საზოგადოებაში და დაასუსტონ რეგიონში აშშ-ის ერთ-ერთი უძლიერესი კონკურენტი.

ამ თემისადმი მიძღვნილ კვლევაში ანალიტიკოსი სერგეი კრივოშეევი პირდაპირ მიანიშნებს: „ქსელური ომი ინდოეთის წინააღმდეგ ყველა მიმართულებით მიმდინარეობს, მაგრამ ყველაზე მეტ წარმატებას ამერიკელებმა რელიგიური ფაქტორის გამოყენებით მიაღწიეს. ჯერჯერობით ინდოეთის ამერიკასთან ურთიერთობა პარტნიორული ურთიერთობების განვითარების სტადიაშია, დეკლარირდება საერთო დემოკრატიული ფასეულობები, აღმსარებლობის თავისუფლებისა და ადამიანთა უფლებების საკითხი არც აშშ-ში და არც მის მოკავშირე ევროპულ ქვეყნებში არ დადგება. როგორც კი ინდოეთი გააცნობიერებს თავის ნაციონალურ ინტერესებს, საბოლოოდ გაარკვევს, ვინაა მისთვის მეგობარი და ვინ — მტერი, სწორედ მაშინ შეეცდებიან ამერიკელები უკვე ჩადებული რელიგიური ნაღმის აფეთქებას“.

გამჭვირვალე პერსპექტივაა: გეოპოლიტიკურ არენაზე აშშ-ისთვის ნებისმიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში ინდოეთს ნებისმიერ წუთში დაადანაშაულებენ ადამიანთა უფლებების დარღვევებში. როდესაც საქმე შეიარაღებულ რელიგიურ ომებამდე მივა, ინდოეთს მოსთხოვენ, მისცეს უფლება ნატოს, დაიცვას ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული ბირთვული ობიექტები და არსენალები.

ასე რომ, ინდოეთი განწირულია სამოქალაქო ომის თუ არა, სულ მცირე, მასობრივი არეულობებისთვის, მაგრამ ინდოეთი „ქსელურ ომებში“ მეორადი მნიშვნელობის მიმართულებაა. ამერიკის მთავარი სამიზნე ჩინეთია.

**ანდრეი მარტიანოვი**

imperiya.by

# ნატო უამერიკელებოდ

**ეს წერილი Foreign Policy-ის მიერ გამოქვეყნებული ენდრიუ ბასევიჩის სტატიის „რატომ უნდა დატოვოს აშშ-მა ნატო“ ანოტაცია უფროა, ვიდრე ორიგინალური მასალა. მიკერძოებას ვერ დავგწამებთ. წაიკითხეთ. ღირს დროის დაკარგვად!**



მეოცე საუკუნის მსოფლიოს პრაქტიკულად ყველა კატასტროფამ და კატაკლიზმმა ევროპის თავზე გადაიარა. ევროპას ძალის გამოყენებით პოლიტიკური მიზნების მიღწევის სურვილიცა და უნარიც გაუნელდა.

აშშ-სა და ისრაელს „ომის გამოყენებისა და მისი სარგებლიანობის მტკიცე განწყობა აქვთ“.

ევროპა, რომელიც მიჩნეული იყო ისეთი ამბიციების აკვნად, რამაც „თანამედროვე ეპოქა სისხლით გაჟღინთა“, წარსულის უაღრესი პატივისცემის ფონზე შეიარაღებული ძალების დაკომპლექტებისა და აღჭურვის საქმეში „იატაკქვეშა მილიონერივით“ ხელმომჭირნე და ძუნწი ხდება. ბებერი კონტინენტი ევროპის გაერთიანების პროცესითაა დაკავებული და უარს ამბობს შეიარაღებაზე. აშშ-ის ადმინისტრაციები, ერთიმეორის მიყოლებით ცდილობენ, გაუღვივონ ევროპას განელებული ცეცხლი ომისა და შერკინების, მაგრამ არა ზოგადად, არამედ **„მსოფლიო წესრიგის შენარჩუნებისა და ლიბერალური ნორმების იძულებით დაცვის საქმეში“ პასუხისმგებლობის დიდი წილის საკუთარ თავზე აღებითა და დემოკრატიის იძულებითი გავრცელების ამერიკული სტრატეგიის რეალიზაციაში პრაქტიკული მონაწილეობით.**

რა გზით?

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის — ნატოს თავდაცვითი გაერთიანებიდან **„ძალის პროექტების ინსტრუმენტად“** გარდაქმნის გზით.

უფრო გასაგებად: **ნატო უნდა გარდაიქმნას ახალ სტრუქტურად, რომლის ფარგლებშიც ევროპა მხარს დაუჭერს აშშ-ის „ამერიკული გლობალიზმის“ მატერიალიზაციას.**

ვერავინ იტყვის, რომ ევროპული დემოკრატიები აღფრთოვანებულები არიან ასეთი პერსპექტივით.

ნატოს გაფართოება ფაქტია. დღეს მის შემადგენლობაში უწინდელი 16-ის ნაცვლად 28 სახელმწიფოა გაერთიანებული. მიიჩნევენ, რომ ასეთი გაფართოება უარყოფითად აისახა მოკავშირეთა ერთიანობაზე.

**„დღეს ალიანსი კლუბს ჰგავს, რომელშიც გაწევრება ფაქტობრივად ყველას შეუძლია“.** ამიტომ ეცემა მისი ავტორიტეტი და გავლენა. ხოლო ამერიკელი გენერალი, ნატოს ერთიანი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, „მეთაური არ არის, მთხოვნელია“.

გაწევრება ყველას შეუძლია. გარდა საქართველოსი, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი ჯორჯ ბუში თავგამოდებით ცდილობდა ჩვენს შეთრევას ალიანსში.

ხომ გახსოვთ, ვინ იყო წინააღმდეგი? — გერმანია, საფრანგეთი, იტალია... წამყვანი ქვეყნები ევროპის. ამერიკა აღარ უნდათ და იმის პროტეჟე სააკაშვილისთვის მოიკლავდნენ თავს?!

**ევროპული ქვეყნების მთავრობები „სოციალურ კეთილდღეობას, მათ შორის, საკუთარი ჯარების დაფინანსებას, ყველაფერზე მაღლა აყენებენ“;** მათ შორის, თუნდაც ალიანსის სავალდებულო ფინანსურ მხარდაჭერასა და ავღანეთსა და ერაყში თავიანთი შეიარაღებული ძალების ნაწილების გაგზავნას. ამასთან, **„ევროპულ მთავრობებს სულ უფრო უჭირთ საბრძოლო დანაკარგების ატანა“.**

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, საკუთარი ჯარისკაცების სიცოცხლეს უფრთხილდებიან და არ სურთ, აშშ-ს გულის გასახარად „საზარბაზნე ხორცად“ მათ ტრანსფორმირებას შეუწყონ ხელი.

საქართველოში პირიქითაა. არცაა გასაკვირი, სხვაგვარი როდის ყოფილა სატელიტი ხელისუფლების ბუნება და პრაქტიკული მოღვაწეობა?!

ენდრიუ ბასევიჩს ცალმხრივობას ვერ დასწამებ, მისი აზრით, ავტორიტეტის დაცემა არ ნიშნავს, რომ „ნატოს არანაირი ღირებულება არ გააჩნია“.

**ნატოს მკვეთრი კრიტიკის მიუხედავად, იგი ალიანსის სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებისა და გახანგრძლივების მომხრეა. მისი აზრით, „თუ ნატოს მომავალი აქვს, მან თავისი ეს მომავალი უნდა იპოვოს იქ, სადაც დაიბადა — ევროპაში. ნატოს ფუძემდებლურ მისიას (ევროპული დემოკრატიების უსაფრთხოების გარანტირება) ოდნავადაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მართალია, საბჭოთა საფრთხე გაქრა, მაგრამ რუსეთი რჩება“.**

ბასევიჩი რუსული პრობლემებით დაკავებას ურჩევს ნატოს; მაგრამ არა ძალისმიერი მეთოდებით, რომლებმაც დაღალა ევროპა.

და მთავარი დასკვნა, რომელსაც ამ პუბლიკაციაში ამოიკითხავთ:

**„ისევე, როგორც ნიქსონმა, რომელიც პეკინში გაემგზავრა, სადათმა, რომელიც იერუსალიმში გაფრინდა, და როგორც რეიგანმა, რომელმაც გადაწყვიტა, რომ გორბაჩოვი სხვა ტიპის ლიდერი იყო, შეერთებულმა შტატებმა უნდა გარისკოს და წარმოუდგენელი რამ გააკეთოს: ნატოს ევროპულ ორგანიზაციად გარდაქმნის ნება დართოს, რომელსაც თავად ევროპელები უხელმძღვანელებენ, რომელიც ევროპულ მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს, დაიცავს გაერთიანებული და თავისუფალი ევროპის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას და ამას დამოუკიდებლად გააკეთებს“.**

არ უნდა იყოს ურიგო რჩევა, ღმერთმანი!

**არმაზ სანებლიძე**

# ვინ გაიმარჯვებს აშშ-ისა და ევროპის დაპირისპირებაში?

**ბერნარ დებუსმანი — რეიტერის მიმომხილველი — ცდილობს, უპასუხოს ამ კითხვას და ასეთ ტესტს გვთავაზობს:**

**სად არის მსოფლიოში ყველაზე მსხვილი ეკონომიკა?**

ა) აშშ-ში; ბ) ჩინეთში/აზიაში; გ) ევროპაში.

**სად არის FORTUNE-500-ის სიაში შემავალი ყველაზე მეტი კომპანია?**

ა) აშშ-ში; ბ) ჩინეთში; გ) ევროპაში.

**სად იდება ყველაზე მეტი ამერიკული ინვესტიცია?**

ა) ევროპაში; ბ) ჩინეთში; გ) აზიაში.

და თვითონ უპასუხებს, რომ სამივე კითხვაზე **სწორი პასუხია — ევროპა, უფრო ზუსტად — ევროკავშირი, რომელიც 27 სახელმწიფოსა და 500 მილიონ ადამიანს აერთიანებს.** ეკონომიკის მოცულობით ევროკავშირი, ფაქტობრივად, ერთად აღებულ აშშ-სა და ჩინეთს უთანაბრდება, მაგრამ ამავე დროს ეს ნიშნავს, რომ ამერიკელები XXI საუკუნეში განწირულები არიან. მათი აზრით, ეს საუკუნე ჩინეთის იქნება.

ჩინეთი ზესახელმწიფო გახდება, ხოლო 2035 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) მოცულობით აშშ-ს გაუსწრებს. მაგრამ კარგი იქნება, თუ პროგნოზების მოყვარულები გაიხსენებენ, რა ბედი ეწია ანალოგიურ პროგნოზებს, რომლებიც ადრე კეთდებოდა. მაგალითად, საუკუნეების მიჯნაზე გამოჩენილი სტრატეგები გვარწმუნებდნენ, რომ ოც წელიწადში აღმოსავლეთ მსოფლიოში წამყვანი ზესახელმწიფო გახდებოდა, 1980 წლის ბოლოს კი მსოფლიოში ლიდერის როლს იაპონიას უწინასწარმეტყველებდნენ.

არ გამართლდა.

**სტივენ ჰილი** კი განმარტავს, რომ ამერიკელების უმრავლესობას ევროპელების მიღწევებზე წარმოდგენა არ აქვთ. მისი თქმით, „მათ გარშემო არაფრის დანახვა არ სურთ, რადგან სჯერათ, რომ „ჩვენ მაინც ყველაზე კარგები ვართ“, რომ „ამერიკა პლანეტაზე ყველას უსწრებს“.

ჰილი, რომელიც ახალ ამერიკულ ფონდში პოლიტიკური რეფორმების პროგრამას ხელმძღვანელობს, მიიჩნევს, რომ **აშშ ევროპას, ფაქტობრივად, თითქმის ყველა იმ სოციალურ-ეკონომიკური პარამეტრით ჩამორჩება, რომელთა გაზომვაც შესაძლებელია.**

ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპები, რა თქმა უნდა, შთამბეჭდავია და ამას ჰილიც აღიარებს, მაგრამ ქვეყანა არსობრივად დასავლეთის დაქირავებულ მუშახელად რჩება და სავსეა შიდა წინააღმდეგობებით.

ეკონომისტები **ჯოზეფ სტიგლიცი და პოლ კრუგმანი (ორივე ნობელის პრემიის ლაურეატია)** ევროპას ოპტიმიზმით უყურებენ. ისინი ამტკიცებენ, რომ სოციალური სამართლიანობისკენ სწრაფვა და პროგრესი, რაც ევროპას ახასიათებს, პარალელურად ვითარდება.

სად სჯობს ცხოვრება? ბოლო 30 წლის განმავლობაში ამერიკულმა ჟურნალმა International Living-მა ცხოვრების დონის საკუთარი ინდექსი შეადგინა, რომელიც ეფუძნება სამომხმარებლო პროდუქციას, კულტურისა და დასვენების, ეკონომიკის, ეკოლოგიის, თავისუფლების, ჯანდაცვის, ინფრასტრუქტურის მდგომარეობის, უსაფრთხოებისა და კლიმატის ღირებულებას. **ბოლო ხუთი წელია, ამ სიაში საფრანგეთი ლიდერობს, აშშ კი მეშვიდე ადგილზეა.**

**არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დასავლეთში დემოკრატიული ღირებულებებისათვის მებრძოლ რაინდად მიაჩნიათ, საქართველოში კი მას დიქტატორად ნათლავენ, რომლის მიზნებისკენ მიმავალი გზა ხშირად გვამებითაა მოფენილი. გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ ახალ რუბრიკაში „დიქტატორები“ მსოფლიოს ყველა ცნობილ დიქტატორს წარმოგიდგენთ. პარალელების გავლება და შესაბამისი დასკვნების გამოტანა კი თქვენთვის მოგვინდვია...

# ომარ ალ-ბაშირი — თანამედროვეობის უსასტიკესი დიქტატორი

**ამ ერთი თვის წინათ „ფეხსაცმლის ტყორცნის“ ტრადიციის ერთ-ერთმა მიმდევარმა, ხართუმის ცენტრში გამართულ ღონისძიებაზე სუდანის პრეზიდენტ ომარ ალ-ბაშირს ფეხსაცმელი ესროლა. ნივთი მიზანს ასცდა, 40 წლის ადილ ალ-მაჰჯუბი კი უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს. სუდანელი ფეხსაცმლის მტყორცნელის მოტივები უცნობია, სროლისას მას არავითარი რეპლიკა არ გაუკეთებია. სუდანის შსს-ს განცხადებით, ადილ ალ-მაჰჯუბი არც რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრია და არც ექსტრემისტული ორგანიზაციის წარმომადგენელი, ის, უბრალოდ, შიზოფრენიითაა დაავადებული.**





სუდანის ინციდენტისთვის მაგალითად იქცა შემთხვევა ერაყში, როცა **2008 წლის დეკემბერში ტელეარხ „ალ-ბაღდადიას“ კორესპონდეტმა მუნთაზერ ალ-ზაიდიმ ფეხსაცმელები დაუშინა აშშ-ის მაშინდელ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს და არაბულ ქვეყნებში ამის გამო ლამის ნაციონალურ გმირად გამოაცხადეს**.

მანამდე, 2009 წლის მარტში, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ **ორდერი გასცა ალ-ბაშირის დაკავებაზე, რომელსაც ბრალი 7 პუნქტის მიხედვით წაუყენეს, აქედან 5 პუნქტი — კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულზე, ხოლო 2 სამხედრო დანაშაულზე პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა.** 2209 წლის ნოემბერში კი ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ „ამნესთი ინთერნეშენალმა“ გააკიცხა თურქეთი ომარ ალ-ბაშირის სტამბულში მიწვევის გამო — სუდანის პრეზიდენტი ხომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ დარფურში განხორციელებული გენოციდისა და სხვა სამხედრო დანაშაულთა გამო იძებნებოდა! „საერთაშორისო ამნისტიას“ მხარი დაუჭირა „ჰუმან რაითს ვოთჩმაც.“ სამაგიეროდ, ალ-ბაშირის დასაცავად თავად თურქეთის პრემიერი რეჯებ თაიპ ერდოღანი გამოვიდა, რომელმაც სენსაციური განცხადება გააკეთა იმის თაობაზე, რომ „მუსლიმანები გენოციდს არ განახორციელებდნენ!“ თანაც ის თავად ბრძანდებოდა თურმე დარფურში და ამგვარი რამ იქ არ შეუნიშნავს...

ასეა თუ ისე, მსოფლიო იურიდიულ პრაქტიკაში არნახული პრეცედენტი წარმოიშვა — **ალ-ბაშირი პირველი მოქმედი სახელმწიფოს მეთაურია, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობამ ბრალი დასდო საკუთარი ქვეყნის მოქლაქეების გეგმაზომიერ ჟლეტაში!**

ომარ ჰასან აჰმად ალ-ბაშირი 1989 წლიდან სუდანის ერთპიროვნული მმართველია, **რომელიც ხელისუფლების სათავეში სამხედრო გადატრიალების შედეგად მოვიდა**. 1993 წლიდან ის პრეზიდენტისა და ქვეყნის პრემიერ-მინისტრის პოსტს ითავსებს. ხელისუფლებაში მოსვლამდე კი საკადრო სამხედრო პირი იყო. მისი მმართველობის ხანაში, 21-წლიანი საბრძოლო მოქმედებების შემდგომ, დასრულდა სამოქალქო ომის სამხრეთ სუდანში (1983-2004), თუმცა 2003 წელს ახალი კონფლიქტი გაჩაღდა ქვეყნის დასავლეთში — დარფურში და, ასევე, შეიარაღებული დაპირისპირება დაიწყო ჩადის რესპუბლიკაშიც. აშშ და **სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მთავარი პროკურორი მას ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდში ადანაშაულებენ**.

ალ-ბაშირი 1944 წლის 11 იანვარს დაიბადა არაბულ სოფელ ჰოსე ბანაგაში, სუდანის დედაქალაქ ჰართუმის მახლობლად, რომელსაც მაშინ ანგლო-ეგვიპტური ადმინისტრაცია მართავდა. ალ-ბაშირი საკუთარ თავს არაბული ტომის — ჯაალის წარმომადგენლად მიიჩნევდა, თუმცა მისი ბაბუა ნიგერიული ფალათის ტომის შვილი იყო. სასკოლო განათლება ალ-ბაშირმა მშობლიურ სოფელსა და ხართუმში მიიღო, ხოლო სკოლის დამთავრების შემდეგ სუდანის არმიაში დაიწყო სამსახური. 1967 და 1969 წლებში ის სუდანის არმიის დასავლეთი შტაბის პილოტი გახლდათ, ხოლო 1969 წელს საპარაშუტო ჯარებში მედესანტედ გადაიყვანეს. 1973 წლის ოქტომბერში ალ-ბაშირი ეგვიპტეში ისრაელის წინააღმდეგ ეგვიპტის შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში იბრძოდა. 1975 წელს იგი არაბთა გაერთიანებულ საამიროებში სუდანის სამხედრო ატაშედ დანიშნეს და ამ თანამდებობაზე 1979 წლამდე დარჩა. 80-იან წლებში სუდანსა და მალაიზიაში სამხედრო მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხი მიიღო.

სუდანში სამოქალაქო მის დაწყებიდან რამდენიმე წლის შემდეგ, რომლის მიზეზიც ნავთობწარმოებიდან მიღებული შემოსავლების გაყოფა და მთავრობის მიერ ქრისტიანებისა და სამხრეთ პროვინციების სხვა მოსახლეთათვის შარიათის კანონების ძალად თავსმოხვევა იყო, 1987 წელს ალ-ბაშირი მერვე ქვეითი ბრიგადის მეთაურად დანიშნეს. ის მოჯანყეთა — სუდანის გამათავისუფლებელი სახალხო არმიის წინააღმდეგ იბრძოდა.

1989 წლის დასაწყისში კი 15 გენერალთან ერთად ალ-ბაშირმა ნაციონალური ხსნის რევოლუციურ მეთაურთა საბჭო ჩამოაყალიბა და რადიკალური ნაციონალური ისლამური ფრონტის ლიდერ ჰასან ალ-თურაბის დაუახლოვდა, რომელიც სამხედროებს პოლიტიკურ დასაყრდენად ესაჭიროებოდათ. 1989 წლის 30 ივნისს **ალ-ბაშირმა მის მიერ ორგანიზებული გადატრიალების შედეგად დაამხო პრეზიდენტი სადიქ ალ-მაჰდი, შეცვალა კონსტიტუცია, დააწესა შარიათი ქვეყნის ტერიტორიაზე, ხოლო 1990 წლის ბოლოს სუდანი ისლამურ სახელმწიფოდ გამოაცხადა**. მოჯანყეთათვის მხარდაჭერის ბრალდებით ქვეყნიდან გააძევა ჰუმანიტარულ მისიათა ყველა უცხოელი თანამშრომელი და ნავთობ კომპანია Chevron-ის სპეციალისტები, რომლებიც 1974 წლის კონცესიით, ნავთობის საბადოების მონოპოლიურ დამუშავებას აწარმოებდნენ.

1989 წელს ალ-ბაშირმა არაბული ტომების შეიარაღებისა და ისლამური მოახლისეთა რაზმების შექმნის ბრძანება გასცა, რამაც ქვეყნის სამხრეთში კონფლიქტი გაამწვავა. 1990 წლის აპრილში კი, შეიარაღებული გადატრიალების მცდელობის აღკვეთის შემდეგ, მან მთავრობის რეორგანიზება მოახდინა და მეტი ძალაუფლება მიანიჭა ისლამისტებს, ალ-თურაბის ხელმძღვანელობით, რომელიც „ნაციის სულიერ მამად“ იქცა. მაისში ალ-ბაშირმა სამხრეთ სუდანში ნავთობის საბადოების დაპყრობა დაიწყო: მის დაქვემდებარებაში მყოფი ჯარები საბადოების მიმდებარე დასახლებულ პუნქტებში იჭრებოდნენ და განურჩევლად ხოცავდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, გადარჩენილებს კი ქვეყნის დატოვებას აიძულებდნენ. **1990 წელს სუდანი „ალ-ქაიდას“ ბოევიკთა ბაზად იქცა: 1991-1996 წლებში უსამა ბინ-ლადენი სუდანში იმყოფებოდა**.

1993 წლის 16 ოქტომბერს ნაციონალური ხსნის რევოლუციურ მეთაურთა საბჭომ თავი დაშლილად გამოაცხადა და ალ-ბაშირი პრეზიდენტად დანიშნა. 1993 წელს სუდანი ტერორიზმის სპონსორი სახელმწიფოების ჩამონათვალში მოხვდა, ხოლო 1996 წელს მის წინააღმდეგ გაეროს სანქციები იქნა შემოღებული. ქვეყანაში საერთაშორისო ჯარების შემოსვლის შიშით, ალ-ბაშირი დათმობებზე წავიდა: ბინ-ლადენს სუდანი დასტოვებინა და 1996 წელს ქვეყანაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩაატარა, რომელზეც ხმათა 75.5 პროცენტით გაიმარჯვა. 1997 წელს შეტაკებები ლოკალიზებული იქნა, დაიწყო ნავთობის საბადოების დამუშავება. ძირითად ნავთობმომპოვებლებად სუდანში ჩინური Sinopec და CNPC, ასევე მალაიზიური კომპანია Petronas და ინდური ONGG Vldesh Ltd იქცნენ. მიუხედავად საერთაშორისო სანქციებისა, 1999 წელს სუდანმა ნავთობის ექსპორტირება დაიწყო.

1999 წელს ალ-ბაშირმა ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები გამოაცხადა და პოლიტიკური პარტიების ლეგალიზება მოახდინა. 1999 წელს ალ-თურაბი, რომელმაც შენიშნა, რომ ალ-ბაშირი რადიკალურ ისლამურ პოკზიციებს ემიჯნებოდა და საზოგადოების მოდერნიზებას აპირებდა, შეეცადა, შემოეღო კანონი, რომელიც პარლამენტს პრეზიდენტის გადაყენებისა და პრემიერ-მინისტრის დანიშვნის უფლებას ანიჭებდა. 13 დეკემბერს **ალ-ბაშირმა სამთვიანი საგანგებო მდგომარეობა შემოიღო და პარლამენტი დაითხოვა**, ხოლო თურაბი შემდგომში არაერთხელ გაამწესა საპყრობილეში სამხრეთ სუდანელ და დარფურელ მოჯანყეებთან თანამშრომლობის ბრალდებით. **2000 წელს ალ-ბაშირმა, ხმათა 89.5 პროცენტით, კვლავ გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში**.

ნავთობმოპოვებამ სუდანს ფინანსური საქმეების გამოსწორების საშუალება მისცა. ნავთობის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები არაბი ბოევიკებისა და იარაღის შესყიდვას ხმარდებოდა, რის გამოც სამხრეთ სუდანში კონფლიქტმა ახალი ძალით იფეთქა. სუდანი იარაღს, ძირითადად, ჩინეთიდან, ბელორუსიდან და რუსეთიდან იღებდა, გაეროს სანქციების გვერდის ავლით.

2004 წელს გაეროს ზეწოლით ალ-ბაშირმა მოჯანყეებთან მოლაპარაკებების წარმოება დაიწყო, რომელიც 19 ნოემბრის საზავო შეთანხმებით დასრულდა. ასე დამთავრდა 21-წლიანი ომი, რომელმაც 2 მილიონი კაცის სიცოცხლე იმსხვერპლა. **საზავო შეთანხმებითა და ახალი დროებითი კონსტიტუციის მიხედვით, სამხრეთ სუდანს 6-წლიანი ავტონომია მიენიჭა, რომლის დასრულების შემდეგაც შესაძლებელი იქნება რეფერენდუმის ჩატარება სამხრეთ სუდანის დამოუკიდებლობის თაობაზე**. გარდა ამისა, 6-წლიანი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ჩრდილოეთის მთავრობა და სამხრეთ რეგიონები თანაბრად გაიყოფენ ნავთობმოპოვებიდან მიღებულ შემოსავლებს.

დარფურის სამოქალაქო ომი 2003 წლის თებერვალში დაიწყო. მის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად კლიმატურ ცვლილებებს ასახელებენ, რასაც შედეგად მიწის გამოფიტვა და შიმშილობა მოჰყვა. როგორც სამხრეთსუდანური კონფლიქტისას, **ალ-ბაშირმა არაბ მოხალისეთა რაზმი „ჯანჯავიდი“ ჩამოაყალიბა და ბოევიკებს ადგილობრვი მოსახლეობის ამოჟლეტისა და მომიჯნავე ჩადისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მათი გაძევების ნება დართო.** თავიდან „ჯანჯავიდის“ ბოევიკები შავკანიანთა ტომებს სასოფლო-სამეურნეო მიწების ხელში ჩასაგდებად აძევებდნენ, მაგრამ სამხრეთ დარფურში ნავთობის საბადოს აღმოჩენის შემდეგ, 2005 წელს მათ მთავარ მიზნად საბადოების გარშემო „სანიტარიული ზონების“ შექმნა იქცა. **ალ-ბაშირი პირადად გასცემდა ადგილობრივი მოსახლეობის: ფურების, მასალითებისა და ზაგჰავას განადგურების ბრძანებას.** „ჯანჯავიდის“ გარდა კონფლიქტში პერიოდულად სამთავრობო ჯარებიც მონაწილეობენ. 2007 წელს კონფლიქტის ზონაში გაეროს ჯარები შეიყვანეს. სულ დარფურის **კონფლიქტისას 400.000 კაცი დაიღუპა, ხოლო 2.7 მლნ ლტოლვილად იქცა**.

ალ-ბაშირი არაერთგზის გაუკიცხავთ იმის გამო, რომ სუდანში **ყველა შეიარაღებულ კონფლიქტს თან სდევს ხოცვა-ჟლეტა, ძარცვა, წამება, გაუპატიურება, ბავშვთა მონებად გატაცება და უმძიმესი პირობები ლტოლვილთა ბანაკებში. ალ-ბაშირი კონფლიქტის ზონაში ჟურნალისტებს არ უშვებდა და იჟინებდა, რომ მთავრობას არავითარი კავშირი არ აქვს ადგილობრივი მოსახლეობის გენოციდთან...**



ომარ ალ-ბაშირი და თურქეთის პრეზიდენტი აბდულა გიული

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ლევ ტროცკი — რევოლუციის დემონი და ტერორის მამა

**„ჩვენ რუსეთი თეთრი ზანგებით დასახლებულ უდაბნოდ უნდა ვაქციოთ, რომლებსაც ისეთ ტირანიას ვაჩვენებთ, აღმოსავლეთის ყველაზე საზარელ დესპოტებსაც რომ არ მოლანდებიათ; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ეს ტირანია, თეთრი კი არა, წითელი იქნება, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, რადგან სისხლის ისეთ მდინარეებს დავღვრით, რომ კაპიტალისტური ომების ყველა მსხვერპლი მათ წინაშე გაფერმკრთალდება! ოკეანისგაღმელ უდიდეს ბანკირებს ჩვენთან მჭიდრო კონტაქტი ექნებათ... ჩვენ ვაჩვენებთ, რა არის ნამდვილი ძალაუფლება ტერორითა და სისხლის მდინარეებით, რუს ინტელიგენციას სრულ დაჩლუნგებამდე, იდიოტიზმამდე, ცხოველურ მდგომარეობამდე მივიყვანთ...," — წერდა ახალგაზრდა ტროცკი, ლეიბა დავითის ძე ბრონშტეინი.**



სულთმობრძავი ტროცკი



რამონ მერკადერი

ბოლშევიკთა თითქმის ყველა ხელმძღვანელი მუშათა და გლეხთა ფენის წარმომადგენელი არ იყო, მაგრამ მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ლევ დავითის ძე ტროცკი — ის მდიდარი ხერსონელი მიწის არენდატორის ვაჟი გახლდათ. 1918 წელს უფროსი ბრონშტეინი პეტროგრადში ჩავიდა და შვილს გაუმხილა, რას ფიქრობდა ახალ ხელისუფლებასა და წესიერი ოჯახისშვილების მონაწილეობაზე ამ „საძაგლობაში." სსრკ-ში გაზრდილი ადამიანებისთვის ძნელი გასაცნობიერებელია, რომ ტროცკი, უბრალოდ, თვალსაჩინო რევოლუციონერი კი არა, ლენინის ბადალი ფიგურა იყო. საბჭოთა რუსეთში მხოლოდ ამ ორ კაცს უწოდებდნენ ბელადს: „რევოლუციის ბელადი, ამხანაგი ლენინი" და „წითელი არმიის ბელადი, ამხანაგი ტროცკი." მხოლოდ მათი პორტრეტები ეკიდა გვერდიგვერდ, დანარჩენ მმართველებს სახეზე ვერც კი ცნობდნენ. **ლენინის მონღოლური პროფილი, რომელიც ძალაუნებურად ჩინგის ხანს მოგაგონებდა და ბრონშტეინის მეფისტოფელური წვერი შთააგონებდა მათ, ვინც განადგურების სტიქიით ტკბებოდა, ხოლო მშვიდობიან ობივატელებში მისტიკურ შიშს ნერგავდა**.

„სამი მუშკეტერის" პერსონაჟ მილედის მსგავსად, ტროცკის ფანტასტიკური ქაღალდი ჰქონდა ხელთ: **„ამხანაგ ტროცკის** ყველა ქმედებას უპირობოდ ვუჭერ მხარს. მისი **ყველა განკარგულება დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს** ისე, თითქოს ჩემი საკუთარი იყოს. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ულიანოვი (ლენინი)."

1905 წლის რევოლუციის დროს, როცა ლენინი დროებით დაბრუნდა ემიგრაციიდან და ჯერ არაფერი განსაკუთრებული არ მოემოქმედებინა, ტროცკი, არც მეტი, არც ნაკლები, პეტერბურგის საბჭოს თავმჯდომარე იყო; გამოდიოდა მიტინგებზე, საპყრობილეებში ყურყუტებდა და იქიდან გარბოდა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკებად და მენშევიკებად გაყოფის შემდეგ **ტროცკიმ თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა და მოქიშპე მხარეებს შერიგებისკენ მოუწოდებდა**. ამის გამო ლენინმა მას „იუდუშკა" შეარქვა, თუმცა ტროცკი პოლიტიკურ ქულებს მაინც წარმატებით იწერდა.

ის მშვენივრად ფლობდა რამდენიმე ენას და წამყვანი ევროპული გაზეთებისათვის არაერთი რეპორტაჟიც გააკეთა 1912 წლის ბალკანეთის ომიდან. ასე რომ, **მას დასავლეთშიც ჩინებულად იცნობდნენ**.

**მსოფლიო ომის დროს ტროცკი აშშ-ში ცხოვრობდა**. რუსეთში სწრაფ ცვლილებებს არავინ ელოდა. თებერვლამდე რამდენიმე კვირით ადრე ლენინი ახალგაზრდა შვეიცარიელ რევოლუციონერებს ეუბნებოდა, რომ მისი თაობა რევოლუციამდე ვერც მიაღწევდა; ხოლო ტროცკი ამერიკელ მემარცხენეებთან ჰავაის კუნძულებზე სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის გეგმებზე მსჯელობდა. რევოლუციურ პეტროგრადში ის მხოლოდ 1917 წლის მაისში ჩამოვიდა — ლენინზე სამი კვირით გვიან, მაგრამ რევოლუციურ წრეებში ისეთი ავტორიტეტით სარგებლობდა, რომ ლენინი ბოლშევიკებთან მიმხრობას სთხოვდა, ის კი პირობებს აყენებდა.

3-4 ივლისს, ძალაუფლების ხელში ჩაგდების პირველი წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, როცა ლენინი ზინოვიევთან ერთად რაზლივის ტბასთან კარავში დაიმალა, ტროცკი ციხეში მოხვდა, მაგრამ „კორნილოვის აჯანყების" შემდეგ იქიდან ტრიუმფატორად გამოვიდა და მეორედ ჩაუდგა სათავეში პეტროგრადის საბჭოს.

დღეს ისტორიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ **ოქტომბრის რევოლუციას, ძირითადად, ტროცკი ხელმძღვანელობდა**. პირველ ბოლშევიკურ ხელისუფლებაში ტროცკი საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი იყო და მის მთავარ ამოცანას გერმანიასთან მშვიდობიანი მოლაპარაკებები წარმოადგენდა.

სტალინის „მოკლე კურსი" და საბჭოთა ისტორიის ყველა შემდგომი სახელმძღვანელო ტროცკის მოღალატური და სულელური იდეისგან — **„არც ომი, არც მშვიდობა, ხოლო არმია დაიშალოს,"** — ქვას ქვაზე არ ტოვებდა, სამაგიეროდ, **ლენინი და ბოლშევიკების ცეკა მას არც მოღალატედ და არც იდიოტად არ მიიჩნევდნენ**.

1918 წლის 28 იანვარს გამოქვეყნდა დეკრეტი მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნის შესახებ; 23 თებერვალს კი მოხალისეთა სახელდახელოდ შეკრებილი რაზმები კაიზერის ჯარების მოახლოების შიშით ნარვიდან და ფსკოვიდან უკუიქცნენ. 3 მარტს საბჭოთა დელეგაციამ ხელი მოაწერა ბრესტის ხელშეკრულებას, მეორე დღეს კი უმაღლესი სამხედრო საბჭოს (1918 წლის სექტემბრიდან — რესპუბლიკის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს) თავმჯდომარედ ტროცკი დაინიშნა. მანვე შექმნა უროსა და ნამგლის ემბლემა და საბრძოლო წითელი დროშის ორდენი, სამხედრო კომისარიატთა სისტემა და პირადად დაწერა ფიცის ტექსტი. პლატფორმებზე მცველებიანი ავტომანქანებითა და ტყვიამფრქვევებით აღჭურვილ დაჯავშნულ მატარებელში ცხოვრობდა, სადაც საძინებელი, კაბინეტი, აბანო და სტუმრების მისაღები ოთახები იყო განთავსებული (ეს რუსეთის უკანასკნელი იმპერატორის ნიკოლოზ II-ის მიბაძვით მოიმოქმედა). ტროცკი ბრძოლას ულმობელი სისასტიკით აწარმოებდა. 1919 წლის მაისში, როცა წითელმა არმიამ დონის კაზაკებზე იერიში მიიტანა, ლევ დავითის ძემ ბრძანება გამოსცა: **„მოღალატეთა და კაენთა ბუდეები უნდა განადგურდეს. გაჟლიტეთ კაენები!"** მისი განკარგულებით სტანიცებს საარტილერიო ცეცხლით მიწასთან ასწორებდნენ, ხალხს ტყვიამფრქვევებით ცხრილავდნენ, ხოლო მეჩირაღდნეთა რაზმები გადარჩენილ სახლებს ცეცხლს უკიდებდნენ. **ეს 11-მილიონიანი ხალხის არნახული გენოციდი იყო**. საერთოდაც, თავიანთი მმართველობის პირველი 6 წლის განმავლობაში ბოლშევიკებმა და ტროცკიმ 18 მლნ ადამიანი იმსხვერპლეს... სტალინის მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე გამოსვლებსა და სტატიებში ერთხელაც არ უხსენებია სიტყვა „დახვრეტა," ტროცკი იმას აკეთებდა, რასაც ამბობდა და ამბობდა იმას, რასაც ფიქრობდა... ზოგიერთი ისტორიკოსის თქმით, სტალინის რისხვა ტროცკიმ სწორედ კაზაკთა ამოჟლეტვის შემდეგ დაიმსახურა.

1918 წლის 17 ივლისს, 22 საათსა და 30 წუთზე, ეკატერინბურგში, იპატიევის სასახლეში, ურალსაბჭოს ორი საგანგებო რწმუნებული მივიდა და რაზმის მეთაურს ერმაკოვსა და სახლის კომენდანტ იუროვსკის სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილება გადასცა...

შუაღამისას იუროვსკიმ რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი ნიკოლოზ II გააღვიძა და აუწყა, რომ ჩეხები და თეთრები ეკატერინბურგისკენ მოიწევდნენ, რის გამოც მონარქის ოჯახს იქაურობა უნდა დაეტოვებინა, მერე კი, ქვემოთ, ნახევრად სარდაფისკენ ჩაუძღვა. მონარქი და მისი მეუღლე ალექსანდრა სკამებზე ჩამოსხდნენ, მესამე სკამზე 14 წლის ალექსეი დააწვინეს. დედის უკან დადგნენ ოთხი ქალიშვილი, ექიმი ბოტკინი, ლაქია ტრუპი, მზარეული ხარიტონოვი და იმპერატრიცას მოახლე დემიდოვა.

იუროვსკის კვალდაკვალ ჩეკას მთელი რაზმი შემოჰყვა. ის მოიღო და სწრაფად წაროთქვა: „რაკილა თქვენი ნათესავები საბჭოთა რუსეთზე თავდასხმას აგრძელებენ, აღმასრულებელმა კომიტეტმა თქვენი დახვრეტა გადაწყვიტა!" შემდეგ კი ფეხზე წამომჭრელ მეფეს თავში ესროლა. ჯალათები საქმეს შეუდგნენ. ალექსანდრამ და ოლგამ მაშინვე დალიეს სული, Aნასტასია, ტატიანა და მარია კი კუთხეში მიიკუნჭნენ და უსიტყვოდ გაუსწორეს თვალი მკვლელებს, რომლებმაც შაშხანები დაყარეს და ხიშტები მოიმარჯვეს...



საბჭოთა ტერორის მამა საჯაროდ გაროზგვისას

რამდენიმე წუთში ყველაფერი დამთავრდა. სისხლი მდინარედ დაედინა იატაკზე. იუროვსკი მონარქის ვაჟს მიუახლოვდა და ყურში ორჯერ დაახალა ტყვია, რადგან სულთმობრძავმა ბავშვმა ხელი აამოძრავა...

ეს მკვლელობა, რომელსაც მოგვიანებით რიტუალურიც კი უწოდეს (ერთი ვერსიით, მონარქისა და მისი ოჯახის წევრთა ცხედრებს თავები მოჰკვეთეს), ტროცკის მიერ იყო ორგანიზებული...

**„ის სრულებით პრაგმატული, აბსოლუტურად ცინიკური და ულმობელია, ამპარტავანი, პატივმოყვარე და წარმოუდგენლად ენერგიული. სწორედ ასეთი მასალისგან იქმნებიან სისხლიანი დროების ბელადები,"** — წერდა ტროცკიზე თანამედროვე მკვლევარი მიხაილ ველერი.

ომის შემდეგ ბრონშტეინ-ტროცკის ვარსკვლავი ჩაესვენა. მან სტალინთან ხელისუფლებისათვის ბრძოლა წააგო. შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელის პოსტიდან გათავისუფლდა და პოლიტბიუროდანაც და ცეკადანაც გაირიცხა, რის შემდეგაც ალმა-ატაში გადაასახლეს, ხოლო 1929 წელს სსრკ-დანაც გააძევეს.

მოგვიანებით კიდევ ათეულ ათასობით კაცი იქნა რეპრესირებული „ტროცკიზმის" გამო. მისი პირველი ცოლი ალექსანდრა სოკოლოვსკაია და უმცროსი ვაჟი სერგეი სედოვი დახვრიტეს. მამასთან ერთად გაძევებული უფროსი ვაჟი ლევ სედოვი კი 1938 წელს პარიზში საეჭვო გარემოებებში აღესრულა.

საგულისხმოა, რომ ზინოვიევი და კამენევი ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში სტალინთან ერთად ტროცკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, მაგრამ როგორც კი დაინახეს, რომ „სემინარისტი" აღზევდა, დაფაცურდნენ და ალიანსის შექმნა სცადეს ტროცკისთან, რომელმაც იმ დროისათვის ყოველგვარი გავლენა დაკარგა. თუმცა ამან შემდგომში მათ მიმართ მარტოდენ ბრალდებების კორიანტელი წარმოშვა.

მკვლევართა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ იმასთან შედარებით, რასაც სსრკ-ში ტროცკი მოიმოქმედებდა, სტალინის რეჟიმი „ადამიანური სოციალისტური რეჟიმი" იყო. ბრონშტეინ-ტროცკი ტერორისა და ძალადობის მტკიცე მომხრე გახლდათ, ხოლო მისი წინადადება, ომის დასრულების შემდეგ წითელარმიელები სახლებში კი არ გაეშვათ, არამედ განუსაზღვრელი ვადით „მშრომელთა არმიის" შემადგენლობაში დაეტოვებინათ, ბოლშევიკური საზომითაც კი დაუშვებლად მიიჩნეოდა.

უცხოეთში ცხოვრებისას ტროცკი ბევრს და გაბედულად წერდა სსრკ-ში ბიუროკრატიზმის შესახებ, მაგრამ რა საფუძველი გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ მისი მმართველობის პირობებში სხვაგვარი ვითარება იქნებოდა? საზოგადოება და ეკონომიკა ვიღაცამ უნდა მართოს, არადა, არც დემოკრატიულ არჩევნებსა და არც მეწარმეთა კლასის არსებობას ტროცკის დოქტრინა არ ითვალისწინებდა.

**მისი ყველაზე ცნობილი პოსტულატი „პერმანენტული რევოლუციის" იდეა გახლდათ**. ჯერ კიდევ 1919 წლის აგვისტოში, როცა კოლჩაკმა ურალიდან უკან დაიხია, ხოლო წითელი არმია თურქესტანში შეიჭრა, ტროცკიმ ბრძანება გასცა, ინდოელ პროლეტართა დასახმარებლად, განგას დაბლობზე სალაშქროდ 30-ათასკაციანი საცხენოსნო კორპუსი მოემზადებინათ. მკვლევართა აზრით, ეს ავანტიურა დენიკინის იერიშმა ჩაშალა. მას სამყაროს რადიკალურად შეცვლა სურდა, ნებისმიერი ტრადიციული საზოგადოება მისთვის ერთნაირად უცხო იყო და სულერთი იყო, სად მოაწყობდა რევოლუციას — რუსეთში თუ ჰავაის კუნძულებზე, რადგან ყველგან ერთი და იმავე მეთოდებით იმოქმედებდა და სისხლის ზღვას დააყენებდა.

1940 წლის 20 აგვისტოს ესპანელმა კომუნისტმა და ენ-კავე-დეს აგენტმა რაიმონდ მერკადერმა მექსიკაში, კოიოაკანში, ტროცკის გარემოცვაში შეაღწია და 61 წლის რევოლუციის დემონი ყინულის საჭრელი დანით მოკლა.

1960 წელს მოსკოვში ჩასულ მერკადერს, საიდუმლო განკარგულებით, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს და გენერლის პენსია დაუნიშნეს...

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# მშვიდობა, რომელსაც ქრისტე გვაძლევს, და ეიფორია, რომელიც ომზე უარესია

**არც თუ ისე დიდი ხანია, ცალკეული პიროვნებები საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ის ეკუმენისტურ წირვა-ლოცვაში არ მონაწილეობს. ამ საკითხის გარშემო არა ერთხელ გაიმართა დისკუსია. რა არის ეკუმენიზმი და ფსევდომშვიდობის მიღმა რა რეალური საფრთხეები იმალება — ამ თემაზე გვესაუბრება იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი მამა გიორგი სხირტლაძე.**



— ეკუმენიზმი არის მცდელობა, გააერთიანოს რელიგიები, უხეშად რომ ვთქვათ, გამოიყვანოს გლობალური რელიგია, რომელიც მდგომარეობს ერთი უპირო აბსოლუტის თაყვანისცემაში და გამორიცხავს ყოველგვარ კერძო რელიგიურ გამოცდილებას, ანუ მსოფლიო რელიგიათა სწავლებები იკრიბება ე.წ „აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში“, რომელიც ყველა სარწმუნოებაზე სიმბოლურად მაღლა დგას. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ყველა რელიგია ამ უზარმაზარი, მსოფლიო ეკუმენური „პირველყოფილი“ რელიგიის კერძო შემთხვევაა და ამის გამო არასრულყოფილებას ატარებს. ეკუმენიზმი გამორიცხავს რელიგიათა შორის განსხვავებასა და ღვთივგამოცხადებულ რელიგიას, რომელიც ქრისტიანობაა; აიგივებს არაღვთივგამოცხადებულ რელიგიებთან. თუ მსოფლიოს ყველა რელიგია ერთმანეთთან იდენტურია, მაშინ ქრისტეს ღვაწლი და მის მიერ აღსრულებული მსხვერპლი ამაო გამოდის.

ქრისტიანობის ღვთივგამოცხადებულობა მდგომარეობს იმაში, რომ თვითონ განკაცებული უფალი ღმერთი მოვიდა დედამიწაზე. იგი ძველ აღთქმაში გველაპარაკებოდა წინასწარმეტყველთა მეშვეობით, ხოლო ახალ აღთქმაში თავად მოვიდა და ზეციდან ჩამოიტანა სახარება, ანუ ჯერ ღვთივგამოცხადებული ძველი აღთქმა გვქონდა, ხოლო ძველი აღთქმის დაგვირგვინება სახარებისეული ახალი აღთქმა, რომელიც არის გვირგვინი და სრულყოფილი თვითგამოცხადება ღვთისა კაცობრიობისადმი. ამიტომ რაიმე **ახალი რელიგიური მოძრაობა ეკუმენიზმის სახით, მსოფლიო რელიგიურ მიმდინარეობათა, ეკლესიათა და სექტათა გაერთიანებაც კი, წარმოადგენს დესტრუქციულ მცდელობას, გაუბრალოებასა და გაღარიბებას იმ საღვთო გამოცხადებისა, რომელიც ჩვენ მოგვცა ქრისტიანობამ. ამიტომ მართლმადიდებლური სარწმუნოება, როგორც ქრისტიანობის პირველი ხატების შეუმცდარი, გაუმრუდებელი და დაუბინძურებელი სახით სწავლება, ეკუმენურ და ტრანეკუმენურ მოძრაობებს უარყოფითად უყურებს.**

**— მამა გიორგი, ვინ იყვნენ ეკუმენიზმის ფუძემდებლები და რომელი რელიგიების, ასე ვთქვათ, ბაზაზე ჩამოყალიბდა ის?**

— კონკრეტული პიროვნებების ჩამოთვლა, რომლებიც ეკუმენურ მოძრაობას ჩაუდგნენ სათავეში, შორს წაგვიყვანს. მე-11 საუკუნეში, როდესაც კათოლიციზმი მართლმადიდებლობას გამოეყო, ეკლესიაში პირველი განხეთქილება დაიწყო; ამას პროტესტანტული განხეთქილება მოჰყვა. შემდეგ უკვე თვითონ ეს პროტესტანტული რეკომენაციები დაიყო და თანდათანობით ჩაინერგა რევოლუციურ-პროტესტანტული სული გარდაქმნებისა, ცვლილებების შეტანისა, რამაც ჯერ კიდევ საფრანგეთის რევოლუციამდე განმანათლებლების მიერ ანტირელიგიურ სულს ჩაუყარა საფუძველი. ამან გავლენა იქონია ქრისტიანობის ზოგად სურათზე და გამოიწვია გაუბრალოება, უგულვებელყოფა და ზერელე დამოკიდებულება წმიდანებისადმი, ჯვრისადმი და წმიდა წერილისადმი.

**ეკუმენისტური მიმდინარეობის შექმნაში ასევე დიდი როლი ითამაშეს მსოფლიო თეოსოფიურმა, ანტროთეოსოფიურმა, ეზოთერულმა და ოკულტურმა მიმდინარეობებმა, რომლებიც საიდუმლო დოქტრინის შემუშავების პროცესში ცდილობდნენ, შემდეგი დევიზი გაეტარებინათ, რასაც ჰქვია „სადიასნასტიფერო დრაჰმა“. ეს ინდური გამონათქვამია და ნიშნავს, რომ რელიგია ჭეშმარიტებაზე მაღლა არ არსებობს. თუ რელიგია არ არსებობს, არც ერთი სარწმუნოება ჭეშმარიტებას არ შეიცავს, მაშინ ისმება კითხვა, რა არის ჭეშმარიტება?** მათ ეკუმენური ფსიქოლოგიის გასაძლიერებლად ის თეოსოფიური სული ძალიან კარგად გამოიყენეს, რომლის მიხედვითაც, ჭეშმარიტება არის უპირო აბსოლუტის გამოვლინება, უპირო სივრცე, რომელიც ტრასედენტულია და რომელშიც ადამიანი, როგორც ოკეანეში წვეთი, ისე ზავდება და თავის მეობას კარგავს. ამას შემდეგ მოჰყვა ანტროფოსოფია, როგორც შვილობილი მოძრაობა, დაერთო სხვა მოძრაობები — გურჯიევის, სუფიზმის, ასევე ინდუისტური ტრანსცედენტური მედიტაციისა და ბახაიზმის სახით.

არსებობს უზარმაზარი ბაჰაპულას ტაძარი, რომელსაც რამდენიმე შესასვლელი აქვს და ყველა მათგანი ერთ ტრაპეზთან მიდის. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა რელიგიას ადამიანი ერთსა და იმავე საწყისთან, ერთსა და იმავე ღმერთთან მიჰყავს, ყველა სარწმუნოების სულიერი გამოცდილება იდენტურია. ეს კი თავისთავად უგულვებელყოფაა ქრისტეს მიერ გაღებული გამომხსნელი მსხვერპლისა, ეზოტერიოლოგიური დოგმატისა.

ასე რომ, **ეკუმენიზმს ხელი შეუწყვეს საფრანგეთისა და რუსეთის რევოლუციებმა და ათეისტურკომუნისტურმა მოძრაობამ, რომლებიც ინტერნაციონალიზმს ქადაგებდნენ. ახლა კი გლობალიზაციის პროცესს მართავს, რომელსაც უკან უდგანან ხილული თუ დაფარული მასონური ლიდერები და ორგანიზაციები, უზარმაზარი ბიზნესკლუბები, როგორიც არის თუნდაც „ბილდენბერგის კლუბი“ და სხვადასხვა ორდენები.**

**— თუკი ეკუმენური წირვა-ლოცვა ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლის უგულებელყოფაა, ცალკეული მართლმადიდებლური ეკლესიები რატომ მონაწილეობენ მასში?**

— არსებობს მსოფლიო საეკლესიო საბჭო, რომელშიც, უმეტესად, პროტესტანტული რელიგიები და რამდენიმე მართლმადიდებლური ქვეყნის ეკლესია მონაწილეობს. Sუწმინდესმა ჯერ კიდევ ტოტალური რეჟიმის დროს არ ჩათვალა მიზანშეწონილად ამ ორგანიზაციაში მექანიკურად ჩასმული ჩვენი ეკლესია დარჩენილიყო იქ და პატრიარქის ლოცვა-კურთხევით საქართველომ, კარგა ხანია, დატოვა ეს ორგანიზაცია, რამაც, რა თქმა უნდა, დადებითი გავლენა მოახდინა ეკლესიაზე. ის უარყოფითი აურა, გავლენა და ძალისხმევა, რომელიც მეტ-ნაკლებად დესტრუქციულ ფონს ქმნიდა ჩვენი ეკლესიის მსახურებაში და არამართლმადიდებლური, არაქრისტიანული სულისკვეთება შეჰქონდა, ფრთხილად გაიმიჯნა.

**— აქვს თუ არა კავშირი ეკუმენისტურ წირვა-ლოცვას მასონურ მოძრაობასთნ?**

— არიან უზარმაზარი პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებსაც ანალოგიური მიზნები აქვთ. ამიტომ არიან ადამიანები, რომლებიც თავისი ცხოვრების მიზნად გლობალიზაციას ისახავენ, მაგალითად, როგორიც იყო მიხეილ გორბაჩოვი. მან გლობალიზაციის სულისკვეთება საბჭოთა კავშირში მისი ნგრევის პერიოდში შემოიტანა. **ამერიკაში მასონობა ძალიან მძლავრობს. ამერიკის თითქმის ყველა პრეზიდენტი მასონი იყო. ქალაქი ვაშინგტონის დამაარსებელი ჯორჯ ვაშინგტონი ცნობილი მასონი იყო. მან ეს ქალაქი მასონური ასტროლოგიური სტრუქტურის ჰოროსკოპითა და კლეოპატრას ნემსების რიტუალებით ააგო (აღარ ვლაპარაკობ, თვითონ სახელმწიფოზე). არსებობს ე. წ. კლეოპატრას ნემსები, რომლებიც ასტროლოგიურ, მაგიურ და ეგვიპტის ფარაონთა სულების გამოძახების რიტუალებზეა დამყარებული. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ერთად მოქმედებს ადამიანთა ფსიქოლოგიაზე.** დემონური ზეგავლენა მასმედიის საშუალებით ხორციელდება — ითამაშე ცხოვრებით, იცხოვრე თამაშით, დალიე, ნუ შეიკავებ თავს, იყავი ვნებიანი, ამპარტავანი, მრუში, მოძალადე, „ყველაფერი კარგად იქნება“ და ა. შ.

**— ერთი შეხედვით ისინი მშვიდობიან თანაცხოვრებას ქადაგებენ, რით განსხვავდება ჭეშმარიტი ქრისტიანული შემწყნარებლობა მათ მიერ ნაქადაგები მშვიდობისგან?**

— არსებობს ღვთაებრივი და ცრუ სასწაულები, წინასწარმეტყველები და ცრუწინასწარმეტყველები, რწმენა და ცრურწმენა, ქრისტესმიერი და ლათინოამერიკული სერიალებით ნაქადაგები სიყვარული, რომელსაც უფლისმიერ სიყვარულთან კავშირი არ აქვს; **არსებობს მშვიდობა, რომელსაც ქრისტე აძლევს, როდესაც მოძღვარი მრევლს ეუბნება: „მშვიდობა თქუენდა“ და დაწყნარება, რომელსაც ეიფორია, კვიეტიზმი ეწოდება და ომზე უარესია. ის მშვიდობას ჰგავს, მაგრამ უნდა გეშინოდეს მისი.** ის ცხვრის ტყავში გახვეული მგლის მიერ შემოთავაზებული მშვიდობაა. ამიტომ არაქრისტიანულ დაწყნარებას თუ მშვიდობას დავარქმევთ, ეს დიდი შეცდომა იქნება იმ ფასეულობებით, რომელსაც ისინი ქადაგებენ, ვინაიდან შორს არიან მართლმადიდებლური სარწმუნოებისგან და ჭეშმარიტი ღვთაებრივი გამოცხადების სულისკვეთებას არ ატარებენ. ისინი შორდებიან ჭეშმარიტ სარწმუნოებას, სათნოებას, თვინიერებასა და ამპარტავნებიდან გამომდინარე ცრუ დაყუდებას, კონფლიქტთა ცრუ დაშოშმინებას ახორციელებენ. მაგალითად, არ გვყავს ლტოლვილები, მაგრამ გვყავს იძულებით გადაადგილებული პირები; არ გვაქვს ომი, თუმცა გვაქვს იძულებითი მშვიდობა; არ ვართ იზოლირებულები და სარეზერვაციო ბანაკებში მოქცეულები, მაგრამ გარკვეული ეთნიკური ერთეულებისგან ადამიანთა მასების გაწმენდა ხდება.

**დღეს, როგორც კომუნისტური რეჟიმის დროს, მშვიდობის თემით ადამიანთა მასების ცნობიერების მანიპულაცია ხორციელდება. არ გვყავს ღმერთი, არის რომელიმე რელიგიური ლიდერი; არ გვაქვს რელიგია, არის რომელიმე იდეოლოგია და ა.შ.** წარმოიდგინეთ, ადოლფ ჰიტლერიც მშვიდობას ქადაგებდა. ის ამბობდა, ჩვენ გვინდა მშვიდობა, მხოლოდ რჩეული არიული რასა (7 რჩეულ რასას აღიარებდნენ ისინი) უნდა დომინირებდეს სხვებზე. ეს საიდუმლო დოქტრინაზე იყო აგებული და მის მიხედვით სხვა ერები ე. წ. საკონცენტრაციო ბანაკებში უნდა ყოფილიყვნენ გამომწყვდეულები. ჰიმლერის პროგრამით, მათ ასამდე თვლა, თავისი სახელი და გვარი და რამდენიმე გერმანული სიტყვა ეცოდინებათ. როგორც დაამთავრა ამ იდეოლოგიამ, წითელმა ატლანტიდამ და პირველმა ატლანტიდამ შავი მაგიის განვითარების შედეგად არსებობა, ყველამ კარგად ვიცით.

რაოდენ ბევრი ფული და დიდი ძალაუფლებაც უნდა ჰქონდეს ადამიანს, თუ ის ულმერთოდ ცხოვრობს, სულიერ სიღატაკეში დაასრულებს სიცოცხლეს. სულიერ სიღატაკეზე უარესი კი არაფერია. ადამიანმა შეიძლება ბიოლოგიური საკვებისგან თავი შეიკავოს, როგორც მარხვაში ნებით ვიკავებთ თავს, მაგრამ სულიერი შიმშილის მოთმენა ძნელია.

**— საქართველო მრავალეროვანი ქვეყანაა. როდესაც დედაეკლესიას აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ის ეკუმენისტური წირვა-ლოცვის თანაზიარი არ ხდება, ერთ-ერთ მაგალითად სწორედ ეს ფაქტი მოჰყავთ. როგორ უნდა ხდებოდეს სხვა კონფესიებთან ჩვენი ეკლესიის ურთიერთობა?**

— შემოქმედებითი, კულტურული ურთიერთობები, რომელიც სახელმწიფო ინტერესებითაა ნაკარნახევი, აკრძალული არაა. **მართლმადიდებლობა სექტა და რაღაც ფანატიკური დაჯგუფება არ არის, რომელიც ყველასგან იზოლირებულია. ეს მსოფლიო ეკლესიაა, რომელიც ყველას კეთილგანწყობით ესაუბრება, თუმცა იგი არ ამბობს, რომ მგელთანაც და კრავთანაც ერთად სადილის ჭამა შეიძლება და მწარე და ტკბილ წყალს ერთი წყაროდან დალევ (ის ფარისევლურ ცხოვრების წესს არ ქადაგებს). ყველა სარწმუნოებისადმი ჩვენი ეკლესიის დამოკიდებულება მეტ-ნაკლებად შემწყნარებლურია, მაგრამ არა მხოლოდ ევქარისტული და საკრალური ერთობის, არამედ ადამიანური და კულტურული ურთიერთობების დონეზე.** მორწმუნე ადამიანი კაცთმოყვარე უნდა იყოს, მართმადიდებლური სარწმუნოება პატივს სცემს მსოფლიო რელიგიებს. ის სხვის რწმენას არ შეურაცხყოფს და არ ძალადობს მათზე, პროზელიტიზმს არ ეწევა. ამის მშვენიერი მაგალითი იყო დავით აღმაშენებლის პერიოდი და არც დღეს არავინ არავის ავიწროებს. პირიქით, აქეთ გვავიწროებენ. თვითონ ღვთივგამოცხადებული მართლმადიდებლური ეკლესიის კრედოში მდგომარეობს შემწყნარებლობა, მშვიდობისმოყვარე, არააგრესიული დამოკიდებულება სხვა რელიგიებისადმი, ეს მისი სულიერების დამახასიათებელი ჯანსაღი თვისებაა. ეკლესიის კარი ყველასთვის ღიაა. მე გეძახი, გიხმობ, მაგრამ შენთან სახლში არ მოვდივარ და პროზელიტიზმს არ ვეწევი. მოგიწოდებ, მაგრამ არ გაძალებ. ჩვენი დევიზია თვინიერება, დათმენა, როგორც ეფრემ ასურის ლოცვაშია ნათქვამი, რომელსაც მარხვაში ხშირად ვამბობთ: „უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო, სულსა უქმობისასა დამიმომწვლილველობისასა, მთავრობის-მოყვარეობისასა და ცუდად მეტყველებისასა ნუ მიმცემ მე. ხოლო სული სიწმიდისა, სიმდაბლისა, მოთმინებისა და სიყვარულისა მომმადლე მე მონასა შენსა. ჰე, უფალო და მეუფეო, მომანიჭე მე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩემისა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე. ამინ“.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ!**

გვერდი მოამზადა **ნათია ქადაგიშვილმა**

## კვირის კალენდარი
## 10 მარტიდან 16 მარტამდე

25/10 ოთხშაბათი. წმ. ტარასისა, კოსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა (806).

28/13 დიდმარხვის მე-4 შაბათი. მიცვალებულთა ხსენება. ღირსი ბასილი აღმსარებლისა (75ო); ღირსი კასიანე რომაელისა (435).

1/14 დიდმარხვის მე-4 კვირა. ღირსი იოანე კლემაქსისა. ღირსი მოწამე ევდოკიასი (160 — 170).

3/16 სამშაბათი წმ. იოანე IV(ოქროპირი) საქართველოს კათალიკოსისა (1049); მოწამე ევტროპიოსისა, კლეონიკესი და ვასილისკოსი (აბხაზეთის კომანში აღსრულებულისა) (308).

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# როგორ უნდა მოიქცეს ქრისტიანი ვნებების მოზღვავების ჟამს

ერთხელ მამა პიმენმა მამა იოსებს ჰკითხა, როგორ უნდა მოქცეულიყო ვნების მოზღვავების ჟამს — შეწინააღმდეგებოდა თუ ნება მიეცა, მასში შეეღწია. ბერმა უპასუხა: მიეცი ნება, შემოვიდეს შენში და მერე შეებრძოლეო. ამ პასუხით დაბრუნდა მამა პიმენი თავის სენაკში. მოგვიანებით თებელი ბერისგან შეიტყო, რომ მან მამა იოსებს იმავე შეკითხვით მიმართა და პასუხიც მიიღო: არავითარ შემთხვევაში არ მისცე ნება ვნებას, შენს გულში შემოაღწიოსო.

გაოცებული მამა პიმენი კვლავ წავიდა პანთეოსში მამა იოსებთან და უსაყვედურა, განსხვავებული რჩევები რატომ მოგვეციო. მაშინ წმიდა ბერმა ჰკითხა: განა არ იცი, რომ მიყვარხარ? შენ ხომ მთხოვე, ისეთივე რჩევა მომეცი, საკუთარ თავს რომ ურჩევდიო. იცოდე, როდესაც ვნებას გულში შეუშვებ და ისე შეებრძოლები, გამოცდილება მოგემატება. მე შენ ის გირჩიე, რასაც საკუთარ თავს ვურჩევდი, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთაც საცდური სიახლოვესაც კი არ უნდა გაიკარონ, პირიქით, მაშინვე უნდა მოიშორონ.


სამთავროს წმ. ნინოს ეკლესია

# როგორ დავაღწიოთ თავი ცრუ მისტიციზმს



ცრუ მისტიციზმში გადავარდნის საფრთხე ემუქრება მას, ვინც ეკლესიურად არ ცხოვრობს. როგორ დავაღწიოთ თავი ამ უბედურებას? წმიდა მამები მხოლოდ ერთ რამეში ხედავდნენ გამოსავალს — ცრუ მისტიციზმისკენ გადახრილს ურჩევდნენ: ნუ დარჩები მარტო, იყოლიე გამოცდილი მრჩეველი, ანუ სულიერი მოძღვარი.

არ არის წუთი, რომ ნებსით ან უნებლიეთ ადამიანის სული არ მძიმდებოდეს ცოდვებით და არ ირღვეოდეს კავშირი ჩვენსა და ღმერთს შორის. აქედან გამომდინარე, გამუდმებით უნდა ვინანიებდეთ ცოდვებს, რადგან სინანულით წმენდს ჩვენს სულს სიბილწისგან. სხვა გზა ცოდვათაგან თავის დასაღწევად არ არსებობს, გარდა იმ მადლმოსილი ხელმძღვანელობისა, რომლის ღირსიც ყველა ვერ გამხდარა.

# სიმდაბლე — ქრისტიანის უძლიერესი იარაღი

ერთხელ მამა მაკარი ტბიდან თავის სენაკში ბრუნდებოდა, პალმის ტოტებით ხელში. გზად ეშმაკი შეხვდა და ცელის დარტყმა მოუნდომა, მაგრამ ვერ შეძლო. უწმიდურმა ბერს უთხრა: ძალა შენია, მაკარი, უძლური ვარ შენს წინაშე... რასაც შენ აკეთებ, მეც იმას ვაკეთებ. შენ მარხულობ, მე საერთოდ არ ვჭამ, შენ ფხიზლობ, მე საერთოდ არ მძინავს, მხოლოდ ერთი რამით მამარცხებ.

— რით? — ჰკითხა მაკარიმ.

— სიმდაბლით! — უპასუხა ეშმაკმა.



# ნონა აბულაძე: ნათლისღების მადლმა მომაკვდავი ძმისშვილი გადამირჩინა

**ნონა აბულაძე გაუთხოვარია, თავისი შვილები არ ჰყავს, მაგრამ ცხოვრებამ მისი ბედისწერის ჩარხი სხვაგვარად დაატრიალა — ძმა და რძალი ერთ დღეს დაეღუპა ავტოკატასტროფაში და მათი შვილების პატრონი გახდა. ქალბატონი ნონა 3 ბავშვს ზრდის. როცა უმცროსი ავად გახდა, აღარ იცოდა, რა ექნა... სასიკვდილოდ გადადებული ბიჭუნას გადარჩენაზე ექიმებმა ხელი ჩაიქნიეს. ღვთის შეწევნა რომ არა, ალბათ, ცოცხალი აღარ იქნებოდა...**
**აი, რა გვიამბო ქალბატონმა ნონამ:**

— ჩემს მშობლებს სამი შვილი დაეღუპათ, სანამ ამ ქვეყანას მე და ჩემი უმცროსი ძმა მოვევლინებოდით.

**— რამ გამოიწვია ჩვილების სიკვდილი?**

— გართულებული ორსულობისა და მძიმე მშობიარობის ფონზე სუსტი, ავადმყოფი ბავშვები იბადებოდნენ და მალევე კვდებოდნენ. შვილების დაღუპვამ დედა დეპრესიაში ჩააგდო, თავის მოკვლაც კი სცადა თურმე, მაგრამ მამამ მიუსწრო და გადაარჩინა. ამ ამბის შემდეგ კარგა ხანს აღარ დაფეხმძიმებულა. წლები დასჭირდა ტრაგედიის გადასახარშად და მოსანელებლად.

**— რა ასაკში გაგაჩინათ თქვენ?**

— 43 წლისამ იმშობიარა ჩემზე. თქვენ წარმოიდგინეთ, საკეისრო კვეთა არ დასჭირვებია, რამაც თურმე ექიმები ძალიან გააოცა.

**— ძმა რამდენი წლით არის თქვენზე უმცროსი?**

— 3 წლის ვხდებოდი, როცა დედამ რეზიკოზე იმშობიარა. ძალიან გამიხარდა ძამიკოს დაბადება, სულ მის აკვანთან ვიდექი, ვეფერებოდი, ვუყურებდი, როგორ ხდიდა და აცმევდა დედა, როგორ უცვლიდა.

**— რატომ არ შექმენით ოჯახი აქამდე?**

— მოუხერხებელი და მორიდებული ვარ... 10-თვიანი დავიბადე და, ალბათ, ამის ბრალია (იცინის).

**— მშობლები ცოცხალი გყავთ?**

— არა, საუბედუროდ, ძმისშვილების გარდა აღარავინ მყავს... ჯერ დედა გარდაიცვალა. წელიწადზე მეტი იწვალა საწყალმა, საშინელ ტკივილებს გაუძლო.

**— რა სჭირდა?**

— კუჭის ავთვისებიანი სიმსივნე აღმოაჩნდა. მამა დედაჩემის გარდაცვალებიდან 3 წლის მერე დაიღუპა — გულმა უმტყუნა, ამდენ დარდსა და გაჭირვებას ველარ გაუძლო. როცა მე და ჩემი ძმა სახლში მარტო დავრჩით, ვუთხარი, — შენ მაინც შეირთე ცოლი, ხომ ხედავ, მე ვერ ვთხოვდები-მეთქი. ვიცოდი, რომ შეყვარებული ჰყავდა და წავაქეზე, სარძლო მომწონდა, კარგი გოგო იყო, მეზობელი სოფლიდან. რეზიკომაც აღარ დაახანა და დაოჯახდა. შეეძინათ სამი შვილი.

**— ძმის გაბედნიერების მერე სად ცხოვრობდით?**

— მშობლების სახლში დავრჩი. რძალთან კარგი ურთიერთობა მქონდა, შვილების გაზრდაში ვეხმარებოდი, მაგრამ ერთ დღესაც ყველაფერი დაინგრა... რეზიკო და ხათუნა ავტოკატასტროფაში დაიღუპნენ. სამი მცირეწლოვანი ბავშვი ჩემს იმედად დარჩა.

**— რა ხნის არიან თქვენი ძმისშვილები?**

— უფროსი — ეკა 9 წლისაა, მომდევნო — შორენა — 5-ის, ნაბოლარა მამუკა კი — 2-ის. მოგეხსენებათ, როგორ გვიჭირს სოფლად, სამი ბავშვის რჩენა ხუმრობა საქმეა?! ღვთის შეწევნა რომ არა, დღეს მამუკა ცოცხალი აღარ იქნებოდა.

**— რა დაემართა ბიჭს?**

— ექიმებმა თქვეს, უცნობი ვირუსი შეეყარაო და ხელი ჩაიქნიეს მის გადარჩენაზე. მამუკა მოსანათლი იყო და მეზობელს ვთხოვე, მოძღვარი მოეყვანა. არ მინდოდა, მოუნათლავი წასულიყო იმ ქვეყნად... სასწაული მოხდა! ნათლობის მერე ბავშვი დამშვიდდა, სახე დაუწყნარდა და ჩაეძინა. დილით, თვალი გაახილა თუ არა, საჭმელი მოითხოვა. ღვთის წყალობით, მომაკვდავი ბავშვი გადარჩა, რისთვისაც უფალს ყოველდღე მადლობას ვწირავ. მამუკას სასწაულებრივი განკურნების მერე ყველანი ეკლესიურები გავხდით. ბავშვებთან ერთად ყოველ შაბათ-კვირას დავდივართ ტაძარში და ვადიდებთ უფალს.



# სულისთვის სასარგებლო რჩევები

**● აჭირვე მუცელს და დაადუმე პირი, რადგან ენა ჭამადთა სიმრავლისაგან ძლიერდება და იწყებს მრავლისმეტყველებას. აღსდეგ ამ მტარვალის წინააღმდეგ და ებრძოლე. თუნდ ძლიერ დაშვრე, უფალი მეყსეულად შეგეწევა.**

**● ლოცვის დროს ნუ მრავლისმტყველებ, რომ გონება არ დაგებნეს სიტყვათა ძიებაში. მეზვერეს ერთმა სიტყვამ მოწყალე ჰყო ღმერთი და ერთმა სიტყვამ აცხოვნა ავაზაკი. მრავლისმეტყველება გონებას განაბნევს, მოკლე სიტყვა კი — შეკრებს.**

**● ეცადე, ყველას სიკეთე გაუკეთო, როგორც მოგიხერხდება და სადაც შეძლებ, ნუ იფიქრებ, დაგიფასებენ თუ არა.**

**● თუკი შესცოდავ, დაუყოვნებლივ ითხოვე პატიება ღვთისგან სიმდაბლით, შემუსვრილი გულითა და სასოებით. იჩქარე, შეინანო სულიერი მოძღვრის წინაშე, რამეთუ ყოველი მოუნანიებელი ცოდვა სასიკვდილოა.**

**● მარტო ყოფნის ჟამს ჩაუღრმავდი საკუთარ თავს, გაარკვიე, ხომ არ გახდი იმაზე უარესი, ვიდრე იყავი; ხომ არ ჩავარდი ისეთ ცოდვებში, რასაც ადრე არ იქმოდი.**

**● გამოითხოვე უფლისგან კეთილგონივრული დუმილის მადლი და საუბრისას ნუ იქნები ცნობისმოყვარე ახალი ამბებისადმი, რადგანაც ისინი სულს ართობენ და ღმერთს გვავიწყებენ.**

# კითხვა-პასუხი

**წმიდა წერილს ვკითხულობ, მაგრამ ქრისტეს მცნებებს ვერ ვიცავ, ვცოდავ?**

— არ კმარა, ჩაწვდე წაკითხულს, უნდა აღასრულო კიდეც... მას, ვინც მხოლოდ კითხულობს, მაგრამ არ აღასრულებს, სძულს წმიდა წერილი.

**სად არის დაკრძალული წმიდა მეფე ლუარსაბი?**

— მეფე ლუარსაბი შაჰ-აბასს 7 წელი ჰყავდა დამწყვდეული დილეგში და აიძულებდა, უარი ეთქვა ქრისტეს სჯულზე, მაგრამ ვერაფერს გახდა. ლუარსაბმა მარხვითა და ლოცვით განიწმინდა თავი და უფალთან შესახვედრად განემზადა. როცა შაჰი საბოლოოდ დარწმუნდა ლუარსაბის უდრეკობაში, მისი წამებით მოკვლა ბრძანა. წმიდა მეფემ სიკვდილის წინ ლოცვის უფლება ითხოვა და ღვთისმშობელს სამშობლო, ოჯახი და საკუთარი თავი შეავედრა. ლუარსაბთან ერთად წამებით მოკლეს მისი ორი მსახურიც. ქრისტესთვის თავდადებულთა ცხედრები სპარსეთის მიწას მიაბარეს, მაგრამ ჟამთასვლამ მათი საფლავების კვალი წაშალა.

**რა არის მარხვის მიზანი?**

— მარხვა ძალდატანებაა ბუნებაზე, უარყოფა ყველაფრისა, რაც გემოს ატკბობს. იგი სხეულის მხურვალების დაცხრომაა, ცბიერ ზრახვათა დამარცხება, ბილწ სიზმართაგან ხსნა. მარხვა ლოცვის სიწმიდეა, სულის სინათლე, გონების დაცვა, გულისთქმათა შემუსვრა, ლმობიერების კარი, სიმბადლის სულთქმა, სიხარულის მომნიჭებელი შემუსვრილობა, მრავალსიტყვაობისგან კრძალვა, უვნებლობის მიზეზი, მორჩილების დარაჯი, ძილის აღმამსუბუქებელი, სხეულის სიჯანსაღე, ცოდვათაგან ხსნა, ბჭე სამოთხისა და ზეციური ნეტარება.

**როდის და რატომ დაწესდა მიტევების დღე?**

— ყველიერის კვირის ბოლო დღეს ქრისტიანული ეკლესია აღნიშნავს მიტევების, ანუ შენდობის დღეს. ეს ტრადიცია ქრისტიანობის გავრცელების დროიდან დაწესდა. ამ დღეს ბერები ერთად იკრიბებოდნენ, ერთმანეთს შენდობას სთხოვდნენ და აღდგომის საავალობელთა გალობით ეგვიპტეს უდაბნოში მიდიოდნენ, რათა დიდმარხვა იქ გაეტარებინათ ლოცვასა და სინანულში. ბერები წასვლის წინ მიტევებას ითხოვდნენ, რადგანაც არ იცოდნენ, შეძლებდნენ თუ არა უდაბნოდან თავიანთ მონასტრებში დაბრუნებას და დღესასწაულში მონაწილეობის მიღებას.

**რა შედის დიაკვნის ფუნქციებში?**

— დიაკვანს იმ ზომით ენიჭება მადლი, რაც სადიაკვნო მსახურებისთვისაა საჭირო. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი თავად ვერ აღასრულებს მღვდელმოქმედებას, ეპისკოპოსსა და მღვდელს ემსახურება.

**აუცილებელია ტაძარში სიარული ღმერთთან კავშირის დასამყარებლად?**

— ზოგი თვლის, რომ თავადაც მოახერხებს უფალთან კონტაქტს, ეკლესიის გარეშე, მაგრამ ეს აზრი საფუძველშივე მცდარია. „ვისთვისაც ეკლესია დედა არ არის, მისთვის არც ღმერთია მამა“, — ამბობს წმიდა კვიპრიანე კართაგენელი.

გვერდი მოამზადა **ნინო გოძიაშვილმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ფიტარეთი

## ქციის ხრამი

**მართალია, წინა მოგზაურობისას მდინარე ქციას გვარიანად დავცილდით, მაგრამ სხვაგვარად მისი ორი შენაკადის — ჭივჭავისა და ტორნეს ხეობათა შუაწელზე არსებულ სანახებს ვერ შემოვივლიდით. ახლა ისევ უნდა ჩავაკითხოთ ხრამს, რათა ფიტარეთის ცნობილი ტაძარი და სხვა ძეგლები მოვინახულოთ.**



ფიტარეთის სამონასტრო კომპლექსი

ფიტარეთში მოხვედრა იოლი არაა. მანგლის-წალკის ეპარქიაში შემავალ ამ სამონასტრო კომპლექსში თეთრიწყაროდან ცხენით თუ ჩახვალ (30-35 კილომეტრი), თორემ ისე ვერანაირი მანქანით ვერ მიუდგები. ამიტომ, ბოლნისის რაიონიდან, კონკრეტულად კი ტანძიიდან ჯობს წასვლა, მაგრამ იოლი გზა არც ესაა: ქციის მეორე ნაპირზე ან სახელდახელო ბეწვის ხიდით უნდა გადახვიდე, ან ისეთი მანქანა გყავდეს, რომ მდინარე გადაცუროს. ბეწვის ხიდზე როგორმე გადავა კაცი, მაგრამ ტანძიიდან ამ წერტილამდე და მერე აქედან ფიტარეთამდე 20 კილომეტრი ქვეითად სასიარულოა! ამიტომ, ყველაფერს ძლიერი მანქანა ჯობს. ჩვენს გასაჭირს ბოლნისის პოლიცია ეხმაურება — დიზელის საწვავზე მომუშავე (ეს აუცილებელია) მისი „ტოიოტა“-პიკაპი გულადად მიარღვევს მღვრიე ტალღებს, რომლებიც საქარე მინას ეხეთქება და 5 წუთში გაღმა გავყავართ.

მდინარეს გადავდივართ თუ არა, თვალწინ ტანძიის ანუ იგივე ხულუტის მრისხანე ციხესიმაგრე აისვეტება. ციხე XVII საუკუნეშია აგებული იმ ყაფლან ორბელიანის მიერ, რომლის სახელს ტანძიის ერთ-ერთი ეკლესიის წარწერაში ვხვდებით (ტანძიაში ყოფნისას იქაურ ტაძრებზე საგანგებოდ არ გავამახვილეთ ყურადღება, რადგან მათ, ქციის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე სხვა საყდრებთან ერთად, მიმოვიხილავთ მომავალში). ეს ის ყაფლანია, რომელიც ერთადერთი გადაურჩა ბარათა ორბელიანის მიერ გვარში დატრიალებულ სისხლის კალოს და თავი ირანს შეაფარა. 1625 წელს იგი საქართველოში შაჰ-აბაზთან ერთად შემოვიდა და მარაბდის ომში მის მხარდამხარ იბრძოდა ქართველთა წინააღმდეგ... ამ ომში ბარათა ორბელიანი დაიღუპა, ყაფლანმა კი არათუ 61 სოფელი დაიბრუნა ქციისა და მაშავერის ხეობებში, არამედ ტაშირშიც გაიჩინა მამულები. „გაუმართლა“ ამ კაცს და ეგ არის მტრის სამსახურში ყოფნამ... ხულუტის ციხის აგების პარალელურად, მისი მოდგმა დმანისის და ფიტარეთის ეკლესიების პატრონიც შეიქნა და განაახლა.





ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი

ფიტარეთის ეკლესია ამ ყაფლანის უშორესი წინაპრის, მეფე ლაშა-გორგის ამირეჯიბის ქავთარ ქაჯაფაიძის დაკვეთითაა აგებული.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ჰიპოთეზა, რომ ქაჩიბაიძეები (იგივე ქაჯაფაიძენი) ჩაბაისძეთა გვარიდან მოდიან. ფოლადაურის ხეობაში მდებარე XII ს-ის „თედორეწმინდის“ ტაძრის ქტიტორული წარწერაა სწორედ ჩაბაისძეთა ერთ-ერთ წარმომადგენელს გაბრიელს ეკუთვნის: **„სახელითა ღმრთისაითა, მეოხებით წმიდისა ღმრთისმშობლისაითა, წმიდისა თევდორესაითა და ყოველთა წმიდისა მისთათა, ესე დაწერილი ჩუენ — თევდორეწმიდელთა მღუდელთა და მწირთა, მას ჟამსა ოდეს ამას ეკლესიას ვაშენებდით, მოგუცა 80 დუკატი გაბრიელ ჩაბაისძემან. გაუკეთეთ დეკემბერსა ცხრასა რავდენიცა ხუცესი იყოს, ჟამსა წირვიდნენ და აღაპი გარდაიხდებოდეს, სიწმიდისა გარდმოყვანებასა მღუდელი მოიხსენიებდეს. ვინ ესე შეცვალოს კრულმც არს პირითა ღმრთისაითა. ამენ!“**

ახლა მოვიტანოთ ფიტარეთის ტაძრის ქტიტორული წარწერაც, რომელიც აღმოსავლეთ კედელზეა:



ხულუტის ციხე

**„ქ. სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისაითა, შეწევნითა და მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისა მშობელისა და წმიდათაითა, რომელნი საუკუნითგან სათნო ეყვნეს ქრისტესა ღმერთსა, მე ქავთარ ქაჯაფაისძე ამირეჯიბი თვითმპყრობელისა, ძლიერის მეფეთმეფისა გიორგისი აღშენებად ამის მონასტრისა და საყდრისა დედის ღმრთისა (ვბრძანებ): არაი ვისი ჰრთავს თვინიერ ჩემისა ლაშქრისა და ხმლითა მონაგებითა საფასითა, მათთვე ღმრთივ სანატრელთა დიდთა მეფეთა ჩვენდა საბედნიეროდ შევსწირენ მას ყოვლად წმიდისა ღმრთის მშობელსა ფიტარეთისასა სამლოცველოდ მეფობისა მათისა და ცოდვილისა ჩემისა სულისა, მშობელთა და ძმათა, შვილთა და მომავალთა ჩემთათვის. არავისგან შეიცვალნენ, არცარაი ვისსა მართალ აქუს ვიტყვი მოწმობითა ღმრთისაითა და რამანცა გამოახუნეს ანუ ქცევად იკადროს და ამის მონასტრისად დაკლებად, დიდი იყოს, გინა მცირე, კრულ იყოს დაუსაბამისა ღმრთისა პირითა მკუდარი და ცოცხალი. ამინ!“**

ორი ეკლესიის ხუროთმოძღვრული სტილის ანალიზისა და წარწერების შინაარსის შედარების საფუძველზე, როცა ერთ შემთხვევაში საქმე გვაქვს XII საუკუნეში მოღვაწე გაბრიელ ჩაბაიძესთან და მეორე შემთხვევაში იმავე ქვემო ქართლში XIII საუკუნეში მოღვაწე ქავთარ ქაჯაფაისძესთან, ალბათ, ასეთი შესაძლო დასკვნა უნდა გამოვიტანოთ: ორივე გვარის ეპონიმი უნდა იყოს ვინმე ჩაბა (ან ჯაბა და ჩაფა) — ლეგენდარული ბირიან აბაშის ჩამომავალი. ჩაბასგან მომდინარეობს გვარი ჩაბაისძე, ხოლო შემდეგ ამ გვარში ტრადიციულ სახელად იქცა „ქავთარი“. ქავთარისა და ჩაბაისძის შეერთებით იქმნება ახალი გვარი ქა-ჩაბაისძე ანუ იგივე ქაჯაფაიძე, ქაჩიბაიძე და ა.შ. ასეთი გენეზისი ქართულ გვარებში არახალია. მაგალითისათვის ორ ასეთსავე აშკარა შემთხვევას გავიხსენებ სვანეთის მაგალითზე, რომელიც საერისთავო იერარქიას შეეხება: 1) ჩეგი — ჩეგიანი — როჩეგიანი (როსტომ ჩეგიანი), 2) გელა — გელუანი — დადეშქელიანი (დადეშ გელუანი).

თავის მხრივ ქაჯაფაისძეებში შემდგომში წინაურდება ბარათას შტო და ვიღებთ ახალ გვარს — ბარათაშვილი. სხვათაშორის, ფიტარეთის ტაძრის წარწერაში ნახსენები XIII საუკუნის ამირეჯიბი ქაჯაფაისძე, შეიძლება, იოანე ბატონიშვილის „ისტორიაში“ („კალმასობის“ შემადგენელი წიგნი) დასახელებული ის ბარათაშვილი იყოს, რომელმაც თამაშის დროს, ჩოგნის მოქნევით, შემთხვევით დაუზიანა თვალი ლაშა-გიორგის.

სიმონ ჯანაშია გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ჩაბაისძე-ქაჩაბაისძენი დასავლეთ საქართველოდან გადმოსული ფეოდალები უნდა ყოფილიყვნენ.

ეს კვლევა შორს წაგვიყვანს. მთავარი ის არის, რომ ლაშა-გიორგის ამირეჯიბმა — XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოს დიდმოხელე ფეოდალმა — თავისი მეცადინეობით ერთ-ერთი ხუროთმოძღვრული შედევრი დაგვიტოვა. ბეთანია — ქვათახევი — ჰუჯაბი — იკორთა — წუღრუღაშენი — ფიტარეთი... ამ დიდ ექვსეულში ეს უკანასკნელი სპეკალივით ანათებს.

ფიტარეთის ფასადებში არცერთი მხარე არ მეორდება არც დეკორატიული სქემით და არც სამკაულთა წნულებით. ყოველივე ამას გვირგვინს ადგამს გუმბათის ყელი, რომელსაც, შეიძლება, მხოლოდ წუღრუღაშენი შეემეტოქოს. ფიტარეთის ტაძარი ჩვენი ხუროთმოძღვრების ერთ დიდ ვერნისაჟს ჰგავს — უნდა იდგე და უხმოდ უყურო. მისი მსგავსი მრავალფეროვანი ნატიფი, ჰაეროვანი და ამასთანავე რთული ჩუქურთმები მართლაც იშვიათობაა. სამკაულთა ამ შადრევნიდან ერთი შხეფიც კი არ იღვრება გარეთ. წმინდანთა და საერთო პირთა ბარელიეფური გამოსახულებანიც კი სამკაულებში ორიგინალურადაა ჩაწერილი და არ ყვირის. პერანგის ქვები: ზოგან იისფერი, ზოგან ზურმუხტისფერი, ზოგან ყვითელი, უმეტესად კი ვარდისფერი ისე ენაცვლება ერთმანეთს, რომ ხუროთმოძღვრის უმაღლეს ფერწერულ ნიჭსა და გემოვნებაზე მეტყველებს. სამწუხაროა, რომ ოსტატის ვინაობა არ ვიცით, მაგრამ ის, რომ იგი ქართული რენესანსის სკოლის დიდი წარმომადგენელია, ამას წყალი არ გაუვა. მის მიერ აღმართული ტაძარი ერთგვარი სინთეზია ეიკონური და მხატვრული განსახოვნებისა.

თათარ-მონღოლთა შემოსევამ და ლანგ-თემურის ლაშქრობებმა ფიტარეთის გალესილი ინტერიერი დიდხანს დატოვა მოუხატავი. მაგრამ XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე ქართულმა ეკლესიამ დრო მოიგო და, როგორც ჩანს, ჩინებული მხატვარი მოიწვია. მართალია შემდგომმა დროჟამმა ფრესკები ძალიან დააზიანა, მაგრამ ის, რაც გადარჩა და ჩვენს ეპოქაში დაკონსერვდა, ოსტატის დიდ გემოვნებაზე მიგვანიშნებს. სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ არც მხატვრის ვინაობა ვიცით.

მაგრამ ჩვენ ისევ ლაშა-გიორგის ეპოქას დავუბრუნდეთ. ბუნებრივია, ქავთარ ქაჯაფაისძემ კარგად უწყოდა მისი თაოსნობით აგებული ტაძრის ყადრი. ზევით მოტანილ წარწერაში იგი აკი ძალიან მკაცრად სთხოვს შთამომავლობას ამ ტაძარს არაფერი დააკლოთო: „ვიტყვი მოწმობითა ღმრთისაითა და რამანცა გამოახუნეს, ანუ ქცევად იკადროს და ამის მონასტრისად დაკლებად, დიდი იყოს, გინა მცირე“ ღვთის პირისაგან შეჩვენდესო.

ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელზე ნაკურთხ ფიტარეთის საყდარში, რამდენიმე წელია, რაც სამონასტრო ცხოვრება განახლდა. მართალია, იგი ტერიტორიულად და სამწყსო ერთეულად მანგლისისა და წალკის ეპარქიას ეკუთვნის, მაგრამ, იმის გამო, რომ ეპარქიის დანარჩენი ტერიტორიიდან უგზოობის გამო მოწყვეტილია, ღვთისმსახურებას, პატრიარქის კურთხევით, დროებით, ბოლნისის ეპარქიის სამღვდელოება აღასრულებს.

ეკლესიას ჩრდილოეთით ემიჯნება XVII საუკუნეში აგებული, მაგრამ ამჟამად დანგრეული კელიებისა და სატრაპეზოს ორსართულიანი ნაგებობა. აქვეა მარნის ნაშთები და მხედრული წარწერაც. ტაძრის გალავანს დასავლეთიდან სასაფლაო ეკვრის, თანამედროვე მონასტრის საძმო კი გალავნიდან ასიოდ მეტრში, ფერდზე აღმართულ დიდ, ორსართულიან შენობაში ცხოვრობს.

ლუკუნის მთის კალთებზე დაფრენილი „ფიტარეთი“ ჩვენამდე უცვლელად მოღწეული ტაძარია. წარმოიდგინეთ, მას ლანგ-თემურმაც კი ვერ მიაგნო ვერცერთი შემოსევის დროს.

ფიტარეთიდან გეზი ისევ ქციის ხრამში გვაქვს — მდინარეს დასავლეთით, ცხნარისაკენ უნდა გავყვეთ, მაგრამ იქით უკვე ვერანაირი მანქანა ვერ წავა. სხვა რა გზაა, ნასოფლარ ცხნარამდე მონასტრის ცხენებით უნდა გავწიოთ, იქ კი ჩვენი ორხიდიანი „მიცუბიში“ ჩამოგვაკითხავს თეთრიწყაროდან.

ნახვამდის, ფიტარეთო! ნუმც ნურასოდეს გიხილოს ავმა თვალმა.

**გელა ქოქიაშვილი**
ავტორის ფოტოები

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რუსეთის პროტესტები პორტასადმი ლეკ-ოსმალთა ქართლზე თავდასხმის გამო

**ი. ბულგაკოვმა რეის-ეფენდის პროტესტი განუცხადა იმის თაობაზე, რომ ოსმალეთის ხელისუფალნი (იგულისხმებოდა ახალციხის ფაშა) ლეკების ამაოხრებელ თავდასხმებს აწყობენ საქართველოზე. ამაზე რეის-ეფენდიმ ელჩს უპასუხა, რომ გურჯები და მეგრელები (იმერლები) არიან ოსმალეთის სახელმწიფოს რაიები და რამდენადაც ყველა სახელმწიფოს უფლება აქვს, დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეშევრდომების საქმეები, რუსეთის ჩარევა ამ შემთხვევაში თვითნებობა და უკანონობაა.**

3-4 დღის შემდეგ შედგა სახელმწიფო მეჯლისის სხდომა, სადაც ეგვიპტის საკითხთან ერთად საქართველოს საკითხიც განიხილეს. დაადგინეს, რომ პორტა კატეგორიულად ეწინააღმდეგება თბილისის ხანის რუსეთისადმი დამორჩილებას. თუ თბილისის ხანი თავს არ დაესხმება იმერეთს, რომელიც ოსმალეთის ქვეშევრდომია და — ისლამის ქვეყნებს, განსაკუთრებით კი დაღესტნის ერთმორწმუნე ხალხს, მაშინ ოსმალეთის სახელმწიფოც არ შეცვლის საქართველოსთან თავის ძველ დამოკიდებულებას. ამასთანავე, რადგანაც იმერლებს (მეგრელებს) არ სურთ წინათ მათთან დანიშნული ქაიხოსრო (აბაშიძე) და მოითხოვენ დავითის (იგულისხმება დავით II გიორგის ძე) დანიშვნას, მათი ეს მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნეს, ხოლო თუ ხალხმა არც ეს დავითი ისურვა, მაშინ დანიშნული იქნება სხვა პირი. ეს აცნობეს რუსეთის ელჩს.

დიპლომატიური შეხვედრისას რუსეთის ელჩმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ქართლ-კახეთის მეფე, დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რუსეთის ვასალია, ამიტომაც იგი ვალდებულია, თავისი ქვეშევრდომი დაიცვას, ახალციხის სულეიმან-ფაშამ კი ლეკები საქართველოზე სათარეშოდ გაუშვა. ამის გამო რუსმა ელჩმა მოითხოვა ისიც, რომ ოსმალეთმა უარი თქვას ლეკებისადმი მფარველობაზე და აუკრძალოს მათ ქართლის მეფის ქვეყანაზე თავდასხმები.

რეის-ეფენდიმ ელჩს უპასუხა, რომ ლეკები, დიდი ხანია, მტრობენ თბილისის ხანს. ეს უკანასკნელი თვითონაც აწყობს ხოლმე თავდასხმებს ლეკებზე და ამიტომ უსაფუძვლო იქნება, ყველაფერი ჩილდირის ვალს მიეწეროსო. რეის-ეფენდის სიტყვებით, ერეკლე-ხანი ახლაც ავიწროებს და ჩაგრავს აზერბაიჯანში მდებარე განჯის ქვეყანასო. თანაც, — ამბობდა იგი, — ჩვენი ფადიშაჰი არის ყველა მაჰმადიანის ხალიფა, რის გამოც ის ვალდებულია, დახმარება გაუწიოს ლეკეთს და ყველას, რომელნიც ისლამის ქვეყნები არიანო.

ამ მოლაპარაკების შემდეგ პორტამ კვლავ გაუგზავნა ჩილდირის ვალის ბრძანება, თავი შეეკავებინა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულებათა დარღვევისაგან, მაგრამ რუსეთი ამით არ კმაყოფილდებოდა. პეტერბურგიდან ელჩს კვლავ მიუთითებდნენ, რომ პორტასაგან დაჟინებით მოეთხოვა ახალციხის სულეიმან-ფაშის გადაყენება და მოთარეშე ლეკთა ძალების ახალციხის საფაშოში არდაშვება. მაგრამ პორტა კვლავ არ ასრულებდა ამ მოთხოვნას და, პირიქით, ბრძანებდა, რომ, როგორც დუნაის მიმართულებით, ისე ახალციხის საფაშოში გაეძლიერებინათ თავდაცვითი ღონისძიებანი, გაემაგრებინათ სტრატეგიული მნიშვნელობის პუნქტები, მუდმივ სამხედრო მზადყოფნაში ჰყოლოდათ ჯარები და სხვ. ამასთანავე, პორტა არაფრით არ ცნობდა ერეკლე მეორეს რუსეთის ვასალად.

უკანასკნელად რუსეთის ელჩის დავალებით კონფერენცია ამ საკითხზე საელჩოს პირველ დრაგომანს (თარჯიმანს) პიზანის დიდ ვეზირთან ჰქონდა 1785 წ. 5 ნოემბერს. შეხვედრისას დიდმა ვეზირმა სხვათა შორის თქვა, რომ პორტა ხშირად არ ცვლის ფაშებს ზოგიერთ საფაშოშიც, როგორც მაგ., ბაღდადსა და ჩილდირში (ანუ ახალციხეში), რადგანაც იქ ინიშნებიან ადგილობრივი წარმოშობის ფაშები, დიდი ვეზირის აზრით, ახალციხის ფაშა უდანაშაულოა ლეკთა თარეშების საქმეში. საქართველოს მეზობლად არიან ყოველი ჯურის მოთარეშენი, რომლებიც მუდამ მზად არიან, მოაწყონ თავდასხმები და სხვ. დრაგომანი უპასუხებდა, რომ თავდამსხმელთა ნაწილი ოსმალეთის ქვეშევრდომნი არიან და თვით ახალციხის ფაშას სამსახურში მყოფნიც, რასაც დიდი ვეზირი უარყოფდა და ამტკიცებდა, რომ საქართველოზე მოთარეშეთა ყველა თავდასხმას აწყობს იბრაჰიმ-ბეი — წარმოშობით სპარსელი, რომელიც სპარსელების სამსახურიდანააო გამოქცეული.

საერთოდ, რუსეთის მოლაპარაკება ოსმალეთის მთავრობასთან 1785 წ. აპრილში საქართველოზე მოწყობილი თავდასხმის შესახებ ჩიხში იყო მომწყვდეული, რადგანაც, თუმცა ახალციხის ფაშას ნაბრძანები ჰქონდა, მორიდებოდა ისეთ აქციებს, რაც რუსეთის უკმაყოფილებას გამოიწვევდა, მაგრამ, ამასთანავე, აიძულებდნენ, მუდამ მზად ყოფილიყო და, საერთოდ, სამხედრო თადარიგიც დაეჭირა. ლეკების მოთარეშე რაზმების დაშვებაც ახალციხის საფაშოში ნებადართული იყო.

ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში იყო დატოვებული ოსმალეთის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს საკითხი, როდესაც სტამბოლში არზრუმისა და ჩილდირის (ახალციხის) ვალებისაგან, პორტას მოხსენება მოვიდა, რომ ომარ-ხანმა თავისი ინიციატივით მთელი ლეკეთის ჯარებით უკვე გადალახა მდინარე ალაზანი და აღმოსავლეთ საქართველოს შეესია.

# ომარ-ხანის შემოსევა

**ომარ-ხანმა შეკრიბა 20000-კაციანი ჯარი და ჭარის (ზაქათალის) მხრიდან წამოვიდა კახეთისაკენ (1785 წ. სექტ.). ერეკლემ შეაგროვა 4000-მდე კაცი და 2000-იან რუსის ჯართან ერთად ომარ-ხანს გადაეღობა. ამიტომ ომარ-ხანმა ვერ შეძლო შიგნით კახეთის სოფლებისათვის დაკვრა და იძულებული გახდა, კახეთის ნაპირ-ნაპირ ევლო.**


ერეკლე II

ერეკლეს არ შეეძლო მთელი თავისი ჯარის ამოყვანა, რადგანაც გამორკვეული არ იყო, თუ რომელი მხრიდან შემოუტევდა ომარ-ხანი ქართლ-კახეთს. ამიტომ სხვადასხვა ადგილებში რაიმე ძალა უნდა ყოფილიყო დატოვებული. დასავლეთ ქართლიდან ჯარის შეყვანა სრულიად შეუძლებელი ხდებოდა, რადგანაც ახალციხის მხრიდან მოსალოდნელი იყო ოსმალების ანდა მათ მიერ გამოგზავნილი ლეკების თავდასხმა. და მაინც, რუსის ჯარის დახმარებით ერეკლემ მოახერხა, რომ ომარ-ხანი თბილისზე არ მოსულიყო. მდგომარეობა უაღრესად დაძაბული იყო. პოლკ. ბურნაშოვს ერეკლე ეუბნებოდა, რომ შაჰაბასის შემდეგ ქართლ-კახეთი ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში არ ყოფილა.

რადგანაც ომარ-ხანმა თბილისზე მისვლა ვერ შეძლო, მან თავისი ჯარი მდ. მტკვარზე გადაიყვანა და თავს დაესხა ახტალის მადნებს, ააოხრა ეს მადნები, ბერძენი მემადნეები კი ნაწილობრივ დატოვა, სხვები კი ტყვედ წაიყვანა. ახტალის ამ სამადნოების მუშაობის გაუქმებით ომარ-ხანმა დიდი ზიანი მიაყენა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს. ომარი თავს დაესხა ლორის ციხეს, აქაც გაიმარჯვა და მერე ახალციხის საფაშოში გადავიდა.

ამ გამარჯვების შემდეგ ომარ-ხანი თავისი ჯარით ჯავახეთს, ახალქალაქსა და მის მიდამოებში დადგა და ახალციხის (ჩილდირის) ფაშას თბილისზე გასალაშქრებლად ზარბაზნები და სამხედრო მასალით დახმარება მოსთხოვა. ფაშა შეწუხდა, მას პორტას წინაშე პასუხისმგებლობის ეშინოდა, რადგანაც ლეკების ეს დიდი თავდასხმა საქართველოზე მოხდა ოსმალეთის მთავრობის ბრძანებისა და ნებართვის გარეშე. ამიტომ ახალციხის ფაშა წავიდა ახალქალაქს ომარ-ხანის ბანაკში და ლეკების ბელადებს აუხსნა, რომ რადგანაც ამჟამად თბილისზე გალაშქრება ოსმალეთის ინტერესებისთვის სასურველი არაა, ამიტომ მათ თავიანთი ჯარი უნდა გაეყვანათ საფაშოდან. ლეკების ბელადებმა განაცხადეს, რომ მათ ჯარში უნდა ბევრი დაჭრილი და ავადმყოფია, ამიტომ გადაწყვეტილი აქვთ, დაიზამთრონ ახალციხის საფაშოში.

ფაშას იმისიც ეშინოდა, რომ ჯავახეთში ჯარის ჩადგომას მოჰყვებოდა მოსახლეობის გაღატაკება და სასურსათო კრიზისი, ამიტომ ფაშა შეეცადა, საჩუქრებისა და საპატიო ხალათების მიცემით განხეთქილება ჩამოეგდო ლეკთა ბელადებს შორის. ამ ღონისძიებით მან მართლაც შეძლო, რომ ჭარელების მეთაურები და აკუშელები — 4-5 ათასი კაცი — თავიანთი ქვეყნისაკენ გაბრუნდნენ. ომარ-ხანი კი დანარჩენი დიდი ჯარით ახალციხის მხარეში გადავიდა.

ომარ-ხანის ამ ლაშქრობამ აჩვენა, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს მეზობლებთან ურთიერთობა მეტად გამწვავებული ჰქონდა; რუსის ჯარის დახმარება კი საკმაოდ ეფექტიანი არ აღმოჩნდა, რადგანაც ის ერთობ მცირერიცხოვანი იყო. ამასთანავე, რუსის ჯარის უფროსები ჩიოდნენ, რომ საქართველოში მათ ძალზე უჭირთ ჯარის სურსათით დროულად მომარაგება.

მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა, რომ ომარ-ხანი ახლა ახალციხის მხრიდან აპირებდა ქართლ-კახეთში შემოჭრას, ერეკლე თავისი და რუსის ჯარით საჩქაროდ გაემართა ხეობის (ახლანდელი ბორჯომის ვიწრობის) მიმართულებით. და აი, მხოლოდ სურამთან იყო ჯერ მისული, როდესაც მოუვიდა ცნობა, რომ ომარ-ხანი თავს დასხმოდა ვახანის ციხეს (იგი თავად აბაშიძეებს ეკუთვნოდა) და ერთი დიკვნის შინაღალატით აელო ის. ამ ციხის აღებისას მცხოვრებთაგან 400 სული დაიღუპა და 400-ც ტყვედ იქნა წაყვანილი (1785 წ. 31 ოქტ.).

ამ ზარალმა ერეკლე დააფიქრა და მან ომარ-ხანთან მოლაპარაკება დაიწყო. ომარ-ხანი ზავზე დათანხმდა 10 ათასი მანეთის საფასურად. თანაც იგი მოითხოვს ჯამაგირს 5000 მანეთის ოდენობით, რასაც ომარ-ხანი ამიერიდან, თითქმის მუდამ იღებდა ვიდრე 1799 წ. რუსის ჯარი კვლავ არ შემოვიდა ქართლ-კახეთში.





გამოვიდა
სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის
«ისტორიული მემკვიდრეობა»
მეოთხე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ვინ ებრძვის ამერიკელ გეებს?



კალიფორნიის შტატის სენატორი **როი ეშბერნი,** რომელიც გეიმოძრაობის თავგამოდებულ მოწინააღმდეგედ იყო ცნობილი, საკრამენტოს გეიკლუბიდან გამოსვლისას დააკავეს. სენატორმა უკვე მოიხადა ბოდიში საკუთარი ქმედებისათვის კოლეგების, ამომრჩევლებისა და ოჯახის წევრების წინაშე.

ეშბერნი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებისთვის განკუთვნილი კლუბ „Faces"-იდან გამოსვლის შემდეგ საკუთარი ავტომანქანის საჭეს მიუჯდა და შტატის კანონმდებლობით დადგენილ ნორმაზე მეტი ალკოჰოლის მიღების გამო პოლიციელებს ჩაუვარდა ხელთ.

ეშბერნის მანქანაში კიდევ ერთი კაცი იჯდა. სენატორი საკრამენტოს ციხეში გაამწესეს, 1400 დოლარიანი გირაოს გადახდის შემდეგ კი გაათავისუფლეს.

# რისთვის ქირაობენ შოტლანდიელები ჰიპნოზიორებს?





შოტლანდიის ხელისუფლებამ ჰიპნოზის დიდოსტატი და რამდენიმე ბესტსელერის ავტორი 20 ათას ფუნტ სტერინგად იმისთვის დაიქირავა, რომ გლაზგოს ახალგაზრდობას უმუშევრობის პრობლემა გადაუჭრას. მაკკენა 16-დან 24 წლამდე ასაკის 600 შოტლანდიელისთვის საკუთარი შესაძლებლობების რწმენისადმი მიძღვნილ ლექციას წაიკითხავს.

თავად პოლ მაკკენა ირწმუნება, რომ ჭარბწონიანობის, უძილობის, ნიკოტინზე დამოკიდებულებისა და მრავალგვარი ფობიის პრობლემებთან გამკლავების სპეციალისტია. გარდა ამისა, მან იცის ვალების გასტუმრების საიდუმლო რეცეპტი.

ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებაზე შოტლანდიელი გადასახადების გადამხდელები ლამის გადაირივნენ — ჩვენ ილუზიონისტების ხელფასების ანაზღაურებაღა გვაკლდა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ამ სისულელეებით თავის გამოსაჭედადო.

# ვინ ჩააცვა ვენერა მილოსელს?



ნიუ-ჯერსის შტატის მკვიდრი, რომელმაც თოვლისგან ვენერა მილოსელი გამოძერწა, აიძულეს, საკუთარი შედევრისათვის საცურაო კოსტიუმი ჩაეცმია და შარფი შემოეხვია.

44 წლის ელიზა გონსალესის თოვლის ვენერა ლუვრის მკვიდრი ორიგინალისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ თავი არ აქვს. რაც შეეხება სკულპტურის სხეულის ფორმებსა და პოზას, ასლი დედნის შესაბამისია. ადგილობრივი მოსახლეობა აღფრთოვანებული იყო ელიზას ნამუშევრით, მაგრამ რამდენიმე დღეში „მოქანდაკესთან" პოლიციელები მივიდნენ დ უთხრეს, რომ თოვლის ვენერას საქვეყნოდ გამოფენილი სიშიშვლის გამო მეზობლებმა უჩივლეს. ქალს მოსთხოვეს, ან საერთოდ გაექრო ის, ან — შეემოსა. გონსალესმა მეორე ვარიანტი აირჩია.

# ნიღბის ჩამოხსნა ობამასთვის

**ვაშინგტონის გადაწყვეტილება, რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა ჩეხეთისა და პოლონეთის ნაცვლად რუმინეთსა და ერაყში განათავსოს, რუსულ-ამერიკული ურთიერთობების გადატვირთვას სულაც არ უწყობს ხელს. ჩეხეთსა და პოლონეთში რაკეტსაწინააღმდეგო ფარზე უარის თქმა მხოლოდ დროის გაწელვის მეთოდი აღმოჩნდა. რუმინეთი, რასაკვირველია, არაფერ შუაშია, რადგან ეს ნატოს ქვეყანაა, ნატოს კი აშშ მართავს — რასაც უნდა, იმას იზამს, ეს მათი ტერიტორიაა.**



საქმე სხვა რამეა. ვხედავთ, რომ ობამას ისტორია ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება. ბუში და მისი ნეოკონსელები ყველაფერს თავის სახელს არქმევდნენ. ამბობდნენ: „ჩვენ ცალსახად ვმართავთ მსოფლიოს, ჩვენ დავამყარებთ საკეთილდღეო ჰეგემონიას, როგორც კეიგენი წერდა, ჩვენ შევქმნით ერთპოლარულ მსოფლიოს". მოვიდა ობამა და თქვა: „არა, რას ბრძანებთ, ეს წინა ადმინისტრაციის ხალხია, აღელდნენ და არ გაითვალისწინეს მსოფლიო საზოგადოების აზრი. იცით, ახლა რა გავაკეთოთ? ერთად ავაშენოთ ასეთივე, ოღონდ რაღაც მოლაპარაკებების პროცესით შენიღბული ერთპოლარული მსოფლიო". არ მოგწონთ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა ჩეხეთსა და პოლონეთში? მას რუმინეთში, ერაყსა და, შესაძლოა, საქართველოშიც განვათავსებთ.

ობამამ ამერიკული პოლიტიკის ფასადი შეცვალა, შინაარსი კი უცვლელი დარჩა. შესაძლოა, მას, უბრალოდ, არ შეეძლო სხვაგვარად მოქცევა, შესაძლოა არც უნდოდა, ან, იქნებ, ეს საერთოდაც შეუძლებელია. რატომ უნდა თქვას უარი მსოფლიო ბატონობისკენ მიმავალმა ამერიკამ ამაზე, თუნდაც ნაწილობრივი და ლოკალური ჩავარდნები ჰქონდეს? რა თქმა უნდა, არ იტყვის. მედვედევი, რომელიც თავიდანვე მზად იყო, მხარი დაეჭირა ობამასთვის აშშ-ის მეორე სტრატეგიაში, მის მრავალპოლარულ დემარშში, რა თქმა უნდა, ახლა შეუსაბამო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

მას რუს ობამად მოიაზრებდნენ. იყო მკაცრი პუტინი, მოვიდა რბილი მედვედევი. მერე აღმოჩნდა, რომ რბილი ობამა სინამდვილეში იგივე ბუშია, ოღონდ — ოდნავ შენიღბული და მედვედევი აბსოლუტურად მშვიდად პასუხობს, როგორც სუვერენული ქვეყნის პრეზიდენტი უნდა პასუხობდეს, რომ არავითარი რაკეტსაწინააღმდეგო ფარის, არანაირი რუმინეთის, არანაირი ერაყის აღიარება აღარ სურს. არავითარი კლინტონი, არავითარი „ღილაკი", არავითარი პარტნიორობა ამერიკასთან. ობამამ ნიღაბი მოიხსნა და მისგან ბუში გამოძვრა, მედვედევმაც მოიხსნა ნიღაბი და პუტინის რკინისებური ხმით გაისმა რუმინეთში რაკეტსაწინააღმდეგო ფარის განთავსების კრიტიკა.

ყველაფერი ძველებურად რჩება: ამერიკა ერთპოლარულ მსოფლიოს აშენებს, რუსეთი — აპროტესტებს. ასე უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს ბრძოლა. ამ ისტორიის დასრულებისთვის ერთი გამოსავალი არსებობს: უნდა აშენდეს ახალი უსაფრთხოების სისტემა, სადაც სამი ალიანსი იქნება. ევროპასა და ამერიკას შორის ასეთი ალიანსი ნატოს სახით უკვე არის, საჭიროა დაემატოს კიდევ ორი — რუსეთსა და ევროპას შორის და რუსეთსა და ამერიკას შორის. რუსეთსა და ამერიკას შორის ახლა სარკოზი აქტიურობს, რაღაც პროცესი დაიწყო.

ევროპამ საკუთარი შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შესახებ უნდა განაცხადოს და ამერიკასთან სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობა დაამყაროს. იყოს ნატო, ოღონდ ორპოლუსიანი, ორპოლარული ნატო. რუსეთმა ევროპასთან ნატოს გარეშე უნდა შექმნას ალიანსი და ერთად მართონ მდგომარეობა, მათ შორის, ახლო აღმოსავლეთშიც, რუსეთის საზღვრებზე. რუსეთმა უნდა გააფორმოს პაქტი ამერიკასთანაც, წყნარი ოკეანის პაქტი. საბოლოოდ იქნება ატლანტიკური პაქტი, რუსულ ევროპული პაქტი და რუსულ ამერიკული წყნარი ოკეანის პაქტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამერიკელები განაგრძობენ ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას, თან იძახებენ, რომ ეს რუსეთისთვისაა უკეთესი. რუსეთი გარკვეულ მომენტამდე თვალებს დახუჭავს, მერე კი იტყვის: „მორჩა, შეჩერდით, რას აკეთებთ? რატომ ათავსებთ რუმინეთში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვას?" ეს არ დასრულდება, სანამ გლობალური უსაფრთხოების სისტემის ტრანსფორმირება სწორედ ამ სქემის მიხედვით არ მოხდება. ერთადერთი რაციონალური გამოსავალია, თუ ყველა იმეგობრებს ერთმანეთთან და ერთმანეთის წინააღმდეგ.

აი, ასეთი ვარიანტი მუშავდება ახლა რუსეთში. სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ მის მიმართ ევროპელები. ამერიკელებმა ჯერ არ იციან, რა ელით, მაგრამ მალე გაიგებენ. თავიდან არ შფოთავენ, მერე კი იტყვიან, რომ შეუძლებელია, ბოლოს კი დათანხმდებიან.

რუსები და ამერიკელები როგორმე შეათანხმებენ ერთმანეთთან საკუთარ პოზიციებს. რაც შეეხებათ ევროპელებს, ისინი უკვე საკუთარ თავსაც მობეზრდნენ და არც რუსებს ეპიტნავებიან, მაგრამ როგორღაც ცხოვრობენ გვერდიგვერდ, მათთანაც მოხერხდება სტრატეგიული ალიანსის შექმნა. პუტინი და მედვედევი ამისთვის მზად არიან. როდესაც რუსეთის ან ამერიკის პრეზიდენტი ამ ინიციატივით გამოვა, შეგვეძლება ვთქვათ, რომ ჩვენს ურთიერთობაში რაღაც შეიცვალა.

ჯერჯერობით მსგავსი არაფერია. ასე რომ, ყველაფერი ძველებურად რჩება.

**ალექსანდრე დუგინი**

# თურქეთი აშშ-ს არ პატიობს

**თურქეთმა აშშ-დან თავისი ელჩი გამოიხმო. ანკარამ ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტმა 252-ე რეზოლუცია მიიღო და 1915 წელს თურქეთში სომხების გენოციდი აღიარა.**



რეზოლუციის მიღებას სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიესალმა, თურქეთი კი ელჩის გამოხმობაზე გაჩერებას არ აპირებს. თურქულმა გაზეთმა „ვატან" გამოაქვეყნა სტატია სახელწოდებით „იანკებო — Go home!", რომელშიც ამერიკელებს თურქულ-ამერიკული ურთიერთობების იმ ნეგატიურ გაგრძელებებზე უამბობენ, რომელიც კონგრესის მიერ სომხების გენოციდის აღიარებას მოჰყვება. „არ დაავიწყდეს აშშ-ს, რომ ბაზა ინჯირლიკში აქვს და არა სომხეთში, მათი ინტერესები ისლამურ სამყაროსა და ახლო აღმოსავლეთში თურქეთს უკავშირდება. მაგრამ, თუ ვაშინგტონისათვის ეს ყველაფერი სულერთია, სულაც არაა შორი ის დღე, როდესაც ლათინური ამერიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მსგავსად ასიათასობით თურქიც იყვირებს „იანკებო, Go home!"

თურქეთი აშშ-სთვის, მართლაც, განსაკუთრებით ძვირფასი მოკავშირეა და შეუძლია ეფექტურად და მტკივნეულად აგრძნობინოს მას საკუთარი აღშფოთება. მაგრამ ამერიკის მხრიდან თურქების მიერ სომხების გენოციდის აღიარებაზე საუბარი ჯერ ადრეა. დოკუმენტი ჯერ მხოლოდ ერთმა კომისიამ მიიღო და ის ჯერ კიდევ ექვემდებარება განხილვას, ვიდრე აშშ-ის კონგრესი საბოლოოდ მიიღებდეს ან არ მიიღებდეს. ეს ნამდვილად არ იქნება სახუმარო ბრძოლა და მასში მხოლოდ სომხური და თურქული ლობები არ მიიღებენ მონაწილეობას.

თურქეთის ებრაულმა თემმა კონგრესის ზემოხსენებული კომიტეტის წევრებს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ „სომხების გენოციდის" შესახებ დოკუმენტის მიღების შემთხვევაში თურქეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობები გაფუჭდება. „თურქეთის ებრაელთა თემი არასწორად თვლის პარლამენტების მიერ ისტორიული მოვლენების შეფასებას. ეს ისტორიკოსების ამოცანაა. ცნობილი პროექტის მიღების შემთხვევაში, გაფუჭდება თურქულ-ამერიკული და ვერ აეწყობა თურქულ-სომხური ურთიერთობები".

აზერბაიჯანის ებრაელთა თემის მეთაურმა სემენ იჰილოვმა განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, რომ აშშ-ის ებრაელთა ლობი აზერბაიჯანულ და თურქულ დიასპორასთან ერთად ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კონგრესში ვერ გავიდეს სომეხთა ეგრეთ წოდებული გენოციდის აღიარების რეზოლუცია... ჩვენ მუდმივი კონტაქტი გვაქვს ებრაელებთან, რომლებიც აზერბაიჯანიდან წავიდნენ და ახლა აშშ-ში ცხოვრობენ, ისინი ყველაფერს გააკეთებენ ამის საწინააღმდეგოდ. ჩვენი თემი ოფიციალურად აცხადებს, რომ არანაირ „სომეხთა გენოციდს" არ ვაღიარებთ".

თურქეთში ისრაელის ელჩმა გაბი ლევიმ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ადრეც ეწინააღმდეგებოდა ამგვარი პროექტების მიღებას: „თუ თურქეთი მოისურვებს, ჩვენ კვლავ მზად ვართ, ძველ გამოცდილებაზე დაყრდნობით გავაკეთოთ ყველაფერი, რაც ჩვენზეა დამოკიდებული". გამოცდილება კი მართლაც დიდი აქვს ისრაელს. 2002 წელს ისრაელის ელჩმა სომხეთში რივკა კოენმა ერევანში განაცხადა: „ჰოლოკოსტი უპრეცენდენტო მოვლენაა და არაფერი, მათ შორის არც სომეხთა ტრაგედია არ შეიძლება შედარებულ იქნეს ებრაელთა გენოციდთან". ამან მთელ მსოფლიოში სომეხთა ნეგატიური რეაქცია გამოიწვია. რივკა კოენის განცხადება აბსოლუტურად შეესაბამებოდა ისრაელის სახელმწიფო პოზიციას სომხების გენოციდის აღიარებასთან დაკავშირებით. 2001 წელს ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა შიმონ პერესმა განაცხადა: „ჩვენ უარვყოფთ ჰოლოკოსტსა და 1915 წლის ტრაგიკულ მოვლენებს შორის ანალოგიების გავლების ნებისმიერ მცდელობას. სომეხმა ხალხმა ტრაგედია გადაიტანა, მაგრამ ეს არანაირად არ უკავშირდება გენოციდს".

ამ ფონზე ძნელად პროგნოზირებადია, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს კონგრესი სომხების გენოციდის საკითხთან დაკავშირებით. აშშ-ის სახელისუფლო სტრუქტურებში საკმაოდ გავლენიანი სომხური ლობი თურქულ და ებრაულ ლობებს ერთდროულად უპირისპირდება.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ბილ გეიტსის ვაქცინა პლანეტის მოსახლეობის შესამცირებლად

**„Microsoft“-ის დამფუძნებელი და მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი ბილ გეიტსი, იყენებს რა თავის მილიარდებს თავისივე „ბილ და მელინდა გეიტსების ფონდის“ მეშვეობით, აფრიკაში სურსათის ნაკლებობის, დაავადებათა პრობლემებისა და სიღატაკის წინააღმდეგ ბრძოლითაა დაკავებული. ეს ცნობილი ფაქტებია, მაგრამ კალიფორნიაში ახლახან გამართულ კონფერენციაზე გეიტსმა თავისი მოღვაწეობის აბსოლუტურად უცნობ სფეროს — დედამიწაზე მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზე ზრუნვას ჩამოხსნა ფარდა.**



კალიფორნიაში, ლონგ-ბიჩში გამართულ დახურულ კონფერენციაზე სახელწოდებით „TED2010 Conference“ თავისი გამოსვლის მეხუთე წუთზე გეიტსმა განაცხადა: „ახლა მსოფლიოში 6,8 მილიარდი ადამიანია. ეს დაახლოებით 9 მილიარდამდე გაიზრდება. თუ ჩვენ მართლაც შევასრულებთ დიდ სამუშაოს ახალ ვაქცინებთან, ჯანდაცვასთან, რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებასთან დაკავშირებით, შესაძლოა, ის 10 ან 15 პროცენტით შევამციროთ“.

2010 წლის იანვარში, დავოსის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე იმავე გეიტსმა განაცხადა, რომ მომავალი ათწლეულის მანძილზე მისი ფონდი განვითარებული ქვეყნების ბავშვებისათვის ვაქცინის შექმნასა და მიწოდებას 10 მილიარდ დოლარს დაახარჯავს.



მის მრავალმილიარდიან ფონდში ძირითადი მიმართულება სწორედ აფრიკასა და სხვა განვითარებად ქვეყნებში ვაქცინაციაა, „ბილ და მელინდა გეიტსების ფონდი“ მსოფლიო ბანკთან, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციასა და ვაქცინების მწარმოებლებთან ერთად „ვაქცინაციისა და იმუნიზაციის გლობალური ალიანსის“ დამფუძნებელია. ალიანსის მიზანია უკლებლივ ყველა ახალშობილის ვაქცინაცია განვითარებად მსოფლიოში.

„ბილ და მელინდა გეიტსების ფონდი“ გენმოდიფიცირებული ბიოტექნოლოგიების შემქმნელ როკფელერის ფონდთან ერთად აფინანსებს კიდევ ერთ პროექტს სახელწოდებით „ალიანსი აფრიკაში მწვანე რევოლუციისთვის“ (AGRA), რომელსაც გაეროს ყოფილი თავმჯდომარე კოფი ანანი უდგას სათავეში. გენმოდიფიცირებული აგრობიზნესის გიგანტები „მონსანტო“, „დიუპონი“, „დოუ“, „სინგენტა“ და სხვები ზემოხსენებულ ფონდებთან ერთად „AGRA“-ს წევრები არიან და აფრიკაში თავიანთ დაპატენტებულ გენმოდიფიცირებულ მარცვალს თესავენ.

კვლევებმა დაამტკიცა, რომ გენმოდიფიცირებული პროდუქტი აზიანებს ადამიანის ჭიპლარის, ემბრიონალურ და პლაცენტარულ უჯრედებს. გენმოდიფიცირებული სიმინდის ჯიშის დახვეწის აშშ-ის ერთ-ერთი ძველი პროექტის წარმატებით დასრულების შემდეგ პროექტის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი მიტჩ ჰაინი ამბობდა: „ჩვენ გვაქვს სათბური სიმინდით, რომელიც სპერმის საწინააღმდეგო ანტისხეულებს გამოიმუშავებს“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს პროდუქტი ფარული აბორტებისა და კონტრაცეფციის საშუალებებია და მისი მამები, ჰეინის ჩათვლით, ღიად ირწმუნებიან, რომ ეს დედამიწაზე მოსახლობის უზომო გამრავლების პრობლემის გადაჭრაა.

გეიტსის ფონდის, როკფელერის ფონდისა და კოფი ანანის „AGRA“-ს წყალობით განვითარებადი ქვეყნების ღატაკი მოსახლეობა უხვად მარაგდება სპერმიციდებით მდიდარი გენმოდიფიცირებული პროდუქტითა და ადამიანის სტერილიზაციის გამომწვევი აგენტებით გაჯერებული ვაქცინებით. და ეს არის დედამიწაზე მოსახლეობის შემცირებისათვის გამიზნული მხოლოდ ორი დოკუმენტურად დასაბუთებული მიმართულება.

**უილიამ ენგდალი**



## ვის ხელშია პულტი?

ნიუ იორკის ჯონ კენედის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში ავიადისპეტჩერმა თვითმფრინავების ასაფრენად მომზადების პროცესის მართვა თავის არასრულწლოვან შვილს გადააბარა.

ავიადისპეტჩერი და მისი უფროსი სამსახურებრივ მოვალეობებს მას შემდეგ ჩამოაცილეს, რაც პატარა დისპეტჩერის პილოტთან საუბრის ჩანაწერი ინტერნეტში მოხვდა. ამ ჩანაწერზე ბავშვი მამის კარნახით აშშ-ის ერთ-ერთი უდიდესი აეროპორტის ლაინერების ეკიპაჟებს ასაფრენ ბილიკზე მანევრირების მითითებებს აძლევს. როგორც იმ ჩანაწერებიდან ჩანს, თავად პილოტებს ძალიან მოსწონთ ბავშვის ხმა ეთერში.

აშშ-ის სამოქალაქო ავიაციის ფედერალურმა სამმართველომ აღნიშნულ ფაქტს სპეციალური განცხადება მიუძღვნა. ხუმარა მამილო დაადანაშაულეს და თავის უფროსიანად სამსახურიდან გაათავისუფლეს, აეროპორტის სადისპეტჩეროში კი თანამშრომელთა ახლობლების შესვლა სასტიკად აკრძალეს.

## რა ღირს აღსარება?



სატელეკომუნიკაციო კომპანიაში მომუშავე კათოლიკეების ჯგუფმა აამუშავა ფასიანი „ცხელი ხაზი“, რომლის დახმარებითაც მორწმუნეებს შეუძლიათ ცოდვები მოინანიონ. საუბრის ყოველი წუთი 0,34 ევრო ღირს.

ყველას, ვინც ამ „ცხელ ხაზზე“ რეკავს, სთავაზობენ, აღსარებასთან დაკავშირებული კონსულტაციისთვის დააჭიროს ღილაკს „1“, აღსარებისათვის დააჭიროს ღილაკს „2“, ხოლო სხვათა აღსარებების მოსასმენად — ღილაკს „3“. კლიენტებს მზრუნველი ხმით აფრთხილებენ, რომ ამ გზით მხოლოდ წვრილმანი ცოდვების მონანიება შეიძლება, სერიოზული ცოდვების მოსანანიებლად კი მღვდელთან მისვლაა რეკომენდებული.

იდეის ავტორები ამბობენ, რომ აღსარების ჩაბარების შემდეგ ცოდვების მიტევება მათ სერვისში არ შედის, ეს მხოლოდ ღმერთთან საუბრის საშუალებაა. ცხელი ხაზის კლიენტებს ცოცხალი ოპერატორები არ ესაუბრებიან, სამაგიეროდ მათ საშუალება აქვთ, ლოცვების ჩანაწერებს ტელეფონში მოუსმინონ.

„ცხელი ხაზის“ ამუშავება დიდმარხვის დასაწყისს მიეძღვნა და პირველი ერთი კვირის განმავლობაში მასზე რამდენიმე ასეულმა მომხმარებელმა დარეკა.

## ვინ ინახავს ნაგავს?



ბრიტანეთში გილფორდის სამეფო სასამართლომ სურეის საგრაფოს მკვიდრს ნება დართო, საკუთარ ეზოში დატოვოს ექვსი ძველი ავტომანქანა, რამდენიმე ასეული ტომარა ნაგავი და 34 წლის მანძილზე ნაგროვები გაზეთები. ადგილობრივი ხელისუფლება 2003 წლიდან ცდილობს იმის მიღწევას, რომ ახირებულმა რიჩარდ უოლესმა მთელი ეს ნაგავი თავიდან მოიშოროს, მისი მეზობლები კი ირწმუნებიან, რომ სახლის წინ დახვავებული ნაგვის უზარმაზარი გორა „Google Maps“-ზეც კი ჩანს. უოლესის საცხოვრებელი რაიონი სახელმწიფოს მიერ დაცულ ზონად ითვლება, მაგრამ იხილა რა ნაგვის გორა ფოტოებზე, მოსამართლემ გადაწყვიტა, რომ ის არანაირად არ ამახინჯებს პეიზაჟს. რაც შეეხება საშინელ სუნს, რომელიც ნაგვის ტომრებს ასდის, ცხადია, არ მიუღწევია პატივცემული მოსამართლის ნესტოებამდე. თავად 59 წლის უოლესი აცხადებს, რომ მიჩვეული არაა გაუაზრებლად რამის გადაგდებას და ყველაფერი, რაც ეზოშია, შესაძლოა, ოდესმე კიდევ დასჭირდეს.

# გერმანელების მეოთხედი მზადაა, ანტიქრისტეს ეთაყვანოს

**დასავლეთ ევროპა ტრადიციული ზნეობრივი ღირებულებების მწვავე კრიზისს განიცდის — ოჯახის ინსტიტუტი ინგრევა, ქვეყნისა და საზოგადოების ცხოვრებაში ადამიანის როლის შესახებ წარმოდგენები დეფორმაციას განიცდის. მრავალი ევროპელის ცნობიერებიდან საერთოდ გაქრა ცოდვის მცნება. ეს ყველაფერი კი პირდაპირ კავშირშია ადამიანთა ცხოვრებაში მდგომარეობის განმსაზღვრელი რელიგიის დაკარგვასთან.**



საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტის „Omni Quest“-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, გერმანელთა მესამედზე ნაკლებს კათოლიკე მღვდლების წესიერების სჯერა და ამდენივე თვლის, რომ კათოლიკურ ეკლესიას შეიძლება ენდო.

იეზუიტი-მასწავლებლების ირგვლივ ბოლო დროს ატეხილმა სექსუალრი ძალადობის სკანდალმა უკიდურესად შელახა კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტი. სეკულარიზმის წარმომადგენლებმა მდგომარეობა მშვენივრად გამოიყენეს კათოლიკების მიმართ ათასგვარი ცილისწამებისა და შეურაცხყოფისათვის. იუსტიციის მინისტრმა საბინა ლოიტჰოიზერ-შნარენბერგერმა კი განაცხადა, რომ კათოლიკურ ეკლესიას მღვდლების ქმედებათა გამოძიებისათვის ხელისუფლებასთან თანამშრომლობა არ სურს. მას კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლების, სახელმწიფო ჩინოვნიკების, უფლებადამცველებისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მონაწილეობით მრგვალი მაგიდის შექმნა სურდა და ამით ეკლესიას შანსს აძლევდა, სასამართლოს გვერდის ავლით, კომპენსაციებზე დაეყოლიებინა დაზარალებულები. ინცინდენტის სამართლებრივი სიბრტყიდან საზოგადოებრივში გადაყვანის მცდელობა კი ორიოდე პედოფილის გამო მთელი კათოლიკების სახალხო სამსჯავროზე გაყვანის სურვილით იყო ნაკარნახევი.

ამ ინიციატივის გამო გერმანელ ეპისკოპოსთა კონფერენციის წარმომადგენელმა რობერტ ცოლიჩმა განაცხადა, რომ კათოლიკურ ეკლესიას აქამდე არასდროს განუცდია მსგავსი თავდასხმა პოლიტიკოსების მხრიდან.

გერმანული ცხოვრების წესიდან ეკლესია განდევნილია. მას არ აქვს უფლება, გერმანიაში (და მთელს ევროკავშირში) მიმდინარე მოვლენები თუ გამოკვეთილი ტენდენციები შეაფასოს. რეალურად მის ერთადერთ როლს თანამედროვე ევროპაში „კულტურული ტრადიციის“ წარმოჩენა შეადგენს, როგორც, მაგალითად სანტაკლაუსი, რომელსაც არავინ ეკითხება ადამიანის ცხოვრების განმსაზღვრელი მორალურ-ზნეობრივი ნორმების არც დადგენას, არც დაცვას.

კიდევ ერთი გამოკითხვის მიხედვით, ყოველი მეოთხე გერმანელი მზადაა, კანქვეშ მიკროჩიპი ჩაიდგას, თუ ეს მას „გარკვეულ ხეირს“ მოუტანს. არადა, ქრისტიანობა და მისი მიმართულებების უმეტესობა, მათ შორის კათოლიკობა, ლუთერანობა და მართლმადიდებლობა ადამიანის სხეულში პირადობის დამადასტურებელი საბუთებისა და საბანკო ბარათების შემცვლელი მიკროჩიპების ინპლანტირებას პირდაპირ აიგივებს აპოკალიფსში აღწერილ ანტიქრისტეს დამღასთან. დაბოლოს, გამოკითხვა გერმანიაში ელექტრონიკის უდიდესი საერთაშორისო გამოფენის გახსნის წინ ჩატარდა. გამოფენის გახსნის წინ კი გერმანიის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მინისტრმა ილზა აიგნერმა თავისი ქვეყნის მოსახლეობას მოუწოდა, უფრთხილდნენ უმსხვილეს IT-კორპორაციებს — Google-ს, Apple-სა და Microsoft–ს, ასევე Facebook–ის მსგავს სოციალურ ქსელებს. მისი თქმით, IT-კომპანიები მომხმარებელთა შესახებ უდიდეს მონაცემთა ბაზებს ფლობენ და არავინ იცის, რაში გამოიყენება ეს მონაცემები.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net




# ჰერმეს ტრისმეგისტი, ანუ სამგზის დიდი

უძველესი ლეგენდების მიხედვით ჰერმეს ტრისმეგისტი ეზოთერული ცოდნის ფუძემდებელია, რომელიც „ფილოსოფიური ქვისა“ და „უკვდავების ელექსირის“ საიდუმლოებებს ფლობდა. მასვე მიეწერება ე. წ. „ზურმუხტის დაფის“ ავტორობა. ეს უზარმაზარი ზურმუხტია, რომელზეც ნებისმიერი ბუნებრივი ნივთიერების ოქროდ ტრანსმუტაციის ფორმულაა ამოკვეთილი. ეს უძვირფასესი ქვა, რომელიც ამჟამად დაკარგულია, თითქოსდა ალესანდრე მაკედონელმა აღმოაჩინა ეგვიპტეში. თავად ტრისმეგისტზე ძალზე მწირი ცნობები არსებობს. გადმოცემით, ის ეგვიპტური ღმერთის — ტოტის ვაჟია, რომელმაც ნილოსის სანაპიროზე პირველი პირამიდა ააგო. ამის საფუძველზე ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდს გამოთქვამს, რომ უკვდავების ელექსირის რეცეპტი დღემდე ქაიროს პირამიდების რაიონში ინახება. უმეტესწილად, ამგვარ სამალავად დიდი სფინქსის ქანდაკებას მიიჩნევენ.

# დირინგ-დიურა

იგი იაკუტსკიდან 140 კმ-ით დაშორებული დასახლებაა, სადაც 1983 წელს, გათხრებისას, უძველესი ადამიანის ქვის იარაღები აღმოაჩინეს, რომელთა ასაკი 1.8-3.2 მლნ წელს ითვლის. მიიჩნევა, რომ ჩვენს პლანეტაზე „გონიერი ადამიანი“ სწორედ ამ რაიონში გაჩნდა. მანამდე ცივილიზაციის წარმოშობის ადგილად ოლდოვაის ხეობა ითვლებოდა აფრიკაში. დირინგ-დიურის აღმოჩენა იმაზე მიუთითებს, რომ ცივილიზაცია ერთდროულად სხვადასხვა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ რეგიონებში ჩაისახა. მეცნიერთა აზრით, დირინგ-დიურა, ოლდოვაი და ცივილიზაციის სხვა კერები მუტაციების გამომწვევი გეოფიზიკური ანომალიებია, რომლებმაც გონის წარმოქმნა გამოიწვია.





# აფშერონელი ციკლოპი

ეს უზარმაზარი, შავბალნიანი არსებაა, რომელიც თითქოსდა დროდადრო აფშერონის ნახევარკუნძულზე ჩნდება. 1989 წელს ის კასპიის უმაღალესი სამხედრო სასწავლებლის კურსანტებმა და სოფელ კიურდაზანის მცხოვრებლებმა იხილეს. მათი თქმით, არსებას ერთადერთი წითელი თვალი აქვს, მისი ნაბიჯის სიგრძე კი ადამიანის ნაბიჯს სამჯერ აღემატება. ზოგი მეცნიერის აზრით, ჰომეროსის მიერ ოდისევსის მოგზაურობაში მოხსენიებული ციკლოპი, შესაძლოა, რეალურადაც არსებობდა, ხოლო არცთუ დიდი ხნის წინათ უცხოურ პრესაში იწერებოდა, რომ წყნარი ოკეანის ერთ-ერთ კუნძულზე 1989 წელს ერთთვალიანი გიგანტური თავის ქალა აღმოაჩინეს...

# აქსუმის მონოლითები



უცნაური ნაგებობებია, რომლებიც ეთიოპიაში, წითელი ზღვის სამხრეთ სანაპიროს მახლობლად მდებარე ქალაქ აქსუმში კიდია. ყველაზე დიდი, მკაცრად სწორკუთხა ქვა 30 მ-ის სიმაღლეზეა აღმართული და 500 ტონას იწონის. დანარჩენი ქვები 20 მ-ის სიმაღლისაა. ეს ორნამენტებიანი მონოლითები საგულდაგულოდაა დამუშავებული, მაგრამ ქაოტურადაა განლაგებული. მეცნიერები ჯერაც ვერ შეთანხმებულან ამ ქვების წარმოშობასა და დანიშნულებაზე. ერთ-ერთი ვერსიით, ეს ძველი ატლანტიდის ნაკვალევია.

# ალპური ამულეტები

ზღვის ნიჟარებია, მარჯნის რტოები და ზვიგენების კბილები, რომლებსაც დროდადრო ალპებში პოულობენ, ადგილობრივი თქმულებების თანახმად, სნეულებებს კურნავს და წარმატებები მოაქვს. ლეგენდების მიხედვით, ეს უძველესი მაგების ამულეტებია, რომლებიც ოდესღაც მთებში ცხოვრობდნენ. პალეონტოლოგები ამ აღმოჩენებს იმით ხსნიან, რომ იურიულ პერიოდში ალპების მწვერვალები ევროპასა და აზიას შორის ზღვაში მდებარე კუნძულებს წარმოადგენდა.



# ბაქსტერის ცდები



ეს ქლაივ ბაქსტერის კვლევის მეთოდიკაა, რომელიც, ტელეპათიის არსებობის მომხრეთა მტკიცებით, მანძილზე აზრის გადაცემის შესაძლებლობას ამტკიცებს. ქლაივ ბაქსტერი „ლაი-დეტექტორის“ (ამ მოწყობილობას პოლიგრაფს, ანუ „სიცრუის დეტექტორსაც“ უწოდებენ) ერთ-ერთი წამყვანი ამერიკელი სპეციალისტი იყო. 1996 წელს ბაქსტერმა მიმღები მცენარის ფოთოლს მიუერთა. ექსპერიმენტების სერიამ საინტერესო შედეგები გამოიღო — აზრობრივი მუქარაც კი, მაგალითად, მცენარისთვის ცეცლის წაკიდების ანდა ლეროს მოტეხისა, ყვავილედის მრუდზე ემოციების აფეთქებას იწვევდა. გამოითქვა მოსაზრება, რომ მცენარეს აზრების წაკითხვა შეუძლია. ექსპერიმენტები წარმატებით გაგრძელდა სხვა ლაბორატორიებშიც, თუმცა დღემდე მათი შედეგები ოფიციალურად არ უღიარებიათ.

# ბანგალორის ფოლიანტი



1995 წელს ბანგალორელმა (ინდოეთი) ჟურნალისტმა ადგილობრივ ტაძარში უძველესი ფოლიანტი აღმოაჩინა, რომელშიც მოთხრობილი იყო იდუმალ საფრენ აპარატზე. ის მზის ენერგიით მუშაობდა და თურმე არა ერთხელ გამოჩენილა ამჟამინდელი მუმბაის (ბომბეის) რაიონში ათასი წლის წინათ. ტაძრის წინამძღვარმა დაინტერესებულ მეცნიერებს აპარატის გამოსახულებიანი თიხის დაფაც გადასცა. აპარატი ძალიან ჰგავს თანამედროვე თვითმფრინავს.

# სიკვდილის მინერალი



ეს ჰიდროქსილაპატიტია, ნივთიერება, რომელიც ორგანიზმის ცხოველმყოფელობის პროცესში წარმოიქმნება და, ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ბოლოს და ბოლოს, უჯრედებისა და სისხლძარღვების „გაქვავების“ შედეგად სიკვდილს იწვევს. სიკვდილის მინერალი ნეიტრალურ გარემოში თითქმის არ იშლება, თუმცა მჟავე გარემოში დნება.

# ადამიანი-ამფიბია



ეს ტერმინი მწერალმა ა. ბელიაევმა შემოიღო და ნიშნავს ადამიანს, რომელიც წყლის ქვეშ სპეციალური მოწყობილობების გარეშეც სუნთქავს. ადამიანი-ამფიბიის შექმნა არა ერთხელ უცდიათ ბევრ ქვეყანაში. თუმცა პირველ და შედარებით წარმატებულ ექსპერიმენტად იქცა ცდები, რომლებიც დიუკის უნივერსიტეტის სამედიცინო ცენტრში დოქტორმა იოჰანეს კილსტრამ ამერიკელ ფ. ფალეიჩიკზე ჩაატარა. ყელის ანესთეზიის შემდეგ ცდის პირს ტრაქეაში ელასტიკური მილი ჩაუდგეს, რომლის მეშვეობითაც ფილტვები სპეციალურად ამისათვის მომზადებული ხსნარით აავსეს. ფალეიჩიკი წყლით 4 საათი სუნთქავდა. კილსტრას შემდეგომი წარმატებების შესახებ არაფერია ცნობილი, რადგან მან თავისი სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება შეწყვიტა. უცხოური პრესის ცნობით, კილსტრამ ამერიკის სამხედრო-საზღვაო უწყებასთან დაიწყო თანამშრომლობა.

# ნულის დრეიფი

ეს იდუმალი მოვლენა ყველა ზეზუსტ საზომ ხელსაწყოს ახასიათებს. XX საუკუნის დასაწყისში ის რუსმა პროფესორმა ვ. მიშკინმა აღმოაჩინა, რომლის ყურადღება იმ გარემოებამ მიიპყრო, რომ ფაქიზი მეტეოროლოგიური ცვლილებების დროს შეცდომები უცვლელი მუდმივობით მეორდებოდა. მიშკინის ვარაუდით, ფენომენის მიზეზი გარშემო არსებული სივრცეა, რომელიც თავისი რომელიღაც პარამეტრების უწყვეტი ცვლისას ხელსაწყოს ისარზეც მოქმედებს. ეს ვარაუდი პროფესორმა ექსპერიმენტულადაც დაამტკიცა.



# ტესლას კონვერტორი



1931 წელს ნიკოლა ტესლამ „მუდმივ ძრავზე“ მომუშავე მსუბუქი ავტომანქანის გამოცდა ჩაატარა. გაზეთები იტყობინებოდნენ, რომ მანქანას ე. წ. ანომალური ენერგობალანსის (კონვერტერი) მქონე ელექტროენერგიის წყარო ამოძრავებდა — როცა „გასვლისას“ მეტი ენერგია გამომუშავდება, ვიდრე „შესვლისას.“ ზუსტი სქემა უცნობია. თუმცა პრესაში რაღაც ელექტროვაკუუმურ ხელსაწყოებსა და ანტენაზე წერდნენ. ავტომანქანამ საათში 130 კმ სიჩქარე განავითარა.

საქართველო გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net




# პერმის კატასტროფა

მეცნიერთა მიერ შეკრებილი ფაქტებით დასტურდება, რომ 250 მლნ წლის წინათ (პერმის პერიოდის დასრულებისას) დედამიწაზე გლობალური კატასტროფა მოხდა, რომელმაც ყველაფერი ცოცხალი გაანადგურა (რითაც დასაბამი მისცა დინოზავრთა სამეფოს). „პერმის კატასტროფისას“ ზღვის ცხოველების 90 პროცენტზე მეტი დაიღუპა. დაიღუპა იმდენი მცენარე, რომ გარკვეულ ხანს მცენარეული საფარი, ძირითადად, სოკოებისგან შედგებოდა, რომლებიც ხეებისა და ცხოველების ნაშთებს ჭამდა. ხეთა გამანადგურებელი სოკოები ერთდროულად რამდენიმე კონტინენტზე არნახულად გამრავლდა. რა იქცა კატაკლიზმის მიზეზად? მეცნიერთა აზრით, პერმის კატასტროფა ციმბირის ტერიტორიაზე ვულკანების მასობრივმა ამოფრქვევამ გამოიწვია, რამაც პლანეტის წყალი და ჰაერი შხამიანი გამონაბოლქვებით მოწამლა. ეს ჰიპოთეზა დამატებით შემოწმებას მოითხოვს. გარდა ამისა, გაურკვეველია, ასე რამ გაააქტიურა ციმბირული ვულკანები. ამდენად, პერმის კატასტროფის მიზეზიც დღემდე ამოუხსნელია.

# «გათვალვისა» და «თვალის მოხსნის» ფიზიკა

**იმ ინფორმაციის 80 პროცენტზე მეტი, რომელსაც ადამიანი გრძნობათა 5 ორგანოდან იღებს, მხედველობის წილად მოდის, ხოლო სამყაროში ინფორმაციის ერთ-ერთ გადამტანს წარმოადგენს ფოტონი — ნაწილაკი, რომელიც იშლება და ქრება ე. წ. კვანტური გადასვლების პროცესში.**



სწორედ ფოტონთა წყალობით, რომლებიც კოსმოსური ობიექტებისა და გარემომცველი საგნების ზედაპირზე ატომებიდან იფრქვევა, ადამიანი და ცხოველი თვალით აღიქვამენ გარე სამყაროს.

რაკი ფოტონი მატერიალური ნაწილაკია, მასზე ზემოქმედება მატერიალური ველებითაც შეიძლება, სავარაუდოდ, ზოგიერთი ადამიანი (ქურუმი, ჯადოქარი, ექსტრასენსი) ფოტონების ნაკადის მართვის იშვიათ უნარს ფლობს.

თუ თვალი ფოტონებს აღიქვამს, მაშასადამე, ადგილი აქვს საპირისპირო მოვლენასაც: მას შეუძლია, გამოასხივოს კვანტები. მართლაცდა, ზოგჯერ, თავის ძლიერი დარტყმისას, ადამიანი ნათებას ხედავს, გამოთქმაც კი არსებობს: „თვალებიდან ნაპერწკლები წამოცვივდაო.“ თვალს რომ გარკვეული სიგრძის ელექტრომაგნიტური ტალღების არეკვლისა და გამოსხივების უნარი შესწევს, ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ზოგიერთ ცხოველს სიბნელეში თვალები უნათებს.

თვალის გამოსხივებას უდიდესი ძალა აქვს. ცნობილია, მაგალითად, რომ ზოგიერთი მხეცს, გველსა და თევზს მსხვერპლზე მზერით ზემოქმედება შეუძლია. ასეთი მზერის გავლენით მსხვერპლი შეშდება და მტაცებლის ნადავლად იქცევა. აზიის უდაბნოების ბინადარი შხამიანი გველი ეფა მსხვერპლზე თავდასხმამდე მას მზერით მონუსხავს. ასევე ნადირობს ატლანტის ოკეანეში ბინადრობს მტაცებელი თევზი ასტეროპიკუსი. ამ თევზის თვალის კუნთები თავისებურ ელექტრობატარეათა სისტემას წარმოადგენს. ახლომახლო მსხვერპლის გამოჩენისას ასტეროპიკუსი მას დაჟინებულ მზერას მიაპყრობს და თვალთაგან გამოსხივებული ელექტრული იმპულსებით მისი ნერვული სისტემის პარალიზებას იწვევს.

არცთუ იშვიათია ადამიანები, რომლებიც თვალებით განსაკუთრებულ ფსიქიკურ ზემოქმედებას ახდენენ. ისტორიიდან ცნობილია, რომ მომნუსხველი მზერა ჰქონდა ივანე მრისხანეს, გრიგორი რასპუტინს; ხოლო დევიდ-ნილი თავის წიგნში „ტიბეტის მისტიკოსები და მაგები“ აღწერს „მზერით დარტყმას,“ რომლის თვითმხილველიც შეიქნა ტიბეტში მოგზაურობისას. ეს სცენა მოგზაურ მაგ ნალჯორპასა და მის თარჯიმან დავასადანტიუპს შორის მოხდა, რომელმაც სცადა, მაგისთვის ძალით გადაეცა ფული. მან სამი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ დაბარბაცდა, თითქოსდა ძლიერი ბიძგისგან უკან გადავარდა და ზურგით კედელს შეენარცხა...

მოყვანილი მაგალითები გვავარაუდებინებს, რომ თვალი ენერგეტიკული ზემოქმედების ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამით გასაგები ხდება საყოველთაოდ გავრცელებული „ავი თვალის“ შიში.



# მარინა და კორტესი

## ქალი, რომელმაც ესპანელებს მექსიკა აჩუქა

**ლა მალინჩე, მალინცინა, ანუ დონა მარინა 1505 წელს დაიბადა და, სავარაუდოდ, მექსიკის ყურის სანაპიროზე მოსახლე ნაუა იყო. ის ერნან კორტესს ახლდა თარჯიმნად, მრჩევლად და შუამავლად ორ კულტურას შორის, როცა კონკისტადორმა მექსიკის დაპყრობა განიზრახა. მარინა იყო კორტესის საყვარელი და მას ვაჟიც გაუჩინა, რომელიც ერთ-ერთ პირველ მესტიზოდ (ესპანურ-მექსიკური შერეული სისხლის პირმშოდ) მიიჩნევა. დღეს მექსიკაში მალინჩე კვლავ რჩება უმნიშვნელოვანეს ფიგურად, რომელიც ახალი, მექსიკელი ხალხის სიმბოლურ დედას და, იმავე დროს, ღალატს, ტიპურ მსხვერპლს („ლა ჩინდაგას“) ასახიერებს.**



მარინას წარსულზე ძალზე ცოტა რამაა ცნობილი. კონკისტამდე მისი ცხოვრების შესახებ კორტესის „ოფიციალური“ ბიოგრაფის — ფრანსისკო ლოპეს დე გომარასა და მისი თანამედროვეების: ანდრეას დე ტაპიასა და ბერნალ დიას დელ კასტილიოს ცნობებით თუ ვიმსჯელებთ. დიას დელ კასტილიოს ვერსიით, მარინას წარმომავლობის ისტორია იმდენად თვალწარმტაცია, რომ ზედმიწევნით ჰგავს გამოგონილს და მისი დაჯერება ძნელია. მისი თქმით, მალინჩე დიდგვაროვანი ქალბატონი — პაინალის (იმჟამად მაიას სახელმწიფოს მიმდებარე აცტეკების იმპერიის) მმართველის უფროსი ქალიშვილი იყო. ჯერაც ნორჩი იყო, მამა რომ გარდაეცვალა, დედამისი მეორედ გათხოვდა და ვაჟიც შეეძინა. მამინაცვალმა კი გერი შიკალანგოელ (შიკალანგო — სავაჭრო ცენტრი იყო) მონებით მოვაჭრეს მიჰყიდა. დიასის მტკიცებით, მალინჩეს ოჯახმა მარინას სიკვდილის ფაბრიკაცია მოახდინა. ლა მალინჩე კი რამდენჯერმე გაყიდეს, რის შემდეგაც მან თავი პოტონჩანში ამოჰყო, სადაც ის ბოლოს და ბოლოს ესპანელებს აჩუქეს.

### მექსიკის დაპყრობა

1519 წლის აპრილში მალინჩე იმ 20 ქალს შორის აღმოჩნდა, რომლებიც მაია ჩონტალმა ესპანელებს უფეშქაშა. მიიჩნევა, რომ მარინა მას სწორედ კორტესმა შეარქვა. რამდენიმე კვირის შემდეგ ესპანელებმა აღმოაჩინეს, რომ მშვენიერმა მარინამ ორი ენა იცოდა: ცენტრალური მექსიკის ინდიელთა ძირითადი ენა — **ნაუატლი** და **იუკატანური**, რომელზეც ის მღვდელ ერონიმო დე აგილარს ელაპარაკებოდა, ის კი, თავის მხრივ, კორტესს ესპანურად უთარგმნიდა. მარინა თარჯიმნად დანიშნეს და წლის ბოლოს, როცა ინდიელებმა მას მალინცინა შეარქვეს, ქალმა უკვე ესპანურიც იცოდა და კორტესს ნაუატლიდან პირდაპირ ესპანურად უთარგმნიდა.

ტენოჩტიტლანის დაცემის შემდეგ, 1521 წლის აგვისტოში, მალინჩეს შესახებ ჩანაწერები გაქრა და ხელახლა მხოლოდ ჰონდურასში კორტესის წარუმატებელი ექსპედიციისას გამოჩნდა. 1524-1526 წლებში მალინცინა კვლავ კორტესს ახლდა და უწინდებურად თარჯიმნობასაც უწევდა —



მან მაიას დიალექტების — ჩონტალისა და იუკატის ცოდნაც გამოავლინა. იუკატანის ჯუნგლების გავლისას, ჰონდურასისკენ მიმავალ გზაზე კორტესმა მარინა თავის თანამეინახეს — ხუან ხარამილიოს მიათხოვა, რომლისგანაც 1527 წელს მალინჩეს ქალიშვილი შეეძინა და მასაც მარინა დაარქვეს. ლა მალინჩეს შემდგომ ბედზე თითქმის არაფერია ცნობილი, მისი გარდაცვალების თარიღიც კი — 1529 წელი მეცნიერებს ეეჭვებათ.

### ლა მალინჩე მექსიკას იპყრობს

ის ფაქტი, რომ კონკისტადორებს საიმედო თარჯიმანი ჰყავდათ, უკვე დიდ წარმატებას ნიშნავდა, თუმცა მარინა მარტოდენ თარჯიმნის როლით არ შემოფარგლულა. ბერნალ დიას დელ კასტილიო, რომელიც კონკისტის დროს ჯარისკაცი იყო, თავის გვიანდელ ჩანაწერებში („ახალი ესპანეთის დაპყრობის ნამდვილი ისტორია“) ძალზე ხშირად და მოწიწებით იხსენიებს „დიდ ლედის“ — დონა მარინას. „დონა მარინას დახმარების გარეშე, — წერს იგი, — ახალი ესპანეთისა და მექსიკის ენა ჩვენთვის მიუწვდომელი იქნებოდა.“ თავად კორტესი კი ამბობდა, რომ ღმერთის შემდეგ, მისი წარმატების მთავარი მიზეზი მარინა იყო. კიდევ უფრო საინტერესოა ცნობები ინდიელთა წყაროებიდან. „ლიენსო დე ტლაშკალაში“ (ტლაშკალას ისტორია) კორტესი იშვიათადაა წარმოჩენილი მარინას გარეშე, ხოლო მარინა დროდადრო ერნანის გარეშე ჩნდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მას დიდი ზეგავლენა და წონა ჰქონდა. რაკი მეფის კარზე გაიზარდა, მისი კორტესისადმი ერთგულებასაც მოეძებნება ახსნა — მეუღლის როლში ის ქმარს დიპლომატიური და სამხედრო წარმატებების მიღწევაში უნდა დახმარებოდა.

თანამედროვე მექსიკელების ენაზე სიტყვა „მალინჩიზმო“ იმ თანამემამულეთა მსაზღვრელს წარმოადგენს, ვინც სამშობლო და თავისი ხალხი გაყიდა, თავისი სისხლი და კულტურა კი ევროპულს შეურია. თუმცა ეს პოზიცია მარინასთან მიმართებაში მცდარია: ბევრ ისტორიკოსს მიაჩნია, რომ ლა მალინჩემ თავისი ხალხი იხსნა, რადგან ესპანელები მის გარეშე გაცილებით სასტიკი დამპყრობლები იქნებოდნენ. მართალია, აცტეკების იმპერია განადგურდა, მაგრამ თავად ხალხი, მისი ენა და კულტურა სწორედ მარინას წყალობით დღემდე ცოცხლობს. ბევრი მას ახალი მექსიკური რასის ფუძემდებლადაც მიიჩნევს.



გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

# მოკლედ



## ჩრდილო კორეა ბრძოლისთვის მზადაა

სამხრეთ კორეასა და აშშ-ის მიერ მორიგი ერთობლივი სამხედრო სწავლებების დაწყებამ ფხენიანს თავდასხმის შიში გაუმძაფრა და ჩრდილოკორეული არმიის ყველა სახეობის ჯარებისათვის საბრძოლო მზადყოფნის რეჟიმი გამოცხადდა.

ქვეყნის სამხედრო ხელმძღვანელობის ბრძანებაში ნათქვამია, რომ „სამივე სახეობის ჯარის ყველა ქვედანაყოფი უნდა იყოს სრულ საბრძოლო მზადყოფნაში, რათა ბრძანების მიღებისთანავე აафეთქოს აგრესორთა ციტადელი“. სამხედრო სწავლებები 18 მარტს დასრულდება.

## გერმანულ-რუმინული ტრეფიკინგი



გერმანიის, ესპანეთისა და რუმინეთის პოლიციელებმა ერთობლივი ძალისხმევის შედეგად გერმანიის ტერიტორიაზე ადამიანებით მოვაჭრეთა უმსხვილესი ქსელის ლიკვიდირება შეძლეს. ოპერაციაში 800-მდე სამართალდამცავი მონაწილეობდა. ცხრამეტივე დაკავებული რუმინეთის მოქალაქეა. 13 მათგანს ბრალი უკვე წაუყენეს. დამნაშავეები რუმინელ გოგონებს კარგი სამსახურის პირობით გერმანიაში იტყუებდნენ, შემდეგ კი ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით ბორდელებში ამუშავებდნენ.


# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (Y, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ მიკროელემენტოზის პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებაა. ამიტომ „ისიდაში“ გადახდილი ყოველი თეთრი დაგიზოგავთ ამ დაავადების სამკურნალოდ გადასახდელ მრავალ ათას ლარს.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.
890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.

# სტომატოლოგიური კლინიკა

გთავაზობთ მომსახურების სრულ პაკეტს,
100 პროცენტიანი გარანტიით

— ჰელიობჟენი — 25 ლარიდან; კერამიკა — 85 ლარიდან;
— პროთეზები — 165 ლარიდან (უცხოური მასალით);
— კბილების გაწმენდა-გათეთრება — 25 ლარიდან;
კონსულტაცია უფასოა; მაღალი ხარისხი, დაბალი ფასები.

მისამართი:
აგლაძისა და ქუთაისის ქ. №1 (კუთხეში, ვახუშტის ხიდთან).
ტელ. 30-64-70; 897-140-251.

ფასდაკლების კუპონი

www.fact.ge
ACM Group

# შპს «სევენ სტუდიო»

არქიტექტურა,
ინტერიერის დიზაინი,
ლანდშაფტის დიზაინი

7 STUDIO
Seven Studio 893 310 840

მედიანიუსი
საინფორმაციო სააგენტო
http://www.medianews.ge

# მსოფლიოში პირველი რეპროდუქციული ჯანმრთელობის ცენტრი — ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი



## გთავაზობთ სამედიცინო დახმარებას

- უნაყოფო წყვილების სრულყოფილ გამოკვლევასა და მკურნალობას უახლესი, თანამედროვე მეთოდებით;
- ჰორმონულ, გენეტიკურ, იმუნოლოგიურ, ექოსკოპიურ, ენდოსკოპიურ გამოკვლევებს;
- სასქესო ინფექციების დადგენას, მათ შორის, დნმ-დიაგნოსტიკით;
- სპერმის კომპიუტერულ ანალიზს;
- ხელოვნურ ინვიტრო განაყოფიერებას; რეპროდუქციული მასალის გაყინულ მდგომარეობაში შენახვას;
- ქალებსა და მამაკაცებში სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებების სქესობრივი და ენდოკრინული დარღვევების დადგენასა და მკურნალობას, მათ შორის, ენდოსკოპიური მეთოდებით;
- ორივე სქესის მოზარდებში ენდოკრინული და გინეკოლოგიური პათოლოგიების დიაგნოსტიკასა და მკურნალობას;
- სქესობრივი ანომალიების დიაგნოსტიკას, ქირურგიულ კორექციას;
- კლიმაქტერული დარღვევების მკურნალობასა და პროფილაქტიკას;
- ორსულობის თვითნებური შეწყვეტის მიზეზების დადგენას; შობადობის რეგულაციას — მედიკამენტურ კონტრაცეფციას;
- ულტრასონოგრაფიულ, ბიოქიმიურ, ჰორმონულ, ციტოგენეტიკურ გამოკვლევებს.

მისამართი: კოსტავას ქ. 43. ტელ. 93-11-45; 99-61-97; 99-54-77

pirveli.com.ge
პირველი
საინფორმაციო სააგენტო

საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net


მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net